K 243905
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ
ჯალაღონია

ეროტომანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ჯალაღონია

ერთტოძეული



გამომცემლობა „ბანი“

თბილისი, 2004

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინამდებარე წიგნში პოეტის მიერ თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე (1959-2003 წწ) შექმნილი არაერთგზის გამოქვეყნებული ლექსების გვერდით წარმოდგენილია მრავალი გამოუქვეყნებელი ლექსიც.

ბატონი ნოდარ ჯალაღონია თავისი შემოქმედებით ათეულობით წლების მანძილზე ემსახურებოდა საკუთარ ხალხსა და ქვეყანას, იყო მისი წუხილისა და ტკივილის თანაზიარი. იმედია, ეს ერთტომეული დიდ ინტერესს აღძრავს მკითხველ საზოგადოებაში.

K 243905

სპეც-2000
შემოწმებულია

ISBN 99928-57-57-9

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყება,

წყება...

გამომცემლობა „ზანი“
თბილისი, 2003

1999

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ხმალივით იყოს შიშველი

რა დროს ქებაა ია-ვარდების,
ანდა ოცნებით ზეცის აკლება,
როცა სიმართლეს ბორკილს ადებენ,
როცა სამშობლოს ჯვარზე აკრავენ.
როცა უმწეო პატიოსნებას
გადაუარეს ყაჩაღ-ქურდებმა,
რაღას მოგვიტანს მარტო ოცნება,
ლექსის ლამაზად მოჩუქურთმება,
როცა ალგეთს და დიდგორს ვიგონებთ,
მარტო ოცნება ვეღარ გვიშველის,
პოეტის გული,
სიტყვაც,
სტრიქონიც,
უნდა ხმალივით იყოს შიშველი!

ოქტომბერი, 1999 წელი

თუ ქართველობა წაგვართვეს

1.
ცხრა ძმის, ცხრა გმირის გამზრდელ ქალს ვინ დაულოცავს
დედობას,
ვინ მოუშუშებს იარებს შანთით ნაწამებ დედოფალს.

ვის დაიგულებს იმედად ტაო, ოშკი და ხახული,
სანამდე გაძლებს ტკივილი, წარსულში გადანახული.

ვინ, ვინ იქნება ხვალ და ზეგ პაატას აკვნის გამთლელი,

თუ არ იქნება ხსენება საქართველოს და ქართველის.
ხვალ ვინ წაისვამს ტანზე თაფლს, ქვეყნის უღელს
ვინ დაიდებს,
ვინ იქმს თევდორებერობას, დიდგორზე ვინ იდავითებს.

ხვალ ვინ იქნება იმ მოყმის, ანდა იმ ვეფხვის გამზრდელი,
თუ არ იქნება ხსენება საქართველოს და ქართველის.

ცხრა ძმას და სამას არაგველს ხვალ ვინ მიაგებს ცხონებას,
თუ ქართველობა წაგვართვეს, მოკვდება „ქართლის
ცხოვრებაც“.

ერის და ქვეყნის სიცოცხლე ენის სიკვდილით თავდება,
ქართულ ენას და ქართულ ლექსს ვინ დაუდგება თავდებად.

ვინ ეყოლება პატრონი მიწას გაყიდულს, გათელილს,
თუ არ იქნება ხსენება საქართველოს და ქართველის.

2.
თუ ჩემი ტკივილ-წუხილი კედელს შეყრილი ცერცვია,
თუ ის ევრო და დოლარი ისევ იუდას ვერცხლია,

თუ არ მექნება ქართველ კაცს გვარი, ჯილაგი, ერობა,
რაში მჭირდება აზია, ამერიკა ან ევროპა.

ამაო არის ყოველი: ოქრო, ვერცხლი და ქონება,
თუ ჩვენში „ვეფხისტყაოსანს“ მკითხველი არ ეყოლება.

თუ წაგვართმევენ სამშობლოს ცრემლით და სისხლით
განბანილს,
თუ არ იქნება ქართული ენა, სიტყვა და ანბანი,

თუ არ იქნება გელათი, სვეტიცხოველი, ვარძია,
თავში უხლიათ ევროპა, ამერიკა და აზიაც!

10 თებერვალი, 1999 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელი ქართვლის დედები

ლექსი ეძღვნება საქართველოს თავისუფლებისა და სიმართლისათვის დაპატიმრებული და დაღუპული ქართველი ვაჟკაცების დედებს

„ქართვლის დედაო! ძუძუ ქართვლისა,
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა.“

ილია

დედა, ის ქართვლის დედა ისევ ჩვენს შორის დადის,
ისევ მამულზე ფიქრით, ისევ შვილებზე დარდით.

დედა, ის ქართვლის დედა განა ლეგენდად, ზღაპრად,
დღევანდელ ქართვლის დედებს წინ მიუძღვება ლამპრად.

და საქართველო ისევ, მომავლის მოიმედე,
რწმენით, იმედით უმზერს დღევანდელ ქართვლის დედებს.

დედას აკვანთან მლოცველს თუ დედას მოშიმშილეს,
ვინც არა მარტო შვილებს, ზრდიან მამულიშვილებს.

ფიქრით, იმედით, რწმენით ისევ იმ ლეკვებს ზრდიან,
ზრდიან დღევანდელ ცოტნეს, მერაბს, პაატას, ზვიადს.

ზრდიან ხვალინდელ თამარს, ქეთევანსა და დავითს,
ვინც არ დათმობენ მამულს მართლაც ცოცხალი თავით.

ზრდიან არაგველს – სამასს, ხერხეულიძეს – ცხრა ძმას,
ვინც არ შეჭამენ მტრის ჯავრს, თუნდაც რომ ჯვარზე აცვან.

სამშობლოს ძუძუთ ზრდიან დედის ძუძუსთან ერთად,
რომ პირნათელი დარჩნენ ღმერთთან, მამულთან, ერთან.

და დღეს შვილები მათი, ვისაც სამშობლო ანდეს,
ზოგი საფლავში წევს და ზოგიც ბორკილებს ამტვრევს.

ვლოცავ იმ დედის მანდილს, ცრემლით დანამულ კალთას,
ვინც ტირის შვილის საფლავს ან დგას დღეს ციხის კართან.

ვინც შვილს გადასცემს დროშას, თვითონ ჩაიცვამს ძაძებს,
შვილის სიცოცხლის მიზანს სამშობლოს ხსნაში ეძებს.

იცის სიცოცხლის ფასი, სამშობლოს ფასიც იცის,
შემდეგ საფლავზე შვილის, როგორც სანთელი, იწვის.

და თუ ნამდვილად გვინდა ოცნება იქცეს ცხადად,
ქართვლის დედების ცრემლი უნდა ვაქციოთ ხატად.

თუ სხვა მიზანი არ გვაქვს მამულზე ფიქრის გარდა,
ჩოქვით ვკოცნიდეთ უნდა ქართვლის დედების კალთას.

რომ არ მოაკლდეს მამულს მათი გულების მადლი,
ვემთხვიოთ, ვითარც დროშას,
ქართვლის დედების მანდილს.

რომ არ დაადგან მამულს ისევ უღელი ქედზე,
ფეხზე დავუდგეთ დედებს, –
დღევანდელ ქართვლის დედებს!

ნოემბერი, 1999 წელი

არ ტყდება ციხე იმედის

აღარ დაადგა საშველი ქვეყნის დარდსა და ჰარებს,
სამშობლოს ცაზე ღრუბლებმა ტირილით გადაიარეს.

ვაგლახ, დღეს ხარობს სიმუხთლე, სიბილწე და უზნეობა,
არის სიცრუის ზეიმი, არის ღალატის ზეობა.

სისხლცრემლიანი დღეები მამულს ძაძებად აცვია,
დღეს საქართველო იუდამ სიკვდილის კალოდ აქცია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ რა გახარებს, ღვთის გლახავ, სკამის ჭიავ და მედროვევ,
თუ იყო ყორღანაშვილი, ხომ გვყავდა ბერი თევდორეც.

თუ რისხვა არ დაგვკლებია მურვან ყრუსი და აბასის,
ხომ გვყავდა ის ქეთევანი, ის არაგველი სამასი.

თუ დავრჩენილვართ ხანდახან მეფე-იუდას ამარა,
ხომ გვყავდა დიდი დავითი, ხომ გვყავდა მეფე თამარი.

თუ ის დღე, ის წიწამური ტკივილი და სირცხვილია,
თუ იყო ბერბიჭაშვილი, გვყავდა მართალი ილიაც.

კი, ქვეყნის დამაქცევარი ზოგჯერ თვითონვე მოგვყავდა,
მაგრამ ხომ გვყავდა ის ცოტნეც, თავდადებულიც ხომ
გვყავდა.

კი, კი ჰყოლია სამშობლოს ორგულიცა და ვერაგიც,
თუ იყო სერგო, ფილიპე, გვყავდა ზვიადიც, მერაბიც.

თუმც ორპირობით, ღალატით ისევ უფსკრულთან მიგვედით,
ვაჟკაცთა სისხლით ნაგები არ ტყდება ციხე იმედის.

არ ტყდება ციხე იმედის, დედების ცრემლით ნაშენი,
ბრმა გოგონების ხმა ისმის, ტანზე ბეწვების ამშლელი.

არ ტყდება სული დიდგორის, ცხრა აპრილის თუ მარაბდის,
ეს სული, სული უკვდავი, დაუცხრომელი, მარადი.

უნდა დავითის, ილიას, ზვიადის რწმენით შეჯურვო,
სამშობლოვ,
მტრისგან კი არა, უძლებ შვილთაგან შეჭმულო!

აპრილი, 1999 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2000

სცენა

არ თავდება ფარსი
ამ უბედურ დროში,
ერთგულების ფასი –
გახვრეტილი გროში.

როგორც იყო ადრე,
ისევ ისე მიდის,
ჩალის ფასი ადევს
ნამუსსა და სინდისს.

როგორც უწინ, დღესაც –
შური, ბოლმა, ლიქნი...
სიყვარული თესავს,
ბოროტება იმკის.

რაც იყო და მოხდა,
ჰგავს ნიღბების ცვენას.
ბედაური მოკვდა,
ვირებს დარჩათ სცენა.

თელისი, 2000 წელი

არჩევანი

რად აირჩიე ეს გზა მწარე
და ეკლიანი?
ახლა წუხილი, საყვედური,
არის გვიანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზა არჩეული, თავგანწირვის,
იცი, ღირსია.
უკანდახევა? გაფიქრებაც
საძრახისია.

ისევ მიელტვი ქარიშხლიანს
დღეებს, შფოთიანს,
წინ სიხარული, ტკივილი და
ეშაფოტია.

ბოლოს ტკივილიც, სიხარულიც
ერთად განძდება.
ახლა მთავარი, მთავარია
ახლა გაძლება!

თელავი, 2000 წელი

ასე მგონია

როცა სამშობლოს ტანჯვას ვუყურებ,
თითქოს მე სევდა არც კი მქონია,
ასე მგონია,
ქვეყნის ტკივილთან
ჩემი ტკივილი მონაგონია.

თელავი, 2000 წელი

ისევ ლექსებმა თუ არ მიშველა

ისევ ლექსებმა თუ არ მიშველა,
ვატყობ, ახლოა ბოლო წერტილი.
ისევ ეკლიან ბილიკს მივყვები
ამღვრეული და გულდაწყვეტილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ათასგვარ მიზეზს ვიგონებ,
რომ არ მოელოს ბოლო ოცნებას,
და უღელივით მადევს კისერზე
ეს უპატრონო პატიოსნება.

თელავი, 2000 წელი

* * *

„სადღაც ხარობენ ალბათ
ჩემი პატარა მტრები".
ტ. გრანელი

მათი მახვილი ბოღმა-შხამია,
ქამელეონის ზნე და ფერია.
ვაგლახ, ისეთი დრო და ჟამია,
ვაჟკაცი მტერი სანატრელია.

თელავი, 2000 წელი

მაგრამ რა ვუყო...

მტერი, ხომ ვიცი, ისეც მტერია,
მტერთან ბრძოლაში ძალა მეყოფა,
მაგრამ რა ვუყო მტერზე უარესს
ვითომ მოყვარეს, ვითომ მეგობარს.

არ გავექცევი ტყვიას გასროლილს,
თუ ბედისწერამ ასე ინება,
მაგრამ რა ვუყო ბაგით „მოყვარის"
ზურგსუკან ნათქვამ ჭორს და გინებას.

დღეებს მწუხარეს და ტკივილიანს,
ვიცი, რომ ისევ ჟამი გადაშლის,
მაგრამ რა ვუყო შხამს და საწამლავს,
„მოძმის" ხელითვე ჩასხმულს ბადაგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ბრძოლაა, მტერთან ბრძოლაში
მუდამ ჩაყოლა მიჯობს ჩათრევას,
მაგრამ რა ვუყო ზურგში უჩუმრად
„მეგობრის“ ხელით ჩარტყმულ სატევარს!

თელავი, 2000 წელი

* * *

როცა ვხედავ,
დარდი – დარდს,
ემატება წყლული წყლულს,
ფიქრი ჩემი ეძებს ფიქრს,
გული ჩემი ეძებს გულს.

როცა ვხედავ,
ღვარძლი – ღვარძლს,
ემატება შური შურს,
ცრემლი ჩემი ეძებს ცრემლს,
სული ჩემი ეძებს სულს.

ემატება ჭორი ჭორს,
ემატება შხამი შხამს,
და ჩემს წუხილს, დარდს და ცრემლს
ვიღაც ღვინოსავით სვამს.

აპრილი, 2000 წელი

მომეც ძალა

სურვილი და ოცნებები
როცა დარჩა შორს,
ვატყობ, ახლა უფრო ვუძლებ
ღალატს, ლანძღვას, ჭორს.

ეს უაზრო შური, მტრობა,
ღმერთო, როგორ მღლის,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მომეც ძალა, პატიება
შევძლო ჩემი მტრის,

ვინც მე მლანძღავს, მე მაგინებს
და ტალახში მსვრის
(ოღონდ არა ჩემი ხალხის
და სამშობლოს მტრის).

დარდითა და წლებით მდიდარს,
მეგობრებით მწირს,
ვატყობ, ახლა ჩემი მტრების
სიკვდილიც რომ მწყინს.

ახლა უფრო ვიცი ფასი
ცოცხლისა და მკვდრის.
მომეც ძალა, სიყვარული
შევძლო ჩემი მტრის.

(ოღონდ არა, საქართველოს
ვინც ანგრევს და თხრის.
ოღონდ არა ჩემი ხალხის
და სამშობლოს მტრის).

აპრილი, 2000 წელი

სანამ სამშობლო ჭირშია

„რა მექნეიფება, როცა სამშობლო მიკვდება“
ზურაბ ქაფიანიძე

1.
როცა მშიერი ბავშვები
ელიან ქუჩის წყალობას,
როგორ ვუსმინო ბულბულის
სიმღერასა და გალობას.

როგორ ვუმღერო ვარსკვლავებს,
ია და ვარდებს, ასევე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავებივით გოგონებს
თუ მეძავებად აქცევენ.

აბა, რა ვუთხრა ვაზის ცრემლს,
ვაზის ტოტებზე ნაპკურებს,
როდესაც დედა მშიერ შვილს
მარტო ცრემლებით აპურებს.

ანდა რა გულით ვუყურო
ტყემლების გადათეთრებას,
როდესაც შავი ძაძები
ვერ მოიცილეს დედებმა.

სამშობლოს ფასი ვინც იცის,
იგი უთქმელად მიხვდება,
ჩემს თავზე როგორ ვიფიქრო,
„როცა სამშობლო მიკვდება“?!

2.
განა ვერ გამჩნევ, ცის ნამო,
ცის პატარძალო – მთიებო,
თქვენ, ჩემო ყოჩივარდებო,
ჩემო ლამაზო იებო.

განა ვერ გხედავ, „ცრემლის ტბავ“
ან შენ, ჩანჩქერო მქუხარევ,
მაგრამ სამშობლო სანამ მყავს
დარდიანი და მწუხარე,

სანამ სამშობლო ავად მყავს
და ჩემი ხალხი ჭირშია,
სანამდე ვხედავ მამულის
დღეებს ავსა და შიშიანს,

მინდა, კვლავ ლამე უძილო,
მამულზე ფიქრით ვათიო,
თქვენ კი,
დღეს
თქვენზე დუმილი,
შემინდოთ და მაპატიოთ.

აპრილი, 2000 წელი

K24390S
3

საქართველოს პარლამენტის ეროვნული

კვლავ იწერება სისხლ-ცრემლით

ეძღვნება პოლიტპატიმრებს

ზომ ბევრჯერ ნახე, სამშობლოვ,
სიკვდილის პირზე მისულმა,
რამდენმა შვილმა ულირსმა
შენი წახდენა ისურვა.
რამდენმა შვილმა უგნურმა,
გიღალატა და გაგწირა,
ზოგი გყიდიდა ბითუმად,
და ზოგი – ნაწილ-ნაწილად.
კვლავ გახდი საასპარეზო
ანგელოზის და სატანის,
არც დღეს გაკლია ორგული,
არც მძიმე ჯვარის ამტანი.
ზოგი კვლავ გიმზერს იმედით,
ზოგი – ბოღმით და ქირქილით,
ზოგისთვის გზა ხარ გოლგოთის,
ზოგისთვის – მარტო გვირგვინი.
ზოგისთვის სევდა, დარდი ხარ,
ცრემლით და სისხლით ნაჯერი,
ზოგისთვის – სრა და სასახლე,
პური და დუმის ნაჭერი.
ზოგისთვის – თავზე ძვირფასი,
ზოგისთვის – თავშესაფარი,
ზოგისთვის – მართლაც სიცოცხლე,
ზოგისთვის – მარტო საფლავი.
გჭამენ უძღები შვილები,
ნაღდი შვილები კვდებიან,
დღესაც ციხიდან რომ ისმის,
იმ ვაჟკაცების ხმებია;
იმ ვაჟკაცების ნებაა,
შენს დუშმანს რომ ეჭიდება,
მაგრამ, სამშობლოვ, ისინი
ცოცხლები უფრო გვჭირდება.
ცოცხლები უფრო გვჭირდება
სიცოცხლის გადასარჩენად,
თორემ მტერს რაღას დააკლებს
საფლავს ჩაფლული მარჯვენა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცოცხლები უფრო გვჭირდება,
გული – მომგები ომისა,
თორემ საფლავში რასა იქმს
გული, თუნდ იყოს ლომისა.
თუმც წლები მიდი-მოდიან,
სამშობლოვ, შენ ხარ უცვლელი,
კვლავ იწერება სისხლ-ცრემლით
„ქართლის ცხოვრების“ ფურცელი!

აპრილი, 2000 წელი

სასჯელი

მონღოლები ქართველებს ეუბნებოდნენ:
თქვენთვის ღვთისგან მოვლენილი სასჯელი ვართო.

იყო თურქობა, არაბ-სპარსობა,
ლეკობ-რუსობა, ურდო მონღოლთა,
მურვან-ყრუობა, თემურ ლენგობა,
ის შაჰ-აბასიც – ქართვლის გოლგოთა.

იყო იუდა, გვყავდა კაენიც
და ბეწვის ხიდიც ბევრჯერ გვქონია,
მაგრამ დღევანდელ საქართველოსთან
ეს ყველაფერი მონაგონია.

იყო სისხლის და ცრემლის წვიმები
და სიკვდილისთვის თვალში ყურება,
მაგრამ არასდროს არ დაგვდგომია
ამაზე დიდი უბედურება.

ჯვარზე გაკრული ჩვენი სამშობლოს
ტანჯვა-წამება აღარ თავდება,
იყო ღვთის რისხვა საქართველოში
მისი გაჩენა და დაბადება.

ალბათ ეს არის დღის დღევანდელის
საყვედურიც და სათქმელ-სარჩელიც, –

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მოვლენია მიწას ქართვლისას
შევარდნაძეზე დიდი სასჯელი.

ოქტომბერი, 2000 წელი

ბორგავს პაატას მოჭრილი თავი

მამულზე ფიქრი, დარდი, წუხილი
აღარ ასვენებს საფლავში დავითს.
ქვეყნის უთავო მეფის შემყურე,
ბორგავს პაატას მოჭრილი თავიც.

გაუადვილდა ქართველ კაცს როცა
თავის ქვეყნის და ხალხის ღალატი,
ცრემლივით წვეთავს თევდორეს ლოცვა
და ცამდე ადის „ქვათა ღაღადი".

აგვისტო, 2000 წელი

ხვალინდელი დღე უკეთ გაარჩევს

ისევ უფალი გვიწერს განაჩენს,
ცოდვა ვის ადევს, მადლი ვისია,
ხვალინდელი დღე უკეთ გაარჩევს,
დღევანდელი დღე რისი ღირსია.

დღემ ხვალინდელმა თუ არ ინება,
თუ ხვალ სამშობლო არ მოგიგონებს,
ჰგავს დღევანდელი ქებაც, გინებაც
ზღვის პირს ქვიშაზე ნაწერ სტირქონებს.

წუთისოფელი ძაღლის ძვალია,
დღეის ცოდვა-მადლს ხვალ აწონიან.
ბევრის სახელი იქნებ წყალია,
დღეს რომ ვიღაცას ქვიშა ჰგონია.

აგვისტო, 2000 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოში გახშირდა თვითმკვლელობა

ყველა ქართველმა გაიგოს კარგად,
ჩვენი სიცოცხლე სხვებისას არ ჰგავს,
ჩვენ სხვა სიკვდილის უფლება არ გვაქვს,
სამშობლოსათვის სიკვდილის გარდა!

ოქტომბერი, 2000 წელი

თუ მიაჩვიეს ქართველი კაცი

კრწანისს წაგებულ ომზე ნაკლები
სულაც არ არის მათხოვრად დგომა,
ქართველი კაცის სულის აკლება
და სიამაყის ნელ-ნელა კვდომა.
ხელბორკილებზე მძიმეა ასწილ,
და უარესი ჟამი დადგება,
თუ მიაჩვიეს ქართველი კაცი,
მტვრიან ქუჩებში ქუდის დადებას.

აგვისტო, 2000 წელი

კანდელის ზეთს ჰგავს პოეტის სისხლი

ლექსი ეძღვნება ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღეს, 30 აგვისტოს

როცა სამშობლო სასომიხდილი
იმედად არის მარტოდენ ღმერთის,
ო, როგორ ჰგვანან მაშინ ერთმანეთს
პოეტის ცრემლი და სანთლის წვეთი.
როცა თელავენ ღირსებას ერის
და უღელივით ადებენ სირცხვილს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ქვეყანა სიბნელეს რჩება,
კანდელის ზეთს ჰგავს პოეტის სისხლი.

როცა ხალხს გულში უკლავენ რწმენას,
და უნდა ქვეყნის სათქმელი ითქვას,
ქვეყნის და ხალხის იმედად რჩება
პოეტის ხმა და პოეტის სიტყვა.

აგვისტო, 2000 წელი

2001

პოეტი

ნაღდ პოეტს თურმე უფალი
სიტყვას არ გამოულევსო,
მას არც სიყვარულს მოაკლებს,
გული რომ ამოულესოს.
რაა პოეტის სიცოცხლე
უსიყვარულოდ, ულექსოდ.

იცავს და წყალობს უფალი,
ვინც წევს მამულის ულელსო,
სამშობლოსათვის წამებულს
სამოთხის კარებს ულებსო.
ვინ თქვა პოეტის სიცოცხლე
უსამშობლოდ და ულექსოდ.

უფლის ქებაა, თუ პოეტს
მამული კალამს უქებსო.
დიდი პოეტი ქვეყნისთვის

წყალობასა ჰგავს ულევსო.
სასაფლაოს ჰგავს ქვეყანა
უპოეტო და ულექსო.

იანვარი, 2001 წელი

ჩვენთვის სასჯელი გახდა ცხოვრება

ჩვენ ვიტანჯებით, კი არ ვბერდებით,
ჩვენთვის სასჯელი გახდა ცხოვრება,
კრწანისს დაცემულ გმირთა დედები
ქუჩებში სხედან დღეს მათხოვრებად.

„მეტეხ-პალასი“ ხოტბა-ტაშებით,
როცა ქურდსა და ყაჩაღს აცილებს,
იმ ბაზალეთის აკვნის ბავშვები
დგანან ქუჩებში ხელებგაწვდილნი.

როცა პარიზში „ქოხის“ პატრონი
ცდილობს სამშობლოს ტკივილს გაექცეს,
აქ უსახლკარო და უპატრონო
ლტოლვილი ჭერს და ლუკმას დაეძებს.

ის სამარაბდო ჩვენი ბიჭები,
ბატონ-პატრონი შოთას ლექსების,
არა დავითის ხმლით და მახვილით,
ვაგლახ, დადიან ხელში ნემსებით.

საოცარია მართლაც, ღმერთმანი,
დღესაც ვერ ვარჩევთ მტერს და მოკეთეს.
იმ მახვილით ვსჭრით მკლავებს ერთმანეთს,
არსაკიძეს რომ მკლავი მოკვეთეს.

თავის ხალხის და ქვეყნის ერთგულებს,
მათ, ვინც მონობას ბრძოლა არჩია,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამშობლოსათვის თავდადებულებს
(განა ურდოში) თავებს აქ ჭრიან.

ქართველ ვაჟკაცებს, მართლაც რაინდებს,
სამშობლოს მტრებთან მებრძოლ-მორკინლებს,
არც ისტამბულში, არც ისპაჰანში,
დღეს აქ ადებენ ხელზე ბორკილებს.

რაც ადარდებდა მამულს ესოდენ,
დღესაც ის დარდი, ის ტკივილია,
ჯიხაშკარში რომ ზვიადს ესროლეს,
სწორედ იმ ტყვიით მოკლეს ილია.

ისევ გაგვწირეს და გაგვიმეტეს,
მაგრამ სიავით ვინ გაგვაკვირვებს,
კვლავ ფეხზე ვდგავართ ღმერთის იმედით
და დაჩოქებას აღარ ვაპირებთ.

ქედს არ მოვუხრით არც მოძალადეს,
არც სიდუხჭირეს, არც სიღარიბეს.
მწამს, დიდგორის და შოთას პატრონი,
ისევ კალამს და მახვილს აიღებს.

ისევ გაზრდიან ქართვლის დედები
ვეფხვებს და ვეფხვთან მებრძოლ შვილებსაც,
იღრინებიან უკვე ლეკვები
და ბასიანიც ბრჭყალებს ილესავს.

ქართულ სულსა და ქართულ გენიას
საფანა ფეხქვეშ ვეღარ დაიგებს,
დღეს ეს ცხოვრება კართაგენია
და კართაგენი უნდა დაინგრეს.

იანვარი, 2001 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე საქართველო მტკივა

„ზოგს ტკივა გული, ზოგს – თავი,
მე ესპანეთი მტკივა“.
მიგელ დე უნამო
(ესპანელი პოეტი)

მიაქვს ეს წლები, დღეები ავი,
ცრემლის მდინარეს და სისხლის წვიმას,
რა სათქმელია გული და თავი,
მე საქართველო,
სამშობლო მტკივა!

სამშობლოს ტკივილს, ვიცი, რაც ჰქვია,
ვიცი, რა წამალს ეძებს და ელის,
თავისუფლებას ადრე თუ გვიან
იპოვის ჩემი ტანჯული ერი.

სულაც არ ვჩივი საკუთარ ბედზე,
მე ვიცი, მალე საითაც წავალ,
და მაინც, ასე ჯიუტად ვეძებ
ამ უსაშველო ტკივილის წამალს.

სანამ სიცოცხლე მიჭირავს კბილით,
ერთს გევედრები, უფალო, ერთს გთხოვ,
ამ ტანჯვას, წუხილს, დარდსა და ტკივილს
საფლავში ნუღარ ჩამატან, ღმერთო!

იანვარი, 2001 წელი

ეს რა გვჭირს, რა გვემართება

ეს რა გვჭირს, რა გვემართება, ასე ვით დაგვაჩიავეს,
რომ ვიტანთ ასე დუმილით, ყველა სირცხვილს და სიავეს.

სად გაქრა სიბრძნე რუსთველის, დიდგორის ის სიმამაცე,
რომ დღეს ერთმანეთს ღალატით, შურით და მტრობით
ვამარცხებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად გაქრა ის საქართველო, მედგარ-ამაყი-სვიანი,
ის ხალხი, ის ქართველობა, გორგასალ-დავითიანი.

სამშობლოსათვის ქართველი უმალ ხელს ხმალზე იკრავდა,
ქართველი მტერს აკვდებოდა, ქართველი თავს არ იკლავდა.

ამიტომ წუთისოფლიდან წასვლა და ფერისცვალება
ზოგისთვის იყო სიკვდილი, ზოგისთვის – გარდაცვალება.

რადგანაც ჩვენს დიდ წინაპრებს დღეს აღარ ვგავართ
სრულებით,
მათ ჰქვიათ გარდაცვლილები, ჩვენ, ცოცხლებს – მკვდარი
სულები.

და სანამ კიდევ აქა ვართ და წუთისოფელს მივათრევთ,
უნდა ჩვენც მსხვერპლად დავუდგეთ სამშობლოსა და
სიმართლეს.

სანამ ჯერ კიდევ აქა ვართ და სიცოცხლე გვაქვს მისჯილი,
ჩვენც შევძლოთ გარდაცვალება და არა მხოლოდ სიკვდილი!

თებერვალი, 2001 წელი

ყველა დიდებას გაუვა ყავლი

ხომ ბევრი ქვიშა წაიღო წყალმა,
ბევრის საფლავი ხომ ბალახს შერჩა,
ყველა დიდებას გაუვა ყავლი
და ყველა სახელს დრო-ჟამი შეჭამს.

იქნები მხოლოდ ტალახი, მტვერი
და არა შენი მამულის მიწა,
შენი სამშობლო და შენი ერი
თუ შენს სახელს და საფლავს არ იცავს.

20 იანვარი, 2001 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა სიცოცხლის იქით დავეძებ

როცა ამ ყოფას, ამ სინამდვილეს,
ამ სიბინძურეს მინდა გავექცე,
სულის სიმშვიდეს, გზის სიადვილეს
როცა სიცოცხლის იქით დავეძებ,

ვისმენ წინაპართ სულების ღაღადს
და განაჩენიც მესმის მათივე:
– იქ გაქცევას და სამშობლოს ღალატს
აქ როცა მოხვალ, არ გაპატიებთ.

და როცა ვფიქრობ ჩვენს ძვირფას მკვდრებზე,
მათთან შეხვედრის ფიქრი მაბრუებს,
ჩემი კი არა,
სამშობლოს მტრებზე
შურისძიება უკან მაბრუნებს.

მარტი, 2001 წელი

მიწაც, ჰაერიც

გატანჯულია მიწაც, ჰაერიც
ამდენი ცრემლით, სისხლით, დარბევით.
ღმერთო! რამდენი დადის კაენი,
ვაი, რა ცოტა დარჩა აბელი.

თებერვალი, 2001 წელი

გორგასლის ხმალი

ლეგენდის თანახმად, სვეტიცხოვლის ტაძარში დამარხულ ვახტანგ გორგასალს თავისი ხმალიც ჩააყოლეს.

მამულს ისეთი ჟამი დაუდგა,
საფლავში წოლა, მართლაც, ძნელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ხმალს საფლავში, აბა, რა უნდა,
როცა სამშობლო ბრძოლის ველია.

როცა დღეები მიაქვს ტანჯვით და
ლამის მტრების წინ მუხლზე დაეცეს,
გამოსულია ხმალი ტაძრიდან
და ისევ თავის პატრონს დაეძებს.

ისევ ფხიანი, ისევ სვიანი,
ყველას თავის წილს და ხვედრს მიაგებს.
ცერზე დგას ხმალი გორგასლიანი
და მჯერა, თავის პატრონს მიაგნებს.

მარტი, 2001 წელი

დღეს სიცოცხლეზე უფრო მეტია

საქართველოში ყოფნა ქართველად
დღეს სიცოცხლეზე უფრო მეტია,
ზოგიერთისთვის ბედისწერაა,
ზოგიერთისთვის, მართლაც, ბედია.
ზოგიერთისთვის არის წყალობა,
ზოგიერთისთვის – ტანჯვა მარადი,
ზოგიერთისთვის – გზაა გოლგოთის,
ზოგიერთისთვის – ბალ-მასკარადი.

თებერვალი, 2001 წელი

ქართვლის ჭირო

ქართვლის ჭირო, ძველისძველო,
განა მტერი მიკლავს გულს?!
ვით ვუმზირო საქართველოს,
ქართველთაგან დანგრეულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განა მტრებზე მწყდება გული,
გულში სულ სხვა ბოლმა დუღს,
ქართველთაგან გაყიდული
საქართველო მიკლავს გულს!

ნოემბერი, 2001 წელი

სულის და ხორცის ჭიდილი

თუ დაძინება ძნელია,
თვალის გახელაც ჭირს დილით.
სამყაროსავით ძველია
სულის და ხორცის ჭიდილი.

ბრძოლაა ათასწლეულის,
რომელი რომელს დალახვრავს.
გამარჯვებული სხეული
მიწაზე რჩება ტალახად.

ბრძოლაა დაუსრულებლივ
და უფლის ნებაც ცხადდება,
გამარჯვებული სულები
ქვეყანას რჩება ხატებად.

ნოემბერი, 2001 წელი

ისევ თუ ვუძლებ

ამ დროს, ამ ყოფას, ამ სისხლით უძღებს,
ამდენ ტკივილს და ამდენ წვალებას
თუ ისევ ფეხზე ვდგავარ და ვუძლებ,
ისევ და ისევ, ლექსის წყალობით.

იანვარი, 2001 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ საქმე მიდგა ქებაზე

თუ საქმე მიდგა ქებაზე
და სიტყვა ლექსებს ეხება,
ათას პრემია-ჯილდოს სჯობს
ფშავ-ხევსურეთგან შექება.

ოქტომბერი, 2001 წელი

მათხოვარი

**„რვა წელიწადია მთელს მსოფლიოში ვმათხოვრობ.
მართლა მათხოვარი ვარ“.**

ედ. შევარდნაძე

ქვეყნისა და ერის ტვირთი როცა ვეღარ ასწია,
მათხოვარმა „პრეზიდენტმა“ მათხოვრებად გვაქცია.

სანამ უნდა იყოს ასე: ეს დრო, ჟამი, ეს ხანა,
მათხოვარი „პრეზიდენტის“ მათხოვარი ქვეყანა.

ხალხის ტკივილს, წუხილს, ოხვრას,
ქვეყნის დარდს და იარას
დღეს სჭირდება პრეზიდენტი, მათხოვარი კი არა.

თებერვალი, 2001 წელი

2002

„შეიბ მახვილი“

დიდგორის მემორიალი არაკაცებმა დაამტვრიეს და გაქურდეს

სხვა რა იქნება ამაზე სიბილწე, სიმუხანათე,
ამაზე დიდი სირცხვილი, ერის და ქვეყნის ღალატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაგლახ! დღეს ფეხით თელავენ დიდი დიდგორის ღირსებას
და „ქართვლის დედის“ ფიალა დარდით და ცრემლით ივსება.

ზეობა არის ულირსთა, ურჯულოთა და მანქურთთა,
ვინც ეროვნება მოგვპარა – დიდგორიც იმან გაქურდა.

ვინც ქართველობა წაგვართვა, გვიკრძალავს მამის ხსენებას,
ვინც ელის საქართველოს მზის ჩაქრობას და ჩასვენებას.

ეს იმათ ხელყვეს დიდგორი, მათი წილი და წვლილია,
ვინც არ დაინდო ზვიადი, ტყვია ესროლა ილიას.

ისევ ეხსნება ჭრილობა შირაზს ნაწამებ ქეთევანს,
პაატას თავი მოჭრილი საფლავში ვეღარ ეტევა.

დიდგორს ნამივით ეცემა ცრემლები მეფე თამარის,
გორგასლის ხმალი ბოლმისგან ისევე ამტვრევს სამარეს.

დავითს კი გული, ის გული, ის ლომის გული ატკივდა,
საფლავს უცრემლოდ ჩასული, ალბათ საფლავში ატირდა.

ბორგავს, ბობოქრობს არაგვი არაგველების სისხლივით,
სირცხვილით სიკვდილს სჯობია ტყვიით ათასჯერ
სიკვდილი.

და სანამ კიდევ სისხლი სდის დიდ წინაპართა იარებს,
სანამ ჩვენ, ცოცხლებს (ცოცხლად მკვდრებს), ფეხებით
გადაგვიარეს,

სანამ ჯერ კიდევ არ ცხრება გული და მკლავი ქართველის,
სანამდე არის მამულში, ჯერ კიდევ, თაფლის წამსმელი,

სანამდე ენას ქართვლისას არ დალევია სათქმელი,
სანამდე სვეტიცხოველში კიდევ ანთია სანთელი,

სანამ ჯერ კიდევ ქართველობს შენი სული და შენი ხმა,
„შეიბ მახვილი, ქართველო, ქართველო, ხელი ხმალს იკარ!“

თბილისი, 2002 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფალიცა და სამშობლოც

„როგორც უფალი, სამშობლოც
ერთია ქვეყანაზედა“.
რაფიელ ერისთავი

როგორც ერთია უფალი, დედასამშობლოც ერთია,
სამშობლოსათვის ვინც კვდება, მისთვის სამშობლოც
ღმერთია.
სიცოცხლით გაუმაძღრებმა, სიკვდილის ფასიც ვიცოდით,
უფალს რომ სანთელს ვუნთებდით, სამშობლოსათვის
ვიწვოდით.
არ დავხვედრილვართ ჯაბანად მომხვდურებს და
მოძალადეს,
ვერც ღმერთი და ვერც სამშობლო მახვილით ვეღარ
წაგვართვეს.
მახვილით ვერ დაგვიმონეს, დღეს ვიღაც ფულით გვამონებს,
ბორკილებივით გვადებენ უცხო წესსა და კანონებს.

ვიღაცის ნება-სურვილით ვერა, ვერ გადავგვარდებით,
რწმენას, ენას და სამშობლოს ვერ წაგვართმევენ
გრანტებით.
ვერ წაბილწავენ სექტებით ქართველის გულს და გონებას,
იუდას ვერცხლს და დოლარებს არ დავუდგებით მონებად.

თუმცა ბევრი გვყავს პილატე, კაენიცა და იუდაც,
სიცოცხლეს ისევ ზვარაკად ღმერთს და სამშობლოს
მივუტანთ.
აღარ სჭირდება ქართველ კაცს სხვა ხატი, სხვა სალოცავი,
ღმერთს და ღმერთივით სამშობლოს არ დავთმობთ თავით
ცოცხალით.
როგორც ერთია უფალი, ქვეყნად სამშობლოც ერთია,
სამშობლოსათვის ვინც კვდება, მისთვის სამშობლოც
ღმერთია!

თელავი, 2002 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ჟამია, რა დროა

1.
ღმერთო, რას მოვესწარი, რა ჟამია, რა დროა,
ცოცხლებს ვეღარ ენდობი, მკვდრები უფრო სანდოა.

ირგვლივ შური, ღალატი, ორპირობა ბატონობს,
სანთლით საძებარია კაცი სიტყვის პატრონი.

ცოტა დარჩა ცოცხლებში, მკვდრებში უფრო მეგულვის
კაცი პატიოსანი, მართლაც ქვეყნის ერთგული.

ცოტა დარჩა მოსურნე საქართველოს ერთობის.
სანდო მხოლოდ მკვდრებია, ცოცხლებს ვეღარ ენდობი.

2.
ბევრის სიტყვა და ფიცი განა მართლა ფიცია,
რწმენასა და პარტიებს წარამარა იცვლიან.

წარამარა იცვლიან ბატონებს და პატრონებს,
და მეც ალბათ ამიტომ შევრჩი ჩემს სიმარტოვეს.

ფეხი ვეღარ ავუწყვე ამ დროს, მართლაც საოცარს,
ვერა, ვერ შეველიე ჩემს ხატსა და სალოცავს.

რადგან ჩალის ფასია ფასი პატიოსნების,
ვრჩები ისევ იმედად ლექსების და ოცნების!

თელავი–ახვისტო, 2002 წელი

დღეს ისეთი ჟამი გვიდგას

სიკეთეს და სათნოებას,
ვაგლახ, ქვეყნად ცოტა წყალობს,
დღეს ისეთი ჟამი გვიდგას,
ბულბული დუმს, ყვავი გალობს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღეს ისეთი ჟამი გვიდგას,
ვერ გაარჩევ მართალს, მტყუანს,
ქვეყნის ღალატს სიბრძნე ჰქვია,
ორპირობას კიდევ – ჭკუა.

ეწირება საქართველო
შურს და მტრობას, კუჭს და სკამებს,
ბრძენს აცმევენ გიჟის ხალათს,
გიჟებს კიდევ ტახტზე სვამენ.

მარტი, 2002 წელი

ჩამოეხსნა ნიღაბი

გადაბრუნდა ქვეყანა, როგორც ქვიშის საათი,
არის სხვა საუბარი, სხვა განსჯა და კამათი.

ჩამოეხსნა ნიღაბი ბევრ „ძმობილს“ და „მეგობარს“,
არაკაცი გამოდგა, მე რომ კაცი მეგონა.

ბევრის სახელ-დიდება მტვერმა დაიძმობილა,
ჩვენ რომ ქვიშა გვეგონა,თურმე წყალი ყოფილა.

იმ ძველ დაფნის გვირგვინებს ფოთლები დასცვენიათ
და ცარიელ კვარცხლბეკებს მათ მაგივრად რცხვენიათ.

მაგრამ ამა ქვეყნისა მაინც ვერ გამიგია,
იმ ცარიელ კვარცხლბეკთან ისევ დიდი რიგია.

ისევ მტრობა, ქიშპობა, ისევ შური, ღალატი,
ისევ ტახტი, გვირგვინი, ციხე, გიჟის ხალათი.

ჩანს, არავინ კითხულობს ისტორიას გადაშლილს,
და იწყება თავიდან ის უაზრო თამაში.

მარტი, 2002 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა დროს რა იყო...

სხვა დროს რა იყო, არ ვიცი, დღეს ჩვენს ცხოვრებას აჩნია,
ბევრმა სახელის მოხვეჭას ფულის მოხვეჭა არჩია.
თუ ვინმემ მაინც ისურვა, სახელის შოვნა ინება,
მშიერ მგლებივით მივუსევთ ჭორებს, ლანძღვას და გინებას.
ვინც ვაჟკაცობას არ იშლის, ჯიუტდება და ურჩდება,
იმათ სახელის მოხვეჭა სიცოცხლის ფასად უჯდებათ.
ადრე რა იყო, კი ვიცით, ახლა რაც არის, ცხადია,
დღეს ვაჟკაცების სახელით ყაჩაღ-ქურდები დადიან.
ვაგლახ! დღეს ფულით ზომავენ კაცის სახელს და ღირსებას,
ვეფხვის და მოყმის ქვეყანა ნაძირალებით ივსება.
ჩვენში კაი ყმის სახელი შურით და მტრობით ბინდდება.
სიკვდილის შემდეგ?
– იცოცხლე, არ ვაკლებთ ქება-დიდებას!

2002 წელი

დღეს კაზინო და რესტორანია

დრომ და სატანამ ისე არია
ერი გორგასალ-დავითიანი,
დღეს კაზინო და რესტორანია
ბევრის დიდგორი და ბასიანი.

დეკემბერი, 2002 წელი

გათითოკაცდა ქართველი ერი

გათითოკაცდა ქართველი ერი,
ურთიერთმტრობა და შუღლი მხოლოდ.
ეტყობა, აღარ გვჭირდება მტერი,
ჩვენს თავს თვითონვე მოვუღებთ ბოლოს.

ნოემბერი, 2002 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გთხოვთ მაპატიოთ

9 აპრილის და მარტის დღეებო,
უაზრო წლები სანამ ვათრიო.
ცაში წასულო გოგო-ბიჭებო,
ცოცხალი რომ ვარ, გთხოვთ მაპატიოთ.

ნოემბერი, 2002 წელი

* * *

ბევრმა მამულს „სიყვარული –
გზად და ხიდად“ აღარ მისცა.
რადგან ბევრის სიტყვა-ფიცი,
ბოლოს დარჩა მხოლოდ ფიცად,
ჩვენი ცა და ჩვენი მიწა
ლამის უკვე სხვისად იქცა.
ვაგლახ! სხვების ფეხი ადგას
ჩვენი მკვდრების კუბოს ფიცარს.

ნოემბერი, 2002 წელი

* * *

მიწის და ჟანგის კერძია
სიტყვა და ხმალი უხმარი.
მტერს და მოყვარეს, ვერ იქნა,
სათქმელი ვეღარ ვუთხარით,
ლამის ქვეყანა წაგვართვან
ხან ლიქნით, ხანაც მუქარით,
ვერ გავახარეთ სამშობლო,
დარდიანი და მწუხარი.

ნოემბერი, 2002 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისური სურათი

მურვან-ყრუსა და აღა-მაჰმად-ხანის ორდენის პრეტენდენტებს

ინგრევა სახლი, ქუჩა, უბანი,
იშლება ძველი თბილისის ფრესკა.
ის თემურ-ლენგი და მაჰმად-ხანი
თბილისს წვავენ და ანგრევენ დღესაც.

ჩვენ რომ გვეგონა დიდი ხნის მკვდარი,
დღესაც ბობოქრობს იმათი სული,
ოღონდ – ქართული სახელით, გვარით
და ხალხის სისხლად ნაშოვნი ფულით.

ფულით და ჭურვით, ჭურვით და ფულით,
ისევ წვავენ და ანგრევენ თბილისს.
სვეტიცხოველში გორგასლის გული
ვერ უძლებს ძველი თბილისის ტკივილს.

ჩვენ რომ გვეგონა დიდი ხნის მკვდარი,
თურმე ქართული სისხლით და გვარით
დღესაც თბილისში ესკორტით დადის
ის მურვან-ყრუ თუ ის ჩინგის-ხანი.

ნოემბერი, 2002 წელი

* * *

ნაძირალებმა ქვეყანა
მოილხენ-მოითარეშეს,
ადვილი გახდა ცხოვრება
სინდის-ნამუსის გარეშე.

ოქტომბერი, 2002 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგლები

გაერთიანდეს დღეს უნდა ერი,
რადგანაც მტერი კვლავ მახვილს ლესავს.
რადგანაც თურმე ერთი ჰყავს მტერი
დღეს ქართველ ხალხსაც და ქართველ მგლებსაც.

საუბარია არა იმ მგლებზე,
დავითს რომ ახლდნენ დიდგორის ველზე,
გადაგებულნი სამშობლოს ბედზე,
ქვეყნის უღელს რომ იდგამდნენ ქედზე.

იმ ალგეთის მგლებს დღეს სანთლით ვეძებთ
და დიდგორიც ჰგავს ჭრილობას ღიას.
საუბარია დღევანდელ მგლებზე,
საკუთარ ხალხს რომ კბილებით ღრღნიან.

საუბარია იმ ქართველ მგლებზე,
საქართველო რომ ჰკიდიათ ფეხზე,
ვინც შინ და გარეთ სალაფავს ეძებს
და თავის ხალხის უსისხლოდ ვერ ძლებს.

ვიცით, რაც არის შინ მგლების ყოლა
და ერთი ფიქრი გვაწვალებს დღესაც,
ვთქვათ, და მოუხდათ სხვა მგლებთან ბრძოლა
ქართველ ხალხსაც და ამ ქართველ მგლებსაც.

დღეს რაც არიან, ხომ კარგად ვხედავთ,
ადრე რაც იყვნენ, მოწმეა წლები.
იმ უცხო მგლებთან რას იქმენ, ნეტავ,
საკუთარ ხალხთან მებრძოლი მგლები?

ხომ ვიცით, მგელი მგლის ტყავს არ დახევს,
ხომ ვიცით, აღარ მოიშლის მგლობას.
ხომ ვიცით კარგად, ხომ ბევრჯერ ვნახეთ,
რა მოუტანა ხალხს მგლების ნდობამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგანაც მგლობა მგლებს ბევრჯერ შერჩათ,
ამ მგლებისაგან უარესს ველით.
რა ბედნაა, რომელი შეგვჭამს,
შინაური თუ გარეშე მგელი.

ხომ შეიძლება კვლავ ისე მოხდეს
(არ გვავიწყდება დღეები ავი),
შევარდნაძის და ბაღტინის მგლებმა
გაინაწილონ კვლავ ხალხის ტყავი.

ხომ შეიძლება ასედაც მოხდეს,
სანამ ჩვენ მგლის ფერს და სახეს ვარჩევთ,
შეჭამონ კიდეც ქართველი ერი
და საქართველო მართლაც მგლებს დარჩეთ?

მგლები ერთმანეთს საოცრად ჰგვანან,
საოცრად ჰგვანან ეს მგლები იმ მგლებს;
არ დაგვადგება საშველი მანამ,
საკუთარ მგლებს არ დავაძრობთ კბილებს!

სექტემბერი, 2002 წელი

* * *

ბევრის სახელს და ბევრის გვარს
დრო-ჟამი არ შეიცოდებს.
ზოგის სიცოცხლე სიკვდილს ჰგავს,
ზოგის სიკვდილი – სიცოცხლეს.

დეკემბერი, 2002 წელი

გია აბესაძის გახსენება

ვინ იქნებოდა, სამშობლოს გარდა,
ბჭე და მსაჯული იმ ერთ წამისა,
ის გადასხმული ბენზინი ჰგავდა
იმ თაფლს,
ცოტნემ რომ ტანზე წაისვა!

იანვარი, 2002 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქცნენ ხატებად

დარბაზ-სასახლით, ფულით, საავარძლით
ვინც ყელყელაობს, –
ცდება ძალიან.
რადგან ასეთი ყოფა-ცხოვრება,
ქვიშა კი არა, თურმე წყალია.

მხოლოდ ღმერთი და დროა მსაჯული,
ვინ წყალია და ქვიშა ვინ არი.
აღარ ქცეულა ხატად არასდროს
კუჭის მონა და სახე ტირანის.

იქცნენ ხატებად და წმინდანებად
მათი სახელი, სახე იმათი,
ვინც უერთგულა, ვინც შეეწირა
ღმერთს და სამშობლოს, ხალხს და სიმართლეს!

ნოემბერი, 2002 წელი

ნაღდი პოეტი

ლადო ასათიანს, ტერენტი გრანელს

სანამ ცოცხლობენ, ვერ ვხვდებით, მიწის არის თუ ცის არი,
ხშირად სიკვდილით ცხადდება, ნაღდი პოეტი ვინც არი.

როცა ქვეყანა ირევა და განმკითხავი არა ჩანს,
ბევრ ლექსს ცოცხალი ავტორი უდგას მცველად და დარაჯად.

ის ლექსი როგორ იცოცხლებს, იმ ლექსებს ვინღა იწამებს,
ლექსებს, რომელთაც სავარძლით ანდა მუშტებით იცავენ.

მაგრამ, ვინც მართლა ღირსია, იმათ სახელი არ ტოვებს,
თვითონ ლექსები იცავენ ნაღდი ლექსების ავტორებს.

იმათ სიტყვებს და სტრიქონებს ჟანგი არ მოეკიდება,
ნაღდი ლექსების დაწერას ნაღდი ცხოვრება სჭირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაღდი პოეტის სიცოცხლე სიკვდილით აღარ თავდება,
ნაღდ ლექსებსა და პოეტებს სამშობლო უდგათ თავდებად.

და თუ ცოცხლებში ვერ ვარჩევთ, მიწის არის თუ ცის არი,
სიკვდილის შემდეგ ვიკითხოთ, ნაღდი პოეტი ვინც არი!

აგვისტო, 2002 წელი

ნეტავ ვიცოდე რისი ბრალია

მიმტევებელი გავხდი ძალიან,
ბევრის ღალატზე დავხუჭე თვალი.
ნეტავ ვიცოდე, რისი ბრალია,
არის წლების თუ
ცხოვრების ბრალი?!

აპრილი, 2002 წელი

ფშავ-ხევსურეთის მონატრება

გიორგი ოჩიაურს

1.

„გამარჯვების პარკს“ როცა ჩავუვლი,
სიცარიელეს ვერ ვეგუები,
მომენატრება ოჩიაურის
ჯაჭვგაუხდელი ის ხევსურები.

დღეს, როცა ისმის სხვა ლაპარაკი
და ერთმანეთის მტრობა-ქიშპია,
ასე მგონია, თბილის-ქალაქი,
იმ არაგველთა მოლოდინშია.

2.

თუკი გიწამა, მარტო გულია
და ხინკალივით ყრია მთიებიც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფშავ-ხევსურეთი დანაღმულია
კაი ყმით, ლექსით და კაფიებით.

გულს სიხარული ცეცხლად ედება,
როცა ძირძველი სიტყვა ქართული –
მთაში განძივით გადანახული –
ლამაზ ქალივით შეგეფეთება.

იქ ზვავ-ნამქერი ლექსის რითმია,
ლექსის სისხლია ის ჩანჩქერები,
ლექსს და სიმღერებს იქ არ ითვლიან,
სავსეა მზის და ლექსის ფერებით.

იქ არ ითვლიან არც სიმამაცეს
და ვაჟკაცობა ფუჭად არ ყვირის.
მტერს სიყვარულით უფრო ამარცხებს,
განა მარტოდენ ხმლით და მახვილით.

იქ ყველა იმედს ბოლო ელება,
შენ რას შეძლებ და შენ რას იღონებ,
როცა ვეფხვივით შემოგეყრება,
ვეფხვთან მებრძოლი მოყმის სტრიქონი.

ვეფაციცები მეც შორიშორად
და მიკვირს, რაღა მალაპარაკებს,
როცა იქ სიტყვა და მეტაფორა,
მართლაც, ჯიხვივით წყდება ქარაფებს.

ან მე უკეთესს რას მოვიგონებ,
ვიღას სჭირდება ჩემი ხავილი,
როცა ღრუბლებში ნაწრთობ სტრიქონებს
ლემადის ქარი იქნევს ხმალივით.

როცა არწივი შეკრავს ირაოს
და შაირს ეტყვის მთას ქარაფიანს,
იქ ფეხაკრეფით უნდა იაროო,
რომ არ დაადგა ფეხი კაფიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ აგიფეთქდა, მორჩა, გათავდა,
სირცხვილით შენს ლექსს ვეღარ ახსენებ,
და უმწეობა ისე გაგთანგავს,
შემდეგ ძილშიაც არ მოგასვენებს.

არც საეჭვოა და არც სადაო,
სიტყვით და ლექსით ვინ გააკვირვებს,
ფშავ-ხევსურეთი საჯილდაოა
მათთვის,
ვინც ლექსთან ჭიდილს აპირებს.

3.

დღეს ზოგიერთის ლექსებს ვკითხულობ
და უცნაური ფიქრი არ მტოვებს:
უცხო „ტყის პანტას რატომ დაეძებს
თურაშაული ვაშლის პატრონი".

ნოემბერი, 2002 წელი

ბეღურა – პოეტები

„სხვაგან გაზაფხულს შეხვდა მერცხალი,
აქ კი ყინვაში მოკვდა ბეღურა..."
ოთარ მამფორია
„ბეღურა და მერცხალი"

1.

რას ეწია, რა ნახა უცხო კარზე მისულმა,
ვინც სამშობლო დატოვა და მერცხლობა ისურვა.

ეს იქნება შექსპირის თუ სამშობლო გოეთეს,
არ ექნებათ სიმშვიდე იქ გაფრენილ პოეტებს.

ოი, როგორ მწარეა, ის ლუკმა და წყალობა,
ტირილსა და მოთქმას ჰგავს იმ მერცხლების გალობა.

სულს რას მისცემს უცხო ცის, უცხო მიწის ყურება,
ენატრებათ სამშობლო, ისევ გაბეღურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენატრებათ თბილისი, აქ ყოფნა და აქ დგომა,
საქართველოს მიწაზე გაზაფხულის დადგომა.

2.
აქ დარჩენილ პოეტებს, ჩემს ბეღურა პოეტებს,
რომ ებრძვიან სამშობლოს ორგულებს და ბოროტებს.

სულ არა ჰგავს გალობას მათი სულის კივილი,
თუ ცხოვრობენ, ისევე, თავის ხალხის ტკივილით.

მათი ბატონ-პატრონი მეფის ტახტი როდია,
მათი თავშესაფარი ქუჩა და ხის ტოტია.

უცხო ქვეყნის სიამეს ფიქრი ვერ მიაჩვიეს,
სხვაგან ჭიკჭიკ-გალობას აქ სიკვდილი არჩიეს.

თუმც უჭირდათ ყოველთვის (ახლაც უჭირთ ძალიან),
სხვის სამოთხეს არჩიეს საქართველოს გალია.

და მეც რწმენით, იმედით, სიყვარულით შევყურებ
ჩემს მეგობარ პოეტებს – საქართველოს ბეღურებს!

მარტი, 2000 წელი

პოეტებს აღარ ეპატიებათ

თუმცა ბევრი რამ მიეტევებათ,
ამას არ უნდა სჯა და კამათი,
პოეტებს აღარ ეპატიებათ
სამშობლოსა და ლექსის ღალატი.

მაისი, 2002 წლის

დრო

რადგანაც წუთისოფელი მართლაც წამი და წუთია,
ისევ ამ დროის შვილნი ვართ, კარგი არის თუ ცუდია.

ამაოდ ვოხრავთ, ვწუწუნებთ, ტყუილად ვწუხვართ,
განვიცდით,
ჩვენს დროს და ყოფა-ცხოვრებას სხვა დროზე არვინ
გაგვიცვლის.
და თუ ჩვენივე დრო-ჟამმა მოგვიძულა და დაგვტოვა,
ეტყობა, აღარ ვვარგივართ საკუთარ დროის პატრონად.

ოქტომბერი, 2002 წელი

ასე წასვლაც არ მსურს

ის გავლილი ათი წელი
ცოცხლად სიკვდილს ჰგავდა,
ვერაფერი ვერ შევძელი
სიყვარულის გარდა.

ვერ ვუშველე ქვეყნის ტკივილს,
მის ტანჯვას და ჯვარცმას,
ვერ შევძელი ვერც სიკვდილი
და ვერც თაფლის წასმა.

ჯერ იმათი ვალიც მმართებს,
ვინც დიდგორზე დარჩა.
ვაგლახ! ვეღარ მივემატე
ვერც დღევანდელ ლაშქარს,

ვინც დღევანდელ საქართველოს
თავი ანაცვალა.
მე კი, ცოცხალს, ქვეყნის ვალი
ისევ მადევს ვალად.

ეს ცხოვრებაც ქარაფინდა
ყველა იმედს მიჭრის.
არც ასეთი სიცოცხლე მსურს
და სიკვდილიც მიჭირს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ, სხვა ხმა ისმის ციდან
და ამხნევებს ამ სულს...
არც ამგვარი ყოფნა მინდა,
ასე წასვლაც არ მსურს.

მარტი, 2002 წელი

ძაღლის წელიწადში დაბადებული კაცის ფიქრები

„ძაღლი ძაღლური ქებას გიბედავ."
ტ. ტაბიძე

ღალატი და ორგულობა
დღეის ყოფას ლიბოდ უდევს,
ღვთისმშობელის საქართველო,
ვაგლახ, დარჩათ ყაჩაღ-ქურდებს!

ეწირება საქართველო
შურს და ღალატს, კუჭს და სკამებს.
ბრძენს აცმევენ გიჟის ხალათს,
გიჟებს კიდევ ტახტზე სვამენ.

არც იმედი არ ჩანს ხვალის,
ან იმედი მქონდეს რისი?
როცა ქვეყნად აღარ დარჩა
კაცი
– ერთგულების ღირსი.

და სიცოცხლე ტანჯვად მექცა,
რაც დრო გადის, უფრო მიჭირს,
რადგან ვხედავ, ცოტას შერჩა
ქვეყნად
ერთგულების ნიჭი.

ამ დროს, ძაღლის გახსენება,
იმედით და რწმენით მავსებს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიყვარულს და ერთგულებას,
თურმე კიდევ ადევს ფასი.

და მეც, ღმერთო, მხოლოდ ერთს გთხოვ,
ამ უაზრო ყოფნით დაღლილს,
ჩემი ქვეყნის სიყვარულში
ერთგულება მომეც ძაღლის.

სანამ პირში სული მიდგას,
სანამ გული კიდევ გულობს,
ჩემს ხალხსა და საქართველოს,
რომ ძაღლივით ვუერთგულო.

სხვა სამშობლო რაკი არ მაქვს
და ხსნაც არსად მეგულება,
გაძაღლებულ ქვეყანაში
მომეც ძაღლის ერთგულება.

მარტი, 2002 წელი

ისევ ვნახავთ

საქართველოს ბედის წყარო
განა მართლა დამშრალია?!
აამღერებს ვარდი ისევ
დადუმებულ მაფშალიას.

ხე იმედის ისევ ხარობს,
როგორცა ქუხს, ისე არ წვიმს,
ისევ ვნახავთ გამარჯვებულ,
ცად აფრენილ დაჭრილ არწივს.

რაკი ბორგავს ცოტნეს სული,
და ლუხუმი ფარ-ხმალს არ ყრის,
ისევ ვნახავთ ლაშარის გორს
და ამირანს ბორკილაყრილს!

მარტი, 2002 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სისხლი

„და მოდიოდა,
და მოდიოდა,
და მოდიოდა...“
მუხრანი

ზოგჯერ სიკვდილზე უფრო მეტია
სითამამე და გამბედაობა.
თავის ხვედრი და თავის ბედი აქვს,
ყველა დროსა და ყველა თაობას.

მამულზე გარჯით რომ არ იღლება,
სწორედ ის სისხლი ფასობს ძალიან.
სამშობლოსათვის რაც არ იღვრება,
სისხლი კი არა, მხოლოდ წყალია.

ნეტავ, ვინ იყვნენ ან რა გვარ-ტომის,
ან რანაირნი სისხლის პატრონნი,
ვინც მტერს თბილისის კარი გაუღეს,
მოხუცი მეფე მტერს შეატოვეს?

ძველი ტკივილი ისევ გვადარდებს,
„ქართლის ცხოვრებას“ როცა გადავშლით.
ვაგლახ! გენებში ისევ გადადის
შადიმანის და სისხლი ბაღვაშის.

და როცა თბილისს ტყვია აწვიმდა,
იმ ცივ დეკემბრის ორომტრიალში,
კარგად ისმოდა ბერბიჭაშვილთა,
სისხლის კი არა, ვერცხლის ჩხრიალი.

მაგრამ, ცნობილის თუ უჩინარის,
არც სისხლი აკლდა მამულს ერთგულის,
და მოდიოდა სისხლის მდინარედ:
მტკვარი, არაგვი, ჭოროხ-ენგური.

დღესაც ქარქაშში მახვილს არ აგებს
სისხლი ამაყი, სისხლი თამამი,
ისევ ეძახის სამას არაგველს
ერეკლესა თუ სისხლი თამარის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან კვლავ ფხიზლობს დედა ქართვლისა,
ვინც ცხრა აკვანთან ღამე ათია,
იმ ძმების სისხლი, ველზე მარაბდის,
კვლავ მარადიულ ცეცხლად ანთია.

იმედებს ისევ კარებს უღებენ
ისევ იმ ძველი სულისკვეთებით
და სამშობლოს მტრებს ისევ უყეფენ,
კრწანისს დაღვრილი სისხლის წვეთები.

ისევ ლოცულობს ბერი თევდორე
და ის ალგეთიც მტრის ჯავრს არა ჭამს,
იმ „რკინის ჭიშკარს“ სისხლი გორგასლის
ისევ მგლის მუხლით უდგას დარაჯად.

ქართული სისხლი აღარ დაშრება
და გამარჯვებებს ისევ დავითვლით,
რადგან კვლავ სიკვდილს ეთამაშება
დიდგორის ველზე სისხლი დავითის.

რადგან მონობას ვერ მიაჩვიეს
და ისევ ბორგავს ბორკილაყრილი,
ისევ გიზგიზებს, როგორც კოცონი,
სისხლი 9 მარტის და 9 აპრილის!

11–12 აპრილი, 2002 წელი

კამიკაძე

მე არ ვიცი, რაა სხვისთვის,
მე ნამდვილად გული მწყდება,
რატომ არის ტერორისტი,
ვინც სამშობლოს ეწირება.

ვერ გავიგე, რატომ ჰქვია,
რატომ ჰქვია ტერორისტი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისაც თავი მსხვერპლად მიაქვს
თავის ქვეყნის სიცოცხლისთვის.

თუმც წლები და დრო გვაშორებს,
არ ივიწყებს ერი გმირებს,
პაატა და ის თევდორეც,
ხომ სამშობლოს შეეწირნენ?

კამიკაძე!
სხვა რა ჰქვია,
ქეთევანს და მეფე დავითს,
ან დიმიტრი თავდადებულს,
ქვეყნისთვის რომ დადო თავი.

ცხრა ძმასა და არაგველებს
კამიკაძე ჰქვიათ მართლაც,
კამიკაძე ერქვა ზვიადს
და ილიას, ცამდე მართალს.

დღეს სამშობლო, ცოცხალ-მკვდარი,
ამ ყოფაში სანამ გაძლებს?
შევიცვალოთ უნდა გვარი,
უნდა გავხდეთ კამიკაძე!

აგვისტო–სექტემბერი, 2002 წელი

კოდორი

გაჭიმულია ვით ბეწვის ხიდი
და დანაღმული დღეები მიდის.
მოძალებია თუმც ფერი ბინდის,
არავითარი შიში და რიდი.

ამ ყოფაში და ამ მძიმე დროში,
კოდორი, მართლაც, დროშას ჰგავს გაშლილს,

შორით ამხნევებს უშგულის კოშკი,
სვანურ კოშკების ბებერი მახვში.

და ისევ რწმენით, იმედით ავსებს
ქართველი კაცის ფიქრსა და სურვილს.
ისევ ანთია კოდორის ცაზე
თავისუფალი სვანეთის სული.

ოქტომბერი, 2002 წელი

ჯერ ვადიდებ ქართულ აკვანს

თუმც ქვეყნისთვის თავდადებას, თავგანწირვას შენსას ვხედავ,
ვინ სჭირდება მამულს უფრო, წყნეთელი თუ ცხრა ძმის დედა?!

ცხრა ვაჟკაცის გაზრდა ნიშნავს ქვეყნის ვალის ცხრაჯერ
მოხდას,
სამშობლოსთვის ცხრა ძმის დედა ეწამა და ცხრაჯერ მოკვდა.

დღესაც, მათი ნებით არის, საქართველო ქედს რომ არ ხრის,
ჯერ ვადიდებ ქართულ აკვანს, შემდეგ ამის – ქართულ
მახვილს.
დღესაც უნდა ჩვენს ერს ჯვარცმულს და სამშობლოს ასგზის
დაჭრილს
ჯერ პატარძლის კაბის ჩაცმა, შემდეგ ჩაცმა რკინის ჯაჭვის.

რადგან მამულს ერგო ბედად ცხოვრება და ხვედრი მკაცრი,
ჯერ გვჭირდება ქალი – დედა, შემდეგ ქალი – დედაკაცი.

თუმც იმათი ფერი გადევს და შენს მართალ გულსაც ვხედავ,
შენ თვითონ თქვი, ვის გსურს გავდე, წავკისელს თუ ცხრა ძმის
დედას?!

ნოემბერი, 2002 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უნდა...

სანამდე ისმის მამულში ხმა მოძალადე ბატონის,
სანამდე აღარ გავმხდარვართ საკუთარ მიწის პატრონი,

სანამ არ ვნახავ ქვეყნიდან ორგულთა გადაშენებას,
მეც უნდა ბებერ ხარივით საქვეყნო უღელს შევება.

ცოტა ხნით უნდა გადავდო სიკვდილთან დავიდარაბა,
სამშობლოს კართან სიბერე უნდა ძაღლივით დავაბა.

სანამ ჩემს ხალხს და ქვეყანას ჭამენ და ხრავენ უღმერთოდ,
უნდა ცოცხალი ვიყო და საქართველოს მტრებს ვუყეფო.

არ გავექცევი ნამდვილად სიკვდილის ხელის შეხებას,
თუ გულზე თავისუფალი სამშობლოს მიწა მეყრება.

დეკემბერი, 2002 წელი

ჩემგან თქმული სადღეგრძელო

წარწერა წიგნზე – „სუფრის ისტორია“

ავტორი სოლომონ თეზელი შვილი.
წიგნის სრული სახელწოდებაა: „სუფრის კოდექსი,
სადღეგრძელოები, ტრადიცია
და თამადის ინსტიტუტი საქართველოში.“

ვინც საქვეყნო ჭირში, ლხინში ჩემზე უფრო ადრე მივა,
ვისაც საქართველოს წყლული ჩემზე უფრო მეტად ტკივა,

ვისაც წუთისოფლის გზაზე ქვეყნის ტვირთი მიაქვს უხმოდ,
საქართველოს სიხარული უხარია ჩემზე უფრო,

ვინც თბილისს და საქართველოს მხოლო სიყვარულით
იპყრობს,
შემოევლოს ჩემი თავი, მისი სადღეგრძელო იყოს!

ვინც სიცოცხლის ფასი ქვეყნად ჩემზე უკეთესად იცის,
ჩემზე უფრო ერთგულია საქართველოს ცის და მიწის,

ვინც მოძმისთვის არ იშურებს ალალ გულს და ალალ
ლუკმას,
ქართველი და საქართველო ვისაც ჩემზე უფრო უყვარს,

ვინც არა თმობს თავის მამულს, არც სამშობლო უნდა
სხვისი,
მისი სადღეგრძელო იყოს, ჩემი თავი ალალ მისი!

თელავი, 2002 წელი

ვისთან ვარ?!

რადგანაც ზურგი ვაქციეთ უფალს,
მტრობას და ღალატს ბოლო არ უჩანს,
გადაემტერა უბანი – უბანს,
ოჯახი – ოჯახს და ქუჩა – ქუჩას.

როცა ქვეყანა სიბილწეს მიაქვს
და უზნეობა ბატონობს მარტო,
როდესაც ირგვლივ დგას რია-რია
და ძაღლი, მართლაც, არა ცნობს პატრონს,

როცა ბევრს ნდობა დაუჯდა ძვირად,
დღეის იმედი, მართლაც, წყალს გაჰყვა,
მეკითხებიან ძალიან ხშირად:
– ვისთან ხარ
ახლა,
ვის გვერდით დგახარ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულს ტყვიასავით ხვდება ეს კითხვა,
ვიცი, რაც არის ამ კითხვის იქით
და არ მაძინებს ძალიან დიდხანს
დაშლილ მამულზე და ხალხზე ფიქრი.

– ვისთან ვარ?
ვდგავარ ისევ მათ გვერდით,
არ შეუშინდა ვინც ბედისწერას,
ვინც შეეგება ცხრა აპრილს მკერდით,
ბოლომდე შერჩა ზვიადს და მერაბს.

– ვისთან ვარ?
ვდგავარ კვლავ იმათ გვერდით,
ვინც სიყვარულს და სიკეთეს თესავს.
ვისაც სამშობლოს და ხალხის ბედი
არ ასვენებს და აწვალებს დღესაც.

ვისთან ვარ?
ვდგავარ კვლავ იმათ გვერდით,
ვინც ელის ისევ შოთას და დავითს,
ვინც არის ისევ იმედად ღმერთის,
ღმერთის და,
კიდევ, საკუთარ თავის.

კი, ვხვდები ახლა, კაცმა და დრომაც
იცის ღალატი ძალიან ხშირად.
და ბევრის გვერდით ყოფნა და დგომა
და ბევრის ნდობა
დამიჯდა ძვირად.

რადგან ყოფილა უკვდავი მართლაც
კაენისა და იუდას ცოდვა.
და დღეს, ეკლიანს, მაგრამ გზას მართალს,
თუმცა შემორჩა ძალიან ცოტა,

მამულის რწმენას მაინც არ ვტოვებ
და ვცოცხლობ ისევ სამშობლოს ბედით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

– ვისთან ვარ?
– ახლა
ჩემს სიმარტოვეს
და ჩემს იმედებს ვუდგავარ გვერდით!

ნოემბერი, 2002 წელი

* * *

თუმცა დღეები მიქცია ყულფად,
ზოგმა „მოძმემ“ და უზნეო დრომაც,
ვერ მიმაჩვიეს (მადლობა უფალს)
მლიქვნელობას და მუხლებზე დგომას.
ქვეყნად სიცოცხლის ფასი და წონა
რადგანაც ვიცი ძალიან კარგად,
არ დავუდგები არავის მონად,
სამშობლოსა და ლექსების გარდა!

მაისი, 2002 წელი

* * *

ო, უფალო, წილმყავ ღირსი,
მე ვთესდე და სხვა იმკიდეს,
ამარიდე ცუდ კაცს დღისით,
ღამე – ცუდ ფიქრს ამარიდე.

ო, უფალო, წილმყავ ღირსი,
„გულისათვის გული მივცე“,
რომ ტკივილი ვიგრძნო სხვისი,
ჩემი ლხინიც სხვისად იქცეს.

ო, უფალო, წილმყავ ღირსი,
სანამ გული გაცივდება,
რომ ვიხილო დღისით, მზისით
საქართველოს გაბრწყინება!

სექტემბერი, 2002 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლები, წლები...

წლები, წლები, წლები, წლები,
წლებმა სული ამოქოლა,
გვიან ვდგები, ადრე ვწვები,
მივეჩვიო უნდა წოლას.

ამ უაზრო წლებმა ვიდრე
სიცოცხლე არ გაიყოლა,
რომ შემდეგ არ გამიჭირდეს
სამარეში დიდხანს წოლა.

მარტი, 2002 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ქუჩაში დაწერილი ლექსები

გამომცემლობა „ზანი“
თბილისი, 1999

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანოტაციის მაგიერ

ლექსების ამ კრებულში თავმოყრილია ბოლო ათ წელიწადს დაწერილი ლექსები (1990-1999). ეს ათი წელიწადი კი საქართველოსათვის იყო ბედნიერებისა და უბედურების წლებიც. ბედნიერება გახლდათ საქართველოში ეროვნული ხელისუფლების მოსვლა ბატონ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით, საქართველოს უბედურება კი 1992 წ. იანვარს, კანონიერი ხელისუფლების დამხობით დაიწყო, რაც დღემდე გრძელდება. ასე რომ სათქმელი და ლექსების თემა საძებარი არ მჭონია. ჩემი ლექსები ამ წლების ქრონიკაა. შესაძლებლობის ფარგლებში შევეცადე დამეწერა ის, რაც ვნახე, რაც განვიცადე, რაც ჩემს ქვეყანასა და ხალხს გადახდა თავს. ვიცხოვრე და ვცხოვრობ ისე, როგორც ჭეშმარიტი, პატიოსანი საქართველო და ქართველი ხალხი ცხოვრობს. როგორ შევძელი, როგორ გამომივიდა, ყოველივე ეს მკითხველმა განსაჯოს.

ნოდარ ჯალაღონია

2003 წ. თებერვალი

გასაუბრება მერაბ კოსტავას სულთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა სამშობლო სასომიხდილი
მზესავით ელის თავისუფლებას,
არ გაქვს დუმილის, არ გაქვს სიკვდილის,
არ გაქვს საფლავში წოლის უფლება.

ახლა სჭირდება არეულ თბილისს
შენი ხმა, შენი არწივის მზერა,
ის შენი სული, საოცრად თბილი,
იმ შენი გულის ამაყი ძგერა.

როცა კვლავ დადის აპრილის მკვლელი,
და თავზე გვირგვინს ადგამენ სირცხვილს,
როცა იღვრება ქართველის ხელით
ქართველი კაცის ცრემლი და სისხლი.

როცა აბელის ნიღაბს იკეთებს
და არ რცხვენია კაენს ოცნების...
ახლა გვჭირდება შენი სიკეთე,
შენი „ბაჯაღლო პატიოსნება“.

ახლა, როდესაც შრომას სიზიფეს
ჰგავს ხალხის გარჯა, ერის მცდელობა,
ახლა გვჭირდება შენი სიფხიზლე,
შენი ფიქრი და შორსმჭვრეტელობა.

როს ტყვია კენწლავს რუსთველის გამზირს
და ემსგავსება დრო ყორანს მშიერს,
როცა ლეკვები უყეფენ გამზრდელს,
ახლა სჭირდები ძმას ქრისტესმიერს.

ბოლმით, გესლით და უაზრო დავით
როცა ვერ ვარჩევთ გიჟსა და ჭკვიანს,
როცა ქვეყნისთვის შესაწირ თავებს
ერთმანეთს ჭორით და შურით სჭრიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა დღეს ბევრი ფეხის ხმას აჰყვა,
როცა ვერ ვარჩევთ მართალს და მტყუანს,
როგორც დუღაბი გვჭირდება ახლა
შენი გონება, სიბრძნე და ჭკუა.

რომ არ წაგვლეკოს შურმა და გესლმა,
რომ არ იხაროს მამულის მტერმა,
როგორც არასდროს,
სამშობლოს შენსას
ახლა სჭირდები, ბატონო მერაბ!

სექტემბერი, 1990 წელი

შიმშილობენ დედები

1.
როს დედები სუსტი მხრებით
წევენ ქვეყნის სიმძიმეს,
ჩვენ საწოლში როგორ ვწვებით
ანდა როგორ ვიძინებთ.
როცა მშივრებს უჭირთ სუნთქვა,
სუნთქვას როგორ ვაპირებთ,
როგორ უნდა ვუჯდეთ სუფრას,
რა სინდისით, რა პირით.
როცა ყინვა ხელ-ფეხს უკრავს,
კვნესის მიწა მარაბდის,
ამ დროს ლუკმა, ყელში ლუკმა,
ლუკმა როგორ გადაგვდის.
როცა გარეთ, ქარ-წვიმაში
შიმშილობენ დედები,
თბილ ოთახში შვილებს ნეტავ
როგორ მოვეფერებით.

2.
არა ყინით ოქრო-ვერცხლის
და სურვილით დიდების,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სიმშვიდისთვის
შიმშილობენ დედები.
არა დიბა-ატლასისთვის,
სტავრის და ხავერდების,
საქართველოს ერთობისთვის
შიმშილობენ დედები.
არა მდურვით, არა დრტვინვით,
წუწუნით და ყვედრებით,
საქართველოს მომავლისთვის
შიმშილობენ დედები.
ეს შიმშილი ხმაა ზარის,
ლოცვისა და ვედრების
თავისუფალ სამშობლოსთვის
შიმშილობენ დედები.
იმედო და დღეო ხვალის,
უფრო მეიმედები,
ფეხზე დადექ, საქართველოვ,
შიმშილობენ დედები!
შიმშილობენ დედები!

26 დეკემბერი, 1990 წელი

ქართული პარადოქსი

ვისაც იუდა ერქვა თავიდან,
იმან, ვინც ვერცხლი არჩია უფასს,
შერცხვა და თავის ფეხით ავიდა
საკუთარ ხელით გამოსკვნილ ყულფთან.

ჩვენთან იუდაც იუდას არ ჰგავს,
ვით ჩვენი წესი და ადათია,
სახრჩობელაზე სამშობლო აჰყავთ,
თვითონ კი...
თვითონ ტახტზე ადიან.

ივნისი, 1990 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწერალთა კავშირში დგას ლომის ფიტული

დიდხანს გვაყარა თვალში ნაცარი,
ბევრმა თავისი ჯილდო-ტიტული.
ჩვენ რომ ცოცხალი ლომი გვეგონა,
თურმე ყოფილა ლომის ფიტული.

1990 წელი

* * *

ვაი იმას, მამულისთვის
გული ვისაც გაუცივდა,
სამშობლოსთვის გასაცვეთი
ხმალი სხვისთვის გაუცვითავს.

ვაი იმას, იმ ცოდვის შვილს,
ვისაც ცხადად, დღისით-მზისით
სამშობლოსთვის დასაღვრელი
დაუღვრია ოფლი სხვისთვის.

ვაი იმას, არ ისურვა,
ვინც ერისთვის წვა და გარჯა,
სამშობლოსთვის დასახარჯი
ნიჭი სხვისთვის დაუხარჯავს.

არც სახელი, არც საფლავი,
არც იმედი მათი არ ჩანს.
მათი ნიჭი, ოფლი, სისხლი
ტალახსა და ბალახს დარჩა.

1990 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობოლი ლექსები

ეძღვნებათ ციხეებსა და
გადასახლებებში ნამყოფ პოეტებს

1.
ვიცით ლექსები ნაბრძოლ-ნაჯაფი,
გამძლე ათასი ქარტეხილების,
ცენზორ-ჯალათის კალამ-ნაჯახით
დაჭრილები და დაჩეხილები.

მამულზე ლოცვით თვალებდამშრალი
და შემართული, როგორც ხანჯალი,
თავისუფლების სისხლში ჩამხრჩვალი,
მაგრამ არასდროს სირცხვილნაჭამი.

მემატიანე ქვეყნის წარსულის
და პირუთვნელი ზოგჯერ ყველაზე, –
ლექსი! – თავისი ფეხით ასული
ეშაფოტსა და სახრჩობელაზე.

2.
მაგრამ ლექსები უავტორონი
მე უპატრონო ბავშვებს მაგონებს.
ახლა ისინი ფრთხილად სტოვებენ
კოლონიებს და ციხე-ვაგონებს.

ლექსები! – ტანჯვით გაჩენილები,
სავსე იმედით და ტკივილებით,
გიტარის სიმით გამოზრდილები,
თავისუფალი სულის შვილები,

ნაცემ-ნაგვემი და ნაწვალები
ლექსები ობლად მაინც ვერ ძლებენ,
მთელ საბჭოეთში დაწანწალებენ,
სამშობლოსა და პატრონს ეძებენ.

როცა მოჭრილი არის ფესვები,
როცა ავტორი დაკარგულია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპატრონო და ობოლ ლექსების
თავშესაფარი ხალხის გულია.

3.

ყველა ისინი ხომ სატკივარი,
ხომ სატირალი არის ჩვენივე,
მაგრამ რა ვუყოთ, შიშით ტირანის,
ლექსებს ამქვეყნად არ გაჩენილებს.

ლექსებს!– პოეტის ფიქრში მოკლულებს,
საწამებლად რომ ვერ გაიმეტეს,
სიტყვებს, დათესილს და არ მომკილებს,
სიტყვებს, პოეტის აჭრილ იმედებს.

თუმცა გულია, გული ყოველთვის
ლექსის სამშობლო და საფიცარი...
მაგრამ ვაი, რომ გული პოეტის
ზოგჯერ ლექსების საფლავიც არის.

1990 წელი

შრომის ვეტერანის მედალი

ერთადერთი ჯილდო, რომელიც მე
მარგუნეს მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე

სულში ათასგვარ ფიქრებს ამიშლის
საკუთარ თავთან გაუცხოება, –
რისთვის ვიცოცხლე, ვისთვის ვიცოცხლე,
რას შევალიე ჩემი ცხოვრება?

თუმცა არასდროს გამიყიდია,
სულს სევდა მაინც ვეღარ ავხსენი.
ფიქრი თოკივით ჭერზე ჰკიდია
და ძილ-ღვიძილში აღარ მასვენებს.

ვერ გამიგია, მაინც აქამდე
მადლი ვაკეთე თუ ვზიდე ცოდვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ცხოვრება მეც წყალს ვნაყავდი
და ჩემი შრომა იყო ქვის კოდვა.

მითხარ, უფალო, სანამ მომკლავდე,
რისთვის ვთესავდი და ვისთვის ვმკიდი,
თავისუფლების ბორკილს ვლოკავდი
თუ მეც ამირანს მკერდს ვუკორტნიდი.

ჩემი სამშობლოს ბორკილს ვლოკავდი
თუ სხვებთან ერთად ურო მეჭირა,
ნუთუ მეც ყველა ჰანგზე ვროკავდი,
რომ ჩემი თავი გადამერჩინა.

ის ჩემი ოფლი იყო კანდელი,
თუ წყალი იყო, წყალი უბრალო...
ღირსი ვინც არის დღის ხვალინდელის,
მარტო შენ ერთმა უწყი, უფალო.

თორემ დღეს ბევრი ფეხებს ულოკავს
მამულს და (მიჭირს მათი ყურება)...
გადაუგდია ახლა ურო და
იმ რკინის ბორკილს ეჯაჯგურება.

ზოგისთვის კიდევ თავშესაფარი
და მყუდრო ბინა გახდა სიბერე,
თუმცა თვითონაც იცის, რაც არის,
მამულიშვილის პოზას იფერებს.

მე კი, ამ „ჯილდოს“ როცა დავყურებ,
აღარ ასვენებს ფიქრი გონებას, –
რისთვის ვიშრომე, რას ვემსახურე,
ვის შევალიე ჩემი ცხოვრება?

ნუთუ ეს ჯილდო უნდა ვატარო,
როგორც ბეჭედი ჩემი წარსულის,
ჩემი უმიზნო, ჩემი უაზრო,
ჩემი მონური შრომის დასტური?!

ავეისტო–სექტემბერი, 1990 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჩაბელი

ტრიპტიქი

მოლექსე და მომღერალი მაჩაბელი დაირითა და სიმღერით წარუძღვა არაგველებს და კრწანისში მათთან ერთად დაეცა მტერთან უთანასწორო ბრძოლაში. მისი სახელი და საფლავი უცნობია

1.
სამშობლოსთვის დამიხარჯავს
გულიც, ლექსიც და სიმღერაც,
საქართველო ერქვა მხოლოდ
ჩემს ხმალსა და ჯაჭვის პერანგს.

მე დაირით ვახელებდი
არაგველთა გულს და მახვილს.
სხვა საფლავი მე არ მინდა,
მე მათ გულში დავიმარხე.

შადიანი სიმღერებით
ნათელს ვფენდი დაჭრილთ სახეს.
სხვა სახელი არ მჭირდება,
მივემატე მე მათ სახელს.

2.
თურმე ვიღაც მედავება
ჩემი სისხლით მორწყულ მიწას,
ჩემი ძვლების შესალაგი
სხვის სამშობლოდ როგორ იქცა.

ვეკითხები საქართველოს,
ვისი ნებით, ჭკუით მოხდა,
რომ სამშობლოს მიწადქცეულს,
გვიპირებენ ახლა მოთხრას.

ვეკითხები ყველა ცოცხალს,
თუ დავრჩებით ასე ოხრად,
აბა, იქ რა პასუხს მოგთხოვთ,
მაგრამ აქ რა პირით მოხვალთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.
როცა უჭირს სამაჩაბლოს,
მე საფლავში როგორ გავძლო,
გვერდით როგორ არ დავუდგე
ჩემს სამკვიდროს და ჩემს საძმოს.

თავო ჩემო, ამას ვდარდობ,
გამოვაკლდი მამულს რა დროს...
საქართველოს როცა უჭირს,
მე საფლავში როგორ გავძლო.

თებერვალი, 1991 წელი

კვლავ ამღერდება ხმალი დავითის

აპრილის ცრემლით თვალდანამული,
მტრებს კვლავ სიმღერით შევეგებებით.
გულს ნუ გაიტეხ, ჩემო მამულო,
არ დალევია ალგეთს ლეკვები.

კი, იმ ღალატით ვართ მოწამლული
და ის ხიზნებიც თავზე დავისვით,
მაგრამ ნუ დარდობ, ჩემო მამულო,
კვლავ ამღერდება ხმალი დავითის.

იცის მტერმა და იცის მოყვარემ,
სირცხვილი ხარკად არ გაგვიცია,
ის ცრემლი, გულზე რომ დაგაყარეს,
ცრემლი კი არა, ჩვენი ფიცია.

ფიცია ჩვენი შურისძიების,
ჩვენი ჭრილობა და ტკივილია.
სისხლით მორწყული ქართვლის იები
სამაჩაბლოში ისევ ტირიან.

უფრო მკაცრი და ძნელი დღეებიც
გამოიარეს ქართვლის დროშებმა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოენგურდნენ სვანი ბიჭები,
და სამაჩაბლოს უდგან კოშკებად.

გულს ნუ გაიტეხ, ჩემო მამულო,
ასე ნუ წუხხარ, ნუ დარდიანობ,
ის საარაგვოც ისევ ხმიანობს,
ისევ ცერზე დგას სადადიანოც.

არვის შერჩება ცეცხლთან თამაში,
ის სითავხედე და სითამამე,
კვლავ დაადგება ჯიღად თამარშენს
გამარჯვებული დროშა თამარის.

იქ დახოცილი ჩვენი ბიჭები,
საფლავში ერთი რწმენით ჩადიან,
რომ მაჩაბელი ისევ იმღერებს
სამაჩაბლოში ჰანგებს შადიანს.

ისევ იმღერებს „მრავალჟამიერს“
და ცა იქნება ისევ მზიანი.
და ჩვენი მიწა ისევ, ისევე
იდიდგორებს და იბასიანებს.

თებერვალი, 1991 წელი

სამაჩაბლოში მოკლულ ოს ექსტრემისტს

კაცი რომ კვდება, მიწა ბერდება,
სიცოცხლე არის ქვეყნის ქონება,
შენი სისხლ-ცოდვა იმას ედება,
ვინც დაგიბნელა ჭაბუკს გონება.

ვიღაცის შვილო, მეუღლევ, ძმაო,
დღეს სიცოცხლესთან თუ ხარ გაყრილი,
მე შენზე უფრო იმათთან ვდაობ,
ვინც შეგაჩეჩა ხელში მახვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სხვათა ფეხის ხმამ აგიყოლია,
სისხლი დაღვარე სხვათა გულისთვის,
შენ სამშობლოსთვის არ გიბრძოლია
და არ მომკვდარხარ შენ მამულისათვის.

შენი სიკვდილით ცად ვერ ამაღლდი
და უსამაროდ დარჩი ასევე,
მიწა, რომელსაც შენ უღალატე,
შენს ძვლებს საფლავშიც არ მოასვენებს.

შენს შესანდობარს არვინ აღავლენს,
შენთვის სანთელი არ აინთება,
მიწა, რომელსაც შენ უღალატე,
შენთვის მსუბუქი აღარ იქნება.

ცოცხალს რომ უმტრე და უორგულე,
იმ ქართველს იქ შენ როგორც გაუგებ –
იმ კაცს, ვინც საძმოდ გული გაგიღო,
შენ კი ის გული ხანჯლით გაუპე.

შენ იმ ქართველის სახე საფლავშიც
არ მოგასვენებს და გაგაწამებს.
ვინც მშიერს ერთ დროს პური გაჭამა,
შენ კი ტყვია და მიწა აჭამე.

ამაო არის სულის ღაღადი,
გულში გავლება და გაფიქრებაც,
მიწა, რომელსაც შენ უღალატე,
შენი სამშობლო ვეღარ იქნება.

შენ ისე მოკვდი, ისე დაღამდი,
ვერ დაგიდგება ვერვინ თავდებად,
მიწა, რომელსაც შენ უღალატე,
საფლავად აღარ გამოგადგება.

მარტი, 1991 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოეტს

როცა უჭირს საქართველოს,
მაშინ უნდა ხსნა და შველა,
ახლა უნდა იგუგუნოს
შენმა ხმამ და სიტყვამ შენმა.

ახლა უნდა გამოგცადოს
ერმაც, ბერმაც, მტერმაც, დრომაც...
სამშობლო არ გაპატიებს,
დღეს დუმილს და განზე დგომას.

უნდა ზიდო შენი ტვირთი,
დღეს – დღეის და ხვალე – ხვალის,
ნუ გგონია, თითქოს უკვე
მოხდილი გაქვს ქვეყნის ვალი.
მგოსნის კისერს მუდამ ადევს,
ერის ტვირთი და მტრის ხმალი.

როცა ხედავ მამულს მტრიანს,
როცა ხედავ მამულს აყრილს,
სიტყვა უნდა ჰგავდეს ტყვიას,
ლექსი უნდა ჰგავდეს მახვილს.

თორემ შემდეგ რა ფასი აქვს
ან შენს ლექსებს, ანდა შენს ხმას,
გამარჯვებულ საქართველოს
ხოტბისა და ქების შესხმას.

თებერვალი, 1991 წელი

შური

სახრჩობელასთან ამაყად მისულს,
რამდენი მტერი ჰყავს სიმამაცეს,
ღაჩარს ვაჟკაცის სიკვდილიც კი შურს,
როცა სიკვდილით სიკვდილს ამარცხებს!

მარტი, 1991 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღირსე ერთხელ

რაკი იმ სურვილს აქამდე მოვყევ,
ქართულო ლექსო, შენს მონას, შენს ყმას,
მაღირსე ერთხელ, როგორც იმ მოყმეს,
შენთან, ვით ვეფხვთან, პირისპირ შეყრა.

განა რისიმე იმედით მოგდევ,
მაგრამ სათქმელი ხომ უნდა მეთქვა.
ერთხელ ხომ უნდა ისედაც მოვკვდე,
ბარემ ვეფხვისგან მოკლული მერქვას.

მარტი, 1991 წელი

მოკლეს

ეძღვნება აბორტმახერების გულგრილობით მოკლული ქართველი ბავშვების ხსოვნას

მოკლეს...
კი, მოკლეს, მაგრამ არ ვიცით,
ვინ გაიმეტეს, ანდა ვინ მოკლეს,
იქნებ თამარი, იქნებ დავითი,
იქნებ იმ ვეფხვთან მებრძოლი მოყმე.

მოკლეს...
კი, არის ეს ცხადზე ცხადი,
მაგრამ მე ერთი ფიქრი მაწვალებს
იქნებ მეათე ძმა იყო ცხრა ძმის
და ომში ჩასვლა აღარ აცალეს.

მოკლეს...
ტკივილი აღარ ეტევა,
და ლამის დარდმა გული წაიღოს,
აღარ აღირსეს იქნებ ქეთევანს,
საქართველოსთვის რომ მომკვდარიყო.

მოკლეს...
იქნება პაატა მოკლეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერი დააკლეს ქართვლის საესავს,
იქნება მოკლეს სწორედ ის ცოტნე,
რომელსაც თაფლი უნდა წაესვა.

მოკლეს...
იქნებ ის, ვისაც ხვალ ან ზეგ
ქვეყნის უღელი უნდა ეწია,
იქნება მოკლეს ქალი ხვარამზე,
ვისაც აკვნები უნდა ერწია.

მოკლეს...
იქნება ის არსაკიძე,
ქართული მიწა კვლავ რომ მოელის,
მოკლეს ისე, რომ არ დაანახეს
ალავერდი და სვეტიცხოველი.

მოკლეს...
იქნება ლექსი უთქმელი,
რომელსაც ღამე უნდა ვუთიოთ,
ვინ იცის, იქნებ მოკლეს რუსთველი,
იქნებ ილია მოკლეს უტყვიოდ.

აპრილი, 1991 წელი

ისევ სისინებს სული კაენის

მითხარ, სამშობლოვ, რისი იმედით
უნდა იბრძოლო და ირაინდო,
როცა ქართველი ქართველს იმეტებს,
როცა ქართველი ქართველს არ ინდობს.

დანაღმულია დენთით ჰაერი,
ირგვლივ ღალატის სუნი ტრიალებს.
ისევ სისინებს სული კაენის
და ისევ ისმის ვერცხლის ჩხრიალი.

სურს სიბოროტეს ისევ აზვავდეს,
ქვეყნად სიკეთე რომ არ ვიწამოთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვხედავ ვიღაცა ისევ ამზადებს
ახალ კრწანისს და ახალ წიწამურს.

ჩვენ ერთმანეთის შურით, ღალატით
ბევრჯერ გავტყდით და ბევრჯერ გავთავდით.
იუდას ვერცხლი, ეშმას ხალათი
ხელიდან ხელში ისევ გადადის.

მტერს გულს ბოღმით და გესლით აუვსებს
თავისუფლების დროშა გაშლილი,
კვლავ აჩეჩებენ ხელში მაუზერს
ყორღანოვებს და ბერბიჭაშვილებს.

ჩანს, საქართველოს აღარ აკმარეს,
იმ ბაზალეთმა რა დღეც აყარა,
სიმართლეს ისევ ჯვარზე აკრავენ
და სურთ სიბნელის ტახტზე აყვანა.

საქართველოში ძალზე გაჭირდა
შადიმანის და ცოტნეს გარჩევა,
დღეს საქართველო, ორად გაჭრილი,
ღვთისმშობელს უხმობს გადასარჩენად.

2 მარტი, 1991 წელი

* * *

დავიღალე სიმარტოვით,
მაინც ვერ ვთმობ სიმარტოვეს,
როგორც გაზაფხულის თოვლი,
სულს აპრილის მზეზე ვტოვებ.

ცა გაიხსნას ისევ იქნებ,
იქნებ მოლბეს ბედი ურჩი,
თოფის ტუჩზე დასმულ ფიქრებს
თუ ცოცხალი გადავურჩი.

თელავი, 1991 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულის მისია

ზვიად გამსახურდიას

რადგან სამშობლო ერქვა შენს სურვილს,
შენ მხოლოდ თესდი, კი აღარ მკიდი.
აწონილია ის შენი სული,
გამოვლილია ის ბეწვის ხიდიც.

თუმც კვლავ ჩხრიალებს იუდას ვერცხლი
და ბევრი კიდევ გიპირებს კოცნას,
აწი ამქვეყნად ვერავინ შეცვლის
შენს გზას, შენს მიზანს, ფიქრსა და ლოცვას.

დაბადებული ეკლიან გზისთვის,
რადგან ამ გზაზე ბოლომდე ივლი,
მჯერა, გახდები უდავოდ ღირსი
მთვარის, ვარსკვლავის, მზის ერთად ხილვის.

აგვისტო, 1991 წელი

არ დაგვანახო

– უნდა დავამხოთ საქართველო
ისევ ქართველით...
და მოდიოდნენ ჩვენი მტრები
ამის იმედით.
და ჩვენც გავწირეთ, ჩვენ თვითონვე
ბევრჯერ გავთელეთ,
ბევრჯერ გავყიდეთ საქართველო
და გავიმეტეთ.

– ქართველი უნდა დაითრგუნოს
ისევ ქართველით...
ეს იყო მუდამ საქართველოს
მტრების იმედი.
და ჩვენც ღალატით, ერთმანეთის
გაყიდვ-გათელვით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დიდგორიდან კრწანისამდე
ასე მივედით.

– ქართველი უნდა დავაჩოქოთ
ისევ ქართველით...
და გვამარცხებდნენ ჩვენი მტრები
შინა ომებით.
ასე ღალატით, ერთმანეთის
გაწირვ-გათელვით,
იმ თებერვლიდან დეკემბრამდე
ასე მოვედით.

– უნდა დავამხოთ საქართველო
ისევ ქართველით...
დღესაც არიან ჩვენი მტრები
ამის იმედით.
მაგრამ ამაოდ, უკვე ითქვა
ერის სათქმელი,
თავისუფლების კარიბჭესთან
უკვე მივედით...

– რადგან კვლავ ცოცხლობს იმ კაენის
სული წყეული,
მაღალო ღმერთო, შეისმინე
ჩვენი ღაღადი: –
არ დაგვანახო საქართველო
კვლავ დაქცეული,
ისევ ქართველთა ორგულობით,
შურით, ღალატით.

25–26 სექტემბერი, 1991 წელი

* * *

არც ისე დიდი ვინმე ხარ,
სიკვდილო,
შენ რომ გგონია.
კაცის წასვლას თუ დარჩენას,
მაინც სიცოცხლით წონიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რადგან სულს ყმად არ გავუხდი
მაწრიელებს და მაცილებს,
რამდენიც უნდა ეცადო,
სამშობლოს ვერ დამაცილებ.

ვიცი, რას ნიშნავს აკვანი,
რას ნიშნავს კუბოს ფიცრებიც,
დღეს თუ ქართველი კაცი ვარ,
ხვალ ქართულ მიწად ვიქცევი.

რადგან საწუთრო წამია,
წუთისოფელი ავია,
რომელი რომელს სჯობია,
ეს კიდევ საკითხავია.

რეკავდა ზარი

(1991 წლის 4 ოქტომბრის ღამე)

საოცრად ჰქონდა ფერი შეცვლილი
ქართულ დროშას და იმ შინდის ფერსაც.
გაფითრებული და გაცრეცილი
ჰგავდა თბილისი გარეჯის ფრესკას.

ქუჩები ბრაზით, შიშით და უნდოდ,
ყველას სიტყვას და ნაბიჯს ზომავდნენ,
ო, როგორ ჰგავდა ის ღამე ურდოს,
ბევრჯერ თბილისის კართან მოვარდნილს.

თითქოს მეტეხთან ის „რკინის სერგო“
კვლავ იდგა ლაღი და ბედნიერი.
ო, როგორ ჰგავდა ის ღამე კაენს
თავის ქცევით და თავის იერით.

შური და ბოღმა, სხვა არაფერი
არ აწუხებდა ღამეს სულადაც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთველის ქუჩა, როგორც აბელი,
იწვა და თავის სისხლში ცურავდა.

იყო ცბიერი და ვერცხლისფერი
და წილნაყარი იუდას სულთან,
იწერებოდა ტყვიების ჯერით,
რაც „საქართველოს უკვდავ მტერს“ სურდა.

იქვე ქაშვეთის ზარი რეკავდა,
ზარი შენდობის და პატიების,
და ანგელოზებს ფრთებით ეკავათ
ცა, დაცხრილული ცხელი ტყვიებით.

7 ნოემბერი. 1991 წელი

გზა

მიწიერ საქართველოდან
ზეციურ საქართველომდე
გზაა – მამულზე მცდელობა,
ვაჟკაცობა და ქველობა.

იქ როგორ გაიარაგვებს
აქ უსახელო, უქნები,
იმ საქართველოს რას არგებს
ამ საქართველოს ურგები!

ნოემბერი, 1991 წელი

გალაკტიონი

ზოგი არქმევდა მეზობელს კარის,
ზოგი – ნაცნობს და ზოგი – მეგობარს.
ის დადიოდა ლექსებით მთვრალი,
ვიღაცას ღვინით მთვრალი ეგონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასთან ბაასი და მასთან გავლა,
სულ არ ნიშნავდა ყოფნას მის გვერდით.
ვიღაც უბრალოდ ეძახდა „ გალას“
და არ უწყოდა, რომ იყო ღმერთი.

მისი სამშობლო მუდამ ცა იყო,
თუმც მიწის მძიმე ხვედრი გაიყო.
რადგან ამბობდა ხშირად „ძამიკოს“,
ეგონათ, მართლაც მათი ძმა იყო.

იტანჯებოდა სიმაღლით თვისით,
რადგან ჩვენს გვერდით ცხოვრება სურდა.
ჩვენი დღეები
იყო კი ღირსი
მიახლოების
მის მაღალ სულთან?

და როს დასრულდა ცხოვრება მისი,
და ახლა ციდან დაჰყურებს თბილისს,
ჩემთვის ვკითხულობ: – ვიყავით ღირსნი,
ვიყავით ღირსნი ჩვენ ღმერთის ხილვის?!

11 ნოემბერი, 1991 წელი

9 აპრილს დაღუპულებს

განა თქვენს ხვედრზე და ბედზე ვგოდებ,
დებო და ძმებო, თქვენს იღბალს ვნატრობ.
სხვა სანატრელი რა უნდა მქონდეს,
ამ დანგრეული თბილისის პატრონს.

როცა რუსთველზე ტყვიები ყრია
და ცრემლებია ტყვიებზე მეტი,
კი, სანატრელი ნამდვილად კია
თქვენი სიკვდილი და თქვენი ბედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის 9 აპრილი კვლავ თვალწინ მიდგას,
როცა ვიყავით ღმერთთან და ერთან,
დაჭრილთ მალამოდ ვადებდით სიტყვას,
სისხლს და სიყვარულს ვაძლევდით ერთად.

ყველა სიხარულს და ყველა ტკივილს,
თავისუფლების სახელი ერქვა,
ასე ერთმანეთს ვიცავდით კბილით
და რუსთაველზე ვიდექით ერთად.

ახლა ის სისხლი, ჩვენივე სისხლი,
გადავაწვიმეთ თბილისის ქუჩებს,
სირცხვილს რა ვუყოთ, რა ვუყოთ სირცხვილს,
სიკვდილს კიდევაც რომ გადავურჩეთ.

როცა ქართველს კლავს ქართველის ტყვია,
ქართველი კვდება ქართველის ხელით,
კი, სანატრელი ნამდვილად კია
ის თქვენი ბედი და თქვენი ხვედრი.

იანვარი, 1991 წელი

დიდგორად კი არა...

„შენ –
სისხლო ჩემო, სად არ დაღვრილო“.
მუხრან მაჭავარიანი
„რუსთველის გამზირიც
დიდგორად იქცევა,
თუ საქართველოსთვის
გვსურს თავის დადება“.

ჩემივე ლექსიდან –
„ალგეთის ლეკვები“

ყრია ნანგრევები აჭრილი ვაზივით,
მკვდრის ფერი ადევს მიწას.
დიდგორად კი არა.... რუსთველის გამზირი
დღეს ბაზალეთად იქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანთელ-საკმეველი ნეტავ სად ავანთო,
ჩემია აქაც, იქაც.
ბევრი სამერაბო, ბიჭი საპაატო,
ვაი, შადიმანად იქცა.

ცოცხლად დარჩენილებს უფრორე დავსტირით,
რადგან წლები რომ გავა, –
ბიჭებო! რა პირით ან როგორც აპირებთ
იმ რუსთაველზე გავლას.

ჩემთვის სულ ერთია (ეს მტანჯავს მე სწორედ),
ვინა ხართ ან რა გქვიათ,
როდესაც ქართველმა ქართველ კაცს ესროლე,
შენ ხალხს ესროლე ტყვია.

ტირის დიდგორი და ტირის შამქორი და
კრწანისი უფრო ტირის.
ის არაგველებიც გვიმზერენ შორიდან
გამშრალ-გამწყრალი პირით.

ველარ გადავურჩით კვლავ იმ შურს, იმ ღალატს,
იმ მარადიულ სირცხვილს,
ვაგლახ! სად დაიქცა და სად დაიღვარა,
სად დასაღვრელი სისხლი.

იანვარი, 1992 წელი

ნეტავ რა ცოდვა გვადევს ესოდენ

რადგან კაენი დღეს კვლავ ზეიმობს,
ალბათ ჩვენს სათქმელს სხვები იტყვიან.
ჩვენ რომ გვეგონა სამუზეუმო,
კვლავ მაუზერში დებენ იმ ტყვიას.

ნეტავ რა ცოდვა გვადევს ესოდენ,
რომ აღარაფრის არა გვრცხვენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიწამურში რომ პოეტს ესროლეს,
თურმე ის ტყვია ისევ ცხელია.

დარდით მოკლული და მოწამლული
გული კვლავ ისმენს ხმას ტკივილიანს.
ხვალ სად იქნება ის წიწამური,
ხვალ ვინ იქნება ნეტავ ილია?!

23 იანვარი, 1992 წელი

* * *

იქით სახე ნიღბიანი,
აქეთ სახე ცრემლიანი.
აქეთ, ვიცი, ქართველია,
იქეთურიც – ჩემიანი.

ღმერთო, სანამ ამ სიავეს
ვიხილავდი ჩემი თვალით,
ხომ არ ჯობდა, ხომ არ ჯობდა,
იმ 9 აპრილს მოგეკალი.

27 იანვარი, 1992 წელი

* * *

წუთისოფელი გზა არი,
უფალი გვიდებს ყველას ზღვარს,
დიდხანს სიცოცხლე სხვა არი,
დიდხანს ცხოვრება – კიდევ სხვა.

აქ რომ აიღებს, იმ ცოდვებს
იქ ვინ აღირსებს ცხონებას.
არ ნიშნავს დიდხანს სიცოცხლე
ამქვეყნად დიდხანს ცხოვრებას.

29 იანვარი, 1992 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცელი

22 დეკემბერი, ჯერაც ამოუხსნელი,
საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცელი.

დანგრეული ჩვენი სული და გამზირი რუსთველის,
საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცელი.

დანთხეული ძმების სისხლი და ტკივილი უთქმელი,
საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცელი.

დაბინდული გონება და გაზეზილი მუცელი,
საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცელი.

„ბრძენთა“ჩვენთა დუმილი და დაკრეფილი გულს ხელი,
საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცელი.

ბაღვაშის და შადიმანის სული, სული უცვლელი,
საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცელი.

22 დეკემბერი – დარდი ამოუთქმელი,
საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცელი.

30 იანვარი, 1992 წელი

* * *

თუ არ ისმინე, თუ არ იხილე,
თუ ქვეყნის ტკივილს თვალ-ყურს მიაჩვევ,
შენი დუმილი (ვითომ სიფრთხილე),
ჩემო ბატონო, არის სილაჩრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ხედავ ერის იარას,
ხალხს უიმედოს და უპატრონოს,
შენი დუმილი (სიბრძნე კი არა)
ღალატი არის, ჩემო ბატონო!

30 იანვარი, 1992 წელი

1992 წლის 2 თებერვალი ცირკში და ცირკთან

ცირკში

განათებული ცირკის არენა,
ცირკში ხალისი და ზეიმია.
ყირაზე დგება დათვი დათუჩა,
მღერის სპილო და ცეკვავს ფინია.

ნაზად ეხვევა ფაკირს პითონი,
ბაგირზე გადის შავი ავაზა,
შემდეგ სცენაზე ვეფხვი გამოდის
და ცეცხლის რკალში ხტება ლამაზად.

აფთარი, ფეხის წვერზე შემდგარი,
ცხენის გავაზე იწყებს თულობას,
ჯუნგლების მეფე, ლომი ამაყი,
ქალს სახესა და ხელებს ულოკავს.

არის სიცილი და ჟრიამული,
სიხარულია ნორჩი გულების,
და ურიგებენ ბავშვებს კამფეტებს
ბაფთებიანი მაიმუნები.

ცირკის არენა – სავსე მხეცებით,
ხალხს კი მხეცების არ ეშინია,
ცირკში სიმშვიდე და სიცილია,
ცირკში სიცოცხლე და ზეიმია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკთან

ცირკთან კი... ცირკთან ხროვა ნადირთა
ღრინავს, ეშვივით იქნევს იარაღს,
ავტომატების ჯერმა გველივით
ხალხის რიგები გადაიარა.

დგას „ბეტეერთან“ კაცი – პითონი,
კაცი – ლენჩი და კაცი – დებილი,
ცივი წყალი და ცხელი ტყვიები
დათარეშობენ მშიერ მგლებივით.

არც სიბრალული, არც შეცოდება,
არც ხმა სიკეთის და პატიების,
ცირკთან ორფეხა მაიმუნები
„ასაჩუქრებენ“ ბავშვებს ტყვიებით.

და ბიჭი, მამის მხრებს ჩაფრენილი,
უცებ ჩიტივით ასკდება მიწას,
იქვე ჭაბუკი ღია თვალებით
სისხლით შეღებილ დროშასთან მიწვა.

იღრინებიან „ბეტეერები“
და ხალხს ტყვიები უყეფენ შიშით....
შეხედეთ, ნახეთ, ნახეთ, შეხედეთ,
მხეცები ცირკთან, „მხეცები“ – ცირკში.

თებერვალი, 1992 წელი

* * *

„აქეთ“ და „იქით“
„იქით“ და „აქეთ“, „აქეთ“ და „იქით“,
ორივე არის მამულზე ფიქრი.
„ჩვენ“ და „ისინი“, „ისინი“ და „ჩვენ“,
ბოლოს ხომ უნდა ერთ მიწად დავრჩეთ!

2 თებერვალი, 1992 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განა სიკვდილთან შეხვედრა მზარავს,
ყველას სიკვდილის შვილები გვქვია.
ვინც უნდა მომკლას, ოღონდაც არა,
ოღონდაც არა ქართველის ტყვიამ.

ისეც ღრუბელი ადგება ჩემს მზეს,
გინდ აქეთ ვიყო და გინდა იქით.
აღარ მასვენებს მე უფრო თქვენზე,
თქვენზე წუხილი და თქვენზე ფიქრი.

გამიგეთ, რასაც გულწრფელად გეტყვით,
გამიგე, შვილო! გამიგე, ბიჭო!
არის სასჯელი სიკვდილზე მეტი,
როცა სიცოცხლეს სიკვდილიც კი სჯობს.

დაგერქმეოდათ სახელი მკვლელის,
მკვლელის და ისიც თვისტომის მკვლელის,
ქართველისათვის ამაზე მძიმე
არ მეგულება მე სხვა სასჯელი.

რაკი გადავრჩი განგების ნებით
და ამცდა თქვენგან ნასროლი ტყვია...
ახლა ერთსა გთხოვთ, ერთს გევედრებით,
გონს მოდით, სანამ არ არის გვიან.

სანამ გაყიდდეთ 30 ვერცხლად
სამშობლოსათვის შესაწირ თავებს,
სანამდე ბავშვებს დატოვებთ ობლად,
სანამდე დედებს ჩააცმევთ შავებს,

სანამდე ხალხი გიწოდებთ მკვლელებს
(დრო ყველას თავის სახელებს არქმევს),
სანამ შეახებთ სისხლიან ხელებს,
შვილებო, თქვენი შვილების აკვნებს,

სანამ ქუჩაში ქართველ გოგონებს
იების ნაცვლად ესროდეთ ტყვიებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშმაკის სული ნუ დაგიმონებთ,
სძლიეთ სატანას, ბიჭებო, სძლიეთ!

გადაარჩინეთ დედები თქვენი,
სანამ სხვის დედებს ესროდეთ ტყვიებს,
რომ აღარ ერქვათ დედები მკვლელის,
სძლიეთ სატანას, ბიჭებო, სძლიეთ!

არ დაივიწყოთ შვილები თქვენი,
სანამ სხვის შვილებს ესროდეთ ტყვიებს,
რომ აღარ დარჩნენ შვილებად მკვლელის,
სძლიეთ სატანას, ბიჭებო, სძლიეთ!

* * *

და მაინც თუკი,
თუ მაინც მოხდა,
თუ გაიმარჯვა მაინც მაცილმა,
თქვენგან ნასროლი ტყვია თუ მომხვდა,
უბედურებას ვერ აგაცილეთ.

შეგინდოთ ღმერთმა!... მე კი ახლავე
გაძლევთ შენდობას და პატიებას.
მე ვიცი, ერთ დროს თქვენს გულს დახრავენ
ჩემსკენ ნასროლი თქვენი ტყვიები.

და როცა მოვა, ბიჭებო, სხვა დრო,
და ეს დღეები შერჩება ხსოვნას,
ჩემო წუხილო, ტკივილო, დარდო,
მექნება ერთი სურვილი, თხოვნა.

როს დაადუღებს დრო ძარღვში მაჭარს,
მოგემატებათ წლები და ჭკუაც,
როცა გაარჩევთ ვაჟკაცს და ლაჩარს,
როცა გაარჩევთ მართალს და მტყუანს,

ბიჭებო ! როცა მიხვდებით თვითონ,
რას ნიშნავს ქვეყნად დარჩენა კაცად,
ჩემს სამარესთან მიხაკი თითო
დააწყვეთ თქვენი ტყვიების ნაცვლად.

10 თებერვალი, 1992 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაი, სადამდე დავეცით

ვაი, სადამდე დავეცით, ვაი სადამდე დავედით,
გვირგვინს მზეთა მზე თამარის და ტახტს
მძლეთა მძლე დავითის,
ქურდბაცაცების ყიჟინით, „ინტელიგენტთა“ ნაღარით,
ხელდახელ ეპოტინება ნაქურდალ-ნაყაჩაღარი.
თუმც მტრებთან ბევრჯერ დავმარცხდით
ღალატითა და სიმცირით,
ეს არის საქართველოსთვის ათასჯერ მეტი სირცხვილი.
10 თებერვალი, 1992 წელი

რისი სირცხვილი

როცა დაცლილი ვაზნები ყრია,
ასე მგონია, ადრე თუ გვიან,
რაკი სიცოცხლეს ესროლეს ტყვია,
სირცხვილისაგან თავს იკლავს ტყვიაც.

მე კი ამათმა ყურებამ მომკლა,
ცქერამ ამდენი ყაჩაღის, მკვლელის,
რისი სირცხვილი და თავის მოკვლა,
ყველა ჯილდოს და საავარძელს ელის.
25 თებერვალი, 1992 წელი

კომენდანტის საათი თბილისში

და ემსგავსება უფრო და უფრო
ქალაქი – ციხეს, ქუჩები – საკნებს,
ხალხის სათქმელს და განსასჯელს უფლის
დღეს ავტომატი და ტანკი არკვევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც სიტყვას ესვრიან ტყვიას,
ეს რასაც ნიშნავს, ხომ ყველამ უწყის,
ახლა დაცლილი ვაზნები ყრია
იქ, სადაც ვარდებს ვაწყობდით უწინ.

თუმცა ისრები ითვლიან წამებს,
არც დრო, არც ხალხი უკან არ იხევს,
ტყვიების ჯერით დაჭრილი ღამეც
წევს და ჭრილობებს დუმილით იხვევს.

ჩამოუხსნია ნიღაბი სირცხვილს,
ფეხებით თელავს სიმართლეს ძალა
და ახლა შიში, შიში და სისხლი,
ვით ლაოკოონს, ეხვევა ქალაქს.

25 თებერვალი, 1992 წელი

ნიღბები

გულში უტყვიოდ ვიჭრები,
ყოველდღე ვკვდები, ვთავდები,
როცა მხვდებიან ბიჭები
ნიღბით და ავტომატებით.

ეს ნიღბებია დასტური
ან შიშის, ან სირცხილისა,
კაენის სახე და სული
ისედაც იცის თბილისმა.

მე უფრო იმის დარდი მაქვს,
სისხლ-ცრემლად უფრო ვიღვრები,
როცა მკვლელები დადიან
დ-ე-მ-ო-კ-რ-ა-ტ-ი-ი-ს ნიღბებით!

თებერვალი, 1992 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

მტერს და მოყვარეს დავხვდები,
როგორც რიგი და წესია,
მაგრამ რა ვუყო იმ ტყვიას,
რუსთაველზე რომ მესვრიან.

როდესაც ვხედავ ასევე, –
სიბნელე ჯაბნის სინათლეს,
ძმის ტყვიას გადარჩენილი,
ურჯულოს ტყვიას ვინატრებ.

თებერვალი, 1992 წელი

ორად გაყოფილი სული და ქუჩა

ვუძღვნი მშვიდობიანი მიტინგებისა და მანიფესტაციების მონაწილეებს: მოცეკვავე ლატავრა ფოჩიანს და მომღერალ ნანა ბელქანიას

აქეთ –სცენის თეთრი გედი
და დობილი იების,
იქით – ცეკვა „ბეტერების“
და წკავწკავი ტყვიების.

აქეთ – „ნანა სქუას“ ხმები,
ნდობის და პატიების.
იქით – ღრენა „ბეტერების“
და წივილი ტყვიების

იქითა დგას ორი ტანკი,
აქეთ – ორი ლერწამი...
ქართულ ცეკვას, ქართულს ჰანგებს
მუხლუხებით ლეწავენ.

მაგრამ, თქვენი სა– ქარ–თვე– ლო,
„საქართველოს“ ძახილი,
არის ახლა თქვენი ცეკვა,
სიმღერაც და მახვილიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენაცვალე, ტყვიების ქვეშ,
თქვენს ცეკვას და გალობას,
საქართველოს ზარის რეკვას,
თქვენს დიდ ქართველქალობას.

თებერვალი, 1992 წელი

ჩემი თაყვანი

ყველას, ვისაც კი წვიმაში, თოვლში
ვედექი გვერდით და მედგა გვერდით,
ვინც ამაყად და სამშობლოს დროშით
ტყვიებს და სიკვდილს ხვდებოდა მკერდით, –
ჩემი თაყვანი!

შიშველი ხელით ტანკებს რომ ძლიეს,
გაუტეხელი ნებით და სულით,
ჭაბუკს და მოხუცს, სუსტსა და ძლიერს,
თავისუფლების წყურვილს და სურვილს, –
ჩემი თაყვანი!

ტყვიებითა და სიტყვით დაჭრილებს,
მოშიმშილეებს ნაგვემ-ნაცემებს,
მოკლულ გოგონებს, მოკლულ ყმაწვილებს,
მათი დედების ტკივილს და ცრემლებს, –
ჩემი თაყვანი!

სამშობლოსათვის ანთებულ თვალებს,
საქართველოსთვის დროშად გაშლილებს,
ბარიკადებთან დამდგარ ჩვენს ქალებს:
დედებს, მეუღლეს, დებსა და შვილებს, –
ჩემი თაყვანი!

ვინც ყაჩაღების კანონი არ სცნო,
ვინც ტვირთის ზიდვა ბოლომდე შეძლო,
ყველას, ო, ყველას, უცნობს და ნაცნობს,
ყველა თანამდგომს და თანამებრძოლს, –
ჩემი თაყვანი!

5 თებერვალი, 1992 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგის ცრემლით თვალდანამული,
ცდილობდა ნემსის ყუნწში გაძრომას,
რისი სამშობლო, რისი მამული,
თურმე – საკუთარ კუჭის გაძღომა.

ბრძოლა აშკარა, ბრძოლა მალული,
ვითომ ქართული სულის ხსნისათვის,
რისი სული და რისი მამული,
თურმე – საკუთარ სახელისათვის.

ვითომ ბრძენის და ვითომ სწავლულის
ბრძოლა ჯვარცმული მამულისათვის,
რისი ჯვარი და რისი მამული,
თურმე – საკუთარ სავარძლისათვის.

დავდივარ, ვუმზერ გულმოწამლული
სახეს იუდას, სახეს პილატეს,
რისი ხალხი და რისი მამული,
თურმე პირადი... მხოლოდ პირადი...

5 მარტი, 1992 წელი

ის

1.
ის ისევ თესავს, ის ისევ მკის,
მისი ბუნება ისევ ჭრელია,
საქართველოს – კი, სამშობლოს– კი,
მაგრამ სავარძელს ვერ შეელია.

ის არის სწორედ, ის არის ის,
შაჰსა და სულთანს ფირმანს რომ სთხოვდა,
დარიალის თუ სპარსეთის გზით
საქართველოს მტრებს რომ მოუძღოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის შხამიანს, ენას არა ტკბილს
ათაფლებს, როცა ღალატის დროა.
ნარიყალასთან, კრწანისთან კი
მოხუცი მეფე მტერს შეატოვა.

ის ზოგჯერ დუმს, აჭერს ენას კბილს,
ეს უთქმელობაც ბევრის მთქმელია.
რუსთველის გამზირს, თბილისსაც – კი,
30 ვერცხლს კი ვერ შეელია.

ხმის არ გამეცმი მომხვდურის, მტრის,
თავის ხალხსა და მამულს უყეფდა.
ციხეს შიგნიდან ის ტეხდა, ის
და მტრებს თბილისის კარებს უღებდა.

ის ისე აქსოვს უცხო ხმებს კრინს,
ზოგჯერ გარჩევა მართლა ძნელია,
სინდის-ნამუსს – კი, კაცობას – კი,
კაი სმა-ჭამას ვერ შეელია.

სამშობლოს დუღაბს, ქვას, აგურს, კირს
ის ტალახად და ლერწად ერია.
თავისუფლებას, ღირსებას – კი,
მაგრამ ოქროს ჯაჭვს ვერ შეელია...

ის არის სწორედ, ის არის, ის,
ვინც იმპერატორს ჩინ-მედლებს სთხოვდა,
დარიალის და სპარსეთის გზით
საქართველოს მტრებს რომ მოუძღოდა.

2.
გმირი ქვეყნისთვის ისევ ღვრის სისხლს,
გამოვაღწიეთ რაკი აქამდე.
ის კი არსდროს არ იყო ის,
ვისაც ერისთვის ჯვარზე აკრავდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც სხვისთვის იბრძვის, ომს იგებს სხვის,
სიკვდილთან ერთად არის წამსვლელი..
ის – არ ყოფილა არასდროს ის –
ქვეყნისთვის ტანზე თაფლის წამსმელი.

ორგული თავის მიწის და ცის,
ბინადარია ცოცხლად ქვესკნელის.
ის არასოდეს არ იყო ის,
– არც კირითხურო, არც მხვნელ-მთესველი.

სამშობლოს მტერი და მონა მტრის,
შერჩება მიწას მხოლოდ ბალახად,
ის – არასოდეს არ წერდა ის,
არც ვეფხვის და არც მოყმის ბალადას.

ის – უკვდავია, არ კვდება ის,
ის – ყველა დროის თანამედროვე.
მაგრამ, ასევე იმედად ხსნის,
მამულს მუდამ ჰყავს ცოტნეც, თევდორეც.

დღესაც არიან ისინი,
ის, –
–საქართველოს მტრებს ტაშს რომ უკრავენ,
მაგრამ ნებით და იმედით ღვთის
ჩემი სამშობლოც არის უკვდავი.

6 მარტი, 1992 წელი

ითამაშა ყველა როლი

ითამაშა მეფის როლი
(როლი ცეკას მდივანის),
როლი ტაკიმასხარის და
როლი იმ შადიმანის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როლი ისკარიოტელის,
პილატეს და კაენის...
რა ღიმილით, რა სიცილთ,
რა მანერით, რა ენით.

მართლაც დიდი, დიიდი,
დიდოსტატი სცენების,
ახლა ცოტნეს როლს თამაშობს
და როლს აღმაშენებლის.

მართლაც „დიდი მსახიობი“,
„ენამჭევრი“, „ენამზე“...
ითამაშა ყველა როლი,
ოღონდ, არა სცენაზე.

11 მარტი, 1992 წელი

გინდა დაიჯერე, გინდა არა

თუ ხალხი გონს არ მოეგო,
თუკი არ გადაიკარა,
ცუდი დღე გველის, ბატონო,
გინდა დაიჯერე, გინდა – არა!

შერჩება მთელი ქვეყანა
ქურდს, ყაჩაღს და ვიგინდარას.
ასე იქნება ბატონო,
გინდა დაიჯერე, გინდა – არა!

თუ კვლავ სამშობლოს უღელი
სიმართლემ არ გაიტანა,
დავიღუპებით, ბატონო,
გინდა დაიჯერე, გინდა – არა!

7 მარტი, 1992 წელი

ქართველ ინტელიგენციას კი არა, ზოგიერთ ქართველ „ინტელიგენტს“

„მადლობა ინტელიგენციას, რომელმაც დროულად აიღო იარაღი “.
ე. შევარდნაძე
(ტელეკრანიდანგაგონილი)

აბა, რა ვუთხრა უმწიფარ ბიჭებს,
მათ, ვინც ნიღბებით ქუჩებში დარბის,
მათ, ვინც ავტომატს ხელში ძლივს იჭერს,
უჭირს გარჩევა ცოდვის და მადლის.

ის ცოდვის ტვირთი უნდა ატაროთ,
უნდა ატაროთ, რიგით და წესით,
თქვენ, ქალბატონო! და თქვენ, ბატონო!
ვინც მათი გული აავსეთ გესლით.

თქვენი ჩინ-ჯილდო არ ნიშნავს სულაც
ხალხის სიყვარულს, ნებას და სურვილს,
ეს თქვენ აქციეთ კაენის სულად
ჩვენი ბიჭების უმანკო სული.

თუკი დღეს ავობს სიკეთის ნიჭი
და ფუნჯის ნაცვლად ავტომატს იღებს,
ეს თქვენ ადებდით იმ ქართველ ბიჭებს
სულზე ბორკილებს, სახეზე ნიღბებს.

თქვენ აქეზებდით: –დასცხეთ, ბიჭებო!
თქვენ აჩეჩებდით ხელში იარაღს,
იმ რუსთაველზე კაენის სულმაც
თქვენი სურვილით გადაიარა.

რასაც ნგრევა და სიკვდილი ჰქვია,
იქ ლომის წილი სწორედ თქვენ გიდევთ,
ეს თქვენ მესროლეთ მეც იმ დღეს ტყვია,
თქვენი ხელიდან მკვდარი ვარ კიდეც.

რას ეტყვით ანდა რა პასუხს გასცემთ
ხალხს, თქვენი ლირწის მნახველს და მჭვრეტელს,

არ მოსცილდება არასდროს სისხლი
თქვენს კალამს, თქვენს ფუნჯს და თქვენს საჭრეთელს.

რაც მოხდა, გულში რაც გჭირს იარა,
არ უნდა დიდი ჭკუა და ცოდნა,
თქვენ გადევთ,
მარტო მკვდრების კი არა, –
ცოცხლად დარჩენილ ბიჭების ცოდვაც.

12 მარტი, 1992 წელი

სად, სად ვილოცოთ?

„ვინც იტანჯება თქვენს შორის, ილოცოს... "
იაკობი, „ახალი აღთქმა"

ღვთის მსახური თუ
მხვნელ-მთესველი,
კაცი მელექსე,
აკაკანებენ
ავტომატებს
ლოცვის მაგიერ.
სად, სად ვილოცოთ,
სალოცავი
უპირველესი, –
ჩვენი სამშობლო
საქართველო
თუ დავანგრიეთ?

16 მარტი, 1992 წელი

ამბობს მამული

მითქვამს ცრემლით და გოდებით,
სიმღერით, ლექსად, რომანად:
– რას დამაკლებდა მონღოლი, ისევ ქართველი რომ არა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმც ბევრჯერ გადაიარა ეკალ-ბარდმა და კომარამ,
რას დამაკლებდა თათარი, ისევ ქართველი რომ არა!

ქედზე უღელი რომ მედგა, ბედმა რომ ბევრჯერ მომხარა,
– რას დამაკლებდა სპარსელი, ისევ ქართველი რომ არა!

რომ არა ისევ უძღები შვილი, ბრიყვი და მცონარა,
– რას დამაკლებდა ეს რუსიც, ისევ ქართველი რომ არა!

გული კვლავ ცუდად მიკვნესის, როცა ვუყურებ მომავალს,
მტერი ვერაფერს დამაკლებს, ისევ ქართველი რომ არა!

22 მარტი, 1992 წელი

ღმერთი არ გვაპატიებს...

„ღმერთო ჩემო, აღარ გეყოფათ ქალების
დამცირება და ლანძღვა-გინება?!“
გაზეთ „იბერია-სპექტრში“ გამოქვეყნებული წერილიდან

ჩვენმა მტრებმა იცოდნენ (ახლაც კარგად იციან)
ის ქართული ანდაზა: „ქალმა თუ გაიწია...“

ამაოა ტყვიები, ბროლის კოშკის აგება,
ძალით არვის არ ძალუძს ქალის გულის აღება.

მტრობა და სიძულვილი ამაოა სრულიად,
ქალის დამმარცხებელი მხოლოდ სიყვარულია.

ჩვენ კი ჩვენი გულქვობით იმ ვარსქენსაც ვაჯობეთ,
ადრე ქალს ვუჩოქებდით, ახლა ქალებს ვაჩოქებთ.

ადრე ხელს ვუკოცნიდით, ახლა ხელით ვეხებით,
მის სახელს და მის მანდილს ვთელავთ ბინძურ ფეხებით.

მოვანატრეთ ოცნება და სურნელი იების,
ადრე ვარდებს ვესროდით, ახლა მზად გვაქვს ტყვიები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვიაც აღარ ვაკმარეთ და სიტყვებით მოვკალით
ის კრავაი ჯაყელი და ის ხოშაქ ცოქალი.

კარვის ქალად მოვნათლეთ მარუჩ-თინათინები,
ადრე ლექსებს ვუძღვნიდით, ახლა ვიკლებთ გინებით.

წყენეთელსა და წავკისელს ახლა ვარქმევთ „მდედრიონს“,
ალბათ ქალი ხვარამზეც სხვაგან უნდა ვეძიოთ.

2.
ჩვენ კი სწორედ ერი ვართ ღვთისმშობელის წილხვედრი,
ყველა ტკივილს, იარას ქალი ცრემლით ვიხვევდით.

ქვეყნის ყველა წუხილი ქალის გულში ეტევა,
საქართველოს ებრძოდნენ, როს ებრძოდნენ ქეთევანს.

ცხრა ძმამ ფეხი პირველად დედის გულში აიდგა
და ილიას საფლავზეც ის მწუხარე ქალი დგას.

ის ქართველი ქალი დგას ახლაც ნარიყალაზე,
საქართველოს ღირსება, სიბრძნე და სილამაზე.

მისი სინდის-ნამუსი თუ ჩვენ ასე ვათრიეთ,
თუმცა იგი შეგვინდობს,
—ღმერთი არ გვაპატიებს.

28 მარტი, 1992 წელი

ცოტნე დადიანის მიმართვა სრულიად საქართველოსადმი

ჩემო რაჭავ და ლეჩხუმო,
რა დარდი და ტკივილია,
შენ რომ ზუგდიდში მოჰკალი,
ის ბიჭი ჩემი შვილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმერეთო და სვანეთო,
კიდევ რას ვნახავ უარესს,
ჩემი დედაა ის ქალი,
ფეხით რომ გადაუარე.

აფხაზეთო და მესხეთო,
ვერვინ წაუვა განაჩენს,
სენაკში ლაფი დაასხი
თმაგათეთრებულ მამაჩემს.

ჩემო ქართლო და კახეთო,
უნდა მიხვდე და გაიგო,
შენ რომ ნამუსი ახადე,
ის გოგო ჩემი და იყო.

ფშავ-ხევსურეთო, თუშეთო,
მსაჯული ისევ ცა იყოს,
შვილის სიცოცხლეს რომ გთხოვდა,
ის ჩემი ცოლის ხმა იყო.

ჩემო ამერო, იმერო,
ქართლო, აჭარა-გურიავ,
თქვენ რომ ტყვიებით დაცხრილეთ,
ის მიწა ჩემი გულია.

25 ივლისი, 1992 წელი

აღა-მაჰმად-ხანის ამოძახილი საფლავიდან

ამას ველოდი ორასი წელი,
აღსრულდა ჩემი ოცნება ძველი,
ხომ მოუთავეს თვითონვე ხელი,
რაც იმ დღეს თბილისს მე დავაკელი.
ცოტა მოთმენაც თუკი შევძელი,
ქართველებისგან უფრო მეტს ველი.

ივლისი, 1992 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მოვიშალეთ აქამდე

შურით, სიავით, ქიშპობით
და ერთმანეთის ღალატით,
ჩვენი სამშობლოს ღირსებას
ხშირად თვითონვე ვბღალავდით.

რისი მონღოლი, არაბი,
რისი მტერი და დამპყრობი,
ვჭვრეტ საქართველოს ისევე
ქართველთა ხელით დამხობილს.

არ მოვიშალეთ აქამდე
ის ავი ზნე და ბუნება,
ალბათ თვალების დათხრა სჯობს
ამგვარ მამულის ყურებას.

სამშობლოსა და დედის რძე
რაკი შევირგეთ არამად,
დღეს ჩვენ სამშობლოს კი არა,
საფლავის ღირსიც არა ვართ.

თელავი, 1992 წელი

* * *

გაძღა...
დადუმდა, რაკი არ შია,
ისევ დაიდგა ქედზე უღელი.
სამშობლოს ისევ პური არჩია
და იმ ოქროს ჯაჭვს ისევ უმღერის.

ისევ ძველ ჩინით, მედლით შემკულებს
თავისუფლების არ სურთ ხსენება..
ამათ ხელში და ამათ შემყურეს,
ჩემო სამშობლოვ, რა გეშველება!

თელავი, 1992 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურგვა

ცხოვრება გახდა მკაცრი და გულქვა,
და ჩემს ფიქრებთან მარტო ვარ, მარტო,
შემომციცინებს თვალებში მურგვა,
მე კი მის ძაღლურ ცხოვრებას ვნატრობ.

თუმცა ძაღლია და კარგად იცის,
ძაღლის ცხოვრება და ძაღლის ყოფა,
ახლა კაცურად გამიგებს ისიც,
რატომ ვარჩიე ძაღლებთან ყოფნა.

თელავი, 1992 წელი

როგორიცა ხარ, ისეთი

შენი მინდვრებით, მთა-გორით,
წიწამურით და ზეკარით,
შენი კრწანისით, შამქორით,
შენი ვარდით და ეკალით.

შენი რუსთველით, თამარით,
შადიმანით და ბაღვაშით,
ტალახით, ლაფით, სამარით,
ძეგლით, კვარცხლბეკით, ბადახშით.

შენი დარდით და სიცილით,
სიხარულით და ტირილით,
შენი ღირსებით, სირცხვილით,
სიამაყით და ტკივილით.

შენი ფესვით თუ მარცვალით,
მოკლე დღით, გრძელი ღამითაც,
ჩემი ხარ, შენ გენაცვალე,
შენი კარგით და ავითაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი რისხვით და ალერსით,
სიმკაცრითა და სიკეთით,
მიყვარხარ, ჩემო სამშობლოვ,
როგორიცა ხარ, ისეთი!

15 სექტემბერი, 1992 წელი

ისევ ღმერთი და რწმენა სიკეთის

ისევ ღმერთი და რწმენა სიკეთის
მიშველის,
თუკი რამე მიშველის.
ვხედავ, მარტოდენ მეფე კი არა,
დღეს თვითონ ხალხიც არის შიშველი.

ჩამოხსნილი აქვს ყველას ნიღაბი
და ვატყობ, საქმე ისე წავიდა, –
გაცნობა ბევრი ნაცნობ-მეგობრის
უნდა დავიწყო ისევ თავიდან.

5 ოქტომბერი, 1992 წელი

ქუდები

ქუჩა დაღლილი, შეშლილი,
ჯავრით, წუხილით, დარდით,
ქუჩაში დადის შიმშილი,
ქუჩაში შიში დადის.

ახლა იაფი სისხლია,
ახლა ბატონობს ტყვია,
ქუდი, კაცობის ნიშანი,
ახლა მიწაზე გდია.

გაქრა ღიმილი, სიცილი,
ბედნიერების ხვედრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავჩაქინდრული სირცხვილი
უდგას მათხოვარს გვერდით.

ნოემბერი, 1992 წელი

ეს სილამაზე

სამშობლოს ეს სილამაზე,
არა, არ მიკვირს სრულიად.
ჩვენს ცას ასე რომ ანაზებს,
ქართველ დიაცთა სულია.

ჩვენ მიწას იმდენ კაი ყმას,
ლამაზ ვაჟკაცებს ვაბარებთ,
არ შეიძლება ლამაზი,
არ იყოს ჩვენი მთა-ბარი.

31 დეკემბერი, 1992 წელი

ისევ სიბნელე სრული

ირგვლივ სიბნელე სრული,
ვსახლობ წუხილის ტყეში,
მტერს არ ვუსურვებ ყოფნას,
მე რომ ვარ, იმგვარ დღეში.

1992 წელი

ციხეში

კი,
ვარ
ნამდვილად უკეთეს დღეში,
ვიჯექი ჭურში,
ვზივარ ციხეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულ ჭურში ყოფნას და....
ხვრელში ძრომას,
კი,
სჯობს ნამდვილად ციხეში ჯდომა.

1992 წელი

ლიტერატურული რემინისცენციები

1.
კვლავ იღლიტება ქვეყნის გამღლეტი,
თითქოს დრო-ჟამი, სივრცე არ ყოფნის.
საქართველო კი, როგორც ჰამლეტი,
იწყებს მონოლოგს ყოფნა-არყოფნის.

2.
ისევ გნიასი, ღრენა, ყვირილი
და ძმათა შუღლი აღარ თავდება.
საქართველო კი, მეფე ლირივით,
არავის ახსოვს და ედარდება.

3.
ცოტა ნაკლები თუ ცოტა მეტი,
ერთი წუხილი და ტკივილია.
ასე მგონია, პრინცი ჰამლეტი
მოხუცებული მეფე ლირია.

4.
ავსებულია ბოლმით ყელამდე
და ხალხის რიგებს ტყვიები თიბავს,
ხელს ხომ იბანდა მაშინ პილატე,
ახლა პილატე ხელსაც არ იბანს.

5.
არა, არ არის არაკი რუქას,
ნამდვილად არ გვაქვს ჩვენ მოვლის თავი,
და საქართველოს მიწაც და რუკაც
ილევა როგორც შაგრენის ტყავი.

1992 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ბიჭებს ვმარხავთ, რა ბიჭებს!

მამული უდგას მსაჯულად,
ჩვენს ფიქრებს, სიტყვებს, ნაბიჯებს.
შეხედეთ, საქართველოში,
რა ბიჭებს ვმარხავთ, რა ბიჭებს!

რა ბიჭებს, რა ანგელოზებს,
მართლაცდა კალმით ნახატებს.
ამათ სახეებს შევხედოთ,
სანამდე ყინწვისს ვნახავდეთ.

ამათ საფლავებს შევხედოთ,
სანამდე სანთლებს ავანთებთ.
თვითონ მოვუხმოთ სამართალს,
სანამ დრო გაგვასამართლებს.

განსჯა სჭირდება ათასჯერ
ჩვენს სიტყვებს, ფიქრებს, ნაბიჯებს,
ვაიმე, საქართველოში
რა ბიჭებს ვმარხავთ, რა ბიჭებს!

1 იანვარი, 1993 წელი

რა დრო დაგვიდგა

„სიკვდილი გაძვირდა“
გაზეთებიდან

დღეს ბევრი ჭირისუფალის
გული და ცრემლი გაცივდა,
ისე გაჭირდა ცხოვრება,
სიკვდილი ისე გაძვირდა.

ვაი, სანამდე მივედით,
რა დრო დაგვიდგა, რა დრონი,
მკვდარზე ათასჯერ ცოდვაა
დღეს კაცი, მკვდარის პატრონი.

4 თებერვალი, 1993 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგჯერ ტკივილი ისე დიდია

ჭკუას მარიგებს ვიღაც დებილი,
უკვე მოსმენაც არ შემიძლია,
ჩასაფრებული ყაჩაღებივით
ჩემი დღეები უკვე მიცდიან.

საკუთარ თავსაც ვეღარ გავანდე
ფიქრი ეული და დაწრეტილი,
იქნებ სჯობია ტყვია გავარდეს,
იქნებ სჯობია დასმა წერტილის.

10 თებერვალი, 1993 წელი

შტრიხები ავტოპორტრეტისათვის

დღეს, როცა ხალხი შიმშილობს,
დარდი ცრემლებად ყრია,
შენ რომ მაძღარმა იარო,
სირცხვილზე მეტიც კია.

დღეს, როცა ბეწვზე ჰკიდია,
შენი სამშობლოს ბედი,
საკუთარ ბედზე იფიქრო,
არის სირცხვილზე მეტი.

მარტი, 1993 წელი

სამშობლოს სიყვარულისთვის

რა ჯიშია და ჯილაგი,
რა სისხლია და გენია,
სამშობლოს სიყვარულისთვის
სამშობლოდან რომ გდევნიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ჰქვია ასეთ ქვეყანას,
ან რა კანონი, წესია
სამშობლოს სიყვარულისთვის,
სახლში რომ ტყვიას გესვრიან.

სამშობლოს სიყვარულისთვის
ათას აუგს რომ გკადრებენ
და თან სამშობლოს სახელით,
ხელზე ბორკილებს გადებენ.

არა და აღარ გვცილდები,
„ქართლის ჭირო“, არ გვირჩები,
სამშობლოს სიყვარულისთვის
სამშობლოშივე ვისჯებით.

26 ივნისი, 1993 წელი

დადგება ჟამი

ცოდვის უღელი ხომ ბევრმა ზიდა,
ისევ ღალატის ბორკილით კრავენ.
ვაგლახ! რომ ისევ სამშობლო ზრდიდა
ყველა იუდას და ყველა კაენს.

კვლავ შეუჭმელი რჩება მტრის ჯავრი,
ისევ ღალატი და გაწბილება,
გაკრული არის სამშობლო ჯვარზე
და არის ვერცხლის განაწილება.

მაგრამ ყველაფერს ისევ დრო ახსნის,
დროა გამრჩევი თეთრის და შავის,
მჯერა, დადგება ჯვარიდან ახსნის
და საქართველოს აღდგომის ჟამი!

15 ივლისი, 1993 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

დრო არის ავი და შიშის მგვრელი,
ფიქრიც ჯიუტად დაეძებს მიზეზს,
შიმშილი ყმუის, როგორც ძუ მგელი,
მიღრენს და ცივი თვალებით მიმზერს.

თბილისი, 1993 წელი

არ დაიჩოქებს!

„საქართველო დამარცხდა, საქართველომ დაიჩოქა".
ე. შევარდნაძე

1.
– საქართველო დამარცხდა, მუხლზე დაჩოქილია,
ღმერთო, რა სიტყვებია, ღმერთო, რა ტკივილია.

ღმერთო, რა წუხილია, ღმერთო, რა სირცხვილია,
– საქართველო დამარცხდა, მუხლზე დაჩოქილია.

ნეტავ ამას ვინ ამბობს, რა გულით და რა ენით,
ალბათ ხმაა იუდას, ალბათ ხმაა კაენის.

ალბათ ხმაა ბაღვაშის ანდა შადიმანისა,
ან თბილისში მოვარდნილ აღა-მაჰმად-ხანისა.

ახსოვს თბილისს ის წლები და სურვილი ურდოთა,
როს თბილისის დამცრობა, დაჩოქება უნდოდათ.

ახსოვს ჯალალედინის რისხვაცა და მუქარაც!
მაგრამ, დედაქალაქმა ქედი არ მოუხარა.

მაშინ მტერმა ვერ ნახა, რაც ისურვა, ინატრა,
ხალხმა არ დაიჩოქა, მტკვარი გასისხლმდინარდა.

მტკვარი, სისხლით კი არა, დღეს სირცხვილით წითლდება,
დაჩოქილი სამშობლო ნეტავი ვის სჭირდება?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.
ისმის ვერცხლის ჩხრიალი და იუდას სისინი
და სამშობლოს მტრების წინ იჩოქებენ ისინი,

ვინც თბილისი გადაწვა, ნანგრევებად აქცია,
რუსთაველის გამზირი სისხლის ტბაში არწია.

საქართველო მოთხარა ცეცხლითა და მახვილით,
ვინც ხიზნებდა აქცია თვისი ხალხი აყრილი.

ვინც უღელი მონობის სიამაყით ატარა,
ვინც იმ ღამეს თბილისში დაუჩოქა სატანას.

საქართველოს ბორკილებს ისევ ვინც უგალობა,
ვინც ფურთხი და სირცხვილი დაჩოქილმა ალოკა.

ვინც არ იცის სინდისის ქენჯნა და სინანული,
ვინც კუჭსა და სავარძელს ანაცვალა მამული.

ვინც ერის და მამულის ჩირქია და წყლულია,
იმათ დაჩოქებული საქართველო სწყურიათ.

3.
მაგრამ ერთი ქართველიც სანამ უმზერს ბასიანს,
საქართველოს მახვილი ისევ ისე ბასრია.

სანამ ერთი ქართველიც დიდგორის ველს ჩაუვლის,
მონობაზე ფიქრიც კი არის დანაშაული.

სანამ ერთი თევდორეც დადის ბერის სამოსით,
მტერი ველარ წაბილწავს საქართველოს სალოცავს.

სანამ ის მაჩაბელი საქართველოს უმღერის,
არ ექნება დადგმული საქართველოს უღელი.

სანამ გორგასლიანი დროშა ისევ ფრიალებს,
ის მოხუცი ერეკლე ისევ ხმალს ატრიალებს...

სანამ საარაგვო და ის ჭყონდიდი იქნება,
რწმენა თავისუფლების არა, არ გაგვიქრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4.

დაე, ჩოქვით იაროს, ვისაც მუხლზე დგომა სურს,
მაგრამ ნურვინ წაბილწავს საქართველოს ამაყ სულს.

სანამ ერთი ქართველიც თავის მახვილს არ აგებს,
საქართველოს სახელით ნურვინ ილაპარაკებს.

სანამ ერთი ქართველიც დადის გაუტეხელი,
ნურვინ ნუ დაიჩოქებს საქართველოს სახელით.

მამულისთვის პაატა რაკი მოკვდა ამაყად,
ზვიადის და მერაბის სული ასე ამაღლდა,

რაკი დღესაც კოჯორთან მაყაშვილის ხმა ისმის,
რაკი ისევ ის მოყმე ვეფხვთან ჭიდილს არ იშლის.

ნატყვიარებს, ჭრილობებს და იარებს დავითვლით,
მაგრამ არ დაიჩოქებს საქართველო დავითის.

5.

ვერა, ვერ დაგაჩოქებს მტერი და უბედობა,
ფეხშიშველა თამარი ისევ უძღვის მხედრობას.

ისევ ისმის ღაღადი ლოცვად დამდგარ საბასი,
მტერს კვლავ ებრძვის თბილისთან არაგველი სამასი,

ჩვენთა დღეთა სიმტკიცე და იმედი ხვალისა,
ისევ ისმის ყორიალი დავით მეფის ხმალისა.

სანამ ისევ ყალყზე დგას სააკაძის მერანი,
საქართველოს დაჩოქილს ვერ იხილავს ვერავინ.

9 აპრილის ლეკვები სანამ ჩვენში დადიან,
უღელს ვერვინ დაადგამს ქედზე ცოტნე დადიანს.

სანამ გული დედოფლის საფლავში ვერ ეტევა,
მძიმე ჯვარი მამულის ისევ მიაქვს ქეთევანს.

სანამ ერთი გულიც კი არის გაუბზარავი,
საქართველოს მტრების წინ დაჩოქილი არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ ჩვენში დედები „იავნანას“ მღერიან,
საქართველოს მონობა არა, არ უწერია!

7–4 ოქტომბერი, 1993 წელი

პოეტად მოკვდე

„მე მოვკდები, როგორც პოეტს შეჰფერის“.
გალაკტიონი

არც ისე ბევრი უძლებს ბოლომდე
ამ წუთისოფლის გზაზე ხეტიალს.
მთავარი არის, – როგორ იცოცხლებ,
თორემ სიკვდილი ყველას ხვედრია.

ეს გზა, ეს წლები და ეს დღეები
შენი გოლგოთა, შენი ბედია,
მთავარი არის, – როგორ მოკვდები,
თორემ სიკვდილი ყველას ხვედრია.

არ ახალია ჩემი ფიქრები,
ჩემი წუხილიც, ვიცი, ძველია,
თურმე ძნელია იყო პოეტი,
პოეტად მოკვდე, – უფრო ძნელია

28 ოქტომბერი, 1993 წელი

დღეს საქართველო სისხლით მთვრალია

გულბაათ ჭავჭავაძის და შედან ჭელიძის გახსენება

კაცობაზე და თავის ჯილაგზე
ომში და ლხინში თავის დამდები,
გულბაათი და შედან ჭილაძე,
რა თავადები...
რა თამადები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლხინის სარდლები, სუფრის მგოსნები,
სიყვარულის და ძმობის თავდებნი...
შერჩა გარდასულ დღეთა ოცნებებს
ის თავადები,
ის თამადები.

დღეს ვუმზერ შიშით და შეშფოთებით
და თან ფიქრები არ მასვენებენ.
კი, იყვნენ ჩვენში ღვინის ლოთებიც,
ღვინის და არა სისხლის მსმელები.

დღეს კი რაც ხდება, ვხედავთ თავადაც,
სულ სხვა ხალხი და სულ სხვა სულია.
სიტყვის თუ სუფრის ცნობილ თამადებს
ღვინოზე უფრო სისხლი სწყურიათ.

დღეს ბევრი შურს და მტრობას აჩაღებს,
დღეს ბევრი სისხლის სუფრას თამადობს.
როცა თავადი ხდება ყაჩაღი,
ბევრი ყაჩაღი მაშინ თავადობს.

ერის ღირსება ისევ ხუნდება,
დღეს ყაჩაღობა რა სათქმელია.
ახლა კანონებს წერენ ქურდები,
ახლა ქურდები ტახტსაც ელიან.

სისხლმა წალეკა უკვე ქვეყანა,
კიდევ უარესს რას ველოდებით.
ავსებულია ახლა თბილისი,
ღვინის კი არა, სისხლის ლოთებით.

ეს რა სატანამ გადაგვიარა,
ვისი ცოდვა და ვისი ბრალია,
რომ საქართველო, ღვინით კი არა,
დღეს საქართველო სისხლით მთვრალია.

ოქტომბერი, 1993 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელს იცვლიან, რწმენას კი – არა

მგლებს ტანზე ცხვრების ტყავი აცვიათ,
სახელს იცვლიან, რწმენას კი – არა.
ისევ ქართველის სისხლი აცხია
ქართველი კაცის ხელს და იარაღს.

ისევ ძველი გზა, გზა სისხლიანი,
ერის დაცემის, ქვეყნის ღალატის,
ვამკეთ ორდენით გორგასლიანით,
დამანგრეველნი თბილის-ქალაქის.

კაცის სიცოცხლეს ჩალის ფასი აქვს,
ვანგრევთ, ვანებეთ თავი შენებას,
და საქართველო ვინც დააქცია,
ამ კაცს ვეძახით აღმაშენებელს.

ისევ სიცრუ და ორპირობა,
როგორც ქართველთა ზნე და წესია.
სამშობლოს ღალატს ჰქვია გმირობა,
სამშობლოს ჯალათს ვარქმევთ მესიას.

ნოემბერი, 1993 წელი

ისეთ დროს უნდა წახვიდე

საწუთროსა და ცხოვრებას
კბილებით ნუ ეჭიდები,
თუ სიცოცხლისთვის ტვირთი ხარ,
სიკვდილსაც აღარ სჭირდები

ისეთ დროს უნდა წახვიდე,
ისეთ დროს უნდა კვდებოდე,
სიკვდილს წაყვანა უნდოდეს,
სიცოცხლეს ენანებოდე.

ნოემბერი, 1993 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათასჯერ უფრო სამარცხვინოა

დღეს საქართველო გაყოფილია,
გაყოფილია ორად ცხოვრება,
ბერბიჭა შვილად და დიდ ილიად,
ყაჩაღ-ქურდებად და მათხოვრებად.

დღეს ბევრი ბრძენობს და ორაკულობს,
ხატთან მისული თუ მიტანილი,
საქართველო კი, ჯვარზე გაკრული,
ნაწამებია ქრისტეს ტანივით.

ბევრისთვის სისხლი თითქოს ღვინოა,
სიკვდილს ყანწივით ჩამოარიგებს...
ათასჯერ უფრო სამარცხვინოა,
ვინც ამას ხედავს და ხმას არ იღებს.

დეკემბერი, 1993 წელი

გაყიდულია სამშობლო, ნაყიდი არის ვილები

(ნიკო ლორთქიფანიძის მიბაძვით)

უკანონო თუ საეჭვო გზებით შეძენილი ფულებით ბევრმა ქართველმა საზღვარგარეთ შეიძინა ვილები, სახლები, სასახლეები. ზოგი წავიდა, ზოგი წასვლას აპირებს. ტოვებენ საქართველოს.

1.
აღარ ელევა სამშობლოს გაუმაძღარი შვილები,
გაყიდულია სამშობლო, ნაყიდი არის ვილები.

გაყიდულია სამშობლო, სისხლით და ოფლით ნაჯერი,
ნაყიდი არის უცხო ცის და უცხო მიწის ნაჭერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასად დავითის, თამარის, გორგასლიანის დროშების,
შეძენილია სახლები, სასახლეები, კოშკები.

ვაშინგტონში თუ მადრიდში, მიუნხენში თუ ვენაში,
უნდათ სიცოცხლე გალიონ ჭამაში, სმაში, ლხენაში.

კარგია საარბრუკენიც, მხარე სენის თუ საარის,
მიწა თუმც ყველგან მიწაა, სამშობლოს მიწა სხვა არის.

სიყრმის დათესილ სიკეთეს სიბერე უნდა იმკიდეს,
თორემ ტანჯვა და წამება სიკვდილის შემდეგ იკითხე...

ო, როგორ უნდა გაბნელდეს, გაფუჭდეს, წახდეს, დაეცეს,
რომ საქართველოს პატრონი სამშობლოს სხვაგან დაეძებს.

ან სიბრიყვეა ნამდვილი, ან ცოდვა დიდზე დიდია,
რაკი სამშობლოს ტოვებენ, სხვის სამშობლოში მიდიან.

ჭირში სამშობლოს დაგდება იციან მაცილ-ლაჩრებმა,
უსამშობლოო კაცი კი უსაფლავოდაც დარჩება.

2.
ის რა გულია, მამულით თუ არ ლხინობს და ალერსობს,
კაცის ჭკუა და გონება სამშობლომ უნდა ალესოს.

უნდა კაი ყმის მარჯვენაც სამშობლომ გაამამაცოს,
რა მიწა უნდა იყიდოთ ადგილის დედის სანაცვლოდ.

სულს სანთელივით სამშობლოს ყოველდღე უნდა
უნთებდეთ,
რომელ ცას უნდა შეხედოთ მთაწმინდის ცაზე უკეთესს.

ის რა გულია, თუ არ წუხს ერის და ქვეყნის ტკივილით,
ნუთუ ვერ ხედავთ, არ გესმით დღეს „ქართვლის დედის“
კივილი?

მიდიხართ, ვიღას უტოვებთ სამშობლოს მაჯაგადახსნილს,
თქვენს წინაპართა საფლავებს, სახელებს, ომებს
გადახდილს.

მიდიხართ, ვიღას უტოვებთ დამწვარ, დანგრეულ
რუსთაველს.
სამაჩაბლოს და აფხაზეთს ტკივილებს ვინ გაუქარვებს.

მიდიხართ, ვიღას უტოვებთ იმ ღალატს, მტრობას,
ცილობას,
კოლხეთს – დღეს ბევრის შერცხვენას და საქართველოს
ჭრილობას.

მიდიხართ, ვიღას უტოვებთ იმ წიწამურს და იმ კრწანისს,
საკუთარ ხატის მოძულე, სხვის ხატებს როგორ იწამებთ.

როგორ იქნები მდიდარი, თუნდ ოქროს წვიმა გაწვიმდეს,
შენი ხალხი და სამშობლო თუ დადის ხელებგაწვდილი.

მონაც არის და ღატაკიც, თუნდ იყოს ქვეყნის ბატონი,
დამარცხებული სამშობლოს, ხალხის და ერის პატრონი.

ფულით ვერავინ იყიდის სახელს, ღირსებას, სიდიდეს,
სამშობლო არის ამქვეყნად ყველაზე დიდი სიმდიდრე!

დეკემბერი, 1993 წელი

„ცრემლის ტბა“, „გოდების კედელი“

„ცრემლის ტბა“ საქართველოშია (მესხეთში),
„გოდების კედელი“ – ისრაელში (პალესტინაში).

შორს არის პალესტინის ცა, მისი ბაღი და ედემი,
აქ არის ჩემი „ცრემლის ტბა“, ჩემი „გოდების კედელი“.

კრწანისი, დარდის, წუხილის და მტრების ჯავრის
მკვნეტელი,
ეს არის ჩემი Cრემლის ტბა“, „ჩემი „გოდების კედელი“.

ის წიწამური, ქართველთა სირცხვილის ზარის მრეკელი,
ეს არის ჩემი „ცრემლის ტბა“, ჩემი „გოდების კედელი“.

დამწვარ-დაშანთულ დედოფლის სიმტკიცე გაუტეხელი,
ეს არის ჩემი „ცრემლის ტბა“, ჩემი „გოდების კედელი“.

პაატას თავი მოჭრილი და ქედი გაუტეხელი,
ეს არის ჩემი „ცრემლის ტბა“, ჩემი „გოდების კედელი“.

აფხაზეთის ცა. ამდენი სისხლის, ღალატის მჭვრეტელი,
ეს არის ჩემი „ცრემლის ტბა“, „ჩემი „გოდების კედელი“.

კოლხეთის მიწის ჭრილობა, ბოლმა და ღვარძლი
მკრეხელის,
ეს არის ჩემი „ცრემლის ტბა“, „ჩემი „გოდების კედელი“.

სამაჩაბლო და ცხინვალი სხვისი მონა და მკვნეთელი,
ეს არის ჩემი „ცრემლის ტბა“, ჩემი „გოდების კედელი“.

ქართველი, ფუძეაყრილი და ლუკმაპურის მძებნელი,
ეს არის ჩემი „ცრემლის ტბა“, ჩემი „გოდების კედელი“.

ქართველი, შხამის მთესველი, ქვეყნისთვის ეკლის
მკრეფელი,
ეს არის ჩემი „ცრემლის ტბა“, ჩემი „გოდების კედელი“.

დარდი მესხელის, მცხეთელის, სენაკელის და ქედელის,
ეს არის ჩემი „ცრემლის ტბა“, ჩემი „გოდების კედელი“.

დეკემბერი, 1993 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერი არ გაულაღდება

მტერი არ გაულაღდება
სამშობლოს კაი ყმებისას.
სჯობს კარგი მკვდრების პატრონი
პატრონს ცოცხალი მკვდრებისას.

ვინც თავის ყოფა-სიცოცხლე
მამულისათვის დახარჯა,
იმისი სახელ-საფლავიც
სამშობლოს უდგას დარაჯად.

მკვდარი ვაჟკაცის სახელი
სანთელ-საკმევლად იწვება,
ბევრი კაი ყმის სიცოცხლე
სიკვდილს შემდეგ იწყება.

აქ დარჩენილი სახელი,
დიდება და სიმამაცე
ის აბჯარ-იარაღია,
მკვდარი რომ ცოცხალს ამარცხებს.

იანვარი, 1994 წელი

როცა სამშობლოს პატრონად მოხვალთ

ვინც დღეს აკვნების არტახებს ამტვრევთ
და ხვალ სამშობლოს პატრონად მოხვალთ,
ადრე მოგიწევთ, ძალიან ადრე
ფეხზე დადგომა და ვალის მოხდა.

იქნება ალბათ მძიმე და ძნელი
თქვენი საქვეყნო ტვირთი და ვალი.
თქვენ რომ ის სისხლის წვიმები გელით,
იქნება ჩვენი ცოდვა და ბრალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ თქვენ უნდა დაღვაროთ სისხლი
ჩვენი სიბრიყვის, სილაჩრის გამო.
ჩვენ, მიჩვეულნი ბორკილს და სირცხვილს,
უნდა ლაფმა და ტალახმა გვჭამოს.

რაკი სამშობლო ვათრიეთ კბილით
(ჩვენ ყველას გვიდევს ამაში წილი),
ჩვენი ხელითვე დანგრეულ თბილისს
გიტოვებთ როგორც მომავალ ტკივილს.

გიტოვებთ მამულს, დაქცეულს, დაშლილს
და არა მარტო ტყვიით და ჭურვით,
ჩვენი დუმილით და ჩვენი ტაშით,
ჩვენი ღალატით, მტრობით და შურით.

გიტოვებთ დრო-ჟამს ფიქრებით ავით,
გიტოვებთ დღეებს– არეულ დავთრებს.
ვაგლახ! თქვენ უნდა შეაკლათ თავი
იმ სამაჩაბლოს, დღეს რომ ჩვენ დავთმეთ.

წესით, რაც ჩვენი სამკელი იყო,
ისევ თქვენ უნდა თესოთ და თიბოთ,
რომ საქართველო კვლავ ერთად იყოს,
თქვენ უნდა გახდეთ დუღაბიც, ლიბოც.

თქვენ უნდა გახდეთ ხორციც და სისხლიც,
და საქართველოს ქვაცა და კირიც,
და აფხაზეთში სამშობლოს სირცხვილს
ისევ თქვენ უნდა მოსწმინდოთ პირი.

იმათ არ ვგლოვობ, იმათ არ ვტირი,
ვინც საქართველოს შესწირა თავი,
„ვინც მიუვიდა ნათელი პირით“
თამარ დედოფალს და მეფე დავითს.

თვითონ დაეცნენ სოხუმზე ადრე,
მტრებმა მათ გვამებს გადააბიჯეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასევე, პატივს და თაყვანს ვკადრებ
ყველა ნაომარ გოგონებს, ბიჭებს.

მე სხვებზე ვამბობ, იმ ცოცხალ მკვდრებზე,
ვინც კვლავ უღელი დავიდგით ქედზე,
ხელჩაქნეული სამშობლოს ბედზე,
ახლა ტახტს, ვერცხლს და სალაფავს ვეძებთ.

რაში გჭირდებათ ამგვარი მკვდრები,
ანდა, ამგვარი წინაპრის ყოლა.
მიუგდეთ ჩვენი ხორცი და ძვლები
სვავსა და აფთარს, ყვავსა და ყორანს.

როცა დატოვებთ უძილო აკვნებს
და საქართველოს პატრონად მოხვალთ,
არ დაიზაროთ, ჩვენი უღირსი
და სამარცხვინო საფლავის მოთხრა.

მაისი, 1994 წელი

სამშობლო გადამირჩინე

შენა ხარ ჩემი საგზალი,
წყალიც, პურიც და ხმიადიც,
დარდში ჩაფლულო იმედო,
ამოდი, ამოხმიანდი.

სისხლით და ცრემლით ნაგებო,
ჩემო ფაცხავ და მიწურო,
არ დამკლა, არ მიმატოვო,
წყალი არ გადამიწუროო.

ჩემს თავს არ ვწუხვარ, არ ვნაღლობ,
ჩემს ბედზე არ დავიჩივლებ,
ჯანდაბას ჩემი სიცოცხლე,
სამშობლო გადამირჩინე.

ივლისი, 1994 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯერ...

ჯერ საქართველოს შვილი ვარ
და მერე წუთისოფლისა,
ვხედავ, არ კმარა ქვეყნისთვის
მარტოდენ დაღვრა ოფლისა.

ვიცი, არა მაქვს უფლება
შიშის, ძილის და დაღლისა,
დრო მიდის
მამულისათვის
ოფლივით სისხლის დაღვრისა.

რადგან გვიდგება დრო-ჟამი
ყოფნის თუ არა ყოფნისა...
მე ჯერ სამშობლოს შვილი ვარ
და მერე წუთისოფლისა.

1997 წელი

შემოდგომის ტყე

ღამე არ ჰგავს ღამეს,
დღე არ ჰგავს დღეს,
გაძარცული ხალხი,
გაძარცული ტყე.

დღეს რაც არის, ვხედავ,
რა იქნება ხვალ?
ცივათ შიშველ ხეებს,
ცივა შიშველს ხალხს.

ჩიტების ხმა ტყეში
აღარ წვდება ყურს,
ტყე ნატრულობს მზეს,
ხალხი ითხოვს პურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარი ყვითელს ფოთლებს,
ძირს უწყალოდ ყრის,
და შიმშილიც ჩუმად
თხრის, საფლავებს თხრის.

1994 წელი

თუნდ ბედისწერას ვერ გადავურჩე

თუნდ ბედისწერას ვერ გადავურჩე,
მუხლზე დადგომას აღარ ვაპირებ,
ვყიდდი სახლს, ავეჯს, ჯამსა და ჭურჭელს,
ერთადერთ ბეჭედს და ოქროს კბილებს.

რადგან ვარ ისევ ოცნების მკვიდრი
და ვდგავარ ისევ იმედის კართან,
ვყიდი ყველაფერს, ყველაფერს ვყიდი
სამშობლოსა და სინდისის გარდა.

თებერვალი, 1995 წელი

მონის ცხოვრება არ მინდა

ისევ სიცრუემ, ღალატმა,
სატანამ გაინადიმა,
ისევ მიყვლა საწუთრომ,
როგორც მშიერმა ნადირმა.

რადგან იმედის პურს ვჭამდი,
ეკლის საწოლზე მეძინა,
მხეცს ისევ ხორცი მივუგდე,
სული რომ გადამერჩინა.

თუმც კვლავ ფეხებით მთელავენ
გადაგდებული გროშივით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუმც ისევ დავეხეტები
კერა და ფუძემოშლილი,

ვეღარ გამტეხოს ვერც მტერმა,
ვერც დრომ, ჟამმა და ამინდმა,
რაცა ვარ, ისე მოვკვდები,
მონის ცხოვრება არ მინდა!

დეკემბერი, 1995 წელი

ჩარჩ-ვაჭრების ქვეყნად იქცა პოეზიის ქვეყანა

1.

მამულს ჩალის ფასი ადევს,
დახლად არის გაშლილი,
ჩალიჩია, ჩალიჩაძე,
ჩალიჩ ჩალიჩაშვილი.

ქვეყნის გაღმა და გამოღმა
დარბის, როგორც მწევარი,
მუშა, გლეხი, მეცნიერი,
მხატვარი თუ მწერალი.

გაჩალიჩდა მთელი ერი,
რუსთაველის პატრონი,
მინისტრი და პრემიერი,
უფრო დიდი ბატონიც.

ჩალიჩ, ჩალიჩ, ჩალიჩ, ჩალიჩ,
არც ვაცხელეთ – ვაციეთ,
ღვთისმშობელის საქართველო
ბაზრად გადავაქციეთ.

იმის ნაცვლად, ჩვენი მტრების
ჯავრი ამოგვეყარა,
ჩარჩ-ვაჭრების ქვეყნად იქცა
პოეზიის ქვეყანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.
ლამის თავი სირცხვილის და
ცრემლის ტბაში ჩავიხრჩო,
სხვებზე რა ვთქვა, როცა ზოგჯერ
მე თვითონაც ვჩალიჩობ.

სამშობლოზე ფიქრის ნაცვლად
ვიღაც უტვინ-უგონოს
უნდა ვუღიმ-ვუცინო და
კოჭი უნდა ვუგორო.

როცა უნდა ლექსი ვწერო,
ჩარჩ - ვაჭრებთან ვკამათობ...
ათამაშებს ბედისწერა
ჩემი ბედის კამათელს.

არ ეღირსა ზურგის ქარი
ჩემი ბედის იალქნებს.
ეს ოხერი კამათელიც
სულ დუა და იაქე.

დარდითა და ჯავრით ვთვრები,
განა, ღვინო-არაყით,
არ მასვენებს უკვე ფიქრიც:
–ყოფნა
ღირს თუ არა ღირს?!

იანვარი, 1996 წელი

აქ საქართველოს სულია

არსენ ფოჩხუას

შენ, ვისაც გქვია ქართველი, დარჩი ბოლომდე ქართველად,
ვინც ვერ გაგტეხა შიმშილმა და შიშმა ვეღარ გაგთელა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შური, სიცრუე, ღალატი, დღეს როცა გაგიბატონეს,
შეხედე ვინ ხარ, ვინა ხარ, რა საგანძურის პატრონი!

შეხედე ბრძოლის ასპარეზს, საჭრეთლის გასატევრებას,
შეხედე ფიქრს და ოცნებებს აჩუქურთმებულს მტევნებად.

მოდი და ნახე სამშობლო, ამაყი, მხნე და თამამი,
სიბრძნე-სიქველე რუსთველის და სილამაზე თამარის.

მართლაც რომ დიდი ტკივრთია დღეს საქართველოს
შვილობა,
შეხედე ბზაზე ამოჭრილ სამშობლოს დარდს და ჭრილობას.

ნახე ის ვეფხის ბალადა და არაგველი სამასი,
აქ, ამ დარბაზში ხმა ისმის ილიასი და საბასი.

რა შესძლებია ღვთის ნებას და მოთმინებას იობის,
თუ სამშობლოსთვის იღვაწებ, მამულისათვის იომებ.

საჭრეთელი თუ ყალამი ხმალივით გაუცვეთია,
ყველა ჩუქურთმა, ზარნიში ოსტატის ოფლის წვეთია.

ოსტატის სისხლის წვეთია ჩუქურთმა იმ „9 აპრილის“,
„წმინდა გიორგი“ – ხატია სამშობლოს, ბორკილგაყრილის.

ისევ მამულზე ფიქრია – „მონატრება“ და „ვედრება“,
ღვთისმშობლის წმინდა ღიმილი სამშობლოს ეიმედება.

აქ საქართველოს ხვალეა, აქ საქართველოს სულია,
დაპურდით რწმენით, იმედით, ვისაც გშიათ და გწყურიათ.

ვინც კვლავ მამულზე ოცნებობთ, ღამეებს ფიქრით ათენებთ,
შეხედეთ, ნახეთ, აღივსეთ და სული გაიქართველეთ.

სევდა, დარდი და წუხილი გულიდან გადაიგორეთ,
გაიდავითეთ ფიქრები, გულები გაიდიდგორეთ!

თბილისი, 1996 წელი

რატომ წამართვით ის სიხარული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრს და ოცნებებს ცაში მივყავდი
(ტკბილ-მწარე არის ის მოგონება),
როგორ მწამდით და როგორ მიყვარდით,
ბატონებო და ქალბატონებო!

როგორ მიყვარდა თქვენი სიმღერა,
თქვენი ლექსები, ფილმი, ნახატი,
ო, სიხარული იყო იმხელა,
თქვენ რომ გისმენდით, თქვენ რომ გნახავდით.

თქვენი ხუმრობა, სიტყვა, კამათი,
ეს იყო ჩემთვის დღესასწაული...
ის სიხარული რატომ წამართვით,
რატომ წამართვით ის სიყვარული?!

ეს თქვენ მინთებდით გულში რწმენას და
თავისუფლების ფიქრს და ოცნებას,
როცა ეკრანზე, ანდა სცენაზე
ქართულ დროშას და მიწას კოცნიდით.

ამიტომა გვაქვს კითხვის უფლება:
თუ ჩვენ მამულზე ფიქრს მიგვაჩვიეთ,
თქვენ სამშობლოს და თავისუფლებას
პურის ნატეხი რატომ არჩიეთ.

რად შეგვაყარეთ თვალში ნაცარი,
ასე უღმერთოდ რად გაგვიმეტეთ,
იმ ჩინ-მედლებში რატომ გაცვალეთ
სიყვარული და ხალხის იმედი.

ნუთუ სიყალბე იყო ყოველი,
თქვენი სიტყვები, ფიცი, იარა,
ნუთუ ჯვარი და სვეტიცხოველი
სიტყვით გიყვარდათ, გულით კი არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ არა, მაშინ რატომ იკადრეთ,
ისევ მონობას რატომ უმღერეთ,
თუკი სამშობლო მართლა გიყვარდათ,
რატომ დაადგით ისევ უღელი?

ღალატის თესლმა როგორ იხარა,
თუ მართლა გწამდათ ხმალი დავითის,
ყაჩაღი, ქურდი და ვიგინდარა
თავზე ბატონად რატომ დაისვით?

თუმც ამცდა ტყვია ჩემკენ ნასროლი,
უბედურებაც არის ეს სწორედ,
ასე მგონია, მაშინ მომკალით,
როცა სამშობლოს ტყვია ესროლეთ.

რა სათქმელია ჩემი ტკივილი,
ცემა – ციხე და ლანძღვა-გინება,
მუხლზე დადგომა როგორ ინებეთ,
ჩემი რწმენის და ფიქრის გმირებმა?

ეს არც წყენაა და არც მხილება,
როგორ დაეცით მაინც იქამდე,
ქონდაქარის წინ დაჩოქილებმა
ფურთხის ალოკვა როგორ იკადრეთ.

არა ლიქნით და არა სიყალბით,
ვამბობ ალალი გულით, გონებით,
ო, როგორ მწამდით, როგორ მიყვარდით,
ქალბატონებო და ბატონებო.

დღეს თქვენს სახელებს ისე ვუყურებ,
როგორც დამსხვრეულ კერპებს – წარმართი.
რატომ წამართვით ის სიყვარული,
ის სიხარული რატომ წამართვით!

იანვარი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვაჭანტირაძის მონოლოგი

„აქ დაიდგმება დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლი“.
ბუკიას ბაღში მარმარილოს ქვაზე წაწერილი

ლაქარდიანი ენა გვაქვს და ალესილი კლანჭები,
დღეს საქართველო ჩვენია – ჯაყოების და კვაჭების.

ჩვენია პარლამენტიც და ხელისუფლებაც ჩვენია,
ჩვენი სიტყვა და დასტური– საქვეყნო განაჩენია.

ხალხო, შე მართლაც ნახირო, ტყუილად რას იქაჩები,
გაიგე, რომ საქართველო არის ჯაყოს და კვაჭების.

გაიგე, რომ ეს ცხოვრება თამაშია და ლელოა,
დღეს საქართველო ჯაყოს და კვაჭების საქართველოა!

P. S.
სხვა რალა ძეგლი სჭირდება გზას წამებულს და ეკლიანს,
ჯაყო და კვაჭი, ეს მწერლის მარადიული ძეგლია.
დეკემბერი, 1997 წელი

შეგინებული დედები

საწუხაროდ, ხშირად ასეთ სიტყვებს გაიგონებთ:
„ბოზის შვილი ვიყო“, „ჩემი დედა მოვ... “.

1.
რა გულით ანდა რა ენით ამბობთ სიბილწეს საოცარს.
ბიჭებო! როგორ იმეტებთ დედას – ხატსა და სალოცავს.

მარილს რად აყრით სამშობლოს
ისედაც გახსნილ ჭრილობას,
კარგი დედა-მამის შვილებო, რად გინდათ ბოზის შვილობა.

ფუძის ანგელოზს რად აფრთხობთ და ეშმაკს რატომ
აბუდებთ,
ცოცხლად რატომ კლავთ თქვენს დედებს და სულში რატომ
აფურთხებთ.

ეს არის დიდი სირცხვილი, სიგლახეცა და სილაჩრეც,
როდესაც კაცი ამგვარ ფიქრს ენას და სიტყვას მიაჩვევს.

დედაზე უფრო ძვირფასი ვინა გყავთ? რა გაბადიათ?
დედა – ქართველი ვაჟკაცის სალოცავი და ხატია!

2.

თუ ეს ცხოვრებაა, უაზრო, ფიქრს და გონებას აგირევთ,
საკუთარ დედას რას ერჩით, ისინი ლანძღეთ, აგინეთ.

ვინც მართლა ბოზისშვილია, სამშობლო ფეხზე ჰკიდია,
დგანან მსოფლიო ბირჟაზე და საქართველოს ყიდიან.

ვინც ოცნებები წაგართვათ, დაგტოვათ ქუჩის ამარა,
ვინც თქვენი ხვალინდელი დღე მოკლა და დაასამარა.

ვინც ცხოვრობს გრიალ-გრიალით, ქვეყანა კი დააქცია,
ვინც ბევრის დედა და შვილი მართლაც ბოზებად აქცია.

აგინეთ ქვეყნის გამყიდველს, მოღალატეს და გარეწარს,
ვინც 9 მარტსა და 9 აპრილს სიკვდილის კალო გალეწა.

ვინც ჩვენი გოგო-ბიჭები ნიჩბით აჩეხა, აწამა,
ვინც დღესაც მახვილის ნაცვლად
ხელში გაჩეჩებთ საწამლავს.

ვინც დღესაც გაცლით ხელიდან სამაჩაბლოს და აფხაზეთს,
ამაზე უნდა იფიქროთ, უნდა იყვიროთ ამაზე.

თორემ, რა სახელს მოიხვეჭთ საკუთარ დედის გინებით,
როდესაც დედა-სამშობლოს სული უჭირავს კბილებით!

დეკემბერი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათურა

1.

დგას სანაგვესთან გამხდარი ძაღლი,
ჭაძინარ თვალით, მშიერი კუჭით,
წანწალითა და შიმშილით დაღლილს,
ეტყობა, ფეხზე დგომაც კი უჭირს.

შემოჰყავთ ამ დროს ბირჟაზე დოგი –
ყელზე ჯაჭვით და ლამაზი თოკით.
მოჰყვება პატრონს გამძღარი ძაღლი
კუდის ქიცინით, ხელების ლოკვით.

ბათურამ ღრენით, ზიზღით და ურჩად
დოგის იმ საბელს შეავლო თვალი,
შემდეგ გაუყვა ამაყად ქუჩას,
მშიერი, მაგრამ – თავისუფალი.

2.

თუმც შეეპარა ბირჟას დაისი,
რადიოს ხმაურს ბოლო არ უჩანს,
პარლამენტართა ხმები გაისმის
და მეც ძაღლივით მივყვები ქუჩას.

დეკემბერი, 1997 წელი

ძაღლის წელიწადი

რაკიღა ამ ქვეყანაზე ძაღლის წელიწადს მოვედი,
და მერე (ღმერთო ძლიერო) თუ მართლა მქვია პოეტი,
ასეთი ყოფა-ცხოვრება სულაც არ მეუცხოება,
პოეტს,
ძაღლის წელს გაჩენილს, მერგო ძაღლური ცხოვრება.

დეკემბერი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეღურები

თოვლზე დაყრილია მზესუმზირა,
როგორც პაწაწინა კლავიშები,
და ბაღის მაესტრო
– ბეღურები,
ნისკარტებს ურტყამენ გაგიჟებით.

ქალები – ცივ ქვებზე ჩამომსხდარნი,
ჩიტებს სიბრალულით შეჰყურებენ,
ქალები ყიდიან მზესუმზირას,
ქალებიც
– მშიერი ბეღურები.

ირგლივ სიცივე და შიმშილია,
ბაღი სევდის ფიფქით იბარდნება,
თოვლში გადაყრილი მზესუმზირით
შიმშილის სიმფონია იბადება.

დეკემბერი, 1997 წელი

ქუჩაში დაწერილი ლექსები

დღეს ორი საქართველოა, ორი ხმა, ორი ფერია...
მეტეხ-პალასი გრიალებს და რესტორნები მღერიან.

არის სიცილი, კისკისი სალონებში და ბარებში,
„როლს-როისების“, „ფორდების“, „მერსედესების“ თარეში.

ნამდვილი საქართველო კი ქუჩაში გამოყრილია,
აქ სხვა ცხოვრება, სხვა ფიქრი, სხვა დარდი, სხვა ტკივილია.

აქ სიღატაკე, სიმწარე, სიცივე და შიმშილია,
ჩემი ლექსებიც ამ ქუჩის და ამ ცხოვრების შვილია.

დეკემბერი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს საქართველოს იპყრობენ...

დღეს ქვეყნის ბედი დიდგორზე და არც კრწანისში არ წყდება,
დღეს საქართველოს სხვა ურდო, სულ სხვა ლაშქარი აწყდება.

გვიტევს: რუბლი და დინარი, ლირა, სტერლინგი, მარკები,
დღეს საქართველოს იპყრობენ ბაზრებითა და ბანკებით.

შებოჭილია ქვეყანა კრედიტის აპეურებით.
ცერზე დამდგარი ლარი კი დოლარს უჭირავს ყურებით.

შადიმანები სამშობლოს ისევ ისევე ყიდიან
და საქართველო ვალების სახრჩობელაზე ჰკიდია.

რა ბედენააა (თუ ხალხი ფუძიდან იქნა აყრილი),
რით წაგვარმთმევენ სამშობლოს – ფულით, ვალით თუ მახვილით?!

იანვარი, 1998 წელი

დავით აღმაშენებლის ძეგლი

1.

განა ძეგლად ყოფნა სურდა, განა თავის თავი იქო,
ის დიდგორი დავითის და საქართველოს ძეგლი იყო.

განა მარტო ქადილი და განა მარტო სიტყვა ითქვა,
ის თბილისი თავდახსნილი დავით მეფის ძეგლად იდგა.

რაკი ჰყავდა მწე-პატრონი ჯვარს და კალამს, ხმალს თუ ერქვანს,
თავისუფალ საქართველოს დავით მეფის ძეგლი ერქვა.

იცის ერმა, იცის ბერმა, რა დატოვა, რა წაიღო,
ერთიანი საქართველო დავით მეფის ძეგლი იყო.

2.

დღეს ძეგლად დგას და ვერ მალავს თავის დარდს და გულის
ტკივილს,
როცა უმზერს ქართველების დანგრეულ და დამწვარ თბილისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ხედავს, ბაღვაშები დაძრწიან და ისევ ყეფენ,
მკაცრად უმზერს დაშლილ მამულს ერთიანი ქართვლის მეფე.

თითქოს ქვაშიც დუღს და ბორგავს იმ ამაყი მეფის სისხლი,
როცა ხედავს ცხუმს და ცხინვალს–საქართველოს ლაფს და
სირცხვილს.

ვაგლახ! მკლავი ქართველისა ძველებურად ვეღარ ქველობს
და დიდგორის პატრონს დახვდა დაჩოქილი საქართველო!

23 მარტი, 1998 წელი

„ღირსების ორდენი“

ურცხვად არიგებს „ღირსების ორდენს“
მონა საკუთარ სკამის თუ ტახტის,
თითქოს დასცინის, აფურთხებს სულში
ხალხს და ქვეყანას
– ღირსებააახდილს.

რისი ღირსება ეტყობა ნეტავ
ქართველი ხალხის დღევანდელ ყოფას,
დღეს მათ ჯილდოს და „ღირსების ორდენს“
ჯობია მშიერ-მწყურვალი ყოფნა.

რაღა ღირსება შემორჩა მიწას,
რომელსაც ჩვენი სამშობლო ჰქვია,
ჯობია იმათ „ღირსების ორდენს“
პოლიციელის ჯოხი და ტყვია.

რისი ღირსება, როდესაც ვხედავთ
მათხოვარ ბავშვებს და მეძავ დედებს,
როცა მშიერი ქართველი კაცი
დღეს სამშობლოში სამშობლოს ეძებს.

როს სადიდგოროდ გაზრდილი ბიჭი,
შხამიან ნემსებს ვენებში ირჭობს,

ამ დროს ჯილდოს და „ღირსების ორდენს“
ციხეში ყოფნა, სიკვდილიც კი ჯობს.

იმ კაცს, ვინც იღებს,
ატარებს ანდა
დღეს სამარცხვინო „ღირსების ორდენს“
თვალებზე ლიბრი, ყურებში ცვილი
და მკერდში კიდევ ქვა უნდა ჰქონდეს.

თბილისი, 1998 წელი

არა, არ უხდება მშიერ საქართველოს

შენ რა დაგაძინებს, თუ ხალხი აყრილი,
ქუჩაში დაძრწის და სასთუმალს დაეძებს.
როდესაც ზამთარს ჰგავს დღეები აპრილის,
ლხინი აქვს სამშობლოს მტრებსა და გარეწრებს.

ქვეყნად არაფერი არ ქრება უკვალოდ,
ნაღველი ნუ გიდგას, პოეტო, თვალებში,
შენ როგორ ივლი და იცხოვრებ უკვალოდ,
როდესაც სამშობლო იხრჩობა ვალებში.

ან როგორ იქნება (თუ გული ცხელია,
ჩხირად არ გაქციოს სამშობლოს იარამ.
დღეს შენი შიმშილის, ძმაო, ნუ გრცხვენია,
უფრო სირცხვილია მაძღარმა იარო.

როცა ლუკმაპური გახდა სანატრელი,
როცა შიმშილი ჭამს ქუჩებს და მოედნებს,
არა, არ უხდება მშიერ საქართველოს
გაზულუქებული, მაძღარი პოეტი.

როცა ბავშვებივით ტირიან ფრესკებიც,
როცა მწუხრი ადგას მამულს სანათელოს,
ლამაზი სიტყვებით გამძღარი ლექსებიც
არა, არ უხდება მშიერ საქართველოს.

თბილისი, 1998 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი მარადიული თემა

გამომცემლობა „მშრანი“
თბილისი, 1991

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი მარადიული თემა

„თქვენ მეუბნებით, რომ ვმეორდები,
იმასვე ვამბობ, რაც უკვე მითქვამს“...
თომას სტერნზ ელიოტი

თუმც ბევრი დავა და კამათია
და შეიცვალა ბევრჯერ ამინდი,
მაინც პირველი ჩემი ხატია
ის მიწა, სადაც ფეხი ავიდგი.

თუმც ოცნებები ცამდე ავიდა
და ცა ლამაზი არის ძალიან,
ცა დანახული ჩემი აკვნიდან
ჩემი პირველი სალოცავია.

მიკვირს, რად არის გასაკვირველი
ამგვარი ფიქრი და საუბარი,
თუ ქვეყნად სიტყვა იყო პირველი
და სიტყვა იგი იყო უფალი.

მაშინ, მე ვიცი ჩემი წარსული
და მომავალიც მჯერა – ერთია;
ჩემთვის ის სიტყვა იყო ქართული, –
და ის ქართული ჩემი ღმერთია.

ეს ენა, მიწა, ცა საოცარი
ჩემი სისხლი და ჩემი ღვიძლია,
არც ღმერთის, ხატის, არც სალოცავის
აწი გამოცვლა არ შემიძლია.

* * *

არის ხალხი, არის ერი,
ვინც ლექსს სპილოს ძვლისგან აგებს,
მარტო სიყვარულზე მღერის,
მარტო სილამაზეს აქებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კი ვუმზერ იმ წიწამურს,
ვისმენ ცხრა ძმის დედის მოთქმას,
მელანდება, ვინც ეწამა,
მამულისთვის ვინც კი მოკვდა.

ვერ ვივიწყებ ანისს, გარნისს,
ივერიის ამაყ მზერას,
და სიზმარში ვხედავ კრწანისს –
საქართველოს ბედისწერას...

ვერ ავყვები სურვილს სხვათა,
სხვათა სიხარულის მიზეზს,
როცა შუა გაჭრილ სარფთან
ცრემლიანი ლაზი მიმზერს.

რა სიტყვები ვუთხრა იას,
თუ ქართველმა ვაზი აჭრა,
თუ სოფელი ბალახს მიაქვს
მთა-თუშეთში ანდა რაჭას.

ვარდს რა გულით ვუთხრა ქება,
ის ალგეთი თუკი კივის,
თუ საშველი არ ადგება
არაგველთა უკვდავ ტკივილს.

ის ტკივილი სხვას არ ესმის,
„სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირი“...
დუღაბდება ჩვენი ლექსი
სულ სხვა ქვით და სულ სხვა კირით.

ფესვები

მობჯენილია წარსული გულზე,
და გაუძელი, თუკი კაცი ხარ.
მე ახლა სულ სხვა თვალებით ვუმზერ
ყველა კოშკსა და ყველა ნაციხარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეთაყვანები ყველაფერს ახალს,
რაც დღეს სამშობლოს სიმაღლეს მატებს.
მაგრამ სხვა გულით ვკითხულობ ახლა
იმ ძველ ეტრატებს და ფოლიანტებს.

მე ვენაცვალე ხვალინდელ დღესაც.
ყველაფერს, რასაც მე ველარ ვნახავ,
ქალაქებს, სოფლებს, სიმღერას, ფრესკას –
საქართველოს მტრის ხვალინდელ ლახვარს.

მაგრამ მე მჯერა წარსული ჩემი –
ჩემი ოფლი და სისხლი რაც კია:
ნოქალაქევი, რუსთველი, გრემი,
პაატა, ცოტნე, ჯვარი, ვარძია,

დიდგორის ველი, სახელი ბერის.
ფერფლი დედოფლის – იმ ანგელოზის,
ფესვები არის ეს ყველაფერი
ხვალინდელი დღის საქართველოსი!

ჩვენ უნდა ჩვენი ვიკითხოთ

დღესაც რომ ისმის ხმა მისი,
იმის სახელმა იდიდოს;
ცხრა ძმის დედამ თქვა თავისი,
ჩვენ უნდა ჩვენი ვიკითხოთ.

მტერი თავზე არ დაისვეს
არც ბასიანს და არც დიდგორს, –
არაგვმა ხომ თქვა თავისი,
ჩვენ უნდა ჩვენი ვიკითხოთ.

სადაც დევს ლოდი დავითის,
მინდა რომ ისევ იქ იდოს, –
წარსულმა ხომ თქვა თავისი,
ჩვენ ჩვენი უნდა ვიკითხოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს უნდა ტვირთი ხმალისა
კალამმა წამოიკიდოს, –
ხვალემ იკითხოს ხვალისა,
ჩვენ ჩვენი უნდა ვიკთხოთ

საქართველოს სოფლები

1.
მტერს რომ ეგონა გათავდი და ნაცარ ტუტად გაქცია,
შენ სვეტიცხოველს ხატავდი, კლდეში აგებდი ვარძიას.

სამშობლოვ! მტერს რომ ეგონა, ეგ შენი გული დადუმდა.
კარებს ულებდი მეგობარს, კარებს უმტვრევდი დარუბანდს.

თუმც ტეხურთან და არაგვთან ზვავივით გადაგიარეს,
თუმცა შენს მიწას არ აკლდა ცრემლის და სისხლის მდინარე,

მაინც მკიდი და ლეწავდი, მაინც გაგქონდა გუთანი,
მაინც ვერ მოსპეს, ვერ დაწვეს „ვარდის“ და „ვაზის უბანი“.

მტერს რომ ეგონე ძლეული და შენი ბედი გადაწყდა,
სოფელი „პატარძეული“ ქორწილს უხდიდა პატარძალს.

გალავანივით ბეჭებით „გალავანს“ ედგნენ კლდესავით.
განა ცეკვავდნენ ბიჭები, „ხანჯლურით“ ხანჯლებს ლესავდნენ.

მამულზე ლოცვა-ვედრებით „საგულეს“ ედგნენ მხნე გულით.
ჯაჭვგაუხდელი მხედრების სიმღერას ერქვა მხედრული.

2.
მტერს რომ ეგონა გათავდი, ფერფლიდან ველარ აღსდგები,
შამქორში მტერს მიჰკაფავდი, ჯვარს და ალავერდს აგებდი.

როს მტერი სიკვდილს უქადდა შენს იმერსა და ამიერს,
მღეროდი „მუმლი მუხას“ და „ლილეს“ და „მრავალჟამიერს“.

შორს იყო ჩვენგან განა მზე, მზეს ხელის გულზე ვიჭერდით,
იყო სოფელი „გავაზი“ და გავაზივით ბიჭები.

იყო „ცისკარი“, „ ცისია“, „მზეთამზია“ და „მზიური“,
„ნინოწმინდა“ და „ქრისტესი“ – სოფლები მართლაც ღვთიური.

„მთამტირალა“ და „მკვდრისგორაც“ შენია, განა სხვისია,
„წყარო თეთრი“ და „წითელი“ შენი ცრემლი და სისხლია.

აბა, უბრალოდ როგორ ვთქვა, მოსულს რა გულით ვუჩვენო,
„ცრემლის ხიდი“ და „ცრემლის ტბა“ როგორ ვახსენო
უცრემლოდ.

ან სევდა როგორ დავმალო, რა ვუთხრა დღეებს მიმავალს,
როცა მესხეთში „დამალო“ ათას სატკივარს მიმალავს.

3.
მტერს რომ ეგონა გათავდი, – ფეხზე იდექ და ლხინობდი,
არ მოგიშლია მკათათვე, თვე თიბათვის და ღვინობის.

თუმც ერის გადასარჩენად იყო ტანჯვა და წამება,
არ დაგითმია „საჩინო“, „ამაღლება“ და „სამება“.

არ დაუჩოქე არავის, მონღოლს, თურქსა და სარკინოზს,
გქონდა სოფელი „მარანი“, „სანავარდო“ და სალხინო“.

თუმც კაფეს, აჭრეს, აჩეხეს, ქვით ჩაქოლეს და ჩაწიხლეს,
არ გატეხილა „ქვაციხე“, „ველისციხე“ და „ვარციხე“.

თუმც ბედმა გზები არია და ბეწვის ხიდზე გატარა,
მუდამ წინ გედგა ფარივით შენი „ფარი“ და „საფარა“.

შენი „კლდე“, შენი „კლდეკარი“, არმჭმელი მტრების ჯავრისა,
ზარივით რეკდა „ზეკარი“, გუმბათი“, „ჯვარი“, „ჯვარისა“.

თუმცა არ იყო ადვილი ბედი და ხვედრი ამგვარი,
იყავ „მარტვილში“ მარტვილი, „სენაკში“ ლოცვად დამდგარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4.
მტერს რომ ეგონა გათავდი, დაგისვა ბოლო წერტილი, –
გამოაღწიე აქამდე ბრძოლებით და ქარტეხილით.

მტერს და მოყვარეს აჩვენე როგორ იომე, ილხინე,
ის „არაშენდა“ – აშენე, ის „არიხილო“– იხილე.

„დარბაზის“ ჭერი ასწიე, „უდაბნო“ ბაღად აქციე,
„ალში“ აკვანი არწიე და კერა არ გააცივე.

ვინც შენი მიწა გაქელა, ახლა მიწა და მტვერია.
თუმცა გაქვს „ნაქალაქარი“, „ახალქალაქიც “ბევრია.

ბევრია „ახალსოფელი“, „ახალიბედისეული“.
„ვაზიანი“ და „ზვარეთი“, „აგარა“ და „არჩეული“.

ის „ხარისთვალაც“ ხარივით უღელს ეწევა ისევე,
და „ტბა“ ლამაზი ქალივით ბორჯომის ტყეში ისვენებს.

ისევ მზის ფერებს აირევს, ისევ ბრწყინავს და ცინცხალობს
„ნუკრიანი“ და „საირმე“, „კაკაბეთი“ და „წინწყარო“.

სანამ ფიქრობს და ოცნებობს, იბრძვის, შრომობს და
ხმაურობს,
სანამ სოფლები ცოცხლობენ, არც შენ მოკვდები, მამულო!

სტუმარი

ზოგიერთი უღირსი სტუმარი ქართულ სტუმართმოყვარეობას აუგად იხსენიებს

1.
ასე იყო (ასე არის),
თვალში მუდამ შუქი გვედგა,
იღებოდა გულის კარიც
ალაყაფის კართან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა მარნის კარი მღერის,
ამღერება იცის სულმაც,
მასპინძელთან ერთად ქვევრიც
ქუდს უხდიდა მოსულ სტუმარს.

ჯამ-ჭურჭლების ორომტრიალს
აჩუმებდა ლერწმის ყელი,
სტუმრისაკენ ნასროლ ტყვიას
მკერდს უშვერდა მასპინძელი.

და სინათლეც ჰქონდა მეტი
ამაღლებულ სახლის ჭერს და...
ჩვენ წყალობად ვთვლიდით ღმერთის
სახლში სტუმრად მოსულ მტერსაც.

2.

ვერ აუხსნი გრძნობას უკვდავს,
სულითა და ხორცით ვაჭრებს
თვითონ რატომ ვიკლებთ ლუკმას,
სტუმრად მოსულს რატომ ვაჭმევთ.

ვერ აუხსნი ბილწს და ვერაგს,
„სტუმრად“ მოსულ არაკაცებს,
თვითონ რატომ ვიხდით პერანგს
და სხვებს ტანზე რატომ ვაცმევთ.

ვერ აუხსნი ბრიყვს და ლაჩარს,
ზოგჯერ სახლში „სტუმრად“ რომ გვყავს,
დამარცხებულ მტრების ლაშქარს
რად ვიხდიდით შემდეგ მოყვრად.

3.

ერთი ცა და მზე აქვს ყველას
ყველგან გალობს ლერწმის ყელი,
მაგრამ „ლიღეს“, „მხედრულს“, „ჩელას“
მარტო საქართველო მღერის.

რომ ისეთი გული გვქონდა,
იმან გვიხსნა დღემდე ალბათ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სხვა ვერავინ ვერ იტყოდა
„ვეფხისა და მოყმის“ ამბავს.

გული ჩვენი – სტუმრის ტახტი –
არ ხვდებოდა არვის უნდოდ,
მაგრამ იმავ გულით დავხვდით
იმ დიდგორთან მტრების ურდოს.

საქართველო ჩვენ ვართ თვითონ,
ჩაკირული განვლილ წლებთან,
რუსთაველის უკვდავ სტრიქონს
ის უკვდავი სული წერდა.

იმ სურვილმა, ფიქრმა, აზრმა
ის ვარძია შექმნა ქვიდან.
იმ ალავერდს, გელათს, ზარზმას
ის კეთილი გული ქმნიდა...

ჩემო ხალხო, ერო წრფელო,
იყავ მუდამ მხნე და მშვიდი,
ძალი ყეფს და საქართველო
მაინც თავის გზაზე მიდის.

* * *

არა ოფლის საღვრელად, არა სათიბ-სახნავად,
ზოგს სჭირდება სამშობლო მარტოოდენ სახრავად.

ზოგსაც, ჯვარო, ჯუმითო, უშგულო და საფარავ,
საქართველო სჭირდება მარტოოდენ საფლავად...

მაგრამ ბევრიც მზად არის ღამე თეთრად ათიოს,
თუ დასჭირდა სამშობლოს, ოფლთან სისხლიც ანთხიოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს, მაინც მამულის ვალი რომ არ ემართოს,
მიწად იქცეს
–სამშობლოს
მიწას რომ მიემატოს.

დუელი

ილია ჭავჭავაძეს შვიდი დუელი აქვს ჩატარებული

ესეც იყო ხვედრი გარდაუვალი,
ესეც იყო შერკინება ბედთან.
წიწამურთან ჰქონდა ბოლო დუელი
სიკვდილთან და საქართველოს მტრებთან.

თუმც განგმირეს შუბლი მირონცხებული,
თუმც ზეიმი ჰქონდათ იმ დღეს ლაჩართ.
იმ დუელში მაინც გამარჯვებული
ილია და უკვდავება დარჩა.

* * *

სანამდე, სანამ, სამშობლოვ, მარტო ოცნების ამარა,
სანამდე უნდა ვეძებოთ სხვაგან რუსთველის სამარე.

სანამ, სანამდე ამდენი შური და მრავალწერტილი,
ის მაჩაბელი, ყაზბეგი, ფშაველა გულდაწყვეტილი,

სანამდე, სანამ ის ტატო, შენს სითბოს დანატრებული,
კიდევ რამდენი ვაჟკაცი, რამდენი თავდადებული,

სანამ, სანამდე ამდენი სისხლ-ცრემლი შენი გაზრდილის,
სანამდე ის წიწამური და ჭავჭავაძის გამზირი.

სანამ, სანამდე სამშობლოვ, მოთქმა -გოდება დავითის...
ო, კიდევ რამდენ მირგოროდს და პალესტინას დაითვლი...

სანამდე, ჩემო მამულო უნებლიე თუ ნებისათ –
ცოცხლების ასე გაწირვა და მერე ქება მკვდრებისა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთაწმინდა

(ერთი მეჯლის ორი მხარე)

1.
როცა შენით ამაყდება
და სამშობლო გადებს ნიშანს,
მთაწმინდაზე ამალღება
ცაში ამაღლებას ნიშნავს.

2.
გამოტეხილი სჯობია ცოდვა,
თუკი მსაჯული მართლა ერია:–
ასაყვანია ძალიან ცოტა,
ჩამოსატანი უფრო ბევრია.

ორი ლექსი დავით აღმაშენებლისადმი

თბილისი დავით აღმაშენებლის ძეგლის მოლოდინში

ასე მგონია, უფრო გავს ჯვარცმას,
შენი ანდერძი – ძველი ქარაგმა...
არ შეიძლება ქართველმა კაცმა
შენს გულს, შენს საფლავს ფეხი დაადგას.

ნუთუ მართლა ხარ უკმაყოფილო
შენი დაღვრილი ოფლით და სისხლით –
მაშინ, მეფეო, არვინ ყოფილა
საქართველოში დამარხვის ღირსი.

ყველა ჭრილობას დიდგორით ვიხვევთ,
იმ მარადიულ სფინქსის არ იყოს.
შენი საფლავი იყო ის ციხე,
რომელიც მტერმა ვეღარ აიღო.

დროის ნიაღვარს ისევ მიარღვევ,
შენი ხმა თბილისს ისევე წვდება.
შენი სახელი იყო სიმაგრე,
რომელიც ვეღარ დალეწა წლებმა.

იყო გამოცდა გრძელი და ძნელი,
იყო გამოცდა წელთა და კაცთა.
ენატრებოდა ათასი წელი,
ათასი წელი ლოდინში გაცვდა.

და თბილისს, ვეფხის ტყავზე შეფენილს,
კვლავ უნდა შენი ხელის შეხება...
საქართველოში იყვნენ მეფენი,
შენ, დიდო დავით! დღესაც მეფე ხარ!

ქალაქი – „დავით აღმაშენებელი“

ვიცით რომ წყალნი წავლენ, წამოვლენ
და ბოლოს მაინც ქვიშა დარჩება.
თუმცა მიზეზებს რაღა გამოლევს,
ჩვენი სიგლახე და სილაჩრეა –

სამარცხვინოა თუმც ლაპარაკიც,
ქალაქთ სახელებს როცა დავითვლით, –
საქართველოში არ გვაქვს ქალაქი
სახელდებული მეფე დავთის.

ილია ჭავჭავაძე სამეგრელოში

„სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახე“, –
ამცნო: აჭარას, იმერეთს, სვანეთს, ქართლსა თუ კახეთს.

ეს მარტო სიტყვა კი არა, შემოკვრა იყო ზარის,
საქართველოს ცას არასდროს რომ არ გაუჩნდეს ბზარი...

ერის მამამ და პატრონმა თავის სიტყვა თქვა განა? –
ილიას ბაგით სამშობლომ თვისი სათქმელი ბრძანა!

ჩემი კოლხეთი

ვეფერე და ვესათუთე
საქართველოს ყველა კუთხეს,
ახლა ლექსებს, შენზე უთქმელს,
ოცნებებით ღამეს ვუთევ.

ღამეს ვუთევ ილორს, ჭყონდიდს,
მარტვილს, ცისკენ ხელებგაწვდილს,
მე პირველად მაშინ ვცხონდი,
შენს მიწაზე როცა გავჩნდი.

და ის მიწა, ის მზე, ის ცა,
შენ პირველად რომ მაჩვენე,
შემდეგ საქართველოდ იქცა
და აქამდე არ მასვენებს.

მინდვრები და შენი ზვრები
ავგაროზად გულს მეკიდა,
იწყებოდა ყველა გზები
შენი ვიწრო ბილიკიდან.

ყველა კოშკს და ყველა ციხეს,
მთაწმინდას თუ ნიკორწმინდას,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვეფერე და ველაციცე,
რუხის ციხის ქონგურიდან.

შენი მზე და შენი მთვარე
მოუძღოდა ლექსის გუთანს,
შორი გზებით მოგიარე,
რადგან ახლოს მყავდი გულთან.

ჩემო ზარო, ჩემო ლხინო,
სიმღერავ და ცრემლო ჩემო,
იცი, წლები ლექსს და ღვინოს
უფრო მატებს ფერს და გემოს.

სიტყვის ზვარში შენით შეველ,
შენი ჰანგით, ფერით, ხმებით.
ისევ შენ თუ არ მიშველე,
თიხასავით დავიშლები.

მავიწყდები, სულო, განა,
თუკი ხშირად არ გახსენებ?
მომიყვანა შენმა „ნანამ“,
შენი „ბატა“ გამასვენებს.

ნაპოლეონის სახის ნიღაბი ზუგდიდის მუზეუმში

ერთ დროს ეს იყო ნახევარი ქვეყნის პატრონი,
ამ ნიღაბს ერქვა ერთ დროს სახე იმპერატორის.

არ დაჰკლებია არც დიდება და არც პატივი,
მაგრამ ნიღაბი იყო ერთ დროს იგი პატიმრის.

ამ ნიღაბს ერთ დროს უყურებდნენ როგორც ღვთაებას.
ამ ნიღაბს ერთ დროს უყურებდნენ შიშით, ვაებით.

ეს ყველაფერი თან გადაჰყვა წლებს და დროებას,
ახლა უყურებს და ხარხარებს ამაოება....

ჩანს, ქვეყანაზე ყველაფერი წარმავალია,
თურმე ცხოვრება – ეს ნიღბების კარნავალია.

სადადიანოში ნათქვამი ლექსი

(ირონიული ეჭსპრომტი)

მამულები ჩამოგვართვეს,
გული არ დაიდარდიანო...
ხალხური სიმღერა

არ მიკვირს შენი დარდი სრულებით,
დარდი როგორ არ დაგეუფლება.
ჩამორთმეული გაქვს მამულები
და ტანზე თაფლის წასმის უფლებაც.

დიდოსტატ კონსტანტინეს ძეგლი თბილისში

ჰგავდა მართლაც გაშლილ დროშას,
სიყვარულის მოძალებას
ხელმეორედ შენი მოსვლა
და თბილისში მობრძანება.

და დგას ძეგლი შენი ნების
და სიცოცხლის გადარჩენის –
შენი ძეგლი, შენი მტრების
სასიკვდილო განაჩენი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯუმითი

ო, მაპატიე, ჩემო ჯუმითო,
ჯუმითელებო, თქვენც მაპატიეთ.
თქვენს ქორწილებში ვერ მოვილხინე,
თქვენ ჭირში ღამე ვერ გავათიე,
რომ ვერ გავწიე თქვენი სამანი,
და ვერ შევმატე სოფელს სახელი
და მუჭა მიწა ჩემი სამარის
თქვენს სასაფლაოს რომ დავაკელი.

ნოკო ხურციას გახსენება

ხმის ჩამწერმა სტუდია „მელოდიამ“ გამოუშვა
ნოკო ხურციას სიმღერების ფირფიტა...

როგორც ჩუქურთმა – მარტვილის კედელს,
შენი ხმა ქართულ სიმღერას შვენის.
საქართველოს ცას, კოლხეთის ედემს,
არ მოსწყინდება გალობა შენი.

შენი ბულბული ვარდს ისევ უმღერს.
და სიყვარულის ასევე სჯერა.
ვერავინ ადგამს კისერზე უღელს,
შენს ხმას მიჩვეულ ბუსკას და ჩელას.

იბადება და არასდროს კვდება
ნაღდი სიმღერა და ნაღდი ლექსი.
შენი „ჰარირა“ კვლავ ცერზე დგება,
უტუს შენი ხმა ისევე ემის.

შენ ისევ აქ ხარ, შენ ისევ მღერი,
შენ ისევ ატკბობ გულსა და სმენას,
შენი ხმა, შენი ლერწამის ყელი
სალამურივით უჭირავს სენაკს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქაც გახარებს ის ცა და ის მზე,
სამუდამოდ რომ შენს სულში დარჩა,
და სარდალივით მიუძღვის ისევ
შენი ხმა კოლხურ ჰანგების ლაშქარს.

საინგილოს გზაზე

სიანგილოს გზაზე მივალ
და წარსული სევდით მიმზერს.
ნოდარ, გული რატომ გტკივა?
მეკითხება ვიღაც მიზეზს.

სისხლითა და ოფლით ნაჯერს,
მე რომ მიყვარს სწორედ იმ ფერს,
ჩემი ცის და მიწის ნაჭერს,
ვხედავ, ვიღაც გულზე იფენს.

„წინწყაროს“ და „მუმლი მუხას“
ბაიათით ახრჩობს თარი.
მივდივარ და ჩუმად ვწუხვარ,
ჩემთვის ჩუმად ვკოცნი ტარიგს.

რას არქმევენ ნეტავ იმ სენს
გულამდე რომ ცრემლად მივა,
მეკითხება ვიღაც ისევ:
– ნოდარ, გული რატომ გტკივა?

ჯვრით და სანთლით არვინ აღებს
ქურმუხის და გიშის კარებს.
ვესალმები ქართულ სახეს,
მაგრამ არა ქართულ გვარებს.

დანგრეული ტაძრის ქვები
ცრემლებივით გზა-გზა ყრია.
წინაპრების საფლავები
ტალახსა და ბალახს მიაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

გული ხელის გულზე მიდევს
და ძაგემში ისე მიმაქვს.
ნუთუ ვინმე მკითხავს კიდევ:
– ნოდარ, გული რატომ გტკივა?

უსიმღეროდ განვლილი გზები

„ძველ საინგილოში სიმღერა არ იცოდნენ,
მუდამ გულჩათხრობილი, პირქუში ინგილო
თავდახრილი დადიოდა, თითქოს გლოვობდა
თავისი ქვეყნის მძიმე მდგომარეობას“.

„მზიან საინგილოში“
ალექსანდრე ჩხენკელი

1.
მზე იყო თუ წვიმდა, თოვდა,
მისი ყოფა ჯვარცმას გავდა.
სხვა ბეგარას არვინ სთხოვდა
სისხლისა და რწმენის გარდა.

თავი ბერჯერ ანაცვალა,
მამულისთვის ბევრჯერ ცხონდა,
სიმღერისთვის არ ეცალა
რადგან ჰანგი სისხლს მიჰქონდა.

აშენებდა ციხეს, ქალაქს,
ასვენებდა როცა გორდას.
სიმღერისთვის არ ეცალა
რადგან ჰანგი ოფლს მიჰქონდა.

დარდი იყო ისე დიდი,
სიხარული ისე ცოტა,
სიმღერისთვის არ ეცალა
და სიმღერა არც იცოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე იყო თუ წვიმდა, თოვდა.
მისი ყოფა ჯვარცმას ჰგავდა.
სხვა ბეგარას არვინ სთხოვდა
რწმენისა და სისხლის გარდა.

2.
საქართველოვ, სუნთქვავ ჩემო!
ჩემო ორთავ თვალისჩინო,
პურს არა აქვს პურის გემო,
ცრემლის გემო დაჰკრავს ღვინოს.

გამივლია ბეწვის ხიდი,
ბევრჯერ თავიც გამიწირავს.
ცრემლთან ერთად სისხლსაც ვღვრიდი,
ჩემს თბილისს რომ არ ეტირა.

შენზე მტერს არ ვაცინებდი,
და კახს ჩემი ძვლები ჰყრია,
მე ჩემ გულში ვაციებდი
შენს გულისკენ ნასროლ ტყვიას.

სანამ უნდა ვასვა ცრემლი
გრძელ ღამეს და მოკლე დღეებს.
ტკივილი და დარდი ჩემი
ნეტავ როდის დაიმღერებს.

მოდი, გულზე მომეფონე
და ჭრილობა დამიამე.
სანამ კიდევ მომდევს ღონე,
სანამ კიდევ ვუძლებ ღამეს.

სანამ სული დამიბერდა
და ბალახი მომერია.
მომეფერე, ჩემო დედავ!
მომეფერე, ივერიავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს „რკინის ჭიშკარი“

ასე უწოდებდნენ ძველ საინგილოს

მე საქართველოს ჭიშკარი ვიყავ,
ჩემი სამშობლოს რკინის ჭიშკარი.
დღესაც ის მთები და მიწა მიყვარს,
ბევრჯერ საფლავად რომ გამითხარეს.

მე საქართველოს მიწაზე ვიდექ
თუ ქართვლის მიწა გულზე მეყარა:
ვიდრე ვცოცხლობდი, ვსუნთქავდი ვიდრე,
დარაჯად ვედექ მე ჩემს ქვეყანას.

მე საქართველოს ცერბერი ვიყავ,
ფეხზე მდგარი და მუდამ ფხიზელი.
საქართველოს მტრის
პირველი მტერი,
პირველი ციხე და მასპინძელი.

მე საქართველოს ტარიგი ვიყავ,
მის სამსხვერპლოზე ბევრჯერ მისული.
ქვეყნის სატკივარს ბოლომდე მიჰყვა
გული დაჭრილი და გასისხლული.

თუმც უბედობამ ბევრჯერ გამრიყა,
ბევრჯერ გამწირა და გამიმეტა.
მე საქართველოს იმედი ვიყავ
და საქართველო მყავდა იმედად.

ისევ მომავალს ვანდობ განაჩენს,
ჩემი იმედი ჩემი ერია.
რაკი სამშობლოს მიწა გადარჩა
სიკვდილი
არც მე
არ მიწერია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე ერეკლე ზოგჯერ ჩალმას ატარებდა

არც ფაფანაკი, ჩალმა, ტიარა,
არც სვანური და თუშურ-კახური,
მთავარი არის ქუდი კი არა–
თავი, რომელსაც ქუდი ახურავს.

თუმც დაგვიტოვა წლებმა იარა,
ბევრჯერ ვყოფილვართ ჯვარზე გაკრული.
მთავარი არის გვარი კი არა –
სისხლი თუ ღელავს ძარღვში ქართული.

თუმც ქარიშხლებმა გადაგვიარა,
უნდა კვლავ ვიდგეთ წელგამართული.
მთავარი არის რჯული კი არა –
გული ფეთქავდეს მკერდში ქართული.

ინგილო ქალი

არა ყაუხით, ჩალმით ან ყავლით –
ქართული ქუდით, ქართული დროშით,
ქართველმა მეფემ
სტუმრად ან გავლით
რომ ჩაიაროს საინგილოში,

არ ვიცი მე, ვის მიუძღვის ბრალი,
მაგრამ რომ ვხედავ იმ ძველ იარას,
დღეს ქართველ მეფეს ინგილო ქალი
ცრემლებს დააყრის, ქლიავს კი არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანაკრეონტის გახსენება საინგილოში

„როცა ვსვამ ღვინოს,
იძინებენ ჩემი დარდები“
ანაკრეონტი

ღვინოც დავლიე, გულის გარეთ
კიდეც ვიცინე,
ვერ დავაძინე მაინც დარდი,
ვერც მე ვიძინებ.

ვერც იმ ბახუსმა, ვერც ქეიფმა
ველარ მიშველა.
ყელი კი არა, ანაკრეონტ,
სული მიშრება.

აქეთ კახია, იქით კიდევ
ჩემი კახეთი.
ძველი ჰერეთი, საქართველოს
ჩამონატეხი.

ეს ყველაფერი რასაც ნიშნავს,
კარგად ვიცი მე.
ვერ დავაძინე ჩემი დარდი,
ვერც მე ვიძინებ.

არც ჩინგის-ხანი, არც თემური
და არც ყაენი,
თუ მახსენდება ხან იუდა
და ხან კაენი.

თითქოს მაფხიზლებს და მაფრხილებს
სულიც ილიას:
–რა დროს ქეიფი, ღვინის სმა და
რა დროს ძილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიბაძვის ღირსი

„რა ცოტა დარჩა მიბაძვის ღირსი“

გ. გეგეჭკორი

ის, ვინც ჩემი ხატი იყო,
დღეს ხატია სხვის:
ვუყურებ და შიში მიპყრობს:
–ვის მივბაძო, ვის?!

ვინც სანგარში უნდა იჯდეს,
დღეს სუფრასთან ზის.
ემატება ფიქრი ფიქრებს:
–ვის მივბაძო, ვის?!

ის, ვინც ქვეყნის სამკალს მკიდა,
დღეს თავისთვის მკის.
ასეთების გადამკიდემ
–ვის მივბაძო, ვის?!

ჩუმ-ჩუმდება, ვხედავ, ნელა
ამომღები ხმის.
ვეკითხები მაინც ყველას:
–ვის მივბაძო, ვის?!

პაოლო იაშვილის გაბაასება თოფთან

ჭორი, სიცრუე სიყალბე
ირგლივ მარტყია რკალად,
მინახავს ბევრის ღალატი,
შენ არ იკადრებ ღალატს.

ნელ-ნელა ცისკენ მივყევარ
ბედსა თუ ბედისწერას.
ბევრის ნათქვამი გახუნდა,
შენი სიტყვების მჯერა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვერ შევეგუე ვერაფრით
ორპირთ, ცბიერთ და ლაჩართ,
ბევრის იმედი დავკარგე,
შენი იმედი დამრჩა.

ლექსები კრიმინალურ თემაზე

ნარკომანია

1.
თუმც იყო ომი, სისხლი, წამება,
სხვაა ის დარდი და გაჭირვება.
ფუჭად იღვრება და იწამლება
სისხლი, რომელიც მამულს სჭირდება.

ძველი ტკივილი აღარ გველევა,
მაგრამ ეს არის უფრო საშიში,
როცა ქართველი არაგველებთან
გაბრუებული მიდის ჰაშიშით.

2.
ის, ვინც დღეს ყიდის შხამს და საწამლავს,
მისი სული და მისი თესლია,
ვინც ქეთევანი შანთით აწამა,
ვინც წვავდა ტაძრებს და ეკლესიებს.

ეს ის კაცია (თუმცა სხვა დროა),
ვინც ვერცხლს გემო და გეში აუღო,
კრწანისთან მეფე ვინც მიატოვა
და მტერს თბილისის კარი გაუღო.

3.
ის ცდილობს, აღარ გყავდეს, მამულო,
სტუმრის დამხვდური, ომში წამსვლელი,
რომ ცოტა იყოს საქართველოში
ბიჭები, ტანზე თაფლის წამსმელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს ის კაცია, ჩემო ბატონო,
ჩემო სამშობლოვ, ეს ის კაცია,
ვინც ცდილობს აღარ დარჩეს პატრონი
„ვეფხისტყაოსანს“, ჯვარს და ვარძიას.

4.
–აგერ, ბიჭებო, ოშკი, პარხალი,
მომლოდინე და თქვენი მჭვრეტელი.
თქვენ უნდა გეპყრათ ხელში ფარ-ხმალი,
ფუნჯი, გუთანი და საჭრეთელი.

როცა სვანეთის ცა არის ახლოს,
როცა ახლოა მიწა არმაზის,
იმ ძილბურნაში რა უნდა ნახოთ
საქართველოზე უფრო ლამაზი.

საქართველოს მთები

სამშობლოს ფარი და ციხის კარი
საქართველოს მტრებს ბევრჯერ შეება,
თუ იცლებოდა სისხლისგან ბარი,
ცრემლი სდიოდა მთას ჩანჩქერებად.

გალაღდებოდნენ თუ ზოგჯერ მტრები
და ბარს კისერზე ედგა უღელი.
მაშინ ის ჩვენი ამაყი მთები
იყო სამშობლო ქუდმოუხრელი.

თუმც ბევრჯერ ჩეხეს მახვილით, შუბით,
ნაიარევი ხრამებად იქცა,
კავკასიონის ამაყი შუბლი
არ შეხებია არასდროს მიწას.

ყველას: მოყვარეს თუ მტრის იარაღს,
ფეხზე დგანან და ისევ ხვდებიან.
ზოგჯერ ის მთები მთები კი არა,
ამოღებული ჩვენი ხმლებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ის ჭაღარა – ის თოვლის ფიფქი –
არც თოვლია და არც ფიფქებია,
საქართველოზე ზრუნვით და ფიქრით
გათეთრებული მთების თმებია.

ასე ფხიზლად რომ მამულს უვლიან,
ის მთები ზოგჯერ მთებზე მეტია,
ერის სპეტაკი თეთრი სულია,
რომელსაც ჭუჭყი არ შეხებია.

საქართველოს ტყეები

1.
რომ მდინარეც და რომ ჰაერიც
არის ანკარა,
რომ თავს გვეფრქვევა ცისარტყელას
ფერი შვიდივე,
ყველა აგარა, მართლა რომ ჰგავს
ყველგან აგარაკს,
რომ საქართველო ლამაზი და
ასე მშვიდია,

რომ არ აკლია საქართველოს
ფრინველ-ნადირი,
ირმის ბღავილი, ბულბულის ხმა,
წყაროს გალობა,
რომ საქართველო სამოთხეა
მართლაც ნამდვილი,
ეს ყველაფერი არის ჩვენთა
ტყეთა წყალობაც,

მოვარდნილ მტერს თუ ჩამოწოლილ
ზვავსა და მეწყერს–
ხვდებოდა მუდამ, გულუშიშრად,
მტკიცედ და მედგრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოა ტყე – თავის ქვეყნის
ფარი და შემწე,
ჭირში და ლხინში თავის მამულს
სულ გვერდით ედგა.

ჟამს მშვიდობისას, ცად აწვდილი
მწვანე ხელებით,
საქართველოს მზეს უგალობდნენ
რა აღტაცებით...
ომშიც პირველნი ეცემოდნენ
ჩვენი ხეები,
საქართველოს ტყის ფეხზე მდგარი
ჯარისკაცები.

აღარ ჰქონიათ მათ სხვა დარდი,
სხვა საფიქრალი,
გარდა სამშობლოს სიყვარულის
და გადარჩენის.
იყო კერიის ნაღვერდალი
და ცეცხლის ალი,
იყო აკვანი, სახლის ჭერი
და ყავარჯენი.

აღარ ჰქონიათ სხვა სურვილი
და სხვა სათქმელი,
აღარ ჰყოლიათ სხვა ხატი და
სხვა საფიცარი.
საქართველოს ტყე, თუკი იყო,
იყო ქართველის
ხანჯლის ქარქაში, თოხის ტარი,
კუბოს ფიცარი.

2.
როცა უაზროდ ტყეს ჩეხავენ
ან ხეებს ჭრიან.
საქართველოს ცას სიცოცხლე და
ფერი აკლდება.
ის, რასაც ახლა, სულ უბრალოდ,
სიბრიყვე ჰქვია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნავს ხვალინდელ საქართველოს
მიწის აკლებას.

თუ არ გავუგეთ, არ ვუშველეთ
დღეს მის ჭრილობას,
თუ დავრჩით მარტო გურმანებად
ანდა ჩარჩებად.
რასაც ვეძახით დღეს უბრალოდ
ჩვენს გულგრილობას,
ნიშნავს ხვალინდელ დღისთვის ზურგში
დანის ჩაცემას.

ამ ქვეყნად მოსვლას თუკი ჩათვლით
მართლა სტუმრობად,
არ შევისმინეთ საქართველოს
ტყეთა ღაღადი;
დღეს რასაც ვარქმევთ უგულობას
ან უჭკუობას–
ეს ხვალ იქნება საქართველოს
მიწის ღალატი.

ტყის რეკვიემი

არ დაუწყია სიკვდილს ლოდინი,
ტყვიამ იწივლა, შეწყდა მოტივი.
და ჩამოვარდა შაშვი ტოტიდან,
როგორც აკორდი თეთრი ნოტიდან.

გაიბზარა და უცებ დაიმსხვრა
ცა – გაზაფხულის ფერით ნაგები.
თვალცრემლიანი იდგა მაისი,
ერთი ლამაზი ჰანგით ნაკლები.

მთებს კი ღრუბლები მხრებით ეკავათ
და გაზაფხული სევდას აევსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყე კი უკრავდა უკვდავ რეკვიემს
და პულტთან იდგა ნაძვი – მაესტრო.

შენ, ებრაელო...

შენ, ებრაელო, მსოფლიოს მგზავრო...
უოლტ უიტმენი

1.

თუმც მოთმინება გქონდა იობის,
უსამშობლოოდ მაინც ვერ ძლებდი.
ვერ ისვენებდი და დადიოდი
და შენს დაკარგულ მამულს ეძებდი.

ფუნჯით, საჭრეთლით, კალმით და ქნარით
ქვეყანა ბევრჯერ ალაპარაკე.
მაინც გიწოდეს მსოფლიოს მგზავრი,
თუმც დედამიწის ხარ მოქალაქე.

იქნებ სიკვდილზე მეტიც კი არი
სულის გაყოფა და გაორება.
არის მგზავრობა და ხეტიალი
უსამშობლოო კაცის ცხოვრება.

გინახავს ბევრი ავის მოსურნე:
მოსული შურით, ღვარძლით, გინებით...
შენ ამარცხებდი მტერს და მოშურნეს
ხან სულგრძელობით, ხან მოთმინებით.

ალბობდი მიწას ოფლით და სისხლით,
თუკი გზა მეტი არ იყო ხსნისა.
გტკიოდა გული ტკივილით სხვისით,
აქცევდი შენად სიხარულს სხვისას.

სხვათა ჭაპანი ბევრჯერ გაწიე,
სხვისთვის სიცოცხლეც ბევრჯერ გაწირე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი სულის და გულის ნაწილი
ბევრსაც პურივით გაუნაწილე.

არ იქნა, მაინც სული არ ცხონდა,
მაინც რეკავდა წუხილის ზარი,
თითქოს და ყველგან სამშობლო გქონდა
და მაინც გერქვა მსოფლიოს მგზავრი.

იდექ სახლის თუ სამარის კართან,
არ გასვენებდა აღთქმული მიწა.
არც ერთი ცა და მიწა არ ჰგავდა
სიზმრად დანახულ სამშობლოს იმ ცას.

ამიტომ სევდას ცრემლით ათრობდი,
ოცნებას რწმენით ცეცხლით ათბობდი,
უსამშობლოო კაცის სამშობლოს,
იმედს
– ცოცხალი თავით არ თმობდი.

და ჩვენც თუ შევრჩით ამ მიწას ობლად,
ჩვენი გოლგოთის გზაც თუ გაგრძელდა,
თქვენგან ვისწავლოთ უნდა სამშობლოს
სიყვარულიც და ჭირთა გაძლებაც.

სამშობლოს გარეთ, რომ ვთქვათ სიმართლე,
ამაო არის ძებნა სამოთხის.
მზეს მაშინ ჰქვია მზე და სინათლე,
როცა სამშობლოს ცაზე ამოდის.

2.
არც სიყვედური, არც სამდურავი,
ჩვენ ძმურად ცრემლიც კი გავიყავით,
რისი მგზავრი და რისი სტუმარი,
შენ საქართველოს შვილი იყავი.

სხვისი არ ვიცი,
ყველამ თავისი
ტკივილი გულზე გადაიგოროს...
შენ გატირებდა ჩემი კრწანისი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადიდგულებდა ჩემი დიდგორი.
შენც მიყვებოდი ხომ უღალატოდ
ჩვენს გზას ეკლიან და ტკივილიანს.
სხვაგან არ ვიცი,
ჩვენთან არასდროს,
არსად, მგზავრივით არ გაგივლია.

ქართული გვარით, ენით და დროშით
შენც ერთგულებდი ჩვენს ისტორიას.
სხვაგან არ ვიცი,
საქართველოში
შენ სტუმარივით არ გიცხოვრია.

თუ მოგენატრა მიწა აღთქმული,
თუ მაინც მოგწვდა მიწის ყივილი,
ვიცი, არ ტყუი,
და არ გამტყუნებ,
და მიგაცილებ გულისტკივილით.

ჩვენი წარსული ბევრის დამტევი
და ისტორია არის თავდები, –
საქართველოს მტრებს არ ემეტები,
შენ საქართველოს მიწას აკლდები.

მიდიხარ, მაგრამ ჩვენთვის არ კვდები,
შენი ოჯახით, შვილთა აკვნებით,
თუ საქართველოს მიწას აკლდები,
ჯვარის მონასტერს ხომ ემატები.

თუ სიყვარული არის საწყისი,
რა საჭიროა სხვა მაგალითი.
არ მოგიპარავს ოქროს საწმისი,
არ წაგიღია თვალ-მარგალიტი.

მიგაქვს ფერები ზარზმის ფრესკების,
შუქი ზედაზნის, სევდა საფარის,
ჩვენი სიმღერა, ცეკვა, ლექსები,
შენი სიზმრების თავშესაფარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიგაქვს მაისის ცა მოხატული
და სურნელება ჩვენი მდელოსი,
მიგაქვს განძივით ენა ქართული
და სიყვარული საქართველოსი!...

სვანური კოშკები

ზვავგადავლილი სვანეთი სულს მიკორტნის და გულს ზარავს,
ვუმზერ დანგრეულ მაჩუბებს, როგორც დალეწილ მუზარადს.

ჰგვანან დაცლილი სოფლები უხმლოდ დარჩენილ ქარქაშებს,
მკერდშელეწილი სახლები – ომში დაცემულ ვაჟკაცებს.

თუმც ელდამ ჩამოიარა, სიკვდილმა გადაიგრგვინა
ჩემს საქართველოს უშგული ისევ თავს ადგას გვირგვინად.

ისევ ფეხზე დგას სვანეთი, როგორც ვაჟკაცის წესია,
გაუტეხელი ლენტეხი, დაუჩოქელი მესტია.

მაგრამ თუ მთებმაც უმუხთლა, თოვლის ბორკილში დატოვა,
მწამს, უბატონო სვანეთი არც მთას დაისვამს ბატონად.

არც მეწყერის და არც ზვავის
უღელს ქედზე არ დაიდებს,
ჰგვანან სვანეთის კოშკები ბრძოლაში ჩამდგარ რაინდებს.

თუმც ბევრი მტერი სვანეთის ახლა მიწა და მტვერია,
კოშკებს ვერც მტერი, ვერც ზვავი, ვერც წლები ვერ მოერია.

აქამდე როგორ მოვედით, ახლა არ მიკვირს სრულიად,
გაუტეხელი კოშკები – ეს საქართველოს სულია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაძლების ნიჭი

მადლობა, ღმერთო, რომ უბოძე მამულს ყოველი
ნიჭი ზეობის, ზეიმის თუ ჭირთა გამოცდის:
ნიჭი დიდგორის, ვარძიის და სვეტიცხოველის,
ნიჭი ყინწვისის, გელათის და „ვეფხისტყაოსნის“

ნიჭი „ქართულის“„ხორუმის“ და ნიჭი „ ლაშქრულის“,
ნიჭი გატანის, მეგობრობის, მტრის შეწყალების.
არა მჩურჩნელი, ორპირული ანდა ლაჩრული,
ნიჭი კაცური, რაინდული და ვაჟკაცური.

მაგრამ დღეს, როცა ცა აივსო გლოვის ზარებით,
როცა კვლავ დადგა ქართლის დედა, გაშლილი თმებით
(არა მეწყერმა, არა თოვლმა არა ზვავებმა,
იმ ცხრა აპრილის ელდამ შესძრა აჭარის მთები).

როცა დღეს ჯალათს ჯალათი და მკვლელი არ ჰქვია,
როცა სატანა ანგელოზის პოზას იკავებს,
როცა ჩვენს წუხილს და ჭრილობას მარილს აყრიან
და ქალიშვილებს საფლავებში ისევ გვიკლავენ.

როცა სამშობლო დღეს კვლავ იბრძვის
უთოფოდ, უხმლოდ,
როცა სამშობლო (მერამდენედ) კვლავ იძაძება,
დღეს საქართველოს თუ სჭირდება ყველაზე უფრო
– ნიჭი სიფხიზლის, ჭირთა თმენის, ნიჭი გაძლების.

***

ამაყო მთებო, წყალნო არაგვის,
კრწანისის მიწავ – ქართვლის იარავ,
ბევრი ქართველი ღირსი არ არის
თავის სამშობლოს ცის ქვეშ იაროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდგორის ველო, ციხევ თამარის,
ჩემო ჯვარო და ჩემო კლდეკარო,
ბევრი ქართველი ღირსი არ არის
გულზე სამშობლოს მიწა ეყაროს.

ნოსტალგია დუელზე

არც ყაჩაღი ხარ, არც კაცის მკვლელი,
მაგრამ როდესაც გთელავს თავხედი
მე ვიცი, გული რას გეუბნება,
ალბათ, სიკვდილსაც მშვიდად დახვდები,
მაგრამ არა გაქვს ამის უფლება,
აკრძალულია რადგან დუელი.

კაცი ტუტუცი და გაუზრდელი
ჭორით, ღიზღით და ცილისწამებით
როცა გიწამლავს გულს და გუნებას,
ო, საშინელი არის წამება,
მაგრამ არა გაქვს სროლის უფლება,
აკრძალულია რადგან დუელი.

როცა რეგვენი, ანდა სულელი
სავარძლისა და სკამის იმედით
როს იწყებს შენი სულის აკლებას: –
კი, სიცოცხლესაც კი გაიმეტებ,
მაგრამ ისევე შენს გულს აკვდები,
აკრძალულია რადგან დუელი.

ან როცა ვიღაც გადამთიელი
ხელთათმანივით ესვრის სტრიქონებს
შენი ხალხის და ერის ღირსებას,
შენ წინაპართა სახელს იგონებ
და უმწეობის ბოლმით ივსები
აკრძალულია რადგან დუელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩიტების წუთისოფელი

გაზაფხულია, მზის გულზე გამოფენილან იები,
სასაფლაოსკენ ვიღაცას დუმილით მიაცილებენ.

გამცილებლები დროებით დაბრუნდებიან უკანვე....
სასაფლაოზე, ჩიტები ბოლო მუსიკას უკრავენ.

იქნებ მათაც ჰყავთ თავისი მოცარტიცა და შოპენიც...
ნეტა ვიცოდე, რა არის ჩიტების წუთისოფელი!

ჩემს ლექსებს

(ნიკო სამადაშვილის გახსენება)

რაკი ბედი თან არ აგყვათ,
უნდა მისხალ-მისხალ წონოთ...
სხვა პატრონი თქვენ არა გყავთ,
თქვენ თავს უნდა უპატრონოთ.

რაკი ბედი მეც არ ამყვა,
უნდა მისხალ-მისხალ ვწონო...
სხვა პატრონი მეც არა მყავს,
მეც თქვენ უნდა მიპატრონოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალი

ალექსანდრე პუშკინი რომ მოკვდა,
138 ათასი მანეთი ვალი ჰქონდა
ა. პუშკინის ბიოგრაფიიდან

სიკვდილამდე თუ სიკვდილის შემდეგ
ის გოლგოთაზე ისე ავიდა, –
ის ისე მოკვდა,
რუსეთი დღემდე
ველარ ამოდის მისი ვალიდან.

ის ვალი გულზე დარდად ეყარა
(პოეტის დარდი ყველას დარდია),
სირცხვილი იმ დროს და იმ ქვეყანას
პოეტები რომ ვალით დადიან.

ისევ

ეს დღეც გათავდა, ეს მზეც ჩავიდა
და ვარსკვლავები ხელებს მიწვდიან.
უნდა დავიწყო ისევ თავიდან
ძილი-სიკვდილის რეპეტიცია.

ისევ განვიცდი, ვწუხვარ, ვწუწუნებ
ხან სიმარტოვეს, ხან გაორებას
და ისევ ათასს რამეს ვუწუნებ
ჩემს თავს, ჩემს დღეებს და ჩემს ცხოვრებას.

ვხედავ, ძალიან ბევრმა ისწავლა
ცნობა მეგობრის, დროის, ამინდის,
მე კი რაც ვიყავი, ისევ ისა ვარ,
ისევ მიმნდობი და მიამიტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისევ როლებს და ნიღბებს იცვლიან
და გული სევდით მომეწურება
უკვე მომბეზრდა, არ შემიძლია
ამდენი ყალბი სცენის ყურება.

დღეები ისევ ჯვარზე მაკრავენ,
ისევ ეხსნება პირი იარას...
დაბადებიდან ჩემი აკვანი
ალბათ ცა იყო, მიწა კი არა.

სანამ ცხოვრება თვალებს ამომთხრის,
ეს ჩემი ხვედრი უნდა ვიკმარო.
ზის მზის ტოტებზე ჩიტი სამოთხის
და იმ ქვეყნიურ ჰანგებს მიგალობს.

***

რომ ვარ დაღლილი და დაქანცული
ცხოვრებით, ბრძოლით, შეხლა-შემოხლით,
ჩემი ოცნების ნაზი ქალწული
ისევ დამსხვრეულ სულში შემოხვალ.

ისევ შენა ხარ ჩემი იმედი
და ისევ ბრუნავს ბედის ბორბალი.
ო, პოეზიავ, ნუ გამიმეტებ,
თუ გამიმეტებ, დროზე მომკალი.

შენზე უზომოდ შეყვარებული,
შენს წინ მუხლებზე მდგარი მგოსანი
იქნება, ბევრჯერ გაბრიყვებული,
მაგრამ ყოველთვის პატიოსანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ეს რა ხდება, რა მოგდის,
ბედი რატომ გიმეტებს,
ეკლად რატომ ამოდის
დათესილი სიკეთე.

რად არ უნდა სიხარულს
შენი გულის დანახვა,
შენს გაცემულ სიყვარულს
ვინ გიბრუნებს ტალახად.

შარბათში რომ გარიეს,
ნეტავ ვისი გესლია.
ერთგულების მაგიერ
ტყვიას რატომ გესვრიან.

* * *

ქურდთან აღარ ვიქურდე,
ლოთთან აღარ ვილოთე,
მხოლოდ საქართველოსთვის–
სამშობლოსთვის ვილოცე.

მხარი ველარ ავუბი
ვიღაც ოხერ-ტიალებს.
ჯამბაზივით სცენაზე
ვერა, ვერ ვიტრიალე.

რწმენას ვერ ვუღალატე,
ფიქრი ვერ მივატოვე.
აი, სწორედ ამიტომ
შევრჩი ჩემს სიმარტოვეს.

დროზე ველარ გავჩუმდი,
დროზე ვერ ვიხმაურე,
აი, მხოლოდ ეს არი
ჩემი დანაშაული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოფილ მეგობარს

ეტყობა, მართლაც
ალარ არის
თავს ზემოთ ძალა.
რაც ვარ, რაც ვიყავ,
მე იგივე
ვიქნები ხვალაც.
ველარ მიშველა
ერთი ფუთი
მარილის ჭამამ,
უნდა გავუძლო
შევეგუო
კიდევ ერთ ღალატს.
ალბათ გიჭირდა,
გაგიჭირდა
ალბათ ძალიან,
თორემ ამგვარი
ლუკმის ჭამა
ძნელია, ძნელი.
ასე მგონია,
ის დაცემა
ჩემი ბრალია,
ეტყობა, ველარ
შეგაშველე
დროულად ხელი

ვიცი, ეს ლექსი,
ეს სიტყვები
ვერაფერს შეცვლის,
მაგრამ სული რომ
დავამშვიდო,
მაინც მჭირდება –
მინდა ვიცოდე:
იმ ღალატით,
იუდას ვერცხლით
ცოტათი მაინც
თუ ეშველა
შენს გაჭირვებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

არა ვინმესთან ჯიბრით ან დავით,
არა უბრალოდ და სხვათა შორის...
წუხელის კაცმა მოიკლა თავი
და ქალაქს უცებ მოედო ჭორი.

ზოგმა უწოდა სულელი, გიჟი,
ზოგმა ათასი რამე უწოდა...
მისი ტკივილი, ფიქრები მისი
მხოლოდ ღმერთმა და თვითონ უწყოდა.

ტელეფონებზე გაბმული ხმები
არ ასვენებდნენ გასროლილ ტყვიას...
რაა ცხოვრება, თუ შენი ნებით
კაცს თავის მოკვლაც არ შეგიძლია.

* * *

არის ცის და მიწის დავა
და ლოდინი განაჩენის.
ვიცი, ტანი საით წავა,
საით წავა სული ჩემი?!

„მოვედი, ვნახე, გავიმარჯვე“

რომ ეს ცხოვრება ომია,
ამაზე სხვებმაც იფიქრეს,
სიკვდილი კიდევ რომია –
ყველა გზა მიდის იქითკენ.

რაც გავიარე, ეს არის –
გზა ფინიშამდე მოსული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ვარ არც კეისარი,
არც სარდალი და კონსული.

მაინც გავყურებ განვლილ გზას
ფიქრით, ოცნებით, წამებით,
მეც ვიმეორებ სამ სიტყვას:
მოვედი. ვნახე. წავედი...

ეპიტაფია

ისე მომიხდა ამ ქვეყნიდან, მამულო, წასვლა,
ვერ შევძელ ტანზე ცოტნესავით მე თაფლის წასმა.
განვლიე ჟამი სულ უაზრო ბრძოლით და დავით,
პაატასავით ვერ მოგართვი მოჭრილი თავი.
რადგან ვერ მოვკვდი შენთვის, როგორც თევდორე ბერი,
ახლა მიწა ვარ,
მხოლოდ შენი
და ფეხთა მტვერი.

***

სიცოცხლის შემდეგ სიკვდილთან
მისვლა გვჭირდება სიფრთხილით.
თორემ არსებობს ამ ქვეყნად
სიკვდილის შემდეგ – სიკვდილიც.

დედა

ახლა, როცა ხშირად ვდაობ ბედთან,
მენატრები, მენატრები, დედა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახლა, როცა მეძალება სევდა,
უფრო ხშირად მენატრები, დედა!

ახლა, როცა სხვების დედებს ვხედავ,
უფრო, უფრო მენატრები, დედა!

ახლა, ხშირად სიზმარში რომ გხედავ,
ნეტავ რისი ნიშანია, დედა?!

ცრემლი

ყალბი კაცის ყალბი ცრემლი
კი, ნამდვილად წყალია.
ის ნიანგის ცრემლიც ვიცი,
ვიცი დიდი ხანია.
მაგრამ დედის, მამის ცრემლი,
ძმის ცრემლი თუ ცრემლი დის,
განა მართლა ზღვის წყალია,
ან მდინარის, ანდა ტბის.

რა შევარქვათ, რა ვუწოდოთ
იმ ცრემლებს და იმ დარდებს,
ჩვენს წინაპრებს რომ მიჰქონდათ
ტანჯვით ფერეიდნამდე.

რა შევარქვათ, რა ვუწოდოთ
(იმ წლებში და იმ დროში),
წინაპრების ცრემლში, სისხლში
ამოვლებულ იმ დროშებს.

იმ ცხრა გმირის, ცხრა ვაჟკაცის
მშობელ დედას რა ვუყოთ...
მე თუ მეტყვით, დედის ცრემლებს
ძეგლი უნდა ავუგოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედის ცრემლი არ ბერდება,
არც არასდროს ხუნდება,
რომ მოკვდება, შვილის საფლავს
წვიმად დაუბრუნდება.

როგორც ცა და როგორც მიწა,
წყალი სხვაა, ცრემლი სხვა,
ყველა ზღვა და წყარო შრება,
როცა დგება ცრემლის ზღვა.

ცრემლი, ცრემლი, ცრემლი, ცრემლი –
სარკე ჩვენი სულისა.
რა სჯობია ქვეყანაზე
ცრემლებს სიხარულისას.

ან რა ოქრო, ან რა ვერცხლი,
რა განძი შეედრება
შეყვარებულ კაცის ცრემლებს,
ლოცვად დამდგარ ვედრებას.
მაგრამ ცრემლი, ბავშვის ცრემლი
მიწას თუ შეერია,
ვარდები არ იშლებიან,
ჩიტები არ მღერიან.

ბავშვის ცრემლი, ობლის ცრემლი
განა მარტო ცრემლია,
დედამიწის ტკივილია,
ქვეყნის განაჩენია.

ცრემლი, ცრემლი, ცრემლი, ცრემლი,
ცრემლი არ იკარგება ,
რჩება ლექსად, სიმღერებად,
ფერებად და ჰანგებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა სიხარულს, დარდს თუ წუხილს
ცრემლმა უნდა უჩვენოს,
რა ღარიბი იქნებოდა
ეს ქვეყანა უცრემლოდ.

სანთელი

ოთახი, სავსე თამბაქოს ბოლით,
და აქვე სანთლის დაღლილი ალი.
იმსხვრევა სული, იმსხვრევა ბროლი,
ცეკვავს მთვრალი და შიშველი ქალი.

სცენა, გიტარა, სიმღერა, კოცნა,
სანთელი იწვის და ცრემლად დნება.
არც ჰაატას ხმა, არც ბერის ლოცვა.
ხატის წინ მუხლზე არავინ დგება.

ბნელი ოთახი, ფიქრები ბნელი,
ჩხრიალი ოქროს, შრიალი ფულის,
არც წავკისელი, არც არაგველი...
ქურდის, ყაჩაღის დამპალი სული.

სანთელი იწვის, ილევა ჯავრით
და ენატრება ის ალავერდი,
ის ძველი ოშკი, ხახული, ჯვარი,
ღმერთს შეწირული სანთლების ბედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშმაკის მუზეუმი

(არის ასეთი მუზეუმი ჭ. კაუნასში)

ეძღვნება მშვიდობის საერთაშორისო წელს

1.

ეს ვინ მოქარგა ზეცა მთიებით,
ან მიწა ვისი ნებით ირთვება.
ვისი სიცოცხლე არის იები,
ან ვისი სული მოდის კვირტებად.

ის, ვინც ხალხმა და ერმა ინება,
ვისი სიცოცხლეც ქების ღირსია.
პაატას ცრემლი ჩნდება იებად,
ყაყაჩოები ცოტნეს სისხლია.

მაგრამ მათ სახელს აბა რა ვუყოთ,
ვინც მტერს მახვილით არ შეეგება...
თბილისის კარი ვინც მტერს გაუღო,
ამოსულია ახლა ეკლებად.

იმ ღვთიურ ჰანგებს ვინ აწკრიალებს,
ვინ შეაგება ნეტავ გულს გული,
ეს – ანგელოზის ფრთები შრიალებს
და ვარდს უგალობს ბაღში ბულბული.

ცისკრის ვარსკვლავი რაკი იცინის,
ჩანს, სიყვარულმა პატრონს მიაგნო,
მაგრამ ეშმაკიც აქვე სისინებს,
გადაქცეული უკვე იაგოდ...

აღარ ივიწყებს ხალხი არაფერს
და სიკვდილისთვის არ ემეტება,
ანგელოზივით ცაში ააფრენს
სამშობლოსთავის დამწვარ ქეთევანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეშმაკის ლუკმა და კერძი,
ის შადიმანიც აღარ ბერდება,
საქართველოში დღესაც რომ ებრძვის
ცოტნეს, პაატას, საბას, ქეთევანს.

ათასი სახით და მისამართით:
მინისტრის ჩანთით, თეთრი ხალათით,
მჯერა, იწყება რწმენის ღალატით
სამშობლოსა და ხალხის ღალატიც.

2.
რადგან კაცის სულს ფიქრებს, ოცნებებს,
კაენის ცოდვა მაინც ამძიმებს,
ისევ ფხიზლობენ ანგელოზები,
მაგრამ ასევე ეშმაკს არ სძინავს.

თავისუფლებას ვინც აჭრის ხელებს
და ეშაფოტზე აჰყავს სიმართლე,
ჩვენ რომ ვუწოდებთ ტირანებს, მკვლელებს,
ეშმაკს უპყრია სული იმათი.

კი, ნამეტანი სიმკაცრე კია,
მაგრამ ეშმაკის მსახური ჰქვია,
ვინც ფეხით თელავს უმწეო იას,
ანდა ტოროლას ვინც ესვრის ტყვიას.

ან თუ სათქმელიც დროზე არ ითქვა,
ფუი ემშაკს და ეშმაკს არული,
მაგრამ ის ერთი მოკლული სიტყვაც
არის ეშმაკის დღესასწაული.

მოწამლულია ცაში ჰაერი,
ძირს გასანთლული არის საბელი.
ეშმაკს ებარა სული კაენის,
როცა ძმის ხელით მოკვდა აბელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცობრიობა იქცა ჰამლეტად,
სატანის სული უხმობს უკუნეთს.
ჯინის ბოთლივით ჩვენი პლანეტა
ხელში უჭირავს ამ საუკუნეს.

ის ხიროსიმა, ეს ჩერნობილი
ამოსვლა იყო ბოთლიდან ჯინის,
და ისევ ეძებს, მუშაობს ტვინი
ისევ ეშმაკის ნებით და ჟინით.

ილევა მიწა დარდით და ჯავრით,
ესხმება ფრთები ეშმაკის სურვილს,
და ისევ მიაქვს რაკეტა – ჯვარი,
კაცობრიობის ცოდვილი სული.

ხვალაც იქნება, რაც იყო გუშინ,
არ გაღვივდება რწმენა ჩამქრალი,
უპირველესად საკუთარ სულში
ეშმაკის სული თუ არ ჩავკალით.

3.

ვიღებთ და ვიწერთ სიმღერებს, ლექსებს,
ჩიტების სტვენას, ბავშვების სიცილს,
მიწიერ ფიქრებს, სურვილებს, ფერებს,
ყველაფერს, რასაც ვხედავთ და ვიცით.

მთებსა და მინდვრებს, სოფლებს, ქალაქებს,
ფერებს და ჰანგებს ულევს და უშრეტს,
ყველაფერს ამას ფრთხილად ვალაგებთ
და თანამგზავრით კოსმოსში ვუშვებთ.

კოსმოსში ვეძებთ ახალ პლანეტებს,
ახალ ვარსკვლავებს, ახალ კომეტებს,
აქ კი არ ვფიქრობთ არც ერთმანეთზე,
არც იმ ნგრევაზე, არც იმ ომებზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიოტალღით თუ ტელესკოპით
ვაგზავნით სიგნალს და პასუხს ველით.
აქ კი ჟამი დგას ყოფნა-არყოფნის,
სამარეს ვითხრით საკუთარ ხელით.

კოსმოსში ვეძებთ თანამოძმეებს,
არამიწიერ არსებებს ვეძებთ.
აქ ერთმანეთთან, ღმერთია მოწმე,
ომის და მტრობის გარეშე ვერ ვძლებთ.

გალაქტიკაში ვუსმენთ კვაზარებს
და მზეს გულდაგულ ვუსინჯავთ მაჯას.
აქ ერთმანეთის სიტყვა და აზრი
შორეული და უცნობი დარჩა.

სტუმრად ვეწვიეთ ციურ პლანეტებს,
ბევრი ოცნება ცხადად ვაქციეთ.
აქ კი, მიწაზე, ჩვენ ერთმანეთის
გულამდე მაინც ვერ მივაღწიეთ.

კარგია ცაში იმედის ძებნა,
მაგრამ მშობელი მიწა თუ დავთმეთ,
ხომ შეიძლება ციური ძმები
მოვიდნენ, მაგრამ ჩვენ აღარ დავხვდეთ.

4.

ჰგავს დედამიწა მართლაც ანგელოზს,
ომებისაგან ბორკილაყრილი,
გაზაფხულის მზეს, როგორც ავგაროზს,
გულზე ჰკიდია ზეცა აპრილის.

ეს თქვენი სული დადის უჩინრად
და ცას ღრუბლები არ ეკარება.
ამღერებულ ტყეს ხელში უჭირავს
ჩიტები, როგორც ოქროს ზარები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განა ატომით, ატმის კვირტებით
დანაღმულა მწვანე მინდორი.
ამ დროს (ძნელია თვით გაფიქრებაც),
მაგრამ ეშმაკი თუ მოინდომებს,

კაცობრიობა თუ ქარს გაატანს
ამ სილამაზეს, რწმენას, სამართალს,
ანა, ზოია, ჩემო პაატა,
მთელი პლანეტის შვილო – სამანტა.

დარჩენილებო მიწის იარად,
ცაში ასულნო ანგელოზებად,
თუ ეშმაკს ვინმე აყრის იარაღს,
ისევ უმანკო თქვენი ოცნება.

მჯერა, სატანა ვერას დააკლებს
ბულბულის ჰანგს და ფერებს გვირილის.
ომს– ეშმაკის ძეგლს ისევ დაანგრევს
მზე, ამოსული თქვენი ღიმილით.

და სანამ დროა, რომ არ ასრულდეს
ის მითიური გამოცხადება,
უნდა ვაქციოთ ყველა ავსული
იმ მუზეუმის ექსპონატებად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1989
9 აპრილიდან
1990
9 აპრილამდე

გამომცემლობა „მერანი“
თბილისი, 1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალგეთის ლეკვები

მერაბ ბერძენიშვილს

1.

რა ძალა ჰქონია
ოსტატის საჭრეთელს,
სამშობლოს სიყვარულს
რა ძალა ჰქონია,
მტრების და მოყვრების
სამზერად, საჭვრეტად
ეს ძეგლი ყოველთვის
აქ იდგა, მგონია.
თითქოს თქვენც ადრე ამ
კვარცხლბეკზე იდექით,
და შემდეგ მახვილი
საჭრეთლად აქციეთ...
ალგეთის ბიჭები –
სამშობლოს იმედი,
და დროშა მამულის
ამაყად ასწიეთ.
თუმც იყვნენ ყოველ დროს,
არ იყვნენ მედროვე,
და ქვეყნის სიცოცხლე
რომ გადაერჩინათ,
ზოგს ერქვა გიორგი,
ზოგს ერქვა თევდორე,
ზოგს ჯვარი, გუთანი,
ზოგს ხმალი ეჭირა.
ხან ყინწვისს ხატავდნენ,
ხან გელათს აგებდნენ,
ხან ვეფხის და მოყმის
გმირობას აქებდნენ,
ხან იყვნენ რუსთველი,
ხან იყვნენ შავთელი,
ხან ქვეყნის მახვილი,
ხან ქვეყნის სანთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ახლდნენ გორგასალს,
თან ახლდნენ თამარსაც,
დიდგორთან დავითის
მახვილიც ადიდეს.
ერეკლე მეფე რომ
კრწანისთან დამარცხდა,
პირველად ბიჭები
ე, მაშინ ატირდნენ.
მომხვდურებს თბილისთან
პირველნი ეკვეთნენ,
და ალბათ პირველნი
დაეცნენ კიდევაც
სწორედ ის ბიჭები,
სწორედ ის ლეკვები,
ახლაც რომ იცავენ
მამულის დიდებას.
სამშობლოს სიცოცხლეს
და თავისუფლებას
როდესაც ხელყოფენ
ან ემუქრებიან –
არა აქვთ ამ ბიჭებს
სიკვდილის უფლება
და დაცემულები
კვლავ ფეხზე დგებიან.

2.

ორმოცდათექვსმეტშიც
შევხვდი და ვიცანი,
სტალინის ძეგლის წინ
მუხლზე რომ დგებოდნენ.
სჯეროდათ, სამშობლოს
ღირსებას იცავდნენ,
სიმართლეს იცავდნენ,
რწმენისთვის კვდებოდნენ.
და როცა მამულს კვლავ
დასჭირდა პატრონი,
ისევ დავაყკაცდნენ
ალგეთის ლეკვები,

მოვარდნენ თბილისში
და, მერაბ ბატონო,
ქართული ენის მტრებს
გულდაგულ ეკვეთნენ.
არ ცვლიდნენ სამშობლოს
ჩინსა და მედლებზე,
არც დანას იქნევდნენ,
არც ჰაშიშს არ სწევდნენ.
მე ვნახე ისინი,
სახლების კედლებზე
ანბანს, ქართულ ანბანს,
სისხლით რომ აწერდნენ.
იბრძოლეს, იდავეს
სამშობლოს ბედისთვის
(სამშობლოს სიყვარულს
ტაში არ სჭირდება),
დაბრუნდნენ ალგეთში
და ისევ დედის წინ
დადგნენ და, კვლავ იქცნენ
პატარა ბიჭებად
ხომ ფიქრი და განსჯა
სჭირდება ამასაც,
კვარაცხლბეკზე მახვილს რომ
ხელში ძლივს იჭერენ,
ასე წამისწამად,
უეცრად, ანაზდად,
როგორ იზრდებიან
პატარა ბჭიები.
ბავშვს მარტო დედის რძე
და წლები კი არა,
თურმე ზრდის სამშობლოს,
ქვეყნის სიყვარული.
წინაპართ სახელი,
წარსულის იარა,
დარდი და ტკივილი
ერის და მამულის.
და როცა სვანეთში
ატირდნენ დედები,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძაძები მოისხეს
სვანეთის დროშებმა,
ზვავებს შეაგებეს
ჯებირად მკერდები
და იქცნენ ბიჭები
სვანეთის კოშკებად.
კოლხეთშიც იბრძოლეს
იშრომეს, იომეს,
როდესაც დაფარა
წყალმა და მეწყერმა,
ვინც დააჩოქა და
შებოჭა რიონი,
ვინც იყვნენ, იმ ბიჭებს
ზედ შუბლზე ეწერათ.
როდესაც სომხეთშიც
გაისმა ზარის ხმა,
ბიჭებმა უმალვე
მაჯები გადიხსნეს.
არ არის ეს სისხლი
იმ სისხლზე ნაკლები,
ქართველმა სისხლი რომ
დაღვარა ანისთან.

3.
მესხეთში, ხან მტრებით,
ხან წლებით წალეკილს,
წინაპართ ხელებით
ნაგებს და ნაფერებს,
ვითარცა ჭრილობას
დედისას ლეკვები,
ლოკავდნენ ბიჭები –
ტაძართა ნანგრევებს.
არც ვაშას ძახილით,
არც ყალბი ყიჟინით,
არც ხელში მახვილით,
არც ჯაჭვის პერანგით,
ის თქვენი ბიჭები,
ნამდვილად ისინი,

გარეჯშიც ვიხილე
ბარით და წერაქვით,
ტალახში, ქვა-ღორღში
დგებოდნენ წელამდე,
რომ ამოეტანათ
წარსული ლექიდან,
დალეწილ კოშკებს და
გაძარცვულ სენაკებს
წინაპართ ცრემლები
ხატებად ეკიდა.
სიყვარულს ახვევდნენ
ფრესკების იარებს,
დამსკდარი კედლები
ბეჭებით ეკავათ,
და მარტო სამრეკლოს
ზარები კი არა,
გარეჯში ეს მათი
გულებიც რეკავდა.
როცა კვლავ მოესმათ
სამშობლოს ძახილი.
რომელსაც იმედს და
ხერხემალს უმტვრევდნენ,
ქვეყნის სიყვარული
შეიბეს მახვილად
და მშიერ-მწყურვალნი
ღამეებს უთევდნენ.
განა ის მარაბდა
მარაბდით იწყება?
ანდა ის შამქორი
შამქორში თავდება?
რუსთველის გამზირიც
დიდგორად იქცევა,
თუ საქართველოსთვის
გვსურს თავის დადება.
თითქოს და მთაწმინდის
ცა უფრო ამაღლდა,
მომავლის რწმენით და
იმედით ავივსე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა მამულისთვის
ილოცეს ამაყად,
ერთმანეთს შეჰფიცეს
და თაფლი წაისვეს.
ვირწმუნე, არ დათმობს
ცოცხალი თავით ის,
ცოცხალი თავის მტერს
არაფერს გაატანს:
გიორგი, თამარი,
დიმიტრი, დავითი,
ნინო და ქეთევან,
ცოტნე თუ პაატა.
და მართლაც, როდესაც
გათენდა აპრილი,
თბილისს სისხლიანი
აპრილი დაუდგა.
სული ალგეთური
და ბორკილაყრილი
სიკვდილს ცეკვითა და
სიმღერით დაუხვდა.
თითქოსდა ყოველღე
სისხლისგან ვიცლები,
ვიძინებ ტანჯვით და
ვიღვიძებ სირცხვილით,
თვალებს არ სცილდება
იმ გოგო-ბიჭების,
საველე ნიჩბებით
მოკლული სიცილი.
ხომ ბრძანა რუსთველმა,
ძუა თუ ხვადია,
ბოკვერებს ლომისას
გარჩევა არ უნდა,
ვუყურებ და გული
კი მწყდება ნამდვილად,
იმ ბიჭებს დაიკო
გვერდით რომ არ უდგას.
თუ ისევ გაისმა
სამშობლოს ძახილი,

თუ ბედმა გაგვწირა,
წლებმა გაგვიმეტა–
შიშველი გულით და
შიშველი მახვილით
კვლავ დგანან ლეკვები
მამულის იმედად,
მამულის მიწაზე
კვლავ დააბიჯებენ,
სატკივარს ქვეყნისას
კვლავ გულით უვლიან...
ალგეთში კვარცხლბეკზე
შემდგარი ბიჭები
სამშობლოს მარადი,
უკვდავი სულია!

1988 წ. დეკემბერი, 1989 წ. აპრილი

ქალიშვილი შავი დროშით – 9 აპრილს

შენ, საქართველოს იმედად
და ვარდად გაშლილო,
ეს ვინ ჩაგაცვა შავი ძაძა
აპრილის თვეში.
შენ საქორწილო კაბა უნდა
ჩაგეცვა, შვილო,
ვარდების ნაცვლად შავი
დროშა გიჭირავს ხელში.
სამშობლოსავით ხარ ამაყი,
ლამაზი, მტკიცე,
ხარ ქეთევანის და წყნეთელის
გენის და ჯიშის.
ცრემლით კი არა,
ეგ თვალები სავსეა ფიცით,
არავითარი დაჩოქება,
კრთომა და შიში.
ერის რისხვას და ხალხის
წუხილს ვინ შეაკავებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა გოლგოთისა ადრეც
ბევრჯერ გამოგვივლია.
ქართველი ქალის დროშა
ახლა არის აკვანი,
და „იავნანა“ ყველა
ქართველ დედის ჰიმნია.
დაიცხრე, შვილო, ეგ წუხილი
და მრისხანება,
წინაპრებივით უმკურნალე
ქვეყნის იარებს,
შენი ცხრა შვილის ცხრა პერანგი,
მტრების ჯინაზე,
სამშობლოს ცაზე
დროშასავით ააფრიალეს.

შავლეგო

ვუძღვნი მერაბ კოსტავას

შავლეგ! –შენი შავი ჩოხა
ქალწულებმა სისხლით კერეს,
შენი ხმა და ძალა მოჰყვა
იმ ლექსებს და იმ სიმღერებს.

მტერმა ველარ დაგვაჩოქა,
ამ სისხლიან წვიმის დროსაც.
შავლეგ! – შენი შავი ჩოხა
9 აპრილში იქცა დროშად.

როცა დილას ნიჩბით ჩეხდნენ
და ღებავდნენ ბინდის ფერად,
შავლეგ! – შენი შავი ჩოხა
ჰგავდა მაშინ ჯაჭვის პერანგს.

ხალხი მისხალ-მისხალ იყოფს
იმ სისხლსა და გვირგვინს ეკლის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავლეგ! – შენი გული იყო,
რომ დაუხვდა სიკვდილს ცეკვით.

თითქოს ჰგავდი ყველა იქ მყოფს,
თითქოს მუხლში ედექ ძალად,
შავლეგ! – შენი სული იყო,
სიმღერით რომ დახვდა ჯალათს.

შავლეგ! შენი შავი ჩოხა
შავ ძაძებად ექცათ დედებს...
არ შევარჩენთ არვის ოხრად
ჩვენს დარდსა და ჩვენს იმედებს.

შავლეგ! – შენი შავი ჩოხა
დგას მამულის ციხე-კოშკად.
თუ დაგვჭირდა, ისევ მოხვალ,
ისევ ასწევ ქართულ დროშას!

ერის მოღალატეები

„სამშობლოს მოღალატე ყოველგვარი სასჯელის ღირსია“.
საქართველოს ძველი კანონმდებლობიდან

I

ისევ დავხვდებით ალესილ ნიჩბებს,
შევეგებებით სიკვდილს კვლავ ლოცვით.
მაგრამ რა ვუყოთ ამ იანიჩრებს,
ღალატს საკუთარ სისხლის და ხორცის.

ისევ ჩვენივე სისხლს შევაფურთხებთ
ყველა მკვლელს, ყაჩაღს და მოძალადეს.
მაგრამ რა ვუყოთ ამ ჩვენს მანქურთებს,
იმედისა და რწმენის ჯალათებს.

იმ სი-ესივით ისევ სისინებს
მათი სული და კარგად იციან,

წყალი, რომელსაც სვამენ ისინი,
წყალი, კი არა, ხალხის სისხლია.

ხალხის ძვლებისგან გამოთლილია
ეს ჩინ-მედლები და სავარძლები.
საქართველოში სანამ ივლიან,
კაენის ცოდვით სანამ გაძლებენ.

საქართველოში სანამ ივლიან
დაბანგულები ბოღმის ისრიმით,
სამშობლოს ცრემლით მოზელილია
პური, რომელსაც ჭამენ ისინი.

მტერი ისედაც, ვიცით, მტერია,
მაგრამ ათასგზის არის წყეული–
მტერზე ათასჯერ საშინელია
კაცი, სამშობლოს სისხლს მიჩვეული.

2.
ნეტავ რა გულმა უნდა გაუძლოს
თქვენს ამდენ ცოდვა-ბრალის სიმძიმეს.
ან, როცა ხედავთ სიზმრებს გაუძლისს,
როგორ წვებით და როგორ იძინებთ.

ის 9 აპრილი როცა თენდება,
ნუთუ სინათლეს არ ემალებით?
მზეს რომ შეხედავთ, არ გახსენდებათ,
ტყვიით დათხრილი ბიჭის თვალები?

დედის საშოში მოკლულ ჩვილისთვის,
ნუთუ გული არ გეთანაღრებათ?
რა ეპოლეტის ანდა ჩინისთვის
ღირდა ამგვარი ცოდვის აღება.

ყველას კუთვნილი უნდა მიგეზღოთ,
მაგრამ პასუხიც მინდა ამაზე:
ნეტავ რა ჯილდო უნდა მიგეღოთ
საქართველოზე უფრო ლამაზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმც მტერი ქვეყნის ღალატს გიფასებთ,
ვერ გამიგია მაინც აქამდე.
რა უნდა მოგცენ უფრო ძვირფასი
შენი სამშობლო თუკი წაგართვეს.

3.
ისმის ცოცხლების ხმათა ღაღადი
და საფლავიდან ამოძახილი:
–ეს სულერთია, სად უღალატე,
როდის ჩაეცი მამულს მახვილი.

კრწანისის ველზე მტერს შეატოვე
თუ წიწამურთან ტყვია ესროლე.
მიწა გაყიდე თუ ის გვარ-ტომი,
დღეს რომ აკლია მამულს ესოდენ.

მტერს შეეგებე კოცნა-ალერსით
თუ ფიანდაზად შენს გულს უგებდი.
ჯალათს აწვდიდი ნიჩაბს ალესილს
თუ ნარიყალას კარებს უღებდი.

ეს სულერთია, სულით კაენის
ვინც იმუხთლე და იმუხანათე,
ვინც უღალატე, ვინც დღეს ღალატობ,
ან საქართველოს ხვალ უღალატებ.

ეს სულერთია, შენ რა გერქმევა –
სერგო, ფილიპე თუ შადიმანი.
მეფე იქნები თუ ათაბაგი,
პრეზიდენტი თუ ცეკას მდივანი.

ეს სულერთია, შენ ხარ ცოცხალი
თუ წლებმა უკვე მიწად გაქცია.
არც საფლავი გაქვს, არც სალოცავი,
რადგან სამშობლო არ გაგაჩნია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯილდო

სერგო ორჯონიკიძე დააჯილდოვეს
ორდენით „თბილისის აღებისათვის“

თბილისს ბევრი ახსოვს აკლება,
თარეში სხვა ტომთა მხედრების,
კვერით გალეწილი აკვნები
და ძუძუგამშრალი დედები.

ახსოვს რომაელთა კოჰორტა,
კახეთი ფუძიდან აყრილი,
ბრძოლა კრწანისთან თუ კოჯორთან,
დღეები მარტის თუ აპრილის.

ტანკებზე არაფრით ნაკლები,
ნიჩბები ქცეული მახვილად,
ჯალათი–თბილისის ამკლები,
ქართული დროშები დახრილი.

ახსოვს სისასტიკე მონღოლთა,
ოსმალოს, სპარსის თუ ლეკისა.
ახსოვს საქართველოს გოლგოთა,
ჯვარი და გვირგვინი ეკლისა.

ვერ დაშრა თვალების სისველე,
თუმც ბოლმა ათასჯერ აყვირდა.
თბილისის ამღებს და სისხლის მსმელს
ისპაჰანი ვარდებს აყრიდა.

ახსოვს ციხე-ბურჯთა გაღებაც.
ვერცხლი და იუდას ამბორიც
და სახელს თბილისის ამღების
ზეიმით ხვდებოდა სტამბოლი.

ახსოვს ორპირობა, ღალატი,
სახელი იუდას თუ კაენის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(ღალატის სანაცვლოდ ხალათი
სულთანის, მეფის თუ ყაენის).

ახსოვს მტრის მოსვლა და გაქცევაც
(დიდგორის დიდ ომსაც იხდიდა),
ახსოვს ნარიყალას გაცემაც,
ციხე გატეხილი შიგნიდან.

კი, ბევრი რამ ახსოვს თვალს და ყურს
და წლები ბევრ რამეს აგონებს.
შემცბარი უყურებს მურვან-ყრუ
ტყვიებით დაცხრილულ ვაგონებს.

რა დღეც საქართველოს აყარა,
რაც თბილისს მან სისხლი ადინა,
ჩინგისს და თემურს თუ ახარებს,
აოცებს ბალვაშს და შადიმანს.

თუმც, ბოლოს ტალახს შეერია,
საფლავზე ბალახიც გადახმა,
ვინც გიპირებდა, ივერიავ,
წაღმა და უკუღმა გადახვნას,

და მაინც, თუ არი, ეს არი
სირცხვილი და გულის საკლავიც,
შვილები, მახვილს რომ ლესავენ,
სამშობლოს ჯვარზე რომ აკრავენ.

სანამდე, შენ, ჩემო მამულო,
თითქოს და დახლზე გაკიდულო,
სიხარბითა და სისულელით
გასაჩუქრებულ-გაყიდულო.

სანამდე, სამშობლოვ, სანამდე
(აივსო ფიალა მოთმენის),
ჯილდოდ საქართველოს ღალატის –
ჩინი, მედლები და ორდენი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოს მოღალატეთა ძეგლები

1.

ვინც ულალატა მამულს, ზურგში მახვილი ჩასცა,
ყიდდა სამშობლოს მიწას, ყიდდა სამშობლოს ცასაც,
ყიდდა 30 ვერცხლად, ზოგჯერ –სულ ჩალის ფასად,
ვინც ნაკუწ-ნაკუწ დაჭრა, ან საჩუქრებად გასცა.
მას, ვინც აღზევდა თავის ხალხის ცრემლით და სისხლით,
ვინც ღირსი არის ფურთხის, წყევლის, გინების, ზიზღის,
უნდა დაუდგათ ძეგლი, ისე, რომ ყველამ ნახოს.
ლაფში, ტალახში, ანდა, სადმე, სანაგვის ახლოს.

II

მას, ვინც სამშობლოს ყიდის დღეს და გაყიდის ხვალაც,
ვინც კვლავ გაივლებს გულში თავის სამშობლოს ღალატს.
ვინც საქართველოს გასცემს ისევ იუდას ვერცხლით,
ვინც კვლავ მოუვა მამულს მახვილითა და ცეცხლით,
ლაფში, ტალახში, ანდა, სადმე სანაგვის ახლოს,
უნდა დაედგას ძეგლი, რომ თაობებმა ნახონ,
ზიზღით, გინებით, წყევლით როგორ აფურთხებს ყველა
გამყიდველს თავის ერის: – მეფეს, სარდალს თუ ბელადს.

ღალატი

გააფხა ზებულ ჯალაღონიებს და მათ მსგავს ქართველ რენეგატებს

ერთი ჯილაგის, გვარის და სისხლის,
სხვადასხვა ხატზე სანამ ვილოცებთ,
სანამდე უნდა ვჭამდეთ ამ სირცხვილს,
არსენა, დავით, ჯოტო, იოსებ?

ნუთუ ხაბუმის ცაზე საამოს
და გაზე უფრო ლამაზ მთებს ხედავთ.
ნუთუ სავარძლის და სკამის გამო
გაყიდეთ თქვენი ადგილის დედა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამის სიტყვა და დედის ალერსი,
ნუთუ ოცდაათ ვერცხლზე გაცვალეთ,
ნუთუ არ იცით, ნუთუ არ გესმით,
დედას ვერ შეცვლის დედინაცვალი?

ნუთუ არ უნდა გიწოდოთ ძმები
და ჩვენი სიტყვა ვწეროთ სატევრით?
ჯუმითში ჩვენი წინაპრის ძვლები
სიბრაზისგან საფლავს ამტვრევენ.

როცა მოჰკიდეთ ხელი იარაღს
(ვაი, სირცხვილო), როცა ამხედრდით,
ქართველ ბავშვების მერხებს კი არა,
თქვენი ბავშვების აკვნებს ამტვრევდით.

უნდა იცოდეთ, უნდა გესმოდეთ,
ღალატი ჰქვია იმ თქვენს „ლაშქრობას“,
როცა ქართველ ბიჭს ტყვია ესროლეთ
ტყვია ესროლეთ თქვენ თქვენს ბავშვობას.

როცა დაცლილი ვაზნები ყრია,
ლამის დარდისგან გული გასივდეს,
მე მინდა თქვენი ნასროლი ტყვია
სხვებს ასცდეს და ჩემს მკერდში გაცივდეს.

ვიცი, ისევ დრო დაგადებთ ნიშანს,
ვიცი, გაიგებთ ადრე თუ გვიან –
ისევ თქვენივე სიკვდილს რომ ნიშნავს
საქართველოსთვის ნასროლი ტყვია.

აგუბედია

აფხაზურ-ქართული სოფელია ოჩამჩირეში

შენ რაღას გერჩი, რას გემართლები,
მე კარგად ვიცი, მე კარგად ვხვდები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს შენს სიყვარულს შენს თავს მართმევენ
შენი და ჩემი სამშობლოს მტრები.

შენ რაღას გერჩი, რას გემართლები,
მე კარგად ვიცი, მე კარგად ვხვდები,
ჩემს სიყვარულს და ჩემს თავს გარმთევენ
ჩემი და შენი სამშობლოს მტრები.

ის, ვინც გაჩეჩებს ხელში იარაღს,
ვინც დღეს გაქეზებს, ჩუმად სისინებს,
ჩემი და შენი გულის იარებს
მარილს აყრიან
სწორედ ისინი.

ჩვენი დედების ცრემლთა ღაღადი,
ხომ კარგად გესმის, აგუბედია...
ახლა დუმილი არის ღალატი
ანუ ღალატზე უფრო მეტია.

მუდამ ერთმანეთს ვედექით გვერდით,
ვიქნევდით ხმალს და მივსდევდით გუთანს.
არ შეიძლება ქართველის ბედი
არ მიიტანოს აფხაზმა გულთან.

რადგან ჩვენივე გულმა ისურვა
ასე ცხოვრება, გზა ამნაირი,
ტყვია აფხაზის გულთან მისული
უწინ ქართველის გულზე გაივლის.

არ ესმით რეგვენთ, ხეპრეთ, უვიცებს
თორემ, არც არის ალბათ სათქმელი,
სანამ აფხაზი კაცის გული სცემს
ცოცხლობს და ფეთქავს გულიც ქართველის.

მაგრამ ასევე მჯერა სრულიად,
თუკი დაგვჩეხეს ნაწილ-ნაწილად.
. . . . . .
მწამს აფხაზეთიც განწირულია
თუ საქართველო ბედმა გაწირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ვერავინ გაყოფს იმ მიწას,
იმ გულს, იმ ბედს და სახელს იმ სოფლის:
აგუბედიად რაკიღა იქცა,
რაკი შეიკრა სისხლით და ოფლით.

ერთი ბედი გვაქვს, გულიც ერთია
(დასაბამიდან ასე ყოფილა),
ჩვენი სამშობლო–ეს ის ღმერთია,
სამუდამოდ რომ დაგვაძმობილა!

აბო თბილელის გახსენება

1.

ეტყობა, დიდხანს ვიტყუე თავი,
ბევრი დროშა და რწმენა გახუნდა,
იმ ხიზანს, ლუკმა რომ გავუყავი,
დღეს საქართველოს გაყოფაც უნდა.

სიკეთის ნაცვლად სხვა არაფერი –
რბევის, ტყვიის და სიკვდილის გარდა.
თავგაჩეხილი ვდგევარ აბელი,
სოხუმისა და ცხინვალის კართან.

იმ სასიკვდილო ნიშანს იუდა,
დღეს ტყვიით მადებს, კოცნით კი არა,
შემდეგ დასისხლულ ვარდებს მიუტანს
იმ ტანკებს, მე რომ გადამიარა.

ვისაც მე საძმოდ გული გავუხსენ,
გამხდარა მტერი და მოძალადე.
და დღეს ჯვარზე ჩემს გასაკრავ ლურსმნებს
ხელში აჩეჩებს მოსულ ჯალათებს.

2.

როდესაც დარი უდგათ გარეწრებს,
როცა შური და ღვარძლი ბარაქობს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც სიტყვა უნდა გამექცეს
და თოფი უნდა ვალაპარაკო.

როცა ძმობის და სიკეთის სურვილს
გამოვუკეტო უნდა კარები,
საქართველოსთვის ძელზე გასმული
მიმზერ სევდით და სველი თვალებით.

თუმცა შენ დუმხარ, სიტყვას არ ამბობ,
ვხედავ, ნელ-ნელა სულში თენდება.
და შენი ნებით, აბო არაბო,
ეს გატეხილი გული მთელდება.

ათასწლის შემდეგ შენს ერთგულებას
ათასჯერ მეტი ფასი დაედო.
დღესაც იმედად შენ მეგულები,
ისევ სიყვარულს უნდა დავენდო.

კი, ვხედავ, დღესაც ბევრს რომ ეშლება
ჩემთან ქცევა თუ სიტყვა „სათქმელი".
მე მაინც იმედს არ მოვეშვები
ჩემი დანთებულ სანთელ-საკმევლის.

ერთად, ერთგულად და უღალატოდ

1.

ვთქვათ და გვიმუხთლოს უეცრად ბედმა,
გვარგუნოს მძიმე და ძნელი ხვედრი,
გაჭირვების ჟამს ყველაზე მეტად
ვინ დაუდგება ქართველ კაცს გვერდით?!

სიტყვაზე ვამბობ, საწუთრომ უღვთოდ
თუ გაგვიმეტა, აგვავსო მწუხრით, –
გულთან ვინ უფრო მიიტანს ნეტავ
ჩემი სამშობლოს ტკივილს და წუხილს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი, ვიცი, ბევრი თბილ სიტყვას დაწერს
და უფრო მეტი სამძიმარს გვეტყვის,
ზოგიც შეიბამს მკლავზე შავ ნაჭერს,
ჩვენც რაღა გვეთქმის მადლობის მეტი.

მადლობა ყველას: ფინელს თუ ჩინელს,
ესტონელს, ლიტველს, ფრანგსა თუ უნგრელს,
ვინც საქართველოს დაღუპულ შვილებს
სანთელს დაუნთებს, საკმეველს უკმევს.

მადლობა სომეხს, ალანს თუ ალბანს,
ვინც კი მიიტანს გულთან ჩვენს გლოვას...
არონაშვილი რეზო კი ალბათ,
მაინც სხვა გულით და გრძნობით მოვა.

ის არამარტო დებთან და ძმებთან,
დავითის ანდა თამარის ძეგლთან,
ის მოვა თავის წინაპრის ძვლებთან,
ის მოვა თავის ბავშვობის წლებთან.

ამიტომ მჯერა, ჩვენს დარდს და ტკივილს
ყველაზე უფრო იტირებს გულით,
აჯიაშვილი, ბათიაშვილი,
გურიელაშვილი
– ეფრაიმ გური.

აქ აღარ თმობდა ენას წინაპრის,
იქ ქართულ ენის ხოტბას უნდება,
ქუთაისის ბაღს როცა ინატრებს,
ყველა წაკლოტი ერთად ხუნდება.

თუმცა ოფლად და სისხლად იცლება
თავის ქვეყნის და ხალხზე ზრუნვაში,
ღამე სიმზარში ელაციცება
თბილისის გამზირს, ტალახს კულაშის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.

ჯალათებმა და იანიჩრებმა
როს ჩვენი სული კბილით ათრიეს,
როცა თბილისში ჩეხდნენ ნიჩბებით
ნინოს, მარინეს, თამარს, ნათიას.

ეს შვლის ნუკრები, ეს ჯეირნები
სამშობლოსათვის როცა გალობდნენ,
ბრმა გოგონები საქართველოს ცას,
დაუნახავ ცას რომ უგალობდნენ,

მწამს, ისრაელში აღარ ეძინა,
არ აძინებდა სიმღერა გედის:
თამუნას, ნანას, მარიამს, თინას,
ბიბილეიშვილ ქეთევანს – ქეთის.

როცა ქართველ ბიჭს ესროლეს ტყვია,
ასე მგონია, აშდოთში იმ დღეს
ტიროდა გივი, მამუკა, გია,
ახრჩობდა ცრემლი მიხეილ კრიხელს.

მჯერა, ტიროდა უფლებით შვილის
(როს შეიმოსა აჭარა შავად)
ბალუაშვილი, მოშიაშვილი,
ეფრემაშვილი შალიკო–შალვა.

ასევე მჯერა, ზეიმად აქცევს
ის ჩვენს ზეიმს და სიხარულს ჩვენსას,
ჩვენს სადღეგრძელოს პირველი ასწევს
და სიყვარულით პირველი შესვამს.

აღარ მჭირდება ფიცი და მტკიცი,
მე თვითონ ვამჩნევ, ვხედავ და ვიცი,
ქართველი კაცის ღიმილს და სიცილს,
ლაზათს ქართული ცისა და მიწის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორიდან როგორ ეალერსება,
ეხმატკბილება და ეფერება,
როგორ იღვრება ქართულ ლექსებად
ქართულ ფერებად და სიმღერებად.

ვხედავ, ქართული დროშით გაშლილით,
იქაც ხარობს და ლაღობს ბავშვივით:
ჯინჯიხაშვილი, თოფჩიაშვილი,
იცხაკ დავიდი, დავითაშვილი.

3.
ჩვენ ერთმანეთის სულს ვიფარავდით
ორიათასი ექვსასი წელი.
სახლის კარიდან კუბოს კარამდე
გამოგივლია გზა ძნელზე- ძნელი.

იცის ქართველის გულმა და სულმა
სტუმრის, ძმობის და გატანის ფასი,
მაგრამ დღეს ბევრი მოსული სტუმრად
უკვე მასპინძლობს და თავზე გვაზის.

ბევრი ალალად გაწვდილ ჩვენს ლუკმას
გვიბრუნებს უკან
შხამად და სისხლად,
ვისაც თავისი სამშობლოს უყვარს,
არ დაიჩემებს სამშობლოს სხვისას.

ამიტომ, ვიცი, რატომ ახარებთ
ჩვენი „ვაშა“ და დროშების გაშლა
სეფიაშვილებს, ბინიაშვილებს,
მიხელაშვილებს სოსოს და ვაჟას.

როგორც ყველასთვის ახლაც ვართ რწმენით,
თუკი განგებამ ისევ ინება,
ჩვენი ჭრილობა, ტკივილი ჩვენი
ყველაზე უფრო თქვენ გეტკინებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ სიყვარული უნდა დავადოთ
ჩვენ ერთმანეთის გახსნილ იარებს,
ერთად, ერთგულად და უღალატოდ
სამარადისოდ უნდა ვიაროთ!

პარტიიდან გასული კაცის ფიქრები

„რადგან რაინდთა ჯარი გყოლია,
არ წაგიგია ომი არცერთი,
შენ არასოდეს არ გიბრძოლია
დაქირავებულ ჯარისკაცებით“
ჩემივე ლექსიდან „რწმენის ორდენის კავალერი“

ასე ვფიქრობდი, ვწერდი ასევე
და დღეს ამ სიტყვებს როცა ვიგონებ,
ჩუმად დავსტირი და მივასვენებ
იმ „ რაინდებით“ მოკლულ სტრიქონებს.

იმ რწმენას, იმ ხატს, იმ გატაცებას
მორყეული აქვს უკვე ფესვები,
ჩემი ნაქები „ჯარისკაცებით“
აჩეხილია ჩემი ლექსებიც.

როგორც ოდესღაც ძველი წარმართი,
ძველ სალოცავებს ვტოვებ წვალებით,
ყველა ხატი და რწმენა წამართვეს
რწმენის ამდენი ფერისცვალებით.

ისე მივდივარ, ისე ვბერდები,
სული ბოლომდე ვერ დავაპურე.
დამსხვრეულია ძველი კერპები,
ახალ კერპებსაც ეჭვით ვუყურებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახლა გულსა და რწმენას გატეხილს
მიშვებული აქვს ყველა სადავე,
მაგრამ არასდროს პურის ნატეხი
არ იყო ჩემი რწმენის სათავე.

სიტყვით კი არა, გულით მჯეროდა,
გული მართალი იყო იმ დროსაც,
რა ფერის დროშაც უნდა მჭეროდა,
მხოლოდ სიმართლე ერქვა იმ დროშას.

გულმა სიყალბე აღარ იკადრა,
თუმც იყო სხვა დრო, სხვა ისტორია,
თუკი მიყვარდა, მართლა მიყვარდა,
მონის ცხოვრებით არ მიცხოვრია.

სიმართლეს ვამბობ, ვამბობ მე როცა,
მწამდა იმ ხატის, მწამდა საოცრად,
მაგრამ რა ხატზეც უნდა მელოცა
სამშობლო ერქვა ყველა სალოცავს.

ეხლა მიყურებს სველი თვალებით
გულგატეხილი ჩემი წარსული
და კვლავ მიათრევს სხეულს წვალებით
სული ნაცემი და გაძარცული.

რაღას ვიხილავ უფრო უარესს
ან უფრო მეტად რით დავისჯები.
რწმენას ტანკებით გადაუარეს
და ამიჩეხეს სული ნიჩბებით.

იმ სისასტიკით და იმ სიმკაცრით
სევდა და ბრაზი ერთად მერევა,
ხომ კომუნისტი ერქვა იმ კაცსაც,
იმ ჯალალედინს, ჯალათ გენერალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწარეა, მაგრამ არის სიმართლე
(თუმცა ეს მაშინ არვის უკვირდა),
ხომ კომუნისტი ერქვა იმათაც,
ვინც საქართველოს ბორკილს უყრიდა.

ხომ კომუნისტი ერქვა იმათაც,
ვინც ხელს იბანდა სისხლის წვიმაში,
რადგან მემკვიდრე მერქვა იმათი,
მეც ცოდვილი ვარ ღმერთის წინაშე.

უფრო შორეულ წლებსაც ვიგონებ,
წლებს სამარცხვინოს და ტკივილიანს,
კი არ ვიტირე, კი არ ვიგლოვე,
თურმე ვესროლე ტყვია ილიას.

თუმც დღეს ახდილი არის ნიღაბი,
მკვდრები საფლავში ისევ კვდებიან,
მაგრამ ის წლები, წლები სიყალბის,
გაბრიყვებული ჩემი წლებია.

იმ წლებს, იმ დღეებს, მიმნდობს, უცოდველს,
დღეს ცრემლნარევი ფიქრით ვაცილებ
და დარცხვენილი თვალს ვერ ვუსწორებ
იმ გაწბილებულ ჩემს სიყმაწვილეს.

თუმცა უწიათ ცოდვილთ ცოდვებმა
და სამართალმა იწყო ლაშქრობა,
მე მენანება და მეცოდება
მოტყუებული ჩემი ბავშვობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

„მე საწუთრომ არც ძე მომცა, არც ასული"
დავით გურამიშვილი

განა სიკვდილის მოსვლა მაშინებს
და სიცოცხლეზე ხელის აღება,
საფლავის მიწა ორი არშინი
ალბათ ჩემთვისაც მოინახება.

არც იმის ფიქრით არ დავიღლები
სამარადისო გზებზე წასული,
რომ ჩემს საფლავზე არ დაიღვრება
ცრემლი ჩემი ძის, ანდა ასულის.

მე სხვა ნაღველით ვარ მოწამლული
და გულით დამაქვს სხვა ტკივილები,
ვერ გავამდიდრე ჩემი მამული
შვილებითა და შვილიშვილებით.

რა წამებაა, ერთი მე მკითხეთ,
როცა სულს შენთან ყოფნა არ უნდა,
როდესაც იცი, შენი მემკვიდრე
მოშიმშილეებს გვერდით არ უდგას.

ის სევდა, მე რომ ტკივილს ამიშლის,
ვიცი, რა სევდა და რა დარდია,
ვერ დაუდგება ჩემი ბადიში
გვერდით მომავალ ცოტნე დადიანს.

ნუ გაიკვირვებთ, ნუ გაიოცებთ,
თუ ეს სიკვდილზე უფრო მაწვალებს,
საქართველოსთვის თუ არ ილოცებს
ჩემი სულის და ხორცის ნაწილი.

ვერ იმერაბებს, ვერ იპაატებს,
ვეღარ ააგებს ახალ ალავერდს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაგლახ!– ქვეყნისთვის ჩემი შვილები
კლაპტარივით ველარ ავანთე.

რადგან მემკვიდრე ჩემი არა ჩანს,
ვინც ჩემს მაგივრად უნდა იომოს,
თვითონ დავუდგე უნდა დარაჯად,
სამაჩაბლოს და სადადიანოს.

ის დროშა თვითონ უნდა ვატარო,
წესით შვილებს რომ უნდა სჭეროდათ,
უნდა არავის არ გავატანო
კენჭის ნატეხიც საქართველოდან.

ჩემი სამშობლოს სოფელ-ქალაქი
თვითონ დავიცვა უნდა კბილებით,
მე ვთქვა, მე უნდა ვილაპარაკო
სათქმელი ჩემი შვილიშვილების.

ისევ იმედი უნდა ვიშვილო,
რომ ვუერთგულო დროშას დაუხრელს.
მე უნდა დავჯდე და ვიშიმშილო
და რუსთაველზე ტანკსაც დავუხვდე.

თუმც მოდის ის დრო, რასაც ველოდი,
ეს წინმასწრობა არ გაიკვირვოთ.
ვინც ხვალ მოკვდება საქართველოსთვის,
მე დღეს, ცოცხალმა, უნდა ვიტირო.

მე უნდა ისევ, ღმერთის წყალობით,
ჩემი და სხვისი ღამე ვათენო,
რომ დღეს ვუმღერო და ვუგალობო,
ხვალ რომ იქნება, იმ საქართველოს.

იმ აპრილამდე რაკი მივედი,
მე ჩემს მაისსაც დავეუფლები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილივით ვზარდო უნდა იმედი
ჩემი სამშობლოს თავისუფლების.

და საქართველო როცა ინებებს,
მისთვის ოცნებით ღამე მთეველთა –
იმ ლეკვებივით გაზრდილ იმედებს
მივიყვან ქვეყნის საკურთხეველთან.

და იმ შორეულ დღეთა ხილვებით,
დარდით, იმედით და ტკივილებით,
დღეს ჩემი სული თუ არ ისვენებს,
არგაჩენილი ჩემი შვილების,
არარსებული შვილიშვილების
ტვირთიც მე უნდა ვზიდო ისევე,

ავტოკეფალია

აღდგენილ იქნა საქართველოს ეკლესიის
დამოუკიდებლობა – ავტოკეფალია

დღეს საქართველოს, ბედთან მორკინალს,
დღეებს მწუხარეს და ტკივილიანს,
უკვე აეხსნა ხელზე ბორკილი, –
ეს ნიშნავს ცისკენ გზა გახსნილია.

უფლის წყალობა და უფლის ნება
დაადგა ნათლად დღეს ერის სურვილს.
იწყება ქვეყნის თავისუფლება
თავისუფლებით რწმენის და სულის,

ალგეთს გაზრდილი ის მგლის ლეკვები
კი არ ლოკავენ, ღრღნიან კბილებით,
მჯერა, გაწყდება მალე ღვთის ნებით,
ხელზე რომ გვადევს ის ბორკილებიც.

მარტი, 1990 წ.

რიგი გაზეთების გასაყიდ ჯიხურთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ემატება კაცი კაცს, დგას რიგი და ჟრიამული,
ვდგევარ, შორიდან ვუყურებ ცრემლებით თვალდანამული.

არის გაზეთი „სამშობლო“, არის გაზეთი „მამული“,
მაგრამ სად არის სამშობლო? მაგრამ სად არის მამული?

როს ემატება კაცი კაცს, დგას რიგი და ჟრიამული,
გულგატეხილი კი არა, იმედიანი ჩავუვლი.

ხომ გვაქვს გაზეთი „სამშობლო“, ხომ გვაქვს გაზეთი „მამული“,
გვჯერა, გვექნება სამშობლოც, გვჯერა, გვექნება მამულიც.

ტვინი

საქართველოში არსებობს ქართველ მოღვაწეთა თავის ტვინის მუზეუმი

ხომ გვყავს დავითი,
გვაქვს დიდგორი,
ხომ გვაქვს ვარძია,
ხომ გვყავს რუსთველი,
ხომ გვაქვს ჯვარი,
ხატი ხახულის.
ესეც სამშობლოს
იმედი და
დიდი განძია,
საქართველოსთვის
შავი დღისთვის
შემონახული.

დღეს საქართველო არ გვაპატიებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

1.
ხელზე ბორკილი, ვიცით, ძნელია,
არც ციხის კარი არის ადვილი,
მაგრამ ათასჯერ საშინელია
როცა ბორკილებს სულზე გვადებენ.

სულის სიბნელეს ვერ გაანათებს
ვერც მზე ცისა და ვერც მზე სამოთხის.
თავისუფლება ვისაც წაართვეს,
იმ ქვეყანაში მზე არ ამოდის.

უსამშობლოოდ ყოფნა – ეს არის
თვალის დათხრა და ყოფნა წყვდიადში...
იქნება ნიჩბებს ისევ ლესავენ,
ისევ ასხამენ ბოლმას ტყვიაში.

გვიჯობს სულ მუდამ უღლის ტარებას
გულზე საფლავის ლოდის დადება.
სულს არ სჭირდება სხვა ნეტარება,
თავისუფლების დღე თუ დადგება.

2.
რუსთველზე დადის დღეს ლელთ ღუნია
და ხანჯალივით დააქვს სიტყვები,
დღეს საქართველო დანაღმულია
რწმენით, იმედით და მიტინგებით.

მხოლოდ სამშობლოს სიყვარულია
ჩვენ ფარი და ჩვენი მახვილი,
ის 9 აპრილი ჩვენი სულია,
ბორკილებისგან უკვე დახსნილი.

გმირთა სახელი იქცა ზარებად,
და იწვის როგორც სანთელ-საკმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მეცოდება და მენანება
9 აპრილამდე მკვდარი ქართველი.

ჩვენ კი აქამდე რაკი მოვედით,
ბედმა სხვა დღისთვის შემოგვინახა.
მუშა კაცი ხარ, თუ ხარ პოეტი,
ეს სულ ერთია დღეს შენ ვინა ხარ.

გუთნისდედა თუ დედა ცხრა შვილის,
მახვილისა თუ ფუნჯის პატრონი,
უნდა გვეჭიროს დროშა გაშლილი,
მამულზე ფიქრი არ მივატოვოთ.

თავისუფლების მზე ვერ ამოვა,
თუ მისთვის ღამე არ გავათიეთ,
დუმილს, ლოდინს და განზე გადგომას
დღეს საქართველო არ გვაპატიებს.

რა დროს დაღლაა, მუხლო

არც წონა აქვს და არც ფასი,
ახლა დუმილს და ლოდინს,
სხვა ხატი, რწმენა, სხვა აზრი,
სხვა საქართველო მოდის.

სხვა ლექსებს, სხვაგვარ სიმღერებს
როცა სამშობლო უხმობს,
რა გაწუწუნებს, სიბერევ?
რა დროს დაღლაა, მუხლო?

ხომ საუკუნეს აწონის
ეს ღამე უსასრულო,
რა წამალი და საწოლი,
რის ავად ყოფნა, გულო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის ცხრა აპრილი მაწვალებს,
მტრის არ შეჭმული ჯვარი,
სიკვდილო, ცოტაც მაცალე,
ვზიდო მამულის ჯვარი.

წადი, შენი გზით იარე,
ნუ მეპარები ბინდად.
სიცოცხლე ჩემთვის კი არა,
სამშობლოსათვის მინდა.

ერთად!

1.

ცა ჩამოდის როცა ცრემლად ან დამშრალი არის ცრემლი,
ვითვლით ჩვენი გულის ცემას წინაპართა გულის ცემით.

მატიანეს რომც არ ეთქვა არც სიმღერად და არც ლექსად,
იმ სამასი გულის ფეთქვა საქართველოს ესმის დღესაც.

დაფნასა თუ გვირგვინს ეკლის ისევ ვიცავთ ხმლით და თასით,
სამშობლოს მტრებს სუნთქვა ეკვრით,
გული რომ სცემს ილიასი.

ვიცით, ვინ ვერ შეაბერდა საქართველოს ლხინსა თუ ჭირს,
როცა ცხრა ძმის გული ფეთქავს,
სამშობლოს მტრებს სუნთქვა უჭირთ.

ზოგჯერ, როცა ვეღარ ვარჩევთ იმას, რაც წლებს იქით დარჩა,
ხელს დავადებთ ტაო-კლარჯეთს,
როგორც საქართველოს მაჯას.

2.

მაგრამ როცა ხდება ჟამი მტრობისა და შურის კერძი,
როცა ხმალი შადიმანის სააკაძის კისერს ეძებს.

როცა ხედავს ბებერ კრწანისს და შიგნიდან გამტყდარ ციხეს,
ქოსა აღა-მაჰმად ხანი ღალატით რომ თბილის იღებს.

როცა ხედავს თვალცრემლიან მიტოვებულ მოხუც მეფეს,
ალგეთს ოქროს ჯაჭვზე ცვლიან და სამშობლოს ცას უყეფენ,

მაშინ მხოლოდ, მხოლოდ მაშინ, ბზარი ჩნდება ცოტნეს ხმაში,
მაშინ სპარსეთს მოკვეთილი ტირის თავი ჰაატასი.

არც აჭრილი ვაზის ფესვი, არც მტრის გესლი,
არც მტრის ტყვია,
საქართველო მაშინ კვნესის, არსაკიძეს მკლავს რომ სჭრიან.

თუმც ათას შაჰს, ათას სულთანს, ათას გრიგალს გადავურჩით,
წიწამური როცა სუნთქავს, საქართველოს სუნთქვა უჭირს.

3.
მაგრამ როცა მღერის მიწა და სამშობლოს ცაა სუფთა,
როცა გული მიგვაქვს გულთან, როცა სული მიდის სულთან,

როცა მარტვილს, ჯვარს თუ უდეს ოცნებებით ღამეს ვუთევთ,
საქართველოს ყველა კუთხეს როცა სანთელს ერთად ვუნთებთ.

როცა ცას და მიწას შორის სიყვარულის არის ხიდი,
არა მარტო ის დიდგორი, ის მარაბდაც ხდება დიდი.

და თუ გვინდა საქართველოს მუდამ საქართველო ერქვას,
პირნათელი ვიყოთ უნდა ძირს კაცთან და მაღლა ღმერთთან;

თუ გვსურს იქცეს საქართველო გაუტეხელ ციხე-კოშკად,
უნდა გვქონდეს ერთი რწმენა, ერთი ენა, ერთი დროშა.

რომ მართალი ვიყოთ მუდამ ჯერ ღმერთთან და მერე ერთან,
ერთად, ჩემო საქართველოვ! უნდა ვიყოთ ყველა ერთად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო ვის ეკუთვნის, საქართველო ვისია

1.

დაჩეხილი, დასისხლული,
ანალებში წასული,
წამოდგება თითქოს ფეხზე
საქართველოს წარსული.
თითქოს ერთად ახმაურდა დიდგორი და კრწანისი,
თითქოს „ქართლის ცხოვრებიდან"
წინაპართა ხმა ისმის.
ხმა – სამასი არაგველის,
ცხრა ძმა ხერხეულიძის:
– ჩვენ გულები შევალეწეთ
მტრებს, სამშობლოს გულისთვის!
ხმა – რუსთველის, ოპიზარის
საბასი თუ მერჩულეს:
– ვართ ზვარაკი ქართულ ენის,
ქართულ სიტყვის მერჯულე!
ხმა–თამარის, ფარნავაზის,
გორგასლის თუ დავითის:
– საქართველოს სიყვარულში
სანთელივით დავიწვით!
ხმა – პაატას, ქეთევანის,
თევდორეს თუ ილიას:
– საქართველოს საფასური
სისხლით გადახდილია.
მამულისთვის დაცემულნი
მამულშივე რჩებიან.
საქართველო ჩვენ გვეკუთვნის,
საქართველო ჩვენია!
ისმის ხმები მუხლუხების
და გველის წლის სისინი,
დგას რუსთველზე 9 აპრილი,
ჩვენი მტრების სირცხვილი.

მაგრამ ის ხმა, ხმა ფოლადის
იმედის და ქველობის–
ხანჯალივით შემართული
ხმაა დღევანდელობის:
ხმა ზვიადის, ხმა მერაბის,
ირინეს თუ ნინოსი.
ხმა ბრმა ქართველ გოგონების
(სიმღერით რომ ილოცეს).
ხმა აკაკის, ხმა მუხრანის,
ნოდარის თუ ელდარის,
ხმა ერისთვის, სამშობლოსთვის
ეშაფოტზე შემდგარი.
ხმა ზურაბის, ხმა გიორგის,
თამრიკოს თუ ირაკლის.
ხმა იმათი, ვინც გადურჩა
იმ ღამეს და იმ აპრილს.
ხმა ცოცხლების, მაგრამ უკვე
მამულს შეწირულების,
ხმა ქართველი ჭაბუკების,
ხმა – ქართველ ასულების.
ან სამშობლო, ან სიკვდილი,
სხვა გზა არ დაგვრჩენია,
საქართველო ჩვენ გვეკუთვნის,
საქართველო ჩვენია!

2.

ციდან ეს რა ხმები ისმის,
ეს რა ზარი გუგუნებს.
მოდის სხვა დრო, სხვა ცხოვრება,
მოდის სხვა საუკუნე.
უფრო მეტი იმედით და
უფრო მეტი ხალისით
თითქოს ციდან მომავალი
თაობების ხმა ისმის;
– ჯერ ჩვენ მხოლოდ ცაში ვართ და
ჯერ ვართ ანგელოზები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეფერებით საქართველოს
ოცნებით და ლოცვებით,
თუმც არ გვქვია ჯერ პაატა,
ცოტნე ანდა მერაბი,
საქართველოს სიყვარულში
ვერ ვგაჯობებს ვერავინ.
თუმც არა ვართ ჯერ ალგეთის,
არც მარაბდის ბიჭები,
საქართველოს სიყვარულში
ყველას გავეჯიბრებით.
ჯერ არ ვიცით, რა გვერქმევა,
რა სახელი, რა გვარი,
მაგრამ ერთ დროს როცა მოვალთ,
მოვალთ ჯვრით და ლახვარით.
და მივუზღავთ მისხალ- მისხალ
ყველას თავის ცოდვა-მადლს.
საქართველოს მტერს და ორგულს –
ცოცხალს, მკვდარს და ცოცხლად მკვდარს.
ყველა ძეგლს და ყველა საფლავს,
ცოდვილიანს, უცოდველს,
ყველა გვარს და ყველა სახელს
თავის სახელს ვუწოდებთ.
რადგან ჩვენი ბოლო სიტყვა
ერის განაჩენია.
საქართველო ჩვენ გვეკუთვნის,
საქართველო ჩვენია!

3.

თითქოს ცას და მიწას შორის
საზღვარია წაშლილი,
ცხადში ვარ და სიზმარში ვარ,
ვხედავ, მეცხრე ცაში ვარ.
ხვიჩა-ხვიჩა ვარსკვლავები
ოქროს ხელებს მიწვდიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალ საქართველოს ვხედავ
ციან-მიწიან.
დგას ღვთისმშობლის წილხვედრილი,
შუბლზე მირონწასმული,
საქართველოს მომავალი,
აწმყოცა და წარსულიც.
თითქოს სამი საქართველო
ერთად დგას და ერთია.
მსაჯული და განმკითხავი
მარტოოდენ ღმერთია.
ჯიღად ადგას შვიდი ფერი
დროშას იმ სამფეროვანს,
ერთიანი საქართველო
სულ სხვა საქართველოა.
ვხედავ, ბოლო მოღებია
საქართველოს წამებას,
და ღაღადებს ერთდროულად
საქართველოს სამება:
– განვლილია გოლგოთის გზა,
აღზევების ჯერია,
საქართველო ჩვენ გვეკუთვნის,
საქართველო ჩვენია!

იანვარი, 1990 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძველი
კოლხური
ჰანგები

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი, 1986

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ძველ კოლხურ ჰანგებში“ გამოყენებულია კოლხური ხალხური ლექსის ფორმები, მოტივები, ზოგიერთი სტრიქონი ემთხვევა ხალხური ლექსების სტრიქონებს, მაგრამ ლექსების აბსოლუტური უმრავლესობა პოეტისეულია.

ლექსების მეორე ციკლი „შვილნი სოფლისა“ ეძღვნება დღევანდელობას, სამშობლოს, მეგობრობას, სიყვარულს.

მღერის სამი მაფშალია

ვუძღვნი სენაკელთა „კოლხურ ტრიოს“ –
ბელა ქამადაძეს, დონარა მიმინო შვილს, დარეჯან ფაჩულიას

ოუ, ნანა, დიდოუ, ნანა,
ეს რა ხმა და ფერებია,
ალიონზე ვარდს რომ ნამავს,
მაფშალიას ცრემლებია.

სიყვარულის მწყალობელი
მღერის მახა, მახარია,
აგერ შაშვი მგალობელი,
სკვინჩა მისი მაყარია.

დარდი ახრჩობთ სიმებს განა,
ძველი დარდი დამშრალია.
სამაია, სამთაგანა,
მღერის სამი მაფშალია.

ბულბულის და ვარდის ხმები
ანგელოზებს ცაში მიაქვთ,
ხვიჩა-ხვიჩა ვარსკვლავები
მიჯნურების თვალებია.

ერეხელი, მერეხელი,
ქუხს სიმღერა ძველისძველი,
საქართველო ხოხობია,
სამეგრელო – ხოხბის ყელი.

მოდიოდნენ ჩვენი მტრები,
მოდიოდნენ წყება-წყება,
მოდიოდნენ ამ ფერების,
ამ ჰანგების წასაღებად.

მოდიოდნენ ჩვენი მტრები
ხან ჩუმად და ხან აშკარად,

მოდიოდნენ ლეგენდების
და ზღაპრების მოსაპარად.

მოდიოდნენ ჩვენი მტრები,
მოდიოდნენ გუნდი-გუნდად,
მოდიოდნენ საქართველოს
სილამაზის გასაქურდად.

მაგრამ, ბოლოს, ისე მოხდა,
ზოგი ცხადად, ზოგი ჩუმად,
ზოგი მისმა ეშხმა მოკლა,
ზოგი ტყვიამ, ზოგი შურმა.

აწი ამ ხმებს, ამ სიმღერებს,
ამ მიწაზე ვერვინ წაშლის
და კოლხეთის ოქროს ფერებს
ავწევ როგორც ოქროს საწმისს.

მახა

მე ბაღნარის ჩიტი ვიყო,
შენ – გაშლილი ვარდის პირი,
„მახა! შენი კრავი ვიყო,
შენთვის ხატში შესაწირი“.

შენი ციხის გალავანი,
შენი თვალის ცრემლის წვეთი,
ბანდური და ქალამანი,
შენი ფეხის გასაცვეთი.

შენი ჩრდილი, შენთან მყოფი,
ყელსაბამი შენი ყელის,
„ან ხატის წინ დასადნობი
შენი სანთელ-საკმეველი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მახა! ჩემო თვალის ჩინო,
შენ სტამბოლის ბაზარს დაგსვა,
მე გიყიდო, შეგიძინო
სიცოცხლის და თავის ფასად.

უდაბნოში მზე და სიცხე
ახელებდეს წყურვილს შენსას –
მე იქ ვიყო, წყაროდ ვიქცე,
მოხვიდე და გულით შემსვა.

მახა! თოვლის საწოლს იწვე,
ქარ-ყინულთან დარჩე მარტო,
მოვიდე და ცეცხლად ვიქცე,
დავიწვა და შენ გაგათბო.

ნატრულობდე პურის გემოს,
და შიმშილი სულსა გხდიდეს, –
იქ ვიყო და, ღმერთო ჩემო!–
პურის ყანად ავბიბინდე.

მაინც თუკი ისე მოხდეს,
ვერ გიშველე და ვერ გიხსენ –
შენზე ადრე თვითონ მოკვდე
და შენს სასაფლაოდ ვიქცე.

* * *

თუმც გზა გადამიკეტე,
დანა ჩამეც ვადამდე, –
შენ იმდენი სიკეთე,
მე რამდენიც მადარდე.

განა თავი მაწუხებს,
შენ იცოცხლე, იხანე, –
„მე რამდენიც მამწუხრე,
შენ იმდენი იხარე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული, შენ რომ მატკინე,
ისევ შენ შეგეწიროს, –
მე რამდენიც მატირე,
შენ იმდენი გეცინოს.

მინდა ვიყო მე მარტო
შენი სანთელ-საკმელი,
შენს სიცოცხლეს ემატოს.
რაც მე დღე დამაკელი.

ცირა

მაფშალიას ხმა და ყელი,
თვალი – წყაროსავით წმინდა.
ტანი – ქარში ლერწმის ღერი,
სახე– ამოსული ციდან.

თმები – აბრეშუმის ფერი,
ბაგე – ვარდის პირივითა...
ვიყო შენი ფეხის მტვერი,
მეტი არაუვერი მინდა.

* * *

ონტოფოში ტირის ქალი :
–ვაი ჩემი თავის ბრალი,
ბულბულისთვის გაშლილ ყვავილს
მიძუძგურებს ახლა ყვავი,
ღმერთო, ჩემო, ან მომკალი,
ან ბულბულის წილი მყავი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიყვარულის ძალა

ძირს ბალახი, მაღლა ნისლი,
მზე, მთვარე და შვილნი მისნი,
ყველაფერი არის მისი,
ყველაფერი არის მისით.

სიყვარული როცა ტირის,
სიყვარული როცა ყვირის,
არ იშლება ვარდის პირი,
აღარ გალობს ტყეში სირი.

ცის ფერი თუ მიწის ფერი,
ხმა ბულბულის, ხმა ჩანჩქერის,
ყველაფერი არის მტკვერი,
სიყვარულზე თუ არ მღერის,
სიყვარულით თუ არ მღერის.

შემოვევლე სიყვარულს

ჩემი გულიც, ჩემი ლექსიც
შემოევლოს იმის სახელს,
სიყვარულზე უკეთესი
ქვეყნად ვერაფერი ვნახე.

დარდი თითქოს არც გქონია,
ეს ამბავი რად ღირს მარტო,
თავი მეფე რომ გგონია
გახვრეტილი გროშის პატრონს.

რისი დარი ან ავდარი,
რისი ფული, რისი ჭკუა,
ხარ ბრძენი და ხარ მდიდარიც,
სიყვარული შენთან თუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვდავების წყაროს გასმევს,
ოცნებების პურით გარჩენს.
ვენაცვალე
დღეში
ასჯერ
სიყვარულის ღმერთს და გამჩენს.

არაფერი მინდა, ოღონდ
სიყვარულით ვიყო მთვრალი.
სხვა რა მაქვს და ამის მომგონს
შემოევლოს ჩემი თავი.

სიმდიდრე

რისი ოქრო, რისი ფული,
ყველაფერი არის ქარი.
მდიდარი ვარ სიყვარულით,
ამ ცით, ამ მთით და ამ ბარით.

ყველაფერი მიდის, ქრება
უსასრულო, უწყვეტ დროში.
მისი ერთი გაღიმება
არის ჩემი ბროლის კოშკი.

ყველაფერი იწვის, ქრება,
გარდა სიყვარულის ცეცხლის,
მისი ერთი გაცინება
არის ჩემი ოქრო-ვერცხლი.

აბა, შენ რით გამაკვირვებ
მე ამდენი განძის პატრონს,
სიზმარში რომ აგატირებს,
ის ცრემლები რად ღირს მარტო.

ერთხელ მაინც სიხარულით
დათრობამდე თუკი არ სვი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ რა იცი სიყვარულით
ძილგამტყდარი ძილის ფასი.

თავზე ხელს თუ არ აიღებ,
მის ჭკუაზე არ გივლია,
შენ რა იცი, რას გაიგებ,
სიყვარული რა ხილია.

* * *

არ ველი და აქ არი,
წასვლად უნდა წამი.
სიყვარული – შაქარი,
სიყვარული – შხამი.

ხან მდინარის მორევი,
ხან წვიმა და ქარი.
სიყვარულის მომრევი
ქვეყნად არვინ არი.

გაგაწამა? გაწვალა?
აი, მისი დარდიც.
არც ჭკუა და არც ძალა,
სულ თავისთვის დადის.

* * *

სამარეში ისე ჩაველ,
გული შენი არ მაჩვენე,
ის თვალები აქაც მკლავენ,
შენს სიყვარულს რომ მახსენებს...
ისეთი რა დაგიშავე,
საფლავშიც რომ არ მასვენებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ამაოა თავის მტვრევა
და წუხილი მეტისმეტი,
როგორც სავსე ჭიქა წყალში
ზედმეტია ერთი წეთი, –
კაცის გულშიც არ ეტევა
ერთი სიყვარულის მეტი.

* * *

აქეთ შენ და იქით ვარდი,
მაფშალია კვდება დარდით,
ალიონზე შენთან არის,
საღამოზე ვარდთან გარბის.

რა ხანია, მახარია
იმან უფრო გადარია,
„შენ ჯობნი თუ ვარდი გჯობნის“,
ვერ გაიგო მაფშალიამ.

სიყვარული ორნაირია

არის თურმე ორნაირი,
აქვს სიყვარულს ორი ფერი.
როცა ერთი ცრემლით ტირის,
ის მეორე გულით მღერის.

ერთი ჩუმად ეპარება
და მეორე უცებ ათრობს.
ერთს ძილი არ ეკარება
და მეორე სიზმრებს არ თმობს.

ორგვარია სიყვარული,
ორივ ღმერთმა დაგვიბედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი – დედა სიხარულის,
და მეორე – ცრემლის დედა.

მზითევი

დოლს ლოყებზე ტყავი ასძვრა,
მთვრალი ყანწი ფეხს ძლივს ითრევს.
„დღეს ღარიბი პატარძალი
სილამაზით გაამზითვეს“.

სილამაზეს მზის ფერი აქვს,
გონებასთან ახლო თუა.
სილამაზე
– მზითევია,
თუ მიჰყვება ქალის ჭუას.

* * *

სულ ჩამოსვლას იწერები,
სულ ჩამოსვლას მპირდები,
მერამდენედ იცვლება
ეს იმედის კვირტები.

თვალებს შორით მოკალმასეს
ღამე სანამ ვუთიო,
სანამ უნდა მომკლა ასე
უთოფოდ და უტყვიოდ.

შორით ვდნები, შორით ვიწვი,
შორით ალად მედები.
არ გიყვარვარ, ესეც ვიცი,
მაინც მეიმედები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სიყვარული თუ იბარტყებს
და შენს გულში ჰპოვებს ბინას,
ივლისში მზეს მოგანატრებს,
იანვარში – თოვლს და ყინვას.

სიყვარული გულის მზეა–
სიხარულის დიდი ღმერთი...
თუ გიწამა – სამოთხეა,
თუ გაგწირა – ჯოჯოხეთი!..

* * *

თუმც ბევრი ღამე ვათიე,
დავრჩი უთევზო ფაცერი.
ვაი, რომ ესეც ბედია–
შენი სურვილით ნაწერი.

აბა, ღმერთი რას მიშველის,
შენ თუ სიშორე ისურვე;
ოი, რა ლაღად მიცქერის
ბიჭი, შენს გულთან მისული.

თუმც იმას ძეგლი აუგე
და მე დამტოვე ეული,
როგორ დამცდება აუგი –
შენი ხატის და რჩეულის.

არა გსურს ჩემი დანახვა?
რა ვქნა, არ დაგენახვები.
შენ მომკალ, დარდმა დამმარხა,
არა ვარ სისხლის ამღები.

რა ვქნა, თუ გიყვარს, გიყვარდეს
ის შენი დასაფიცარი.
ღმერთმა გიხაროს, გიცოცხლოს,
შენი სიცოცხლე ვინც არი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე შენთან ვივლი ფიქრებით,
აქაც და ცხრა მთის გადაღმაც –
და მადლიერი ვიქნები,
თუ გამიხსენებ ხანდახან...

* * *

გზაზე ვნახე ორი ქალი,
ორივეზე დამრჩა თვალი,
ხან მზეს ვდიე, ხანაც მთვარეს,
მაინც დავრჩი ხახამშრალი.
„ვერ იქნა და ვერ ჩავაგე
ერთ ქარქაშში ორი ხმალი“.

* * *

სიყვარულით გავხდი ავად,
სიყვარულმა ჩამცა დანა.
ჩემი გულის მოსაკლავად
ნეტავი ვინ გამოგზავნა.

ვინ უღმერთომ შემახვედრა
ჭირი – ჭირზე მისამატი,
„ვინ უგულომ მისცა ნეტავ
ჩემი გულის მისამართი“.

* * *

„სიყვარულო, რას მაწვალებ?
ცაში მიდის სული მწარე“,
ან მაცოცხლე და მახარე,
ან იმ გოგოს მანაცვალე,
ან ცხოვრება აქ მაცალე,
ან გამიშვი ცაში მალე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ეს გინდოდა, ჩემო თავო? –
ღამის დარდით გასკდეს გული,
მოწყვეტილი ვარდის გამო
თავს იკლავდა დღეს ბულბული.

ახლაც თითქოს თვალწინ მიდგას
მისი ხმა და სახე მისი,
„ჩემი დარდი არ მყოფნიდა?
რატომ დამიმატე სხვისი!.. “

* * *

ოქროს ბაღში ვარდი დავრგე
და ყოველდღე ვრწყავდი ცრემლით,
მაინც ვერაფერი ვარგე,
მაინც გახმა ვარდი ჩემი.

თუ ასეთი გული ჰქონდა
სულ არ გავეკარებოდი...
„ის არასდროს გახმებოდა,
გოგოვ, შენ რომ გყვარებოდი“.

* * *

მე უშენოდ, აბა, რა ვარ,
თოლი გვირა ჩემო ცირა?!
ჩემი გულის მოსაკლავად
ალბათ ღმერთმა გაგაჩინა.
„გიყვარვარ თუ არ გიყვარვარ,
ამ თავს მაინც შემოგწირავ!“

* * *

მზე ხომ ღამე ვერ ამოვა,
შენ ღამეშიც მზე ხარ, კარგო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენთან ვარდი რალას მოვა,
შენ ზამთარშიც იავარდობ.

ეს თვალები მიცქერიან,
თუ რიყრაჟის ვარსკვლავს ვხედავ?
მთელს ქვეყანას მირჩევნია
შენი ერთი შემოხედვა.

შენს სიზმრებში ვიფრიალო,
შენს თვალებში გამათენა,
შენს ფიქრებში ვიტრიალო,
„როგორც ნარდში კამათელმა!“

ჩარირამა

ჩარი, ჩარი, ჩარირამა,
ჩარირამა, ჩარია,
შენი ეზოს ავლა-ჩავლა
ნეტავ რად მიხარია.

ჩარი, ჩარი, ჩარირამა,
ჩარირამა ჩარია.
ცრემლი თვალებს ჩამილალავს
შენ რომ გვერდით ჩამიარ.

ჩარი, ჩარი, ჩარირამა,
ჩარირამა ჩარია.
კაცის გული არის ჩარმა,
ქალის გული ფალია.

ჩარი, ჩარი, ჩარირამა,
ჩარირამა ჩარია:.
სიყვარულმა ჩაიარა
და ეს გული მკვდარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

რა უცებ გამაღარიბე,
რა უცებ გამომიმეტე,
რა დასაკლავი ხარივით
წამომიქციე იმედი.

რა უმოწყალოდ დამაზრე,
შენით ლაღი და მდიდარი.
ვაი, რა უცებ დამაშრე –
ადიდებული მდინარე.

* * *

ხარ გაუვლელი ბილიკი,
მზე ალიონზე ჩასული...
ფიქრი სიკვდილთან ქილიკობს
და ამღვრეული ჩანს სული.

უშენოდ მე ვარ ტკივილი
და მწუხარებით მდიდარი,
გული წაიღო ტივივით
ჩემი ცრემლების მდინარემ.

მიმწუხრის გზაზე მივდივარ,
სევდა ვერ გადავითოვლე,
„თუ დამივიწყა სიკვდილმა
თავს შევახსენებ თვითონვე“.

დარდიანი დავდივარ

არწივივით ვიყავ ლაღი,
სანავარდოდ მქონდა ცა მე.
ახლა შენზე ფიქრით დაღლილს
არც დღე მყოფნის და არც ღამე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაც შენ გნახე, შეგიყვარე,
სიხარულმა მიმატოვა,
ჩემს დაკეტილ გულის კარებს
აღებთ შენ და სიმარტოვე.

ახლა ცრემლით ვიკლავ წყურვილს,
გზაზე საგზლად მიმაქვს ოხვრა,
არაფერზე მიმდის გული,
ყველაფერი მრჩება ოხრად.

დარდი რაა არ ვიცოდი,
დარდიანი დავალ ახლა.
იმას ჰქონდეს ჩემი ცოდვა,
შენი თავი ვინც მანახა.

* * *

გულს რომ შენზე დარდი მივსებს
და იმედი არ მაქვს ხვალის;
შენ რას გერჩი, რაც მჭირს, ისევ
არის ჩემი თავის ბრალი.

შენი უღლით დაღლილ კისერს,
რომ მჭრი გულგრილობის ხმალით.
შენ რას გერჩი, რაც მჭირს, ისევ
არის ჩემი გულის ბრალი.

შენგან თავი რომ ვერ ვიხსენ,
რომ ვარ ისევ შესაბრალი,
შენ რას გერჩი, ალბათ ისევ
არის სიყვარულის ბრალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭის ნათქვამი

ხელაღმართული მტერი ფიცხობდეს,
მე ვიდგე ხელ-ფეხ-დამძიმებული,
ამისთვის ნურვინ ნუ შემიცოდებთ,
მე არ ვიქნები გაჭირვებული.

ემშაკი ათას ხაფანგს მიწყობდეს,
ქვეყანა იყოს გაკვირებული,
თქვენ ამისათვის ნუ შემიცოდებთ,
მე არ ვიქნები გაჭირვებული.

თუნდ ადიდებულ ენგურს მივქონდე,
მტერი მიმზერდეს გაცინებული,
ო, ამისათვის ნუ შემიცოდებთ,
მე არ ვიქნები გაჭირვებული.

ტყეში ვიყო და გზა არ ვიცოდე,
ვიყო ნადირთა ლუკმად ქცეული,
თქვენი ჭირიმე, ნუ შემიცოდებთ,
მე არ ვიქნები გაჭირვებული.

ალმოდებული ცეცხლში ვიწვოდე,
მქონდეს იმედი დამძიმებული,
ნურც ამისათვის ნუ შემიცოდებთ,
მე არ ვიქნები გაჭირვებული.

სიკვდილს ველოდე, საფლავს ვიწყობდე
მე, ყველასაგან დავიწყებული,
თქვენ ამის გამოც ნუ შემიცოდებთ,
მე არ ვიქნები გაჭირვებული.

მაგრამ ვაი თუ, მოხდეს იმგვარად,
მე დღე და ღამე მასზე ვფიქრობდე,
მან კი, უღმერთომ, არ გამიკაროს,
მე ვეძახდე და ის გამირბოდეს, –

იმან, იმ გოგომ, მართლაც უხანომ,
ცოცხალს გულს მიწა თუ დამაყარა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუკი გამომჭრა ყელი უდანოდ,
მე გამწირა და სხვა შეიყვარა, –

ძირს – კაცმა,
მაღლა – ღმერთმა იცოდეს,
ცოდვა მექნება გადიდებული.
მაშინ, ო, მაშინ კი შემიცოდეთ,
მაშინ ვიქნები გაჭირვებული.

ბიჭო, თუ მოვინდომე!

ბიჭო, თუკი ვისურვე, ბიჭო, თუ მოვინდომე,
მე ვიქნები ირემი, შენ – გაშლილი მინდორი.

დღე არ მოგასვენებ და ღამე არ დაგაძინებ,
მინდა, აგატირებ და მინდა, კიდევ გაცინებ.

ზედ ძაღლივით დაგაბამ ჩემი სახლის კიბესთან,
კიდეც აგაყეფებ და გაწკმუტუნებ კიდეცა.

თუ ვისურვე, იცოდე, შენი საქმე გათავდა,
მინდა – ყინვით გაგშოლტავ, მინდა – სიცხით გაგთანგავ.

მინდა ვარდი იქნები, მინდა – ხმელი ხალინჯი,
ისე დაგწვავ, დაგადნობ, „როგორც სანთელს ხატის წინ“.

* * *

სიყვარული რა ყოფილა –
ხან დღეა და ხან ღამეა.
ვინ დატოვა კმაყოფილი,
ხან ლხინია, ხან წამება.

ხან ცრემლია, ხანაც სისხლი,
თვალს ედება ბურივითა,

„დღეს შენია, ხვალ კი სხვისი,
დადის ხურდა ფულივითა“.

* * *

ალბათ ისევ შენა ხარ
ის წაშლილი ნახატი,
ფრესკებზე რომ ვერ ვნახე,
სულში რომ ვინახავდი.
ცხადში რომ არ მენახე,
სიზმრად მაინც გნახავდი.

ნატვრა

ალარ ვინდომო რამე სხვა:
ოქრო, ვერცხლი და დიდება.
მე შენი თითისტარი მქნა,
გამცვითოს შენმა თითებმა.

ეკალი ვიყო ქაცვია,
ჩემს ვარდს ხელს ვერვინ გკიდებდეს,
„ან ყურთბალიშად მაქცია
და თავქვეშ ამომიდებდე“.

ბულბული ვიყო, ჩემი ხმა
მივიდეს ოქროს გულამდე.
ანდა ისეთი ლექსი მქნა,
დამიზეპირო უმალვე.

წერილი ვიყო ისეთი
სიზარშიაც კი მელოდე,
ანდა ისეთი სიმღერა,
გულამომჯდარი მღეროდე.

შენი ჩონგურის სიმი მქნა,
ზედ ბროლის თითებს მისვამდე,
„ან შენი ფეხსაცმელი მქნა
ყოველდღე ფეხზე მიცვამდე“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფიცი

არ დამიდგეს არვინ გვერდით,
წყალი არვინ მასვას მწყურვალს,
კურთხევა და ლოცვა დედის
გადამექცეს წყევლა-კრულვად.

ჩემი ცოდვა, ჩემი მადლი,
ქვეყნად არვინ იღოს ყურად.
თავს მშიერი ლომი მადგეს,
მაგრამ მჭამდეს მელა-ტურა.

აღარ მქონდეს კაცის სახე,
ნადირივით ტყეში ვძრწოდე,
ჩემს დაწყევლილ გვარს და სახელს
მოსვენება აღარ ჰქონდეს.

ღამე ეკლის საწოლს ვიწვე,
დღისით ტანზე ცეცხლი მეცვას,
არ მიმიღოს ქვევით მიწამ,
არ მიმიღოს მაღლით ზეცამ.

ეს ქვეყანა, ასე ვრცელი,
გადამექცეს ვიწრო შუკად,
არსით მქონდეს ხსნა, საშველი,
წინ მეწყერი, წყალი უკან.

ვიყო ასე დაგვა-წვაში,
ჩემო ღმერთო, ჩემო ხატო, –
თუ გაგცვალო ვინმე სხვაში,
თუ ოდესმე გიღალატო!

* * *

სიყვარულს ვერ გავექეცი,
თუმცა ბევრი ვემალე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩამწყდარია ხიდი ბეწვის,
უნდა მოვკვდე მე მალე.

ცოცხალი არ გამახარე,
მკვდარი მაინც მაცხონე,
გულზე მიწა დამაყარე,
შენს სიზმრებში მაცხოვრე.

შენს ფიქრებში დამაძინე,
ჩემს ფიქრებთან გაყრილი,
მიწა როგორ დამამძიმებს
შენი ხელით დაყრილი.

ამ სიკეთეს თუკი მიზამ,
იმ ქვეყნადაც გეყმები:
„დამატკეპნე გულზე მიწა
შენი კოხტა ფეხებით“.

* * *

ღამე ისევ ღამეა,
შენ კი დღეც დამიღამე,
ღმერთი ხომ მოწამეა,
რა გულითაც გიწამე.

შენ კი ეს რა მიყავი?
რატომ წილმყავ ამ ხვედრის?
სიზმრად ჩემთან იყავი,
ცხადად სხვასთან წახვედი.

სუნთქვავ ჩემი გულისა,
სხვის ბაღო და ვენახო,
იმას მაინც ნუ მიზამ,
სიზმრადაც რომ ვერ გნახო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

თვით არ ვიცი, რა ვარ, ვინ ვარ?
რაა ჩემი გასაჭირი?
როცა გნახავ, სული მტკივა,
ვერ გნახავ, და უფრო ვტირი.

რაკი ვერსად ვერ წაგიხველ,
არც „ჰოს“ ამბობ და არც „უარს“,
აღარავის არ ვარგივარ,
დავრჩი მკვდრებს და ცოცხლებს შუა.

არც მოყვრის ვარ და არც მტრისა,
„არც ცისა ვარ და არც მიწის“,
ვიწვი შენი სიშორისას,
ახლოს რომ ვარ, უფრო ვიწვი.

დამაშორე თუმცა ცოცხლებს,
არ მაღირსე მკვდრების ნახვაც,
მინდოდა და არ მაცოცხლე,
მომკალი და არცა მმარხავ.

* * *

ხან მიჭერ, ხან გამიშვებ,
აქეთ-იქით მატარებ,
სისხლი ისე გამიშრე,
ბრჭყალიც არ გამაკარე.

ვგრძნობ, ვთავდები თანდათან
ამ დაჭერა-გაშვებით.
როგორც კატა საწყალს თაგვს,
ისე მეთამაშები.

ნუთუ აღარ გეყოფა,
რაც კბილებით მათრიე.
ასე ცოდვით ჩემს ყოფას
ღმერთი არ გაპატიებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდი და ჭინჭარი

ისიც შვილი არის მიწის,
გაზაფხულზე ჰყვავის ისიც,
ისიც შვილი არის უფლის,
ისიც უმზერს მზეს და მაისს.
„ვარდს თუ ჰკოცნით,
არ ეკუთვნის
ჭინჭარს შემოხედვა მაინც?!“

თამაში წყლის პირას

კისკის, კისკის, კისკის, კისკის
ჩაიყვანა ბიჭი წყლისპირს.
ის კი, ის კი, ის კი, ის კი
უყურებს და ფერი მისდის.

ფრთხილად, ფრთხილად, ფრთხილად, ფრთხილად
(გადარია ბიჭი როცა),
ხილად, ხილად, ხილად, ხილად
გაურია გოგომ კოცნა.

მართლაც და გავს, გავს, გავს, გავს, გავს
ეს თამაში უფრო ჯვარცმას.
რას უშველის, აბა, რას, რას
„მშიერს ტუჩზე თაფლის წასმა“.

* * *

ის, ვინც სიყვარულს არ ეთაყვანა,
ბედნიერებაც ვერარ მოიმკო.
„ღმერთო! რამხელა არის ქვეყანა,
ქვეყნად ცხოვრების ნება რომ იყოს“.

ყველას ეყოფა, ყველას დაიტევს,
ყველას მოუვლის ეს დედამიწა,
თუკი სიკეთეს ჩვენ იმთავითვე
შევიყვარებთ და ერთად დავიცავთ.

სამოთხეცა და სულის ცხონებაც –
ყველაფერი აქ არის, ღმერთმანი.
ოი, რა კარგი არის ცხოვრება,
რომ აღარ ვჭამდეთ ცოცხლად ერთმანეთს.

მე და ჩემი ურემი

„მივჩაქჩაქებთ, მივჩანჩალებთ
მე და ჩემი ურემი“.
აქეთ ბუსკა, იქით ჩელა,
გულში – დარდი ულევი.

ხარებს ღამე მიაქვთ რქებით,
ურმის ღერძი ჭრიალებს,
ხან გული და ხან ფიქრები
ბორბლებივით ტრიალებს.

ჩემო ბუსკა! ჩემო ჩელა!
თქვენი ქედით უღლელით,
თქვენც დარდივით მიგაქვთ ნელა
აკაციის უღელი.

ჭურიაა თქვენი სკოლა,
წიგნი – შარა ნაბადას,
თქვენი ლხინი – ლაფში წოლა,
ლაქაშებში ნავარდი.

მე კი ჩელა, მე კი ბუსკა,
მადნობს დარდი უთქმელი;

ამ ცხოვრებით მოკლულ გულს კლავს
სიყვარულის უღელიც.

თუმც ვუყვარვარ, თუმცა მიყვარს,
მაინც ტირის ეს გული...
„ღარიბი ვარ, მდიდარს მიჰყავს
ჩემი შეყვარებული“.

ვაგლახ, სიღარიბე

ვაგლახ, რაა ეს ოხერი,
ეს ოხერი სიღარიბე.
კაცს არ გადევს კაცის ფერი,
ქარი გასდის ჭერს და ჯიბეს,
უქირქილებს შორით მტერი
და მოკეთე თვალს არიდებს.

ეხ, ღარიბი კაცის ბედზე
ვინ იდარდებს ან ვის ახსოვს,
დღეს ღირსება და პატივი
აქნილია ასო-ასო.
დღეს კაცობას ვინ დაეძებს,
დღეს კაცობა ფულით ფასობს.

როს ლხინი აქვთ მდიდრის ოდებს,
ქოხის შიმშილს ვერვინ იგებს,
იწუნებენ კაცსაც,
ოდეს
შეუჩნდება სიღარიბე.
ფუი იმ დროს, პატივს რომ დებს
კაცს კი არა,
კაცის ჯიბეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზე

მზეო, წყაროვ სინათლის,
დედავ სიყვარულისა,
მზევ, სამყაროს სიმართლევ,
სითბოვ კაცის გულისა;

ღამის ჭირისუფალო,
დღის მეკვლევ და მეგზურო,
დედასავით უბრალოვ,
დედასავით ერთგულო, –

აღმაზევე, აღმანთე
და მაჩვენე ცისკარი,
წუთისოფლის აღმართზე
კარგი სიტყვა მითხარი:

ცოტა წამომეშველე,
ცოტა ხელი წამკარი,
რომ ლამაზი მეჩვენოს
ეს ცხოვრება წამხდარი.

თორემ ვხედავ ხელადვე,
ბედმა ფეხქვეშ მომიგდო.
„გადავრჩები ყველაფერს
შენ რომ ხელი მოგკიდო. “

სიზმარი

დამესიზმრა –
ღმერთნი ციდან
ჩამოფრინდნენ გუნდი-გუნდად,
ტანთ ემოსათ ღრუბელი და
მზე ეხურათ თავზე ქუდად.
ანგელოზნი გვერდით ედგნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისარტყელას ჭრელი ფრთებით,
დედამიწა ჰგავდა ედემს,
დალოცვილი ღმერთის ნებით.
არც თაღლითი, არც ხელმრუდი,
სიყვარული იყო მარტო.
დარცხვენილი ნემსის ქურდი
დაეძებდა ნემსის პატრონს,
ძმის მკვლელი და ღვთისგან კრული,
მუხლზე იდგა ის კაენი,
და ხარობდა კაცის გული,
მორჩენილი კაცის ენით.
ოქროს სასმისს ერთად ცლიდა
ხელმწიფე და ღამის მეხრე,
და იუდა უკოცნიდა
ქრისტეს
ჯვარზე გაკრულ ფეხებს.
თხა და მგელი ერთად ძოვდა,
ვეფხვი შველის გვერდით იწვა,
ჯიქი ირმის ძუძუს წოვდა
და მღეროდა ცა და მიწა.
გამეღვიძა,
თუმც კი სჯობდა
ვყოფილიყავ იმ სიზმრებში...
„თურმე მე რომ ძილში ვბჭობდი,
იცინოდა ცაში ღმერთი.“

უღელში შებმული ბულბული

ღმერთო ჩემო, რას ვუყურე,
გული ახლაც დამაქვს მკვდარი,
მაფშალია ება ურემს,
ვარდს უმღერდა სახედარი.

მართლაც არის გასაკვირი,
უფრო მეტიც – ქვეყნის ჭირი:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბულბულს ედგას უნაგირი,
ბულბულობდეს ბაღში ვირი.

როს ღირსება უნდათ ულირსთ,
წამხდარი დრო ალბათ მაშინ
ბულბულს ადგამს ვირის უღელს,
ვირს სვამს ოქროს გალიაში.

კაცის ენა

ტყვიასა და გველზე ასჯერ
საშიშია კაცის ენა,
ვისაც თავის ლახვარს ჩასცემს,
ნულარ ელის გადარჩენას.

ნატყვიარის შველა არ ჭირს
და ნაკბენიც რჩება გველის,
გულს, ბოროტი ენით დაჭრილს
არაფერი არ უშველის.

რად გინდა

რად გინდა განძი, ოქრო, ალმასი,
თუკი სიკეთეს ვერ მოახმარე.
რად გინდა სატრფო, ქალი ლამაზი,
თუ სხვის გულსა და თვალებს ახარებს.

რად გინდა ენა– სიტყვის ლამპარი,
ენა მჭრელი და ლაქარდიანი.
თუკი სიმართლის თქმას და ლაპარაკს
გადაეჩვია ადამიანი.

ან თქმა რად გინდა სიტყვა მაგარი
(კარგ მთქმელს ჭირდება კარგი გამგები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად გინდა ეზო, ბინა, სახლ-კარი,
თუკი არვინ გყავს კარის გამღები.

რად გვინდა, რისთვის მოგვცა გამრიგემ
თვალსაწიერი, თვალი საჩინო,
თუკი გულგრილად თვალს ავარიდებთ,
რისი დანახვაც არის საჭირო.

დრო

„დროვ, ყველაფერი შენ გაბარია,
წარსული, აწმყო და მომავალი,
ყველგან შენი ხმა, შენი ვალია,
შენი კვალი და შენი ნავალი. “

დროვ,
ეს შენ
ერთადერთი
მოწმე ხარ,
სამყაროს როგორ ქმნიდა ბუნება,
„შენ ნახე მზისგან მიწის მოწყვეტა,
მიწის პირველი შემობრუნება. “

შენ გახსოვს, მართლაც გასაკვირველი,
ზეცის გახსნა და ცის გამთელება.
„ეს შენ გინახავს ღამე პირველი
და იმ პირველი დღის გათენებაც“.

გინახავს კაცის შექმნა თიხიდან
და ის პირველი ცოდვაც კაენის.
და ისიც ნახე, ვით გაიყიდა
ის მიწა, წყალი, ცა და ჰაერი.

შენ არაფერი არ გავიწყდება,
არც სიკეთე და არც ბოროტება.

თუმც ყველაფერი შენით იწყება,
შენ არასოდეს არ ბოლოვდები.

მიედინები უსასრულოდ და
ყველას,
ყველაფერს წინ შენ მიუძღვი.
იცი, ვინ შეცდა, ვინ სად ტყუოდა,
ანდა ამაგი ვის სად მიუძღვის!

მხოლოდ შენ იცი იმის გაგება,
ვინ ქვიშა არის, ანდა ვინ წყალი,
შენთან არავის არ ეკარგება
წვეთი ოფლი და სისხლი მისხალი.

შენ ხარ მსაჯული მტყუან-მართალის,
შენ არაფერი გრჩება უთქმელი.
სწორი,
მხოლოდ შენ,
გაქვს სამართალი,
ხარ პირდაპირი და პირუთვნელი.

დროვ, შენ არავის ეპირფერები
და იცი ფასი შენი თავისა.
„არც მკვდრებს, არც ცოცხლებს არ ეფერები
და ყველას უზღავ კუთვნილს თავისას.“

ვაჟკაცის სიტყვა

თუ ვაჟკაცის გული გიდევს
და კაცური სიტყვა გითქვამს,
უნდა სახელს გაუფრთხილდე,
გაუფრთხილდე ნათქვამ სიტყვას.

თუ ნამდვილად კაცი გქვია,
ქარს გაატან სიტყვებს განა?

„ღმერთს ენა არ მოუცია
მარტო დროის გასაყვანად“.

* * *

ვუყურე და ვერც ვუყურე
ლუკმას ეკალ-ბარდების.
სიკვდილია ზოგჯერ თურმე
კაცის ფასის დამდები.

სიკვდილია მოსამართლე
სიავის თუ სიკეთის.
ალბათ ცოცხლებს აღარ გვმართებს
დავიწყება იმ ერთ დღის.

როცა მისი ჟამი მოდის,
მიდის ყველა იმედი...
სიკვდილის დღის გვეშინოდეს,
გვეშინოდეს იმ ერთ დღის.

ჩემი ენა ქართული

„საზღაპრო და საოცარი
ჩემი ენა ქართული,“
არის ჩემი სალოცავი,
დაჩოქილი გარს ვუვლი.

თბილი, როგორც დედის გული,
ტკბილი, როგორც დედის ხმა,
ის ბაღი და მე ბულბული,
ის – ბატონი, მე კი – ყმა.

ის – საყდარი, მე – სარკმელი,
ის – შარაგზა, მე – მგზავრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის – ხატი და მე – საკმელი,
ის – სამრეკლო, მე – ზარი,

ის – ზეთი და მე – კანდელი,
მე – აბედი, ის – კვესი,
ის – ჯვარი და მე – სანთელი,
მე – ფოთოლი, ის – ფესვი.

„საზღაპრო და საოცარი“,
გულის ძარღვში ჩართული,
არის ჩემი სალოცავი
ჩემი ენა ქართული!

სიბერის ლექსი

ეხ, სიბერევ, მიგრძნობს ტანი,
შენი თვალი რომ დამყურებს.
უმზეო და ღრუბლიანი
ცა ჩადრივით დამახურე.

სიყვარული დამშრალია,
სიჭაბუკის დღეებს ვტირი.
მოკვდა ჩემი მაფშალია,
გახმა ჩემი ვარდის პირი.

ჩანს, ხომალდმა ჩემი ბედის,
ზღვის ნაპირზე გამომრიყა,
დავიღალე და დავბერდი,
არ ვარ ის, რაც ადრე ვიყავ.

სისხლი შრება, გული მტკივა
და ხელ-ფეხი მიდუნდება.
ვხედავ, მეც იმ გზაზე მივალ,
არავინ რომ არ ბრუნდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავავიწყდი ალბათ უფალს,
და ცხოვრება მექცა ყულფად.
წუთისოფლის ლხინის სუფრა
გადამექცა ჭირის სუფრად.

კარგს ვეძებდი, მაგრამ, ვაგლახ,
ქვეყნად ცუდი ვნახე უფრო.
დარდიანი ვტოვებ ახლა
ამ მუხთალ და ჭრელ საწუთროს.

თავის ბედს თუ ბედისწერას
გაქცევია ვინმე განა?!
კიდევ კარგი, დამაბერა
და აქამდე მომიყვანა.

ღმერთო, მაცოცხლე!

დაწყებულია ჩემი დაღმართი,
ძნელი ყოფილა, ძმაო, სიბერე.
თავს ბინდისფერი მკვდრის მზე დამნათის
და მღერის ჩემი გედის სიმღერებს.

აღარ ანათებს ჩემი მთოვარე,
თორემ რაც იყო, ისევ ის ცაა.
ვიცი, რომ ჩემი წასვლის დრო არი
და ჩემი ბოლო ბინა მიწაა.

მინახავს ქვეყნად ბევრი სიმწარე
და გულიც ბევრჯერ მიხარებია.
მეც მყავდა ჩემი დასაფიცარი
და სიგიჟემდე მეც მყვარებია.

ნეტავ სად გაქრა ის სიჩაუქე,
რითაც იმ ლამაზ დღეებს ვიმკიდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე შენ გეტყვი და იმ სიჭაბუკეს
სადმე ვიშოვი ანდა ვიყიდი.

თუმცა სიბერე – ეს ტკივილია
და ძნელი არის ასე გაძლებაც.
მაინც სიცოცხლე ისე ტკბილია,
თურმე არასდროს კაცი არ ძღება.

თუმცა ცხოვრება არის სიზმარი,
მაინც ვერა ვთმობ ქვეყნის სამყოფელს
და უფალს შევთხოვ ყოველ ცისმარე:
„ღმერთო!
ცოტა ხანს კიდევ მამყოფე!“

ცუდი კაცის დამარხვა

საკუთარი თვალით ვნახე,
ცუდ კაცს როგორ მარხავდნენ.
იმის საფლავს, გვარს და სახელს
ლანძღავდნენ და თათხავდნენ.

მკვდრის აუგი ვით თქვას კაცმა,
მაგრამ ცრემლად არ ღირდა.
ცრემლების და ვარდის ნაცვლად
ხალხი სიცილს აყრიდა.

არც დამარხვას აყოვნებდა,
რახან წასვლა ინება.
ბელტებს ხშირად აყოლებდა
ლანძღვასა და გინებას.

ტკბილი სიტყვა ია-ვარდად
არვინ არ ჩააყოლა.
„ეს დამარხვა კი არა და
იყო უფრო ჩაქოლვა.“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ამ დაწყევლილ ქვეყანაზე
რისთვის მოველ,
რა ვიხილე?!
სულ დარდი და ცრემლი მასვეს,
ერთხელაც ვერ მოვილხინე.

სული ველარ დავიამე,
გული ველარ გავამთელე.
სიბნელე და შუაღამე,
ვერ იქნა, ვერ გავათენე.

* * *

ამ სიბერემ,
დარდის გუდამ,
მოსვლა აღარ მკითხა სულაც.
ადრე დასანახად მძულდა,
ახლა სულში შემოსულა.

ლამაზ ფრინველს ვუმზერ უხმოდ
და ჩემს გზაზე მივალ მარტო.
გავეკიდო?
ვახ, თუ მუხლმა
ანდა გულმა მიღალატოს.

ლხინის სიმღერა

ისე რა შნო უნდა ჰქონდეს,
ისე რაა ლხინის ფასი,
თუ ღვინოში აღარ ცხონდი,
არც შენ სვი და არც მე მასვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალიე, არ დაახანო,
ნუ დაიწყებ ცდას და ლოდინს,
თორემ, ძმაო, გუჯმახანო,
სიბერე და დარდი მოდის.

აბა, კულა, სავსე კულა,
მოწყენას რა უნდა ლხინში,
სევდა სადღაც გაპარულა,
ამღერებულ ღვინის შიშით.

აჰა, კიდევ ერთი ჭიქა,
წვეთი აღარ დამილვრია,
ვენაცვალე იმის ჯიგარს,
ვინც ბოლომდე დამილია.

შვილნი სოფლისა

ქართული გვარების საბალობელი

1.

განა მარტო ეტრატებში,
ანდა ფოლიანტებში,
განა მარტო ამ მინდვრებში,
განა მარტო ამ მთებში,

განა მარტო ჩუქურთმებში,
ლექსებში და ფრესკებში, –
არის ქვეყნის მატიანე
ქართულ გვართა ფესვებშიც.

ყველა გვარში ჩვენი ფიქრი,
ჩვენი გული, სული ძევს,
აგერ საყვარელიძე და
აგერ სიხარულიძე.

თითქოს ძარღვში სისხლად გვიდის,
გული იმედს არ იშლის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ვხვდებით მამაცაშვილს,
ლამაზაშვილს, ლალიშვილს.

თითქოს ჩვენი ისტორიის
წარსულ დღეებს აღვიძებს:
ქებულაძე, ქველიშვილი,
კოხტაშვილი, ლაღიძე.

სხვაგან აბა სად შეხვდებით,
სხვაგან აბა ვინ დათვლის
მშვიდობაძეს, კეთილაძეს,
უმანკოშვილს, წმინდაშვილს.

ქართულ გვარებს სიბოროტის
ნიშან-კვალი არ აზის,
მჭედლიშვილი, ხუროშვილი,
ნამგალაძე, ხარაზი.

სხვათა მტრობა, სიძულვილი
აღარ უდევთ დვრიტაში
კრავეიშვილს, ირემაძეს,
იაშვილს თუ ჩიტაშვილს.

მაგრამ თუკი მიდგებოდა
საქმე ომზე, ბრძოლაზე,
აგერ კაცი ომიაძე,
ჯაჭვლიანი, თორაძე.

თუკი საქმე მიდგებოდა
შუბლზე, ხმალზე, ძალაზე,
ა, ბატონო, შუბითიძე,
მახვილაძე, ხმალაძე.

თუკი საქმე მიდგებოდა
ურიცხვ მტერთა ძლევაზე,
გვყავდა ამირანაშვილი,
ვეშაპიძე, დევაძე.

მიჰყვებოდნენ გულუშიშრად
სიკვდილის და ომის გზებს
ვეფხვიშვილი, დათვაშვილი,
ჯიქია თუ ლომიძე.

მცხეთასთან თუ ალაზანთან,
რიონთან თუ როშკაზე,
ქვიტკირივით იდგნენ მართლაც
კლდიაშვილი, კოშკაძე.

2.
როცა ხალხი მტერს და ორგულს
მოიყვანდა ჭკუაზე,
დასხდებოდნენ სუფრის თავთან
ჩაფიძე და ჭურაძე.

ადგებოდათ პირს ნათელი
მარტო სტუმრის გავლაზეც
მესტუმრიშვილს, ხმიადაშვილს,
მზარელუას, ტაბლაძეს.

მოლხენაც და სმაც იცოდნენ
მამაპაპურ ჯილაგზე
რთველიძემ და მაჭარაძემ,
ჩაფიჩაძემ, ღვინაძემ.

ლხინიცა და სიხარულიც
ჰქონდათ დაუფარავი
მგალობლიშვილს, მეყანწეშვილს,
ჩარექიშვილს, მარანელს.

მაგრამ გვარი შეწირული,
გვარი დაკარგულია,
ჩვენი ხალხის ტკივილია,
ჩვენი ერის წყლულია,

ისტორიის ანალებში
ჩვენი მტრობის ცოდვად დევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვრივიშვილი, ობოლაძე,
ცოდოშვილი, ცოტაძე,

საქართველო არ ივიწყებს
გვარს ნაწამებს, ჭირთა მთმენს:
ნარეკლიშვილს, თავზარაშვილს,
ხიზანიშვილს, კირთაძეს.

არ ივიწყებს დაცემულებს
ანისში თუ კრწანისში:
ცალხელაშვილს, მწარიაშვილს,
ჯავრიშვილს თუ შავიშვილს.

ასეც ხდება, ზოგჯერ ერი,
გმირებს გვარებს არ არქმევს,
ამბობს ცხრა ძმას, პატარა კახს
ანდა სამას არაგველს.

მაგრამ სანამ ჩვენი მთები,
სანამ ჩვენი მდელოა,
ხალხი – მათი სახელია,
გვარი– საქართველოა.

შოთას, დავითს, ტატოს, ვაჟას,
აკაკის და ილიას,
ყველას ერთი გვარი აქვს და
ყველა ერის შვილია.

პაატა თუ ქეთევანი,
თუ თევდორე ბერია,
მათი გვარი საქართველოს
ყველა გვარში სწერია.

ყველა გვარში, ყველა გენში
არის თან ჩადებული,
გვარი აღმაშენებლის,
გვარი თავდადებულის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3,
კვლავ უმრავლე მამულს, ღმერთო,
ესენიც და სხვა გვარიც,
ლაშქარაძე, მამულაძე,
ცეკვაშვილი, მხატვარი.

მოუმართე კვლავაც ხელი
ეცადაშვილს, ნებაძეს,
უფლისაშვილს, წინამძღვრიშვილს,
რჩეულიშვილს, ქებაძეს,

მეურმიშვილს, რთველიაშვილს,
ნამგალაურს, კალატოზს,
ყველას, ვინც კი საქართველოს
საქმეს აღარ ღალატობს.

ყველას, ყველას, ვინც მამულის
სახელს ხატად იფიცებს,
ხატისკაცს თუ იმედაძეს,
ერისთავს თუ დიდიძეს.

მოუმართე, ღმერთო, ხელი,
ყველას, ვინც ვერ ვახსენე,
ყველა გვარს და ყველა ოჯახს,
არა ქართულს ასევე.

ვინც სხვა გვარით ცხოვრობს, მაგრამ
საქართველოს მკვიდრია,
ეს მიწა არ უყიდია
და არც გაუყიდია.

ვისაც მტრისთვის ნარიყალას
კარი არ გაუღია,
ჩვენთან ერთად უბრძოლია,
ოფლიც ჩვენთან უღვრია.

მოუმართე ყველას ხელი,
სამშობლოსთვის ვინც იღვწის,

მეხოტბეს და მეგუშაგეს
ჩვენი მიწის, ჩვენი ცის.

ყველა გვარს და ყველა ოჯახს,
ვინც ქვეყნისთვის ინთება,
ვინც ხვალ უფრო შორს გაიტანს
საქართველოს დიდებას!

ქართველი და სოფელი...

1.
ქართველი და სოფელი
არის განუყოფელი,
ჩვენში თვითონ ქვეყანას
ჰქვია წუთისოფელი.

მაგრამ ქვეყნის სატკივარს
ღამე ვინც გაუთია,
მისთვის წუთისოფელი
განა მართლა წუთია?

დასცდენია ხანდახან
ქართველს თუმც სამდურავიც,
არ ყოფილა არასდროს
წუთისოფლის სტუმარი.

აშენებდა, აგებდა
სისხლით, ცრემლით, ოფლით და –
ვალმოხდილი წასულა
ბოლოს ამა სოფლიდან.

მტერსაც თავის ცრემლით და
თავის სისხლით ათრობდა,
მაგრამ თავით ცოცხალით
თავის სოფელს არ თმობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მიწიდან
ზოგჯერ ძალით აყრილი,
ბორკილებშიც იბრძოდა
ფარ-ხმალს მაინც არ ყრიდა.

მაინც სული უტეხი
რწმენით დროშას არხევდა,
უცხო მიწას, უცხო წყალს
ქართულ სახელს არქმევდა.

დაეძებდა ქართულ ცას,
ისპაჰანის იმ ცაზეც,
და ჩნდებოდა სოფლები
ფერეიდნის მიწაზე.

ჩულურეთი, რუსთავი,
ვაშლოვანი – სიბათი,
მათი თვალის სინათლე,
საქართველო იმათი.

ის უდე და ბოინი,
ის ორივე მარტყოფი,
ღმერთო, იქაც გვიცოცხლე.
იქაც კარგად ამყოფე.

ღმერთო, კარგად ამყოფე
წარსულიც და წასულიც,
წინაპრები, კვარცხლბეკზე
დღეს ძეგლებად ასული.

რაკი საქართველოსთვის
იცოცხლეს და იღვაწეს,
სამუდამო მასპინძლად
დარჩნენ ქართულ მიწაზე.

2.
დღეს რა ხდება, რა მოგვდის,
ეს რა ცოდვა ტრიალებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ფუძეს და ჩვენს კერას
თვითონ რომ ვატიალებთ?

ვინც გვიმტრო და გვიმუხთლა,
ახლა თვითონ მტვერია,
მტვერმა ველარ შეგვჭამა,
წლები ვერ მოგვერია.

ნუთუ ახლა ჩემს გამო,
ნუთუ ახლა შენს გამო –
საქართველოს სოფლები
მიწამ უნდა შეჭამოს?

გიხმობთ დედასამშობლო,
დედის თბილი მანდილი,
ზოგსაც – დედის საფლავი,
ზოგსაც – დედა ადგილის.

ძვლები ჩვენი წინაპრის
აქ მარხია, აქ ყრია,
როგორც ერთ დროს ერეკლეს –
სოფელს ხალხი აკლია.

დღეს დაცლილი სოფელი,
განწირული ხმა მისი –
არის ჩვენი მარაბდა,
არის ჩვენი კრწანისი.

აქეთ, აქეთ, ბიჭებო,
აქეთ უნდა უტიოთ.
თქვენი სოფლის იარებს
ღამე უნდა უთიოთ.

აქეთ, ქალიშვილებო,
აქეთ, თქვენ გენაცვალეთ,
თორემ აღარ დავრჩებით
მალე თითზე სათვლელიც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქეთ, თორემ საფლავებს
შეუტია ბალახმა,
ხედავთ, ნასახლარებზე
ვაზი როგორ გადახმა.

ხედავთ, როგორ ივსება
უცხო ხმით და ფერებით
ჩვენი ნასოფლარები,
მთები, ჭალა, სერები.

აქეთ, თორემ გავთავდით
ჩვენი სიმწირ-სიმცირით,
დროშასავით დაჰკიდეთ
სახლებს ბავშვის სიცილი.

აქეთ, აქეთ, სოფლისკენ,
სამცხესა და სამთავისს,
აქ, აქ არის სამშობლოს
საწყისიც და სათავეც.

აქეთ, აქეთ გელიან,
მამულს დღეს აქ სჭირდებით,
გაალაღეთ სოფელი
თქვენი გოგო-ბიჭებით.

დარწეული აკვნები,
ანთებული კერია,
დამიჯერეთ, ბიჭებო,
ახლა ყველაფერია.

არც თქვენი გზა არ არის
ადვილი და იოლი...
აჰა, თქვენი დიდგორი,
მობრძანდით და იომეთ!

პლანეტა „საქართველო“ (№ 781)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1.
გრემი, ჯვარი ზარზმა, მცხეთა
და სამოთხე რიწაში...
ეს – მიწაზე რასაც ხედავთ,
ახლა ნახეთ მიწაში.

იქით ნაქალაქევი და
აქ არმაზის ნანგრევი.
ის ვარძიაც გვიმზერს კლდიდან,
ნაბრძოლი და ნაგვემი.

ჩაკირული ის ქვაში ქვა
წინაპართა სულია.
საქართველო ჩვენ ზღვაშიც გვაქვს –
ნახეთ დიოსკურია.

უკვდავება მათი მზეა,
წლები როგორ წაშლიან,
განა მარტო მიწაზეა,
საქართველო ცაშია.

2.
ყურში მაინც ცუდად მხვდება,
სევდად შემეპარება–
ქვევით – მკვდრების სამარხები,
ზევით – მკვდარი პლანეტა.

გულში მაინც ცუდად მხვდება,
დარდად შემეპარება –
დანომრილი სამარხები,
დანომრილი პლანეტა.

3.
ცის და მიწის სიყვარულით
თუმც სავსე ვართ ყელამდე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ცოცხალი საქართველო
გვირჩევნია ყველაფერს.

თუმც გვიყვარხარ, წლებო ძველო,
ძველო ქვებო-სამარხო,
დანომრილი საქართველო
ღმერთმა ნულარ გვანახოს.

მკვდარი ენები

(ტრიპტიქი)

„რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს...“
გრიგოლ ორბელიანი

1.

დედაშვილობის წესით და ნებით,
შვილია დედის გულის ულური.
დედა პირველი იმიტომ კვდება,
შვილის სიკვდილს რომ აღარ უყუროს.

ასევე დედას ჰგავს დედაენაც,
როცა სამშობლოს გათელავს მტერი,
როცა არა ჩანს გზა გადარჩენის,
ჯერ ენა კვდება და შემდეგ ერი.

2.

კაცობრიობა აუწყებს ყველას
დიდი წუხილით და დანანებით,
საუკუნეთა მსოფლიო გზებზე
კატასტროფაში მოჰყვნენ ენები:
ელამური, შუმერული,
ხეთური და ფალაური,
პოლაბთური, სლოვინური,
პალი, ძველი სლავური.
ვესტგუთური, ოსტგუთური,
ქანაანური, სანკრისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურარტული, ჰურიტული,
გალიური, პრაკრიტი.
სკვითური და ლათინური,
კანესური, სოგდური,
ტოქარული, ფინიკური,
ასურული, კოპტური.

ყველას პოვნა და ყველას მონახვა
ცუდი კლიმატის გამო ძნელდება.
ამიტომ სია არ არის სრული,
მკვდარი ენების ძებნა გრძელდება.

კაცობრიობა აფრთხილებს ყველას,
უფრო კი – მცირე ერის პატრონებს,
დიდ გზაზე გასულ პატარა ენებს
უმეთვალყუროდ ნუ მიატოვებს.

III

ღმერთო მაღალო, შენ გევედრებით,
მიწა წუხილით ისეც სავსეა,
ნუ გააგრძელებ, ნუ გაადიდებ,
ნუ მიამატებ ვინმეს ამ სიას!

მკვდარი ენები არის ჭრილობა,
რომელიც წლებით არ იფარება
ღმერთო, აკმარე კაცობრიობას
ის წუხილი და ის მწუხარება!

წიწამური და ილია

1.

სახელს, სამშობლოს გულში ჩარჩენილს,
მემატიანე ისევ უგალობს,
მაინც რამდენი სისხლის ჩანჩქერი
და ცრემლის წყარო გაქრა უკვალოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ რამდენი მკლავი დაშრება,
მაგრამ თავდები აბა ვინ არი...
საქართველოში აღარ დაშრება
არასდროს შენი სისხლის მდინარე.

ხნულში ჩამდგარი ოფლის მარცვალით
შენ გუთნისდედა იყავ მამულის,
გვირგვინი ჯვარზე ისე გაცვალე –
არც საყვედური, არც სინანული.

არ ჩაგიქრია შენ ის ხანძარი,
შენი წინაპრის სულს რომ ეკიდა,
შენთვის სამშობლო იყო ტაძარი
და მის გუმბათზე ზარად ეკიდე.

ო, კიდევ ერთხელ შენი მამული
გამოაფხიზლე შენი სიკვდილით...
და თავზე გადგა ცა წიწამურის,
გაოცებული და ფერმიხდილი.

2.
სისხლით და ცრემლით გადაუვლია
ურდოს თათართა, სპარსთა, მონგოლთა.
მაინც, სამშობლოვ,
წიწამურია
შენი ყველაზე დიდი გოლგოთა.

ათას ქარიშხალს გადაუვლია
ტყვიით, სიკვდილით, ელდით, კივილით.
მაინც, სამშობლოვ,
წიწამურია
შენი ყველაზე დიდი ტკივილი.

ვიცით თვალები ცრემლებდამშრალი,
ფერფლად ქცეული ციხე-კოშკები,
დამარცხებული ქართველთ ლაშქარი,
დამდაბლებული ქართვლის დროშები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცით ის ციხე, შიგნით გამტყდარი,
გამარჯვებული მტრების სიცილი.
მაინც, სამშობლოვ, მაინც აქ არი
შენი ყველაზე დიდი სირცხვილი.

* * *

ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი მკვლელის
სახელი და გვარი ჯერჯერობით უცნობია

საქართველოს გულს და სინდისს ვინც ესროლა მაშინ ტყვია,
ჯერ არ ვიცით მისი გვარი, მისი გვარი უცნობია.

ჯერჯერობით უცნობია მისი გვარი და სახელი,
მაგრამ იმ დღეს, იმ განაჩენს საქართველო მაინც ელის.

იმ ერთი დღის გათენებას შიშით ელის ყველა გვარი:
ვინ იქნება ის კაენი, ანდა ვისი წინაპარი?

ნეტავ ვის გვარს და ვის სახელს მისცემს ხალხი ანათემას,
ნეტავ ვის შვილს ან შვილიშვილს ელის ასე ცოცხლად გვემა?

შვილს, იქნება ცამდე მართალს, ან შვილიშვილს, იქნებ
წმინდას,
სირცხვილის და ცოდვის ტვირთი ნეტავ ზურგზე ვინ აჰკიდა?

ნეტავ ვის გვარს და ვის მოდგმას ახსენებენ წყევლა-კრულვით,
ვინ მოიბანს სირცხვილს სისხლით, ვინ მოიკლავს ცრემლით
წყურვილს?

ეშაფოტზე ვის აიყვანს, ხეზე ვის გვარს ჩამოკიდებს,
ძელზე, სამარცხინო ძელზე, ვის გააკრავს ერი კიდევ?

ანდა თვითონ როგორ უმზერს ამ ცას, ლაფი რომ ესროლა,
რომ მოკდება, ამ მიწაში ნეტავ როგორ შეძლებს წოლას?

თუ მკვდარია, სამარეში კიდევ ერთხელ ვინ მოკვდება,
ბალახი და ეკალ-ბარდი რომელ საფლავს მოედება?

საქართველო მარტო ჩვენით არც თავდება, არც იწყება,
არაფერი არ ეძლევა სამუდამო დავიწყებას.

ვინც იუდას სახელს იტყვის, ჯერ აკვანში ძინავს იქნებ,
ანდა ვინმე პირტიტველა ხმას და მახვილს ერთად იღებს.

ან ჯერ იქნებ არც მოსულა, ვინც ამოხსნის ამ ქარაგმას,
მაგრამ სანთელ-საკმეველი იმედს მაინც აღარ კარგავს.

მოვა დრო და მისხალ-მისხალ აწონიან მადლს და ცოდვას,
მიეგება მისაგები ყველა მკვდარს და ყველა ცოცხალს.

წარწერა ნიკო ბურის (ბაგრატიონი) წიგნზე

უკვირს, სამშობლოს უკვირს,
რაღა შორეთში, სხვებთან –
ეწირებოდი თუკი
თავისუფლებას მსხვერპლად.

რაღა სამშობლო ბურის,
მიწა უცხო და სხვისი,
თუკი გერჩოდა გული,
თუკი გიდუღდა სისხლი.

თუკი გიჭრიდა გორდა,
ბატონიშვილო ნიკო,
დიდგორი აქვე გქონდა,
კრწანისიც აგერ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პავლე ინგოროყვას

გინდათ გაიგოთ, ჰქონდათ რაგვარი
სახე –
მერჩულეს ანდა მთაწმინდელს?
აგერ ბატონო, ნახეთ, აქ არი,
ნახეთ, შეხედეთ წმინდანს აწინდელს.

გიკვირთ, სენაკის იმ ძველ ბინადრებს
საიდან ჰქონდათ სულის სიკერპე,
გინდათ დანახვა ასეთ წინაპრის?
აგერ ბატონო, ნახეთ, ინებეთ.

გინდათ, სიმძიმე ნახოთ იმ ოფლის,
ზოგჯერ რომ ხდება ქვეყნის ოდენა,
გინდათ მოთმენა ნახოთ იობის?
ნახეთ, ბატონო, მისი მოთმენა.

გინდათ გაიგოთ, ნახოთ ბოლომდე,
ის ძველი სენი დღემდე რომ მოგვყვა?
აგერ ის შური, ის სიბოროტე,
აგერ ის ჯვარი, და ინგოროყვა.

გინდათ გაიგოთ როგორ წირავდნენ,
როგორ იბრძოდნენ ხშირად მარტონი,
გინთა დანახვა დიდი წინაპრის?
აგერ ბატონო, პავლე ბატონი!

მინაწერი სიკვდილის შემდეგ:

არა, ნამდვილად არ არის ჭორი,
რაც ძველ წიგნებში ზღაპრებად ითქვა,
მე თვითონ ვნახე მოტირალთ შორის
თვალცრემლიანი პილატეც იდგა.

არ აკლდა ხალხის წუხილი წრფელი
დაღვრილ ცრემლებს და მოტანილ ყვავილს.

და იმ ცრემლებში პილატეს ცრემლი
ერია, როგორც მტრედებში ყვავი.

„ჩონგური საქართველოა...“

ვუძღვნი ჩხოროწყუს რაიონში
ჩამოსახლებულ მესხებს

რა მეგრელი და რა მესხი,
გაფიქრებაც სულს მიკორტნის.
ვართ ერთი ხის ორი ფესვი,
ერთი მუხის ორი ტოტი.

საქართველო შენი, ჩემი,
საქართველო აქაც, იქაც.
ერთი სისხლი, ერთი გენი,
ერთი ცა და ერთი მიწა.

რას მიქვია ოდიში და
ან კახეთი, ქართლი ანდა,
ის, ვინც ნაწილ-ნაწილ გვშლიდა,
ბოლოს ნაწილ-ნაწილ გვჭამდა.

რას მიქვია მთა-თუშეთი,
სვანეთი, ფშავ-ხევსურეთი,
ერთი მზის ქვეშ ვიბადებით,
ბოლოს მიწა ვხდებით ერთი.

რას მიქვია აჭარა და
ან რაჭა და ან მესხეთი.
ვაგლახ! მტრებზე უფრო გვჭამდა
ხშირად შური ერთმანეთის.

როცა ერთად ყოფნა ჭირდა,
მტერი ნაყოფს მაშინ მკიდა,
ის, ვინც ნაჭერ-ნაჭერ გვჭრიდა,
ის, ვინც ნაჭერ-ნაჭერ გვყიდდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მეგრელი, რისი მესხი,
ჩვენ ერთი ჯვრით ვართ ნაკურთხი.
ვართ ყველანი ერთი ფესვი
და ტოტები ერთი მუხის.

რას მიქვია იმერეთი,
გურია და აფხაზეთი.
ჩვენი ხატი, ჩვენი ღმერთი, –
საქართველო არის ერთი.

ძველი მესხური სიმღერები

ვ. მაღრაძეს

როგორც ნაფლეთები ფრესკის,
ხახულის თუ სხალთის ტაძრის,
როგორც დაკრაგული ლექსი
შავთელის თუ ჩახრუხაძის,

როგორც აწყვეტილი მძივი,
აჩეხილი ვაზის ფესვი,
მოჩხრიკე და მოიძიე
სიმღერები ვინმე მესხის.

როგორც წლებში ჩაკარგული
სახელები კაი ყმების,
გააცოხლე მესხის სული–
საქართველოს ძველი ხმები.

რაც გვქონდა და რაც დავკარგეთ,
რაც ქართული იყო ოდით:
მესხურ კილოს, მესხურ ჰანგებს,
მესხურ ხმას და მესხურ მოტივს.

რაც გადურჩა წლების ჯარცმას,
უფრო მეტად მტრების რისხვას.

აგროვებდი მარცვალ-მარცვალ,
კრებდი ასე მისხალ-მისხალ.

დღეს მესხეთის იმ ჰანგს, იმ ხმას,
იმ კილოს და იმ მოტივებს,
საქართველო გულში იკრავს,
როგორც დაბრუნებულ შვილებს.

წინაპართა ხმები

ვუძღვნი ანზორ ერქომაიშვილს, რომელმაც დაგვიბრუნა წინაპართა ხმები

1.

გულს რომ გვინთებს და თვალებს გვისველებს,
ის ხმები განა მარტო ხმებია.
რომ უმღერიან მამულს, ისევე
გაცოცხლებული წინაპრებია.

მარტო ჰანგია ანდა ფერები,
ის, რაც, საფლავში ვერ დაეტია.
იმ წინაპრებით და სიმღერებით
დღეს საქართველო უფრო მეტია.

თითქოს სიმღერებს ახსნეს ურდული,
თითქოს ურემი კვლავ იწყებს ჭრიალს,
გზაზე დარდივით მიდის ურმული
და საქართველოს ტკივილი მიაქვს.

ველარ დაუდგამთ ქედზე უღელი
და ახლა ხმები, გარს რომ უვლიან,
ის „კრიმანჭული“ ქედმოუხრელი
და მეამბოხე კაცის სულია.

ზარია მართლაც, ის „ზარის“ხმები,
გუგუნებენ და ცაში ადიან,

ეს ვინ შეკონა სვანეთის მთები
და სიმღერებში ვინ ჩაატია.

2.
სულ რომ ცრემლი და სისხლი გდიოდა
მიკვირს, მამულო, როგორ შესძელი,
როგორ, საიდან ამოდიოდა
ეს სიმღერები სულის შემძვრელი.

როცა ერთად და თითო-ოროლად
ყველა ვარდი და ია აკაფეს,
როდის უსტვენდა შენი ტოროლა,
როდის გალობდა შაშვი, კაკაბი.

როცა ქედზე სულ გეჯდა შროშანი,
ის ჩიტი-გვრიტი როდის მღეროდა.
ჰანგი მზისა და ვარდის მგოსანის
როდის აფრინდა ლერწმის ღეროდან.

გადაგიარეს თავს გრიგალებმა
და სასწაული არის, რაც არის.
როდის იმღერე და იგალობე,
როდის შესძელი და მოასწარი.

ალბათ იმიტომ, ჩემო ქვეყანავ,
შენი გოდებაც სიმღერას ჰგავდა.
თუმცა კრწანისი გულზე გეყარა,
დიდგორიც გქონდა კრწანისის გარდა.

ალბათ იმიტომ გიჭრიდა გორდა,
მტერიც ამაოდ იმიტომ მოცდა,
შენი რწმენა და იმედი ჰქონდა
სიტყვის, სიმღერის თუ ფუნჯის ოსტატს.

ალბათ ამიტომ მტრის ჯავრს და სირცხვილს
რომ არა ვჭამდით, მამულო ჩემო,
ამიტომ წვეთავს ოფლი და სისხლი
და შენს სიმღერებს აქვს ცრემლის გემო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ სილაღეც არ აკლდა სიმებს,
არ გვაკლდა სიმხნე იმ მძიმე დროსაც,
რადგან არასდროს ვკარგავდით იმედს,
იმედს, –
სამშობლოს ამ უკვდავ დროშას!

მერი შერვაშიძის დაბრუნება

რევაზ თაბუკაშვილს

მისი ეშხი და სინაზე
უცხო თვალებს ახარებდა,
ბედი ქართულ სილამაზეს
სხვის მიწაზე ატარებდა.

დადიოდა იქაც ლექსად,
გაზაფხული ეცვა ტანზე,
ჩუქურთმა და ჩვენი ფრესკა
ამშვენებდა სხვათა ტაძრებს.

თან დაჰქონდა ამ ცის მადლი,
ქართველ ქალის სიამაყე.
ვაგლახ! ჩვენი მიწის ვარდი
ახარებდა უცხო ბაღებს.

ის ფიქრები სულს გვიკორტნის
და ეღება ბოლო ლოდინს.
მოტეხილი ვარდის ტოტი
ისევ თავის ბაღში მოდის.

და ქუთაისს, ისეც მზიანს,
აპრილის მზე სულში იძვრენს.
ოცნება და პოეზია –
მოდის მერი შერვაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავივით ისევ ელავს
და ეკრანზე ისევ იწვის.
უბრუნდება შუქი გელათს,
ემატება ფერი ყინწვისს.

აამღერებს სიხარული
აქ მთაწმინდას, იქ კი რიონს.
დაკარგული სიყვარული
უბრუნდება გალაკტიონს.

ვინც პოეტის მუზად იქცა,
უკვდავების რიგში დგება.
ემატება მშობელ მიწას
ლექსებად და ლეგენდებად.

სხვის ცაზე და სხვის მიწაზე
უსამშობლოდ სანამ ევლო,
წართმეული სილამაზე
უბრუნდება საქართველოს.

რუსუდან ფეტვიაშვილს

1.
არ სჭირდება კამათი, ნათელია დღესავით,
სასწაული თუ გინდათ, სასწაული ეს არი.

ეს რა იყო ნეტავი, ლეგენდა თუ იგავი?
არა, უფრო მგონია, სამოთხეში ვიყავი.

არა, უფრო მეგონა ვიყავ სიზმარ-ზღაპარში...
აი, რატომ გავძელით, აი, რატომ გადავრჩით.

აი, რატომ მოვიდა საქართველო აქამდე,
უკვდავება ერისა ამ ნიჭშია, აქაც დევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.
რა ხაზები, ხაზები, რა ფერები, ფერები,
ლამის ხელში აიყვან, ლამის მოეფერები.

ლამის სულში ჩაიძვრენ, ლამის ჩაეხუტები,
ღმერთო, რა მეშველება, როცა შინ დავბრუნდები.

ღმერთო, რა მეშველება ამ დარბაზს რომ დავტოვებ.
რა გაუძლებს იმ ყოფას, იმ დარდს, იმ სიმარტოვეს.

3.
გულო, ნუ გეშინია, ცრემლო, ნუღარ გრცხვენია,
საქართველოს შვილია, ყველაფერი შენია.

სულ ფერია ამ მიწის, ამ ცის, ამ მზის, ამ მთების,
გმირებია სამშობლოს –
შენი გოლიათები...

სულ მამულის ჰიმნია, სულ მამულის ხმებია,
ურჩხულები მოკლული – საქართველოს მტრებია.

რისი იაპონია ანდა რისი ეგვიპტე,
საქართველოს ცისკარზე ვარსკვლავივით ეკიდე.

4.
იქნებ ანგელოზი ხარ (ანგელოზიც ბავშვია),
იქნებ ჩვენთან დადიხარ, მაგრამ სული ცაშია.

ლამის გული გამისკდეს, ლამის შიშით გავფითრდე,
მართლა არ მიგვატოვო, სხვაგან არსად გაფრინდე.

აწი შენი სამშობლო როგორ გაძლებს უშენოდ,
უნდა ლხინში უმღეროთ, უნდა ჭირში უშველოთ.

რაკი ჩანგზე ერისას ოქროს სიმად გაები,
რაკი ხალხი დარაჯობს შენს ნიჭს, მართლაც ღვთაებრივს,

რაკი საქართველოსთვის წყალობა ხარ უფლისა,
აწი ვერვინ დაგიხსნის შენი ერის უღლიდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული მდინარეები

ბრძანა რიონმა, ენგურმა,
ალაზანმა და არაგვმა: –
ვართ საქართველოს ერთგული,
ჩვენ სხვა სამშობლო არა გვაქვს.

აქ არის ჩვენი სამარე,
აქ ვიბადებით, აქ ვკვდებით.
არ ვეფერებით არავის,
არ ვართ არავის ამკლებიც.

ჩვენს ხალხსა ვგავართ ბუნებით,
თავზე ერთი ცა დაგვყურებს.
მტკვარო, რას გვედიდგულები,
სამი ბატონის მსახურო.

ამაყებიც ვართ, ფიცხებიც
გამოზრდილები ამ მთების,
საქართველოში ვიწყებით,
საქართველოში ვთავდებით.

არხოტი

მაინც გამოცხვა კვერი ობლების,
მაინც იხარა დედაშვილობამ...
ომგადახდილი დგანან სოფლები
და იშუშებენ წლების ჭრილობას.

კვლავ ახმაურდა დღეები ჩუმი,
კვლავ ახმაურდნენ არხოტის მთები,
სახლში მგლებივით მოვარდნილ დუმილს
სოფლის ძაღლები მისდევენ ყეფით.

გზას ბილიკები აუკაფია,
მოჩანს შატილი, როგორც ყვავილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიხარულით მთვრალი კაფია
მეკეკლუცება ლამაზ ქალივით.

დონ კიხოტი

უკვდავი და ერთადერთი,
ისევ დადის როსინანტით,
ებრძვის ბოროტს, იცავს კეთილს
რაინდი და ძველი გრანდი.

კვლავ მიჰყვება გოლგოთის გზას,
არ დაეძებს ცაში პარნასს,
გვერდით თავის შვილები ჰყავს
და ერთგული სანჩო პანსა.

მას არც წლების და არც მტრების
არასოდეს შინებია...
ალბათ ნაღდი პოეტები
დონ კიხოტის შვილებია.

„ვეფხვის და მოყმის“ ძეგლი

ე. ამაშუკელს, ვ. დავითაიას

განა ერთი, განა ორი,
ჰყავს ათასი პატრონი
ძეგლს მეფის და ფარაონის,
სარდლის, იმპერატორის.

განა ერთი, განა ორი
(ან დამთვლელი ვინ არი),
რამდენია დიქტატორის
ან ძეგლები ტირანის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ გვერდს რომ ვერ ავუვლი,
მე ისეთიც მეგულვის,
ძეგლი ხალხის და მამულის
მსახურის და ერთგულის.

ვხედავ ყველა ქვეყნის, ერის
სამსხვერპლოზე მიტანილს,
ძეგლს ბელადის, მეცნიერის,
პოეტის თუ ტიტანის.

მაგრამ ისიც ითქვას უნდა,
ამ მზის სამფლობელოში:
პოეზიას ძეგლი უდგას
მხოლოდ საქართველოში!

ფიქრები სამხედრო ბილეთის ჩამორთმევის შემდეგ

გათავდა, მორჩა, ამიერიდან
ჯარისკაცების რიგში არა ვარ,
შევრჩი ცხოვრებას
თეთრი ბილეთის
და კიდევ თეთრი თმების ამარა.

გათავდა, მორჩა, უბრალოდ რომ ვთქვათ,
ჩამოწერილი კაცი ვარ უკვე.
ჩემს სიჭაბუკეს
– ჩემს განვლილ დღეებს
ვდგავარ და ხელებს შორიდან ვუქნევ.

ახლა უფრო მკლავს ჯავრი წარსულის
და მამულს ფიქრით ისევ გარს ვუვლი,
როგორ იტყვიან, –
ჯარისკაცული
სამსახურისთვის ვადაგასული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს ჩემს სიტყვას, ხუმრობას, სიცილს
ის ძველებური ეშხი არ ახლავს
ახლა ნამდვილად ვიგძრენი, ვიცი,
ახალგაზრდობა წავიდა, გაქრა.

ნუთუ ეს ნიშნავს, სამშობლოვ ჩემო,
არ უნდა გქონდეს იმედი ჩემი.
მცველად, პატრონად არ დამიგულებს
ჯუმითი, ჯვარი, სენაკი, გრემი.

რა სათქმელია აქ თმების ფერი,
და განვლილ წლებთან ჯიბრი და დავა.
რამდენის იყო თევდორე ბერი,
როცა სამშობლოს შესწირა თვი.

რამდენის იყო ერეკლე მეფე
როცა კრწანისთან იქნევდა მახვილს...
სულში ალგეთის ლეკვები ყეფენ
და ისევ ვისმენ წინაპართ ძახილს.

მე რიგში ვდგები, მამულო, ისევ,
მეც ვარ იმათი სისხლი და გენი.
სანამ ეს გული ცოცხლობს და მიცემს,
ჯარისკაცი ვარ, სამშობლოვ, შენი!

* * *

განვლილია ნახევარი
გზა,
ყველაფრისთვის უნდა იყო
მზად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

– სასაფლაომდე როგორ მივიდე?–
ვიღაც მაჩერებს და მკითხავს რიდით...
– ო, სულ ერთია, ჩემო ბატონო,
სასაფლაოსკენ ყველა გზა მიდის.

* * *

მიახლოვდება, ვატყობ, ფინიში,
უნდა დავტოვო მალე თბილისი,
უნდა დავტოვო მოყვარე, მტერი,
ჩემი ლამაზი სამშობლო, ერი.

იქ, სამარეში (ამ ფიქრს ადვილად
ვერ შევეგუე, ცაო ნათელო),
უსიცოცხლოდ კი გავძლებ ნამდვილად,
მაგრამ რა გაძლებს უსაქართველოდ?!

* * *

ყინვა გაზაფხულს ველარ აჩერებს,
აჰა აფეთქდნენ ხეზე კვირტები.
ახლა ვერავინ ვერ დამაჯერებს,
მალე ცოცხალი რომ არ ვიქნები.

მარტის ფიფქები თეთრი ფიქრია
და ამ ფიქრებში ღამე ვათიე.
არა, სიკვდილზე არც მიფიქრია,
მხოლოდ ვიხუმრე და მაპატიე.

* * *

თუმცა გარდასულ დღეებს მისტირის
და სულს შუადღე უდგას ნამდვილი,
თუმც შეეჩვია ფიქრებს სიკვდილი,
როგორც ზამთარში ფარეხს ნადირი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე აღვილად ვერ გავიმეტებ,
სიცოცხლემ ისე უნდა დამათროს.
ისევ თოფივით ვისვრი იმედებს,
რომ მოვარდნილი მხეცი დავაფრთხო.

* * *

ისეთი დღე და ისეთი მზეა,
გინდა მტერსაც კი ძმასავით ენდო.
ნუ შემახვედრებ დღეს რამე წყენას,
ეს ლამაზი დღე მაჩუქე, ღმერთო.

პრომეთე

კაცობრიობავ!
ო, ნუთუ შევცდი,
ამაოდ გავხდი ყორნების კერძი.
ნუთუ იმ ცეცხლით, ღვთიური ცეცხლით,
ახლა ერთმანეთს ხოცავთ და ებრძვით.

იმაზე მეტი ტანჯვა მომგვარეთ,
ვიდრე უფალის ნებით გადაწყდა...
ნუთუ იმ ცეცხლით, ღმერთს რომ მოვპარე,
თქვენ დედამიწა უნდა გადაწვათ?!

მიტევება

ღმერთო! შეუნდე შხამი და გესლი
და ის ძაღლური ბედი აკმარე,
ვინც დაეძებდა მეძებრის გეშით
ჩემს სიტყვას, ფიქრებს, გზას თუ ნაკვალევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე რომ სუფთა და წმინდა მეგონა,
ვინ დამიბრუნებს იმ დღეებს უკან.
მაინც შეარგე ცოდვილ მეგობარს
ჩემზე ღალატით ნაშოვნი ლუკმა.

მაინც შეუნდე იმ კაცს, უფალო,
მაინც მოწყალედ ექმენ ასწილად,
ვინც გამიმეტა ასე უბრალოდ,
ვინც მიორგულა ანდა გამწირა.

ვინც გამომტაცა ტკბილი წამები
ანდა სიხარულს ვინც მაშორებდა,
ჭორებითა და ცილისწამებით
ვინც მიწამლავდა სულს და ცხოვრებას.

ყველას შეუნდე და შეიცოდე,
ვინც ჩემს დღეებთან არის ნაჯერი,
ვისაც ყოველდღე ჩემი სიცოცხლე
მიჰქონდა, როგორც პურის ნაჭერი.

ვინც ცივი გულით, ცივი ხელებით
ეს ჩემი სული ასე ათრიეს,
ჩემი სისხლი და ჩემი ცრემლები,
ღმერთო, შეუნდე და აპატიე.

შენა ხარ ჩემი ბოლო იმედი,
შენ გევედრები, წმინდა სამებავ.
გადაუხადე ყველას სიკეთით–
ჩემი ტანჯა და ჩემი წამება.

ხსოვნის დღე

ჭირს იმ საფლავის ნახვა და პოვნა,
რასაც ჟამთასვლამ მოუჭრა გზები.
და ერთადერთი ეს არის ხსოვნა,
რომელსაც ვეღარ ერევა წლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეღარ კლავს დროის მსახვრალი ხელი
ხსოვნას,
რომელიც მომავალს უხმობს.
ყვავილები და გულწრფელი ცრემლი
ამშვენებს საფლავს ყველაზე უფრო.

ხსოვნის დღე არის ცოცხლების ვალი,
დღე სიყვარულის ცრემლად გაცემის;
ხსოვნის დღე არის ჭირისუფალი
ყველა უცნობი ჯარისკაცების.

თუკი საფლავი დარჩა ამარა
მარტო ბალახის და სიმარტოვის,
თუ უპატრონო არის სამარე,
ხსოვნის დღე უნდა გახდეს პატრონი.

ხსოვნის დღე უნდა პირველ სიყვარულს,
ომში წაღებულ იმ პირველ კოცნას,
ცრემლით და ოხვრით მოკლულ სიხარულს
და სამარეში წაღებულ ლოცვას.

ცივ საფლავებში ჩარჩენილ მამებს,
დანგრეულ სახლებს, გადამწვარ სოფლებს,
დედების თეთრად გატეხილ ღამეს,
შიშით და სიმწრით გამოზრდილ ობლებს.

ჯარისკაცის სახლს, იმ კერას, იმ ჭერს,
ისევ რომ ითხოვს პატრონის სითბოს,
ომში დაცემულ ღიმილის ბიჭებს,
რომ არ ეღირსათ მამობა თვითონ.

იმ სიზმარივით დარჩენილ სახეს
სახლიდან უცებ გამქრალი დედის.
ერთ დროს წართმეულ მამების სახელს,
კვლავ დაბრუნებულს ცრემლით და სევდით.

ხსოვნის დღე უნდათ იმ წუთს, იმ წამებს
მარადისობას რომ უდებს სამანს, –

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალგეთისა და მარაბდის მიწას,
თევდორე ბერს და არაგველს სამასს.

ხსოვნის დღე უნდა იმედს გაფრენილს,
დაკარგულ სტრიქონს, მოკლულ ოცნებას,
თავისუფლებას, ძალით გათელილს,
და ნამუსახდილ პატიოსნებას.

ხსოვნა სჭირდება ყველაფერს, ყველას,
რაც ჩვენს სიცოცხლეს ერგუნა წილად.
მოთიბულ ბალახს, გადაჭრილ თელას.
შარშანდელ თოვლს თუ წუხანდელ წვიმას.

იმ გამხმარ წიფელს, იმ გამქრალ ფიფქებს,
დამშრალ მდინარეს, ჩამქრალ კერიას.
ხსოვნა სჭირდება იმ ლამაზ ფიქრებს,
რასაც ახდომა არ უწერია.

ჩემს ჯუმითს, სენაკს, ხაბუმეს, უდეს,
გორსა და დიდგორს, კრწანისს და გარისს,
ჭერზე ლოდინით დაქანცულ ბუდეს,
ქუჩაში ფეხით გასრესილ ყვავილს.

მოგონება და ხსოვნის დღე უნდა
ნათესავის თუ მეგობრის ტკივილს,
დარდსა და სევდას, მიტანილს გულთან,
დედებს მოთქმას, შვილების ტირილს.

მამების ცრემლებს, დაქცეულს უხმოდ,
ბედდამწვარ ქვრივებს, გულმოკლულ ობლებს,
ხსოვნის დღე ქვეყნად სჭირდებათ უფრო
მიცვალებულებს კი არა, ცოცხლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგვიანებული ლექსი ქალბატონ მედეა ჯაფარიძეს

ეს ვინ ურჩევდა მის სახეს, ფერებს,
მიწისთვის ასე უცხოს და უჩვევს,
ვინ გამოსტაცა ყინწვისს და მერე
ვინ მიახატა თბილისის ქუჩებს.

ეს ვინ მოწყვიტა ვარსკვლავი ციდან,
და საქართველოს წაართვა ძილი.
ვინ გააცოხლა ის სერაფიტა
და ვინ აჩუქა დღევანდელ თბილისს.

დაბადებაში ამ ანგელოზის,
ალბათ, უფალის ხელი ერია.
რადგანაც იცის, –
საქართველოსთვის
ღამაზი ქალი ყველაფერია!

აფრიკის განთავისუფლების დღე
(25 მაისი)

ყველა სიცოცხლეს ღმერთის მადლი აქვს,
თავისუფლების მსხვერპლად მიტანილს.
საკურთხეველზე ერთად ანთია
ბერის სისხლი და სისხლი ტიტანის.

საფლავის ქვებსაც ალაპარაკებს,
თავისუფლება თუკი მივიდა,
და სამას სანთელს, სამას არაგველს
იმ მარადიულ ცეცხლთან მიიტანს.

თავისუფლება ყველას სჭირდება:
ჩიტებს, ქალაქებს, ხეებს, მოედნებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლება ყველას სჭირდება,
მაგრამ ყველაზე უფრო – პოეტებს.

იციან, ყველა ბედთან მორკინალს
ან ტყვიით, ანდა სიტყვით მოკლავენ.
თავისუფლების რკინის ბორკილებს
ნაღდი მგოსნები მაინც ლოკავენ.

თავისუფლება ოქროს ფრთებია
ლამაზ ფიქრის და ლამაზ ოცნების.
თავისუფლების დროშით კვდებიან
ვაჟკაცები და ნაღდი მგოსნები.

თავისუფლება!– ეს ის ღმერთია,
ყველა ენაზე რომ უმღერიან.
მისთვის ამქვეყნად ყველა ერთია:
თეთრი ფერი თუ შავი ფერია.

მისთვის ამქვეყნად ყველა ერთია:
მონკადი, ჩილე თუ საარაგვო.
თავისუფლება!– ეს ის ღმერთია,
ყველა ენაზე რომ ლაპარაკობს.

300

ამ ლექსში სიტყვა „გული“ სხვადასხვა კონტექსტში 300-ჯერ არის ნახსენები

1.

თუ პირველი იყო სიტყვა,
სიტყვა გასაკვირველი,
მაშინ ჩვენში ალბათ „გული“
იყო სიტყვა პირველი.
მე არ ვიცი, სხვაგან რაა,
მაგრამ ჩვენთან ასეა –
ჰგავს ქართველი კაცის სიტყვაც
ქართველ კაცის ხასიათს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ენა, ჩვენი სიტყვა,
ჩვენი ასო, ანბანი
ჰგავს სამშობლოს, ცრემლით, სისხლით,
განწმენდილს და განბანილს.
ღაღადებენ ნანგრევები
ბოლნისის თუ არმაზის –
რუსთველივით ბრძენია და
თამარივით ლამაზი.
ქართულ ენას, ქართულ სიტყვას
(ჩვენ რომ სანთლად ავინთეთ)
აქვს სიმტკიცე ქეთევანის,
სიძლიერე დავითის.
იქნებ ბევრს არ გაუგია,
იქნებ ბევრმა არ იცის,
რომ ქართველი თავის მამულს,
გულს და ენას არ იცვლის.
დაუღვრია ცრემლი, სისხლი,
აშკარაც და მალულიც,
გულით ენა შეუნახავს,
ენით კიდევ – მამული.
საქართველომ გულის ფასი
ოდითგანვე იცოდა,
გულით ქმნიდა, გულით წერდა,
შრომობდა და იბრძოდა.
არაფერი აქვს ისეთი,
გული რომ არ ერიოს.
ლექსია თუ სიმღერაა,
ჰანგია თუ ფერია.
გვარია თუ სახელია,
კუთხეა თუ უბანი:
გულარიძე, გულორდავა
გულია და გულბანი,
გულადი თუ გულჯავარი,
გულბაათი თუ გულდა,
გულნაზი და გულისვარდი,
გულიკო და გულსუნდა,
გუგულა და გულიანთა,
გულრიფში და გურია!

მე თუ მკითხავთ, საქართველო
მარტოოდენ გულია!

2.
ვინ თქვა ნეტავ: გულის ყური,
გულის პირი, გულის თქმა,
გულის ზრახვა, გულის ღელვა,
გულის წვა და გულის ხმა;
ვინ შეარქვა გულის გული
მიჯნურს სულზე უნაზესს,
ვინ ისურვა გულის ვარდი
ანდა გულის მურაზი.
ვინ, ვინ ბრძანა: გული მერჩის
ანდა გულმა მირჩია.
გულის წასვლა, გულის მოსვლა
სხვაგანაც თუ იციან?
ვინ ინდომა გულის ლხობა,
გულის ფეხვეშ დაგება,
გულით ნდობა, გულით წყრომა,
გულის კარის გაღება.
ვის წამოსცდა: გული დამწყდა
ანდა გულით ვიწვები,
ნეტავ ვინ თქვა: გულის სიტყვა,
სიტყვა – გულს გეფიცები.
გულთმისანი, გულმოდგინე,
გულმხნე და გულნათელი...
გული იყო ოდითგანვე ფარიც,
ხმალიც ქართველის.

3.
საქართველოს გზაზე მივალ
მარტო გულის ამარა,
იქით – ციხე გორგასალის,
აქეთ – კოშკი თამარის.
აქეთ – რაჭა გულდამჯდარი,
იქით – ქართლი გულსავსე,
აქ – ამერი გულს ახარებს,
იქ – იმერი გულს ავსებს.

აქ – გულდიდი გურია და
იქ – გულგანძი კახეთი,
გულამაყი აფხაზეთი,
გულმაღალი სვანეთი.
აჭარაში გულის ბაღჩა,
გულის ჭალა ოდიშში,
იმერეთში გულის პოვნა
სულ ბატონო-ბოდიშით.
მესხეთი და ჯავახეთი,
ჩვენი სისხლი უშრეტი,
არწივების ბუდესავით
ცას მიკრული თუშეთი,
გულმოყვასი ხევსურეთი,
გულმახვილი ფშავეთი,
მაღლა მთები გულკუმტი, ძირს
გაშლილი ხავერდი.
ეტრატივით გაფრენილი
მინდვრები და სერები,
სტრიქონებად ჩაწერილი
ვაზი, ყანა, სვრელები,
ალაგ ქართულ ფრესკებივით
გადამწვარი ველებიც,
მწყურვალი და მომლოდინე
გამრჯე კაცის ხელების.
სიმდიდრე და გულის განძი,
თუკი რამ მაბადია,
მთავარი თუ უმთავრესი –
მამულია, ცხადია.
გულს რაც ხატად მისვენია,
გულზე რაც მახატია,
უპირველეს, უწინარეს –
სამშობლოა, ცხადია.
ზოგჯერ გულს თუ რამე მიკლავს,
გულს თუ რამე მაკლია,
ესეც ჩემი სამშობლოა –
საქართველო, ცხადია.

4.

გული იქით გამეპარა,
გული იქით გამექცა,
სადაც სული წინაპრების
ანათებენ ღამე ცას.
გულმა იქთ გამიწია,
გული იქით მეძახს,
სადაც ტირის ნასახლარი,
აჩეხილი ვენახი.
სადაც ტაძრებს მძიმე სევდა
გულზე აძევთ ლოდივით,
სადაც დგანან ციხეები
გულმკვდარ-გულჩათხრობილი.
სადაც საფლავს წინაპრების
ეკალ-ვარდი ერევა,
სადაც ფრესკებს გული უწუხთ,
დარდით გული ელევათ.
სადაც ფრესკებს, ქართულ ფრესკებს
გულზე ეკლად ესობათ
სხვათა სიტყვა, სხვათა ლოცვა,
გალობა და ლექსები.
სადაც ქართულ ჰანგს და სიტყვას
ხმა და ფერი აკლდება.
სადაც ოშკი გულმწუხარე
საკუთარ გულს აკვდება.
სადაც ენა რუსთაველის არის
გულს დამარხული:
გულის წადილს, გულის სურვილს
გულში იკლავს ხახული.
სადაც გულის ფანცქალით და
სადაც გულის კანკალით
მშობლის გულის პასუხს ელის
გულდამწყდარი პარხალი.
სადაც ბანა გულმწუხარე
და გულამოვარდნილი,
შერჩენია ტაო-კლარჯეთს
წინაპრების დარდივით.
გულჯავრიან მოგონებამ
გული იქით წაიღო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქაც ჩემი საქართველო,
იქაც ჩემი ცა იყო.
ჩემი გულის საუნჯე და
ჩემი გულის იარა,
რაც მტრებსა და ცეცხლს გადურჩა,
წლებმა გაატიალა.

5.
გული ტირის, გული მიწუხს,
გული მეთანაღრება,
ეს ვინ შეძლო ჩვენი მთების
უბრძოლველად აღება.
ჩანს სახლი გულამოჭრილი,
სოფელი გულდაცლილი,
და გულის ფიქრს, გულის ნადებს
გულში მალავს მაცილი...
მაგრამ ვხედავ, ქვეყნის გზაზე
მოდის ერის უღელით
კაცი გულგაუტეხელი,
კაცი გულმოუღლელი,
ვისაც გუშინ გულდადებით
ჯვარზე კირი აჰქონდა,
ვინც დღეს გულმშრალ ჩვენს უდაბნოს
გული აუწალკოტა.
ვინც ხვალ ახალ რუსთავქალაქს,
ახალ სამგორს ააგებს.
ვინც რწმენით გულმოცემული
მამულს გულს არ დააკლებს.
ვინც ქვეყნისთვის, ხალხისათვის
თავს დადებს და გასწირავს,
ვინც ხვალ უფრო მაღლა ასწევს
სამშობლოს ცას – მთაწმინდას.

6.
უბრუნდება გულს იმედი,
როგორც ბუდეს მერცხალი,
უბრუნდება გუთანს გლეხი,
ცხვრების ფარას – მეცხვარე.

უბრუნდება მესხეთს ვაზი,
ტაძრებს – ძველი ფრესკები.
მთას – გულღომი ვაჟკაცები
და საფიხვნოს – ლექსები.
ჩანს მთიელი შუბლგახსნილი,
გზაც გულივით გაშლილი.
და არხოტზე ამოსული დგას სანათა ქმარ-შვილით.
გულს მიხარებს, გულს მიკეთებს,
მელის გულით კეთილით:
ომალო გულჩახვეული,
ადრე გულჩაკეტილი.
წარსულით გულამღვრეული
იმ ვაჟკაცებს ვიგონებ,
ვინც შემორჩა ფანდურის სიმს,
ხალხურ ლექსის სტრიქონებს.
არა ზარით და ზეიმით,
არა ვაშა-დიდებით,
ვინც სამშობლოს გულისათვის
მოკვდა გულდამშვიდებით.
ვინც დაეცა გულუჩუმრად
აწყურთან თუ იცართან,
არა თავის კუთვნილ მამულს, –
ქვეყნის სახელს იცავდა.
ვინც სიყვარულს მამულისას
ტანზე ჯავშნად იცვამდა.,
არა თავის ციხე-დარბაზს, –
საქართველოს იცავდა.
ვინც მოკვდა გულგანგმირული,
მაგრამ ფეხმოუცვლელი,
ვისთვის ხალხის გული იყო
მატიანეს ფურცელი,
ვინც გაუყვა მამულისთვის
გზას ძნელსა და ეკლიანს,
ვისთვისაც დღეს საქართველო
ერთადერთი ძეგლია.

7.
გზა მოკლეა გასავლელი
ქართველ კაცის გულამდე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულმართალი, გულხალვათი,
გულოვანი, გულადი.
სიძულვილში – გულნამცეცა,
სიყვარულში უხვია,
გულახდილი, გულნათელი,
გულითადი, გულღია.
მისი ფიცი (იცის მტერმა,
მეგობრებმაც იციან),
ფიცი გულზე ხელდადებით
სამუდამო ფიცია,
იცის გულის მიცემა და
გულის გულში გადაცვლა,
ჭირში გულის გამაგრება,
ლხინში გულის გადაშლა.
უცებ იცის ამხედრება,
მახვილივით შევარდნა,
უცებ გულის შეჯერება,
უცებ გულის შემართვა.
განა ენით, გულით ამბობს,
რა არის და ვინ არი,
არ აკლია გულის სწორი,
გულის შემატკივარი.
არ ჩვევია გულის ხეთქვა,
შიშით გულის ტრიალი.
თუმცა ბევრჯერ გადათელეს.
ბევრჯერ გაატიალეს.
თუმცა ბევრჯერ ბეწვის ხიდზე,
ხანჯლის პირზეც იარა,
სირცხვილი არ უჭამია
ქართველ კაცის იარაღს.
თარეშობდა როცა ხმალი
სპარსული თუ თურქული,
ხშირად იყო გულდამწვარი,
ხშირად გულდათუთქული.
როცა მამულს უოხრებდა
გულყრუ და გულვერაგი.
გაუხდია ხშირად ჯაჭვის,
ხშირად გულის პერანგიც;

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც სიკვდილის შიში ჰქონდა
მამულისთვის გულდაგულს,
გულბოროტთან გულშიშველი
მიდიოდა გულდაგულ.
გულმაგარი, გულზვიადი,
გულკაცი და ლომგული,
ზოგჯერ იყო გულგამსკდარი,
ღალატით გულმოკლული.
ორგულობით, ორპირობით
ზოგჯერ გულამღვრეული,
მაინც იყო გულალალი,
მაინც თავაწეული,
მაინც იყო ამაყი და
მაინც იყო უცვლელი,
მაინც წერა საქართველოს
მატიანეს ფურცელი,
მაინც ჭრა და მაინც ხატა
ჩუქურთმა და ფრესკები,
მაინც სიმებს ფანდურისას
ათქმევინა ლექსები.
ააშენა მაინც ჯვარი,
გელათი და ვარძია.
მაინც ჭერი სვეტიცხოვლის
მეცხრე ცამდე ასწია.
გულს არასდროს აყოლებდა
სხვის სიავეს, სხვის ცოდვას,
გულრბილმა და გულმოწყალემ
პატიებაც იცოდა.
გულმრუდსა და გულმანკიერს
თუმცა ბევრჯერ ჩაუხტა.
გულდარდიანს გულის ჯავრიც
ხშირად გულში ჩაუკლავს.
გულმტკიცე და გულგასული,
გულდახშულიც უნახავთ.
გულმძიმე და გულგამწყრალი,
კრწანისს ეგდო გულაღმა.
სხვისთვის მუდამ გულით
გულის ფიანდაზად დამგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმქვეყნადაც მიდიოდა
გულზე ხელებდაკრეფით.
იმქვეყნადაც მიდიოდა
აქ დარჩენის სურვილით,
საქართველოს სიყვარულით,
საქართველოს წყურვილით.
არც სხვის ჭირზე არ ყოფილა
გულგრილი და გულცივი,
მტერს გულწრფელად ემტერება,
მოყვასს გულით უცინის.
შრომაც იცის გულმოდგინე,
საქმის გულის დადება,
მეგობრისთვის, მეზობლისთვის
შუბის წვერზე დადგება.
მართლა გულით თუ ისურვა,
მართლა გულით ინება,
იცის გულის მოფონება,
გულის მონადირება.
იცის გულის მობრუნება,
იცის გულის მოგება.
სიტყვით გულის მოჯერება,
სიტყვის გულზე მორგება.
მართალ გულით თუ სწადია,
მართალ გულით თუ ნებავს,
იცის გულში ჩახუტება,
გულში ჩახუტუნება.
გულზე ვარდის გადაფენა,
სიკეთის გახსენება,
იცის გულის ადუღება,
იცის გულის ჩვენება.
მაგრამ დარდმა თუ იპოვნა,
გულის ზადი შემოჰყვა,
იცის გულის გაფუჭება,
უცებ გულზე შემოყრა.
თუ გულს გაწვდილს სამეგობროდ
მეგობარი არ მოჰყვა,
უცებ იცის გულისწყრომაც,
გულის ჯავრის ამოყრაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უგულო და გულქვა მტერმა
თუმცა ბევრჯერ მოთხარა,
ასპინძით და ბასიანით
იცის გულის მოფხანაც.
გულჩვილი და გულაზიზი
არის გულის ამყოლი,
გული ბევრჯერ მოიოხა
დიდგორით და შამქორით.
საქართველო – გულის ხატი –
ჭირში თუ ეგულება,
იცის გულის აძგერება,
სამშობლოს ერთგულება.
თუ გულღრძო და გულხენეში
გაუთელავს ღირსებას.
უცებ იცის გახელება,
იცის გაგულისება.
გულში ტყვიის ჩადუღება,
მომხვდურის არ დანდობა,
მტრების გულზე გასიება,
მტრისთვის გულზე დადგომა.
თუმც უთქმელად, უყოყმანოდ
მამულს ზედ დააკვდება,
უცებ იცის გულის აყრა,
იცის გულის დაკლება.
თუმც დაღვრილა მამულისთვის
ხშირად სისხლად და ცრემლად,
იცის გულის აცრუებაც,
გულზე ბინდის დაცემა.
მარტო გულის ფასი იცის,
მარტო სიტყვას აწონის,
სიმღერა და ლექსები აქვს
მართლა გულში ჩამწვდომი.
უცებ იცის სიყვარულიც,
გულზე ცეცხლის მოდება,
თუ გოდებდა გულსაკლავად,
გულამოსკვნით გოდებდა.
სიყვარულშიც გულუხვია,
მიჯნურისთვის თავს დადებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცის ტრფობა გულმხურვალე,
მართლაც გულის წასვლამდე.
თუ ომში და სიყვარულში
გულანთებით იწვოდა,
ქეიფიც და პურის ჭამაც
გულიანი იცოდა.
გაუვლია ასე წლები
ცეცხლით და ქარტეხილით,
გულნატკენი იყო, მაგრამ
არა გულგატეხილი.

8.
მოდიოდა, ჩინგის-ხანი,
თემურლენგი, აბასი,
მოდიოდა ერთზე ათი.
ასი, ზოგჯერ ათასი.
მოდიოდა რისხვად, ზარად,
სიკვდილად და აკლებად.
მოდიოდა, მაგრამ მუმლი
მუხას ვერას აკლებდა.
სეტყვად მოსულ მტერს ქართველი
აქ ქვად და კლდედ ხვდებოდა,
ქართველს სწამდა უკვდავების –
თუ ქვეყნისთვის კვდებოდა.
ეცემოდა გულდაჭრილი
ხან მარაბდას, ხან არგვეთს,
ერთი კაცი ცხრა ძმას ჰგავდა,
ცხრა ძმა – სამას არაგველს.
ის სამასი ათას კაცად
იქცეოდა გარნისთან,
და კვდებოდა გულმოკლული
ხან ტაოს, ხან ტაშისკარს.
თუ გატეხდნენ ციხე-კოშკთა
სიმტკიცეს და სილაღეს,
ენა იყო საქართველოს
ბოლო ციხე-სიმაგრე,
გულმედგარი ციხის ბურჯი,
გულმხნე ჯიხას გოდოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკვდებოდა მის კარიბჭეს
თურქი, სპარსი, მონღოლი,
„იავნანას“ ქართულ ენას
ამღერებულს აკვანთან,
ზოგი კლავდა, ზოგი წვავდა,
ზოგი ჯვარზე აკრავდა.
მოდიოდა ერთზე ათი,
ასი, ზოგჯერ ათასი,
და იბრძოდა გულუშიშრად
„სიტყვის კონა“ საბასი.
ერთი სიტყვა ცხრა ძმას ჰგავდა,
ხანაც სამას არაგველს.
და იქნევდა მახვილივით
ლექსებს, ზღაპრებს, არაკებს.
გულფიცხსა და გულდარდიანს
შაირსა და კაფიას, –
ბევრი სამტროდ მოვარდნილი
სიტვა აუკაფია.
გულგახნილი, გულმზიანი,
არც გულის დარდს მალავდა,
ჰქონდა თავის დიდგორი და
ჰქონდა თავის მარაბდა.
დაჩეჩქვილი, დასეტყვილი
ტყვიით, ხმალით, ხანძარით.
იდგა, როგორც გორის ციხე,
ალავერდში – ტაძარი.

9.

მოდიოდა ერთზე ათი,
ასი, ზოგჯერ ათასი,
ენა აღა-მაჰმადხანის,
მურვან-ყრუს თუ აბასის.
ქართულ ენას, ქართულ სიტყვას
გარს მუმლივით ეხვია,
ბევრი ენა ქარაფინდა,
ბევრი შარახვეტია.
გულავი და გულარჯალი,
გულცბიერი, გულბილწი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ხანივით გულბოროტი,
იმ ყრუსავით უვიცი.
მაგრამ ენა არც სულთანი,
არც მეფე, არც ხანია,
ხანს თუ ხანჯლით გულს ვუპობდით,
გულს ვუხსნიდით ხაიამს.
ისევ დრო და ხალხი იყო
ენის გამჩრევ-განმსჯელი,
გვძულდა ენა შაჰ-აბასის
მაგრამ არა განჯელის.
გვძულდა ენა მოძალადის,
ჯალათის თუ დესპოტის,
გრიაზნოვებს თუკი ვკლავდით,
პუშკინს ვარდებს ვესროდით.
განა ხალხის ენა იყო
ენა შაჰის ფირმანის.
სულ სხვა არის ხალხის ენა,
ენა კიდევ ტირანის.
ხალხის ენა გულებს შორის
გადებული ხიდია.
ლექსები და სიმღერები
ენით მოდი-მიდიან
ყველა ერი, ყველა ენა
ქვეყნის ხმა და ფერია,
ენის მტერი, ერის მტერი
თვით ბუნების მტერია.
ყველა ერი, ყველა კაცი
ენით არის ძლიერი.
ვიყოთ უფრო გულმღვიძარე,
უფრო გულისხმიერი.
ვიყოთ უფრო გულმედგარი,
გულქართლი თუ გულქველი.
ქარქაშს ჩაჟანგებულ ხმალს ჰგავს
სიტყვა გულით უთქმელი.
კაცის ჭკუა და გონება
ენამ უნდა ალესოს,
მშობლიური ენა არის
ნიჭის საასპარეზო.

ენა ერის სიცოცხლეა,
ენა ხალხის სულია,
ენა ჩვენი მეგობრების,
ჩვენი სიხარულია.
რადგან ნიჭით იზომება
ყველა ერის სიდიდე.
ენა ჩვენი მეგობრების
არის ჩვენი სიმდიდრეც.
ჩვენ გვძულს ენა ავაზაკის,
ავგულის თუ თავხედის,
თორემ საძმოდ ვინც მოგვივა,
ჩვენც ძმასავით დავხვდებით,
ჩვენც გულმოყვრად დავუხვდებით,
ვინც მოგვივა მოყვრებად,
ჩვენ მოყვასის სიყვარული
ოდითგანვე მოგვყვება.
ქართულ ენას რა აქვს სხვისი
სამტრო ან სააუგო,
გულით მოსულ ყველა ენას
გული ტახტად დაუგო.
ვეუბნებით ყველა ენას,
შორით მდგომს თუ ახლო მყოფს,
ყველა ენა ქვეყანაზე
ღმერთმა კარგად ამყოფოს,
ნიუ-იორკს, სანტ-იაგოს,
ლისაბონს თუ აკროპოლს,
ყველა ენა თავის სახლში
ღმერთმა კარგად ამყოფოს.

10.

არ მცილდება სიტყვა „გული“,
როგორც ნერსეს ის აბო,
ხან სამშობლოს სიხარულზე,
ხან წუხილზე მიამბობს.
ხან გულნაღვლობს, ხან გულანთობს,
გულმარიხობს, გულამბრობს,
ხან გულმარდად დადიანობს,
ხან გულმშვიდად ზურაბობს.

ხან გულწმინდად ქეთევანობს,
ხან გულმტკიცედ პაატობს.
ოთაში გულარხეინი,
ჭერემში გულბაათობს.
საგულე და ჯიხელასთან
თუკი დარდმა დაფლითა,
განახლებულ ოშარაში
გულზე შემომაფრინდა.
ერთი სიტყვა სამად იქცა,
როცა მიველ დიდგორთან.
როცა გულით მოვეფერე
ვარძიას და იკორთას.
ერთი სიტყვა ათად იქცა,
როცა მიველ ბასიანს,
მარაბდასთან ერთი სიტყვა
ვხედავ, უკვე ასია.
თითქოს გული ამომიჯდა,
გული ალაპარაკდა.
ერთი სიტყვა გასამასდა,
როცა მიველ არაგვთან.
თუ დასჭირდა, ის სამასი
გადიქცევა ათასად,
ხან აკვანთან იგულფხიზლებს,
ხან თოფთან და თან თასთან.
ხან სიმღერით იგუგუნებს,
ხან ლოცვად და ხან ლექსად,
მამულისთვის გულსწრაფ ბიჭებს
მახვილივით ალესავს.
სადღაც კიდევ გველანდება
არაგვიც და ალგეთიც,
განა მარტო ლეგენდაა
ბასკები და ბასკეთი.
ის ბოლნისის ნანგრევებიც
განა მარტო ქვებია,
ძველი ეტრატ-გუჯარებიც
წინაპრების ხმებია.
დგას გულკერპი ჩემი ენა
და გულდასმით, გულდინჯად

ყველა ლექსს და ყველა სიტყვას
გულს და მაჯას უსინჯავს.
გულმა იცის, გულით მჯერა,
გულმა მითხრა, გულით მწამს.
რამდენიც არ იდიდგულოს
გულარძნილმა, უვიცმა.
რამდენიც არ იგულზვავოს
სამარეში თემურმა,
ქართულ ენას, შოთას ენას,
ჟამთა სვლა ვერ შემუსრავს.
ენა, რომლის ერთი სიტყვა
ითქმის სამასნაირად,
მუდამ ივლის სიმღერებად,
ლექსებად და შაირად.
მუდამ ივლის ასე მტკიცედ
ასე მხნედ და ლამაზად.
ერთი ათად, ათი ასად,
ასი კიდევ სამასად.
რამდენიც არ იგულლამოს
მურვან ყრუმ და ჩინგიზმა.
უკვდავია, მარადია
მისი სვლა და მისი გზა.
არ მოკვდება არც ქვეყანა,
არც ერი, არც გვარ-ტომი,
ასეთ განძის და სიმდიდრის
მფლობელი და პატრონი.
დღეს ისე, ვით არასოდეს,
აღზევდა და ამაღლდა,
საქართველოს სულს და დროშას
აფრიალებს ამაყად.
უკვდავების შუქად ადგას
ჩვენი დღევანდელობა,
დღეს ისე, ვით არასოდეს,
მწამს მისი მზეგრძელობა.
მომავალშიც არც წლებს, არც მტრებს,
არ დაუთმობს არაფერს,
რწმენით ვუმზერ სამას სიტყვას, –
სამას ცოცხალ არაგველს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი
ოპერის
კავალერი

გამომცემლობა „ნაკადული“
თბილისი, 1985

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქაღალდის ბალადა

ქაღალდი სუფთა ზამთრის ველივით,
შრიალებს ღამით თუ ღელავს დღისით,
მარადის ფიქრობს, რომ ყოველივე
იწყება მისით, თავდება მისით!

გალაქტიონი

ხიროსიმაში ატომური ბომბის აფეთქების შედეგად სისხლის გათეთრებით დაავადდა იაპონელი გოგონა. ექიმებმა დაარწმუნეს პატარა პაციენტი, თუ 10. 000 ქაღალდის წეროს გამოჭრიდა, მორჩებოდა. გოგონა 230 ქაღალდის წეროს გამოჭრის შემდეგ გარდაიცვალა.

1.

ცაზე ვკიდივარ ძაფზე ასხმული,
წეროდ ქცეული თეთრი ქაღალდი.
როგორც კივილი მწარე წარსულის
და უბალახო მიწის ღაღადი.

საცოდავი ვარ ალბათ ყველაზე
და არაფერი არ მიხარია.
ძაფზე კი არა, სახრჩობელაზე
ვკიდივარ უკვე დიდი ხანია.

მიჭირს ამგვარი ხვედრის ატანა
და ყველა ბავშვის ნახვა მაშინებს,
რადგან იმედი, ო, იმ პატარას
იმედი ვეღარ გადავარჩინე.

რა საჭიროა ცრემლი პილატეს,
თავის მართლება ან დანანება.
ხიროსიმაზე ცოდვილ პილოტებს
მე ვაქებებდი:
მერქვა „ბრძანება“.

ეს მე,
პირველმა
სიტყვა „ატომი“
ვამცნე ქვეყანას დიდი ხმაურით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მე მგონია, თანაავტორი
ვარ
იმ საშინელ დანაშაულის.

ბევრმა ხომ ჩემი ხელით იწვნია
ერთგულებაც და მწარე ღალატიც,
ამქვეყნად ბევრჯერ მე გამიცია
გვირგვინიცა და გიჟის ხალათიც.

ყველაფრის მომსწრე დრო მოწამეა,
რომ მკერდზე მტვერიც ბევრჯერ მეყარა.
მაგრამ მეც ბევრჯერ შემიჭამია
კაცი და
ზოგჯერ თვითონ ქვეყანაც.

მე კი ყოველთვის მჭონდა სურვილი
სიკეთისა და
გული მტკიოდა,
და იმ უმწეო ბავშვის სურვილით
პასუხს მეცა ვთხოვ კაცობრიობას.

შურით, სიბნელით თუ გულგრილობით
ეს დედამიწა ბევრჯერ დაობლდა
და ხიროსიმას, როგორც ჭრილობას,
ვაჩვენებ ყველა
დროს და თაობას.

2.
სიყვარულის და სიცოცხლისათვის
გაჩენილი ვარ მე იმთავითვე.
და გეხვეწებით,
ღვთის გულისათვის
სხვების ცოდვა-მადლს მე ნუ დამითვლით.

ფიქრის, ოცნების გადასარჩენად
დავიბადე და ქვეყნად მოვედი.
მარტო იმისთვის ღირდა გაჩენა,
გადამერჩინა სიტყვა პოეტის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხოლოდ სიკეთის ფასი ვიცოდი,
ვიყავ მფარველი კეთილ ხსოვნათა.
მარტო იმისთვის ღირდა სიცოცხლე,
ვყოფილიყავი „მთვარის სონატა“.

ასე ჰანგებად და სტრიქონებად
გულზე სიკეთის შუქი მეფინა.
მხოლოდ იმისთვის ღირდა ცხოვრება,
ცაში იმედის წეროდ მეფრინა.

ჩემი საწუთროს აღმართ - დაღმართზე
კიდეც ვწუხდი და კიდეც ვღელავდი:
არ არის სწორი, თითქოს ქაღალდი
ვიტანდე ყველას
ანდა
ყველაფერს.

როცა მაბეზღრის ხელში გავივლი,
თეთრი ქაღლადი უფრო ვფითრდები, –
და ყველა ასო მჩხვლეტს ეკალივით,
გამოყვანილი მისი თითებით.

როცა გესლსა და ბოლმას მატანენ,
უფრო დიდ სასჯელს ვინ მომიგონებს.
როგორც მძიმე ტვირთს, ისე ვატარებ
ბოროტი კაცის ნაწერ სტრიქონებს.

ჩემთან ჭიდილში, ჩემთან დავაში
ბევრს უტირია, ბევრს უკვნესია.
მგოსნებო!
ზოგჯერ ჩემთან თამაში
ცეცხლთან თამაშზე უარესია.

და თქვენც, ძლიერნო ამა ქვეყნისა,
თქვენც ხშირად ხდებით ჩემი არჩევი,
ხალხში გამოსვლა თუკი მეღირსა,
თუ მოვიცალე მტვერი არქივის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ თუ ვინმე მაქცევს ნოტებად,
ისევ ტყეში ვარ, ისევ ფიჭვი ვარ.
ბულბულის ხმა და ვარდის მოტივი
ამღერებული ტოტით მიჭირავს.

განაზებული სული მიჯნურის
როცა მე მანდობს თავის გულისთქმას,
სევდას გაყრილი და გამიჯნული
სტრიქონს სტრიქონებს ჩუმად ვურითმავ.

არცერთი სიტყვა არ მემძიმება,
უფრო ვნათდები თეთრი ქაღალდი,
როცა მაცვივა მკერდზე მძივებად
შეყვარებული სულის ღაღადი.

სიტყვა „ძვირფასო“ და „სილამაზე“,
„სიყვარული“ და სიტყვა „სიცოცხლე“
და უფრო დიდი ჯილდო ამაზე
მე არ მჭირდება,
თქვენ რომ იცოდეთ.

თითქოს ხიშტების წვერით დამსერეს
დაბნეული და სასომიხდილი,
სახეზე „ომი“ რომ დამაწერეს,
რომ დამახატეს ტანზე სიკვდილი.

საველე ფოსტა და მისამართი...
მაშინ გავთავდი, მაშინ დავღამდი,
სახლებს სიცილი როცა წავართვი,
როცა მიწოდეს „შავი ქაღალდი“.

ო, ეს ცრემლები ახლაც არ შრება,
რა დამავიწყებს აბა იმ სურათს,
როცა ოჯახში მშიერ ბავშვებთან
მამის დაღუპვის ცნობად მივსულვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომმა გაჩენის დღე მაწყევლინა,
ბავშვის ცრემლები არ მამყოფინა.
ომში მოკლული შვილის წერილად
ყოფნა
ტანჯვაზე
მეტი ყოფილა.

თუ იყო, ის დრო იყო სასტიკი,
თუკი მიჭირდა, მაშინ მიჭირდა,
როს შებორკილი შავი სვასტიკით
სიად მაქციეს სიკვდილმისჯილთა.

მაგრამ ვიყავი „პურის ბარათიც“,
გადავარჩინე ბევრის სული მე,
ციხის დილეგებს როცა ვპარავდი
სიკვდილმისჯილთა ბოლო სურვილებს.

ვიყავ ძახილი და მოწოდება
და ცივ სანგრებში მეც მიბრძოლია.
კაცის წუხილით, დარდით, ცოდვებით
მეც მიტირია, მეც მიძრწოლია.

ცაში ვუშვებდი მეც იმ ბავშვივით
იმედს
– ცხოვრების ნოეს კიდობანს
და გათელილი მაშინ დავმშვიდდი,
რომ დამაწერეს სიტყვა „მშვიდობა“.

განა ვიყავი მარტო ქაღალდი,
სიყვარულისთვის რომ იბადება,
თავისუფლების სულს ვინახავდი
და მეც ვიდექი ბარიკადებთან.

მაშინ სიცოცხლე ვარდის ფერია,
მაშინ სიკვდილი არ მიწერია
(თუმცა სიკვდილიც არაფერია),
„თავისუფლება“ თუ მაწერია.

თუ მაწერია „რევოლუცია“,
ვიცი, ჭირივით ვძულავრ ჯალათებს,
მაგრამ ჩემს მოსვლას გულით უცდიან,
ვინც ებრძვის ტირანს და მოძალადეს.

თუ დრო დაფარავს, წლები გაფანტავს,
სიმართლეს ისევ მე გამოვიტან.
უღირს ძეგლთან და ბოროტ საფლავთან
აღვიმართები გილიოტინად.

მევე ვიქნები თავშესაფარი
ყველა მართალი კაცის ფიქრების.
მივიწყებული ძველი საფლავის
უკვდავება და ძეგლი ვიქნები.

მგოსნის გულსთქმას, ბავშვის იმედებს
მოვლა სჭირდება, იცით თავადაც.
ასე ადვილად ნუ გამიმეტებთ,
ასე გულგრილად ფეხს ნუ დამადგამთ.

უცოდველი და სუფთა დამტოვეთ,
ბავშვების ფიქრებს რომ ვუპატრონო.
არ დამაწეროთ სიტყვა „ატომი“,
არც ხიროსიმა არ გამაგონოთ.

მაქციეთ ძმობის წიგნის ფურცლებად,
მიჯნურის ლოცვად და ბარათებად,
ოღონდაც არა –
ბავშვის კურცხლებად,
ოღონდაც არა –
დედის დარდებად.

ოღონდაც არა –
მოწმედ სხვის ცოდვის,
ოღონდაც არა –
მონად სიბეცის.
მაქციეთ მხოლოდ ჰიმნად სიცოცხლის,
მაქციეთ მხოლოდ ხოტბად სიკეთის.

გულს დამახატეთ რამდენიც გსურდეთ:
ყვავილი, მთვარე, ია, ბალახი,
ზეთისხილის ხე, ჩიორას ბუდე,
თავთუხი, თოვლი, წვიმა, კალმახი,

სილით მოთხვრილი ბავშვის თითები–
და მზე,
ბევრი მზე,
რაც მთავარია.
ტყე დამახატეთ სავსე ჩიტებით,
მაგრამ არასდროს – ჩიტის გალია.

ბავშვის ოცნება, დედის სურვილი,
მიწის სიუხვე, ცის სილამაზე,
ოღონდ სიკვდილის ან სიძულვილის
განაჩენს
გულზე
მე ნუ დამაწერთ.
გთხოვთ, გევედრებით ადამიანებს,
მაქციეთ წეროდ
ანდა,
მტრედებად.
დამანაწილეთ, ამახმიანეთ
ლექსად, სიმღერად და იმედებად.

პასუხი ლექსად

ზოგიერთ ჩემს თანამოკალმეს

1.
მისაყვედურებთ, მიმტკიცებთ დიდხანს,
თითქოს სტრიქონებს უაზროდ ვწირავ.
გადავაყოლე ლექსი და სიტყვა
ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანს.
ფიქრით, ოცნებით თურმე ვერ გავცდი
დიდგორის მინდორს, ენგურს თუ მცხეთას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი დღეების მეხოტბედ დავრჩი,
და არ მაწუხებს მსოფლიო სევდა.
მარადიულ და უკვდავ თემებთან
ვყოფილვარ თურმე ძალიან მწყრალად.
თურმე მკაცრია დროის თემიდა
და პოეზია სხვა გზებით წავა.
მიმტკიცებთ, თითქოს ლექსების თემა
ყოველთვის იყო და დღესაც არის
ვარდის სინაზე, ბულბულის სტვენა,
ბალახი, ნამი, ჩანჩქერი, მთვარე.
რაც მთავარია, თურმე არ მესმის
და, უფრო მეტი, თურმე არ ვიცი,
რომ პოეზია და ნაღდი ლექსი
არის ცის შვილი და არა მიწის...
თქვენი სიფიცხე და სიჯიუტე,
ბიჭებო, განა მწყინს ან მაოცებს.
მახარებს, როცა ღამეებს უთევთ
პოეზიას– თქვენს სულის სალოცავს.
მახარებს, როცა ლექსების ბედზე
ფიქრობთ და სიტყვებს ოცნებით ნაღმავთ,
მაგრამ თქვენ რასაც დღეს ცაში ეძებთ,
ბოლოს ყველაფერს მიწაზე ნახავთ.
დატოვებს ბოლოს დაღლილი სული
ცის მყუდროებას და იდილიას
და თქვენ გაიგებთ, რომ დედის გული
თურმე იმ მზეზე უფრო თბილია.
ბოლოს მიხვდებით, ცის ცრემლი – წვიმა
კაცის ცრემლებზე ადრე ცივდება...
და ის ვარსკვლავიც, ცაში რომ ბრწყინავს,
გოგოს თვალებში აციმციმდება.
დააკვირდებით და ნახავთ უცებ:
თქვენი მიჯნურის სახის ფერი აქვს
იმ ლამაზ ყვავილს, იმ ვარდის ფურცელს,
ის ბულბულები რომ უმღერიან.
როცა დაივლით დიდგორის მინდორს
და ალავერდის ძეგლთან დადგებით,
მაშინ მიხვდებით, სჯობია მთის ლოდს
ლოდი წინაპრის მკერდზე ნადები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს თუ ოცნებით მწვერვალებს კოცნით
და ცაში ყოფნა უფრო გახარებთ,
ხვალ ნახავთ–დედის საფლავის ბორცვი
იქნება ყველა მთაზე მაღალი.

2.

ცოტა მეც ვიცი იმ სიტყვის ყადრი,
თქვენ რომ გული და სული მიანდეთ,
გამიწყდეს მართლაც იმ სიტყვის მადლი,
სხვებზე ნაკლებად თუკი მიყვარდეს.
ვიცი, ნამდვილად, ცოტა მეც ვიცი
ის პოეტური ხედვაც და ჭვრეტაც.
მაგრამ მითხარით, რისთვის, ან ვისთვის,
ეს ენის მტვრევა და ტვინის ჭყლეტა?
როცა ვუყურებ ლექსებს– ვიტრინის
მანეკენივით ცივსა და ლამაზს,
წუხილისაგან ლამის ვიტირო,
სიბრაზისგან ავყვირდე ლამის,
რა ვქნა, რა ვუყო, რაღა ვუსურვო
ან რანაირი გული ვუჩვენო.
ლექსებს უგულოს, ლექსებს უსულოს,
ლექსებს უსისხლოს, ლექსებს უცრემლოს?
რა სათქმელია– რიტმი ან რითმა,
თავისუფალი ან თეთრი ლექსი,
რაც გულწრფელად და რაც გულით გითქვამთ,
ჭირიმე თქვენი, ნამდვილად მესმის.
ღმერთი და რჯული, ვის რაღა ეთქმის,
თუა ქართული გვარის და ფესვის,
იქნება მწვანე, ლურჯი თუ თეთრი,
მახარებს ყველა ნამდვილი ლექსი.
მაგრამ სადავო განა არის ის,
განა სჭირდება იმას კამათი,
რომ ლექსაც უნდა ჰქონდეს თავისი
სამშობლო, გვარი და მისამართი;
რომ ლექსსაც მხრებზე ტვირთივით ადევს
მამულის ვალი– ვალი დიადი,
და ლექსიც უნდა თავის ხალხს ჰგავდეს
თავის ბუნებით და ხასიათით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართულ ლექსს აღარ ჰქონია მოცლა
ის მუდამ ქვეყნის ბედზე ფიქრობდა,
ან ხნულში იდგა, ან იდგა ლოცვად,
ან მახვილივით ომში მიჰქონდათ.
ქართული ლექსი მწედ ედგა მუდამ
სამშობლოს ტკივილს, სიხარულს, სევდას...
საქართველოში პოეტი უნდა
ჰგავდეს ჯარისკაცს ან გუთნისდედას!

3.

ვიცი, უხდება არაგვს კალმახი,
ტყეებს ირემი, ლაჟვარდს არწივი,
ჭიუხს ჩანჩქერი, მინდორს ბალახი,
ცას ცისარტყელა, მიწას აპრილი.
ვიცი ბულბულის თავდავიწყება
და სილამაზე გაშლილი ვარდის,
და მაინც, მხოლოდ კაცით იწყება
მშვენიერება და მიწის მადლი.
ვიცი, მეც ვიცი, თქვენ რომ იცოდეთ,
რომ ლამაზია აპრილი უღვთოდ
და მაინც, მაინც კაცის სიცოცხლე
აცოცხლებს მიწას ყველაზე უფრო.
ვიცი, რა დარდი აწუხებს ტირიფს,
როცა დაკარგულ სიყვარულს ეძებს.
მაგრამ მშიერი ბავშვი თუ ტირის,
როგორ ვიფიქრო ტირიფის ბედზე?
მესმის წუხილი დამჭკნარი ფოთლის,
ვგრძნობ ხეთა ტკივილს და ცრემლებს მალულს.
მაგრამ მე მაინც ვფიქრობ იმ ლოთზე,
ასე ცოცხლად რომ აკლია მამულს.
როცა ბალახი იქცევა თივად,
ვიცი, მე ვიცი, მისგან რა რჩება
და მაინც გული მე კაცზე მტკივა,
კაცზე, რომელიც წავიდა ჩვენგან.
რა სჯობს იას და გალობას მერცხლის,
ნაკადულების სირბილს და სიცილს.
მაგრამ შეხედეთ! იუდას ვერცხლი
ისევ დროსა და მისამართს იცვლის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვარდის მეხოტბედ რა პირით დავდგე,
როგორ დავწერო ბალახზე, ხეზე,
როდესაც ვხედავ, კაცს როგორ ადევს
უღელი ქედზე, ბორკილი ხელზე.
მე აცეცხლებულ აფრიკას ვხედავ,
ვხედავ, აზია ცრემლით ირწყვება
და ჩემთვის მაინც მსოფლიო სევდა,
რა ვქნა, მესხეთის სევდით იწყება.
ვიცი სამყაროს ის ძველი წარღვნა,
ის ლეგენდები და სისხლის წვიმაც,
მაგრამ შეხედეთ, ჩვენს თვალწინ ახლა
დგას ოსვენციმი და ხიროსიმა.
როგორ გავერთო იით და ვარდით,
თუ ჯარისკაცის საფლავთან ვხედავ
შინმოუსვლელი შვილების დარდით
გათეთრებულ და ჩამომჭკნარ დედას.
როგორ ვიფიქრო, რა მინდა ნეტავ,
რა გავაკეთო ოცნებით ცაში,
როდესაც აგერ, გელათში ვხედავ
ფრესკებს ცეცხლით და ცრემლებით წაშლილს.
რა აქვს საძრახი ან საყვედო,
ვინ დაგვიშალა ფოთლებზე წერა,
მაგრამ მითხარით, იმ ძვლებს რა ვუყოთ,
რომ ამოჰყვება მცხეთაში წერაქვს.
ცის ნამი, ფიფქი, ღრუბელი, მთები,
მწვანე მდელო თუ თეთრი ნისლია,
ჩანჩქერი – დალის გაშლილი თმები,
კი, ყველაფერი ლექსის ღირსია;
ვიცი, აპრილის ფასი მეც ვიცი.
ვეტრფი პეპლებით მოხატულ მაისს.
მაგრამ მე მჯერა, სიცოცხლე მიწის
კაცის სიცოცხლით იწყება მაინც.
ის ტირიფიც და ის აკაციაც,
ვიცი, პოეტის სულს რომ ანაზებს,
მაგრამ, მგოსნებო, მაინც კაცია
ქვეყნის სიმდიდრე და სილამაზე!

ქართლის ცხოვრების მემატიანე

„ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ
არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც
მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული.“
ილია ჭავჭავაძე

1.

ჩვენი „ქართლის ცხოვრებას“ ფურცელ-ფურცელ გადავშლი,
ის ხან ბეწვის ხიდია, ხან სიკვდილთან თამაში.

ცხედრებივით წიგნიდან ჩუმად ამოვალაგებ:
დამწვარ ციხე-დარბაზებს, ტაძრებს, სოფლებს, ქალაქებს.

თითქოს ვხედავ ცეცხლის ალს ალავერდზე ავარდნილს,
მოუხურავს ანანურს კვამლი, როგორც ნაბადი.

თითქოს ძველ პერგამენტზე სისხლის კვერი ტრიალებს.
ისევ მესმის გოდება, ქართლის მემატიანევ –

აჩეხილი ვენახის, დაქცეული სახლისა
(არ ელირსა ჩვენს მახვილს გამოჭედვა სახნისად).

ისევ ვხედავ წინაპრებს, მამაცებს და გულმართლებს.
თითქოს იმათ სახელებს ვუმზერ როგორც გუმბათებს.

აგერ შენი რჩეული, ბედის ნათამამარი,
შუშანიკი, ქეთევან, რუსუდან თუ თამარი.

მაგრამ, მემატიანევ, აბა, მითხარ, სად არის!
არა დედა – მეფისა,
არა ცოლი – სარდალის.

არა, მემატიანევ, შენ მითხარი, სად არის,
სად წერია, სად არის ან სახელი ან გვარი, –

მოღუღუნე აკვნებთან ჩუმად ღამის მთევლთა,
ვინც დამდგარა ქმარ-შვილით ქვეყნის საკურთხეველთან,

ვინც ცხრა შვილი გაზარდა, ცხრავე ერთ დღეს იტირა,
შემოწირა სამშობლოს დუღაბად და ქვიტკირად,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინც ანთებდა კერიას, ამღერებდა საჩეჩელს,
აკვანს აფარებული ვენახივით აჩეხეს.

ვინც იტვირთა უღელი ერისა და უფლისა,
იყო დედაბოძიც და დედაც იყო გუთნისა.

ვინც შობა და გაზარდა, ვინც უწევდა დედობას
არა მეფეს ან სარდალს
– საქართველოს მხედრობას!

ქვეყნის აღმშენებელი, კაცი ბრძენი, ბრწყინვალე,
ქართლის მემატიანევ, მომავალშიც გვიმრავლე.

მომავალშიც გვიმრავლე: დადიანი, თორელი,
სააკაძე, მხარგრძელი, გამრეკელი, თმოგველი.

მაგრამ ნეტავ ვინ იყო?! რა ტიტული-გვარისა
ის ათასი ვაჟკაცი, რომ დაეცა გარნისთან?

ის ორასი მხედარი, მონა-სპანი მეფეთა,
იქ, დიდგორზე, დუშმანებს პირველი რომ ეკვეთა?

ამბობ „სამას არაგველს“ და არაფერს უმატებ,
დალოცვილო, რა მათი გვარი მიაჩუმათე.

თუ აქამდე მოვედით, თუ აქამდე გავძელით,
განა მარტო დავითით, სააკაძით, მხარგრძელით.

სადაც სამართალია, ისიც უნდა გეკითხა,
ის, ვინც დღისით ხმლის ვადას, ღამით გუთანს ეკიდა.

ცალი ხელით თესავდა, ცალი ხელით ომობდა,
სვრელში ნიშახარობდა, მარაბდაზე ლომობდა.

ხან სამშვილდეს აგებდა, ხან ჯვარზე ქვა აჰქონდა,
ხან იბრძოდა ბასიანს, ხან კვდებოდა შამქორთან.

იყო მათი გმირობა, მათი გვარიშვილობა
გასამჯელო მამულის, მამულისთვის ჭრილობა!

II

კვარცხლბეკიც და სარკოფაგიც თქვენ ხართ ყველა წასულის
ციხეცა და მეციხოვნეც, საქართველოს წარსულის.

მაგრამ მტკვერი, ხავსი ფარავს თქვენს მეფეებს, პალატებს,
დღეს მამული მხრებით მიაქვთ სხვა თამარებს, პაატებს.

სხვა ქეთევანს, სხვა თევდორეს, სხვა ვაჟკაცებს, რაინდებს,
თქვენს ფურცლებში ჩუქურთმებად ჩავსვამთ ახალ თარიღებს.

ახალ სახელს, ახალ გვარებს, ახალ დაბა-ქალაქებს,
დღესაც ჩვენი ქვეყნის დღეებს თქვენი სული განაგებს.

საგზალივით მიგვაქვს ისევ თქვენი ნება-სურვილი,
საქართველოს სიყვარული, გაყოფილი პურივით.

და პოეტი, მეცნიერი, მთესველი თუ სარდალი
მამულისთვის, მამულისთვის, მამულისთვის მზად არის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კამერტონი

გამომცემლობა „მერანი“
თბილისი, 1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულს ეჭვი ნისლივით მოედება,
თვალებზე ძილი არ მეკარება,
ხომ არ დამიკრიფეს პოეტებმა
ყველა მეტაფორა,შედარება.
თუმცა გაფიქრებაც მეძნელება,
გულს რომ სიზარმაცით ვიღონებდი.
ხომ არ გაირეკეს მზეგრძელებმა
თბილისში ლამაზი სტრიქონები.
ეს ცა, ყველა მგოსნის სალოცავი,
წილად ხომ არ ერგოთ სხვა პოეტებს.
საჭვრეტად ამ მიწის,საოცარის,
ნეტავ გვიან ხომ არ ამოვედი.
არც მიწა ტყიან და მთებიანი,
არც ეს ცა ნისლების საძოვარი.
არც ჯიხვი ლამაზი რქებიანი,
სხვა არის ამ გულის სათხოვარი.
ცრემლი სიხარულის მომადინე,
სიტყვის სითიბებში გამატარე,
ლამაზ სტრიქონებზე მონადირეს,
ერთი კარგი ლექსი გამატანე!

სვანეთი

მივალ, მივყვები ღრუბლის ჯოგს,
ენგურის ტალღით გაქონილს.
სვანეთის ერთი ნახვა სჯობს
ქებას ათასგზის გაგონილს.

ქარაფის ყბებით ნაღეჭი
ლოდები ძირს მიგორავენ
და, როგორც ღამის ნაგლეჯი,
ცაზე ფარფატებს ყორანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანან მთასავით ბიჭები,
ხანჯლის ოდენა თითებით.
ყველა ტკივილო, მირჩები,
იმედო, უფრო დიდდები.

პატრონი ამგვარ ვოჟების,
მამულო, არ ამოშრები,
აღმართულია კოშკები,
როგორც სვანეთის დროშები.

გოროზობს სვანი ქალივით
თეთნულდი – თეთრი ყვავილი.
მეც უნდა ვლოკო ხარივით
სვანების გულის მარილი.

ქარი ქრის აილამაზე
კვიცივით გაუხედნავი...
ყოფილხარ უფრო ლამაზი,
ვიდრე სიზმარში გხედავდი.

მესტია

„ჟიგული“ როგორც ჩიტი მესკია
მიფრინავს გზაზე და დუმილს ფანტავს.
გადასწევს ვიღაც ნისლების ფარდას
და გამოჩნდება სცენა–მესტია.

არავითარი ბუტაფორია,
ნამდვილი მთები, კოშკები, ყანა,
და ამ სცენაზე გვერდიგვერდ დგანან
დღევანდელობა და ისტორია.

ნაღდი მდინარე, ნაღდი კაცები,
ციდან ნამდვილი ვარსკვლავთა ცვენა
და საქართველო ამ ლამაზ სცენას
ჭვრეტს სიყვარულით და აღტაცებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა მესტიაში

დღემ ღამეს ფუნჯი წაუსვა
და დილა კვდება სიცილით.
მთვარე კრუხივით წაუძღვა
ვარსკვლავებს – თავის წიწილებს.

ჭალა, ენგურზე ჩავლილი,
აბრეშუმია სადიბე.
ფეხზე დგას პატარძალივით
ყელმოღერილი სათიბი.

ძველ კოშკებს მწვანე ხელები
წელზე მოხვია ფერდობმა.
ჩამწკრივებულან ხეები,
როგორც თამარის მხედრობა.

გაიხსნა ცის ალაყაფი,
გამოჩნდა ზეცა გაშლილი
და მზე თავისი ჯალაბით
უშბაზე დაჯდა მახვშივით.

თეთნულდი

მზე – თეთნულდის ოქროს თმები,
შეკრულია თეთრი ნისლით.
ფეხის წვერზე დგანან მთები
სილამაზე ნახონ მისი.
შორი წვით და შორი ცქერით
ღამის დადნეს მყინვარწვერი.
იალბუზი კვდება ჯავრით
და გარს უვლის ღრუბლის ჯარით.
აილამა ლაკვარას და
გულბა თოგორს ეცილება.
უშბა განზე გამდგარა და
გულში ჩუმად ეცინება.

* * *

როცა ენგური ცრემლიან თვალებს
მიაპყრობს ცას და დაიწყებს წუწუნს,
ამოაქვს თეთნულდს ღრუბლიდან მთვარე,
როგორც ამორძალს უბიდან ძუძუ.

* * *

ეს თეთნულდი, შხარა, ხალდე
რა ამაყად მიცქერიან.
დე, ამათი ლუკმა გავხდე,
თუ სიკვდილი მიწერია.

ვინც მოშალა აქ ჩხუდანი,
ნეტავ სხვაგან რა იპოვა.
მეცოდება ყველა სვანი,
ვინც სვანეთი მიატოვა.

* * *

წყალი უბრალოდ წყალია,
რომ შეერთდება, ზღვა არი.
სვანი სვანეთში სვანია,
სვანეთის იქით სხვა არი.

მთანი და მერე რა მთანი,
სწორედ სვანებს რომ შეჰფერის.
ამაზე არის ნათქვამი:
– ღმერთმა შეყარა ერთფერი.

* * *

გიდი, ქცეული ქადაგად,
და ტურისტების ამალა.
იდგა თეთნულდი ქათქათა,
თოვლის პერანგის ამარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრმა აშკარად, საჯაროდ,
ხარბი თვალებით დაისრა.
შერცხვა თეთნულდს და საჩქაროდ
ღრუბლების კაბა ჩაიცვა.

ზემო და ქვემო სვანეთი

ზემო და ქვემო სვანეთი
ცისა და მიწის კიდეა.
როგორც ჩანს, ღმერთის მიწაზე
ჩამოსასვლელი კიბეა.

XIX საუკუნის ქრონიკა

ფუთა დადეშქელიანის სიტყვის თავისუფალი ვარიაცია ლეჩხად

„ქიშპობას თავი ვანებოთ,
თვითონ ცხოვრება გვასწავლის.
აღარ მოგწყინდათ,სვანებრო,
მთა-ტყე მგელივით წანწალი.
ჩემთან ჭიდილი არა ღირს,
თუ ჩემს ჭკუაზე გაივლით,
არ მოგაკლდებათ არაყი,
ქერის პური და მარილი".

თავისუფალი სვანების პასუხი ფუთა დადეშქელიანისადმი

არც სიძლიერე მტრის ხმლისა,
არცა სიმრავლე მტრებისა.
გაუტანლობა ძმის ძმისა,
შური და ქიშპი ძმებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაქცევის ჩევნის გამხდარა
მიზეზი –
ტახტის ვერ თმობაც.

ყველას რომ სურდა მეფობა,
ყველას რომ სურდა ღმერთობა,
ციხე შიგნითვე გამტყდარი
და გატეხილი ერთობა...

უშბა რომ ასე ჯავარობს,
განა ის მარტო მთა არი.
თავისუფლება, მთავარო,
აი, რა არის მთავარი!

ჩვენ ვიცით, თავისუფლებას
რა ფასი, ძალა, მადლი აქვს.
თქვენი ნისლები, ღრუბლები
წაწყლად ჩვენს მთებთან დადიან.

ბორკილს არასდროს მოჰქონდა
სულის და გულის სალბუნი.
ძაღლიც მგელია, ოღონდაც,
ბატონის კართან დაბმული...

ისე სიცოცხლეც არა ღირს,
თუ არ იბრწყინა სახელმა.
მონებს სჭირდებთ არაყი
სათრობად, არა სალხენად.

ჩვენივ საუღლე ხეზე დევს
ხმიადი შენი ქერისა.
ჩვენ კი ვართ ხვალინდელი დღე
ჩევნი ქვეყნის და ერისა.

არ ვეღირებით გროშადაც,
თუკი სხვებს დავემგვანებით.
გვჯერა, სამშობლოს დროშაა
თავისუფალი სვანეთი.

ეს ცა, მიწა და მთებია
ჩვენი შემწე და პატრონი.
ვართ საქართველოს ყმები და
არ გვინდა ჩვენ სხვა ბატონი.

თინათინ ხარძიანს –
თოთხმეტი შვილის დედას

„ფეიქარ სულთანი ქართველების სიმრავლემ
საგონებელში ჩააგდო და მან შაჰ-აბასს აცნობა:
–ქართველები ისევ მომრავლდნენ და
ლაშქრობის შემთხვევაში ათი ათასი ხმლიანი
ქართველი შეიძლება მოგროვდეს.როგორი
იქნება ამაზე თქვენი ბრძანება?“
მუსტაფა ნაიმა: „ისტორია“

თუ სამშობლო არ დაბერდა,
თუ აქამდე მოვედით.
შენ გიმადლის, ქართვლის დედავ,
ერიც, ბერიც, პოეტიც.

გატანილი არის ლელო
განა მარტო ხმალისა,
თუ გადურჩა საქართველო
წლებს, მტრებსა და ქარიშხალს,

ისევ შენით, ქართვლის დედავ,
შენი ძუძუს წყალობით,
შენი ტირილ-გალობით და
შენი კარგი ქალობით.

როცა ჩვენს სულს ამძიმებდა
ქვეყნის ბედის ტრიალი,
თურმე მტერს არ აძინებდა
ჩვენი კარის ჭრიალიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოღუღუნე აკვნის ხმები
და ბავშვების სიცილი
იყო თურმე ჩვენი მტრების
ბოღმაცა და სიკვდილიც.

გვიღიმოდა, მაგრამ იქვე
თურმე საფლავს გვითხრიდა,
საქართველოს გოგო-ბიჭებს
სულ თითებზე ითვლიდა.

ხან მუქარით, ხანაც ტაშით,
ხან ჩუმად, ხან განგაშით,
ხან მიჰყავდა ისპაჰანში,
ხან სტამბოლის ბაზარში.

ბრუნდებოდნენ მერე უკან
მტრის ხომალდის ნიჩბებად,
ხან ეგვიპტის მამელუქად,
ხან თურქ იანიჩრებად.

თუმცა გვქონდა ბედი მკაცრი,
არ გვივლია ჩოქვითაც.
განა მტერი სიმამაცით,
სულ სიმრავლით გვჯობნიდა.

და ვკვდებოდით ფეხზე დგომით,
ხანაც პირზე სიცილით.
ვმარცხდებოდით განა ომით,
ისევ ჩვენი სიმცირით.

როცა ცეცხლით იწვებოდა
ჩვენი ტყე და მინდორი,
აკვნებიდან იწყებოდა
ისევ ჩვენი დიდგორი.

მარტო ხმალით დავრჩით განა,
ანდა სისხლით დაღვრილით.
იყო თქვენი „იავნანა“
საქართველოს მახვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხეებმა გვიხსნა განა,
ანდა მთების სიმაღლემ,
იყო თქვენი „ვარდოვ ნანა“
საქართველოს სიმაგრე.

დღესაც ერი ბრწყინავს თუკი,
ისევ შენი მანდილით,
შენი დალით, ლალით, ნუკრით,
ბადრით თუ ავთანდილით.

ცა ახურავთ თავზე ქუდად,
დააქვთ ელვის ბოკელი.
დაძუნძულებს შვიდი ძუ და
შვიდი ხვადი ბოკვერი.

მტერს არც სიზმრად და არც ცხადად
არ შეარჩენს არაფერს,
არც პაატას, არც იმ ცრა ძმას,
არც იმ სამას არაგველს.

მტერს საფლავში აჟრიალებს
(მოვესწარით იმ დღესაც)
და თოთხმეტი ხარძიანი
კლდეზე ბრჭყალებს ილესავს.

ნიკოლოზ ბერჩლიანის დატირება

ნიკოლოზ ბერჩლიანი იყო ბერჩლიანების გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი. მისი სიკვდილით შეწყდა ბერჩლიანების გვარის არსებობა სვანეთში.

ზარი თქვით, სვანებო, ზარი, ვოი...
მკვდარი ვიტიროთ, სვანებო, მკვდარი, ვოი...
ბერჩლიანების ამაყი გვარი, ვოი...
სვანეთისთვის სამუდამოდ მკვდარი, ვოი...

მთელი სოფელი ცრემლად იცლება, ვოი...
მთელი სვანეთი გულით მიგტირის, ვოი...
არ შეიძლება, არ შეიძლება, ვოი...
საქართველოში გვარის სიკვდილი,ვოი...

ქუდზე კაციო, მამულმა რომ თქვას, ვოი...
ბერჩლიანო, რა პასუხს მიაგებ, ვოი...
შენი კოშკი ჰგავს დაგდებულ დროშას, ვოი...
და მიტოვებულ ციხე-სიმაგრეს,ვოი...

ან წინაპრებთან მიხვალ რა პირით, ვოი...
ან აქ დარჩენას როგორ აპირებ, ვოი...
შენს სახლს სანთელს ვინღა დაუნთებს, ვოი...
შენს ეულ საფლავს ვინ დაიტირებს, ვოი...

ზარი თქვით, სვანებო, ზარი, ვოი...
მკვდარი ვიტიროთ, სვანებო, მკვდარი, ვოი...
ბერჩლიანების ამაყი გვარი, ვოი...
სვანეთისთვის სამუდამოდ მკვდარი, ვოი... ვოოიი...

სეფე ჩხვიმიანს

სოფელ ფალედის ერთადერთ მოსახლეს

ისე, ღმერთმა ნუ ქნას და შენ რომ კერა აჰყარო,
ჩვენი გული ამწუხრო, მტრების გული ახარო,

ისე, მარტო სიტყვაზე, სოფელი რომ დატოვო,
ნასოფლარი იქნება იგი, სეფე ბატონო!

საქართველოს რუკაზე თუ ფალედი ფალედობს,
მხოლოდ შენი იმედით, მხოლოდ შენი წყალობით.

შენ რომ მართლა გაწირო ფუძე შენი ნაგები,
საქართველო იქნება ერთი სოფლით ნაკლები.

მოეშლება სამშობლოს კიდევ ერთი აგური,
ბედმა დიდი ტვირთი და მძიმე ხვედრი გარგუნა.

ახლა შენ ხარ ამ სოფლის ხმალიცა და გუთანიც,
მისი ციხე-სიმაგრე, კოშკიცა და ჩხუდანიც*.

„მასპინძელოს“ ძახილზე კარის გამღებ-გამხედი,
მოყვრისათვის მოყვარე,მტრისთვის მტრულად დამხვედრი.

არის ჩვენი ზეიმი, სიხარულიც, ტკივილიც,
შენი ძაღლის ყეფა და შენი მამლის ყივილი.

კვამლი შენი კერიის, ასე კარგი, ლამაზი,
დროშასავით ეფინოს შენი სოფლის თავანზე.

შენი „რიჰო“, „ლილეო“ კვლავ ესმოდეს ამ სოფელს,
დაე, შენი მამული კვლავ იმედით ამყოფე.

იმზეგრძელე, სვანეთის მთისგან განუყოფელო,
შენ, სეფე ჩხვიმიანო – საქართველოს სოფელო!

---

* ჩხუდანი – ადგილის დედა, სახლის კერპი

მესხეთი

მესხეთი–ქართვლის მესვრელი,
მისი ძირი და ფესვია.
მარგალიტების მთესველი
ქართული ლექსის მესია...
მესხი, მესხიძე,მესხელი,
მესხიშვილი და მესხია.
სხვა რომ არ იყოს, ისედაც
ერთი ლამაზი ლექსია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ მიატოვებ პროსპექტ-მოედნებს
თუკი რამე გაქვს მართლა სათქმელი.
თუ მართლა სისხლი გიდუღს პოეტის,
თუ მართლა გული გიცემს ქართველის,

აქეთ,ძმობილო, აქეთ წამოდი,
რასაც შენ ეძებ სწორედ აქ არი,
აგერ ხერთვისი, ერთ დროს სამოთხე,
ნასოფლარი თუ ნაქალაქარი.

აგერ ტაო და შენი კლარჯეთი,
შენი ოშკი და შენი ხახული,
შენი ნესტანი,შენი ქაჯეთი,
შენი წარსული გულს დამარხული.

აგერ აწყური,ძველი აწყური,
ცხრაგან დაჭრილი შენი ცხრაკარი,
მიწა ცრემლით და სისხლით არწყული
და ფენიქსივით ისევ აღმდგარი.

აგერ ასპინძა, აგერ ვარძია,
ძებნა არაფრის არ დაგჭირდება.
ეს ყველაფერი შენი განძია,
შენი სამშობლოს ძველი დიდება.

თუ მაინც ცეცხლი სულს არ მოედო
და ვერაფერი ნახე სათქმელი.
აღარ გქონია სისხლი პოეტის,
აღარ ყოფილხარ , ძმაო, ქართველი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზღაპარი ლექსად

იყო და არა იყო რა,
იყო ლამაზი მესხეთი.
ხნულში ჩამდგარი ნიკორა
მეგუთნეთი და მეხრეთი.

იყო ჭაბუკი პოეტი,
ოქროს აკვანში ნარწევი,
და სიყვარულის პოემა,
სულ ვეფხის ტყავზე ნაწერი.

იყო მესხეთი – ტაძარი,
ვარძია – მისი ჩუქურთმა.
შემდეგ ცეცხლი და ხანძარი,
ცემა ხმალთა და ჩუგლუგთა.

იყო ოშკი და ხახული–
ჩამონგრეული კედელი.
ოცნება გადანახული
და ციხე გაუტეხელი.

იყო რწმენა, ვით სიმაგრე,
მტრისაგან აუღებელი;
იმედი – ბნელში სინათლე
და ხმალი ჩაუგებელი.

იყო და არა იყო რა...
სამცხეს აკვანის გამთლელი.
საფლავმა გადაიყოლა
მისთვის საფლავის გამთხრელი.

იყო და არა იყო რა,
მტერი კარისჯვარს მოსული.
სიკვდილმა თვითონ იპოვა
მისი სიკვდილის მოსურნე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო და არა იყო რა,
ხან ეჭვი, ხან დაფიქრება,
მაგრამ ოშკი და იკორთა
იყო და მარად იქნება.

საზღვარი

„მესაზღვრეები ჩვენთან საუბარს უშლიან,
ამიტომ იქიდან სიმღერით გველაპარაკებიან".
კინოფილმიდან „მშობლიურო ჩემო მიწავ"

ჩემო ჯიმა, როცა სული
ველარ უძლებს მიწის ყივილს,
დგას საზღვარზე და წარსული
შენი ხმით და ცრემლით ტირის.

შეჩვევია ღამე თვალებს
და დარდსა და წუხილს ეძმე,
გვარ-სახელი შეგიცვალეს,
საქართველოს რომ არ ეცნე.

განა უცხო ცა დაგყურებს,
წინაპრების ძვლებზე დგახარ.
თავზე ჩადრი დაგახურეს
სამშობლო რომ არ გენახა.

დაგავიწყეს ჯვარი, ქრისტე,
დაგაშორეს მამულს როცა,
ალაჰის მზე დაგაფიცეს,
მამულზე რომ არ გელოცა.

მე აქ დარდით ვიცელები,
შენ რომ გული გეტკინება,
შენ მღერი – მე ვიცრემლები,
მე ვმღერი – შენ გეტირება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ ტირი –მე აქ არ მძინავს,
მე ვმღერი –შენ ბედთან დაობ.
ვიცი, გულს რა გიკლავს, ჯიმა,
ვიცი, სულს რა გიმღვრევს, დაო.

გენატრება მშობლის სითბო
და ცრემლებით ტკივილს იქრობ.
კი არ მღერი –
შველას ითხოვ,
კი არ მღერი –
კვნესი თითქოს.

და მამულზე ფიქრობ ისევ,
მამულისთვის სანატრელო.
არც ალაჰი და არც ქრისტე,
შენს ხატს ჰქვია საქართველო.

ჯიზიე – თავისუფლების გადასახადი

ოსმალების ბატონობის ქვეშ მცხოვრებ სამცხე-საათაბაგოს ქართველებს, რომლებსაც დამპყრობლები ურწმუნოებს ეძახდნენ, მხოლოდ „ჯიზიე“ გადასახადის გადახდის შემდეგ შეეძლოთ ეყიდათ ეგრეთ წოდებული „თავისუფლება“.

ტკივილი გულში ვერ ჩავატიე
და დაეკარგა სულს მოსვენება,
ო, წინაპარო, შენ მაპატიე
ეს საყვედური და გახსენება.

თუმცა უფსკრულთან იყავ მისული
და დარდი გულზე ცეცხლად გეკიდა.
მაინც, სულმნათო, როგორ ისურვე
თავისუფლება ფულით გეყიდა.

თუმცა წინ გედო გზები გოლგოთის
და ნაწამები ჯვარზე ეკიდე,

მაინც, სულმნათო, მაინც როგორ თქვი,
შენი სამშობლო ფულით გეყიდა.

როგორ გაგტეხეს და დაგიმონეს
ასე ლაღი და ერთ დროს თამამი.
არც ისე შორი იყო დიდგორი,
არც შორეული იყო თამარი.

არ იგონებდი ნუთუ ბასიანს,
ქეთევანის სისხლს შირაზს შერჩენილს.
მითხარ, რა წონა ან რა ფასი აქვს
თავისუფლებას, ფულით შეძენილს.

იქნებ არცა მაქვს ამის უფლება,
ცოდვა და მადლი ვარჩიო სხვისი.
ის, ვინც ყიდულობს თავისუფლებას,
თავისუფლების არ არის ღირსი.

მე ოთხასი წლის შემდეგ ვკითხულობ,
თუმც შენ ოთხასი წლით გამასწარი.
თავის სამშობლოს მზეს ვინც ყიდულობს,
ის მზის დანახვის ღირსი არც არის.

მამულის ვალი ისე დიდია,
აღარ სჭირდება პასუხი კითხვას.
თუმცა სამშობლო გაუყიდიათ,
არ შეიძლება სამშობლოს ყიდვა.

იმ ხარკ-ხარაჯით, ბეგარით, ღალით
თვითონვე იცი, თავს რაც გადაგხდა;
თავისუფლების და ქვეყნის ვალის
არ შეიძლება ფულით გადახდა.

სამშობლოსათვის თუ არ დაიწვი,
აღარ გაცვითე მახვილი ქნევით, –
თავისუფლებას ვეღარ დაიცავ,
აღარ იქნება მამული შენი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს ცა, მზე, მიწა და დღე უკლებლივ,
შენი კი არა, მაინც სხვისია.
სამშობლოსა და თავისუფლების
გადასახადი
– მხოლოდ სისხლია!

რჯულგამოცვლილი კაცის გოდება

გამოცვლილი მაქვს გვარი, სახელი,
ვაიმე, რჯულიც გამოცვლილი მაქვს.
ჩამქრალა ჩემი სანთელ-საკმელი,
არც მოსვენება და არც ძილი მაქვს;

ისევ ჩემივე თავის ბრალია,
უცხო მიწაზე თუ ვარ დაბმული.
გამხდარა ჩემი ოქროს გალია
ეს ისპაჰანი თუ ისტამბული.

და დამსხვრეული ჩემი მიზნებით
ისევ ჩემს ცრემლებს თუ ვეხიზნები.
ჩემი ბავშვობის ტკბილო სიზმრებო,
თქვენ მაინც რატომ არ მესიზმრებით.

მითხარით, რატომ არ მესიზმრებით,
მესხეთის ცაო, მთებო, მინდვრებო.
რაც წლები გადის, უფრო მჭირდებით,
რაც წლები გადის, უფრო მინდებით.

ნუთუ სიზმარიც არ გემეტებათ,
სანამ სიცოცხლე გამითავდება.
ვაი, ჩემთვის რა გვიან თენდება,
ვაი, ჩემთვის რა ადრე ღამდება.

მე ახლა ვიცი, რით მიყიდია
ფაშას ჩალმა თუ ხანის ხალათი.
თურმე სიცოცხლე მხოლოდ ტყვირთია,
თუ შეძენილი არის ღალატით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ახლა ვიცი, რაც ემართება,
ვინც უცხო გზას და რჯულს დაადგება.
თურმე სხვის მიწას არ ემეტება,
სამშობლოს მიწას ვინც დააკლდება.

არც ოქრო-ვერცხლი,ბადახშ-ბალახში
ვერ გაიხადა სულმა სავანედ.
ვაი, რა ადრე აგნებს ბალახი
უსამშობლოო კაცის სამარეს.

მიხეილ თამარაშვილის დაბრუნება სამშობლოში

რომს, ისპაჰანს თუ ათენს
მიმოფანტულო ძვლებო...
ან ვინც ღამეებს ათევთ
სამშობლოსათვის – ძმებო!

უნდა, ყველასთვის უნდა
მამულისათვის ენთოთ.
სადაც არ იყოთ, მუდამ
უნდა სამშობლოს ენდოთ.

სხვისთვის დაღვრილი სისხლი
არის ჩავლილი წყალი.
ოფლი, დაღვრილი სხვისთვის, –
წყალზე გავლილი კვალი.

არ უქცევია თვისად
სხვისი ცა, მიწა სხვისი,
ამიტომ დარჩა ქვიშად
მისი ოფლი და სისხლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწყური

ციხე, ათასგზის ნაცემ-ნაგვემი,
იხვევს ჭრილობას ნისლის ნახევით.
მიწას აჩნია ციხის ნანგრევი,
როგორც ვაჟკაცის სახეს ნახმლევი.

„ცრემლის ტბა“

ასე ჰქვია მესხეთში ერთ ტბას

არ ამოვიღებ ხმას,
თუკი ვინმეს აქვს სხვას:

ცრემლი ქცეული ტბად,
სისხლი დამდგარი ზღვად.

ცეცხლით დამწვარი ცა
ან საფლავების მთა –

თუკი ვინმეს აქვს სხვას
გამობრძანდეს და თქვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირანის მთა

ბევრჯერ, მოსრილი, მოთხრილი,
ნალეწი ბედის კალოზე,
მესხეთი სისხლის ბორკილით
ება სიკვდილის პალოზე.

და ისიც იმ ღმერთკაცივთ
იყო ამაყი, კორტი და...
დრო,
როგორც მკერდზე არწივი,
აჯდა და გულს უკორტნიდა.

არ ნებდებოდა ასპიტთა,
სისხლის მსმელთა და ლოქაფთა.
ფეხებთან ეწვა ასპინძა
და სისხლის ბორკილს ლოკავდა.

ღრუბელი

ა, ის ღრუბლები მიყვარან...
ბალხური

როცა აბს გადაუარა,
ხერთვისის მინდორს გასცილდა,
წუხილისა და დარდისგან
ღრუბელი უფრო გასივდა.

ერთი ცა, ერთი მთა-ველი,
სამცხე აქაც და იქაცა.
იქუხ-იმწუხრა და ელვით
სახე სულ ჩამოიკაწრა.

წამოსულს ურთას მთებიდან,
გული ბანასთან ასტკივდა,
ჩამოიშალა თმები და
ცხარე ცრემლებით ატირდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესხეთის გზაზე

უცნაური განცდით,თრთოლვით
ვუმზერ ხერთვისს, აწყურს, ურთას.
ოცნებებით ასჯერ მოვლილს,
ფიქრით ასჯერ ნასათუთარს.

მზის სხივებით – ოქროს ხმლებით
ძველ რაინდებს ჰგვანან მთები.
ყრია გზა-გზა ნანგრევები,
როგორც ფიქრი წინაპრების.

ხან მგონია სამცხის ველის
ყაყაჩო თუ წიფელია,
არის უფრო სისხლის ფერი,
სისხლზე უფრო წითელია...

მაგრამ ძველმა დარდმა, ზარმა
ჩაიარა ძველმა წყალმა.
შემომცინა გზაზე ზარზმამ,
როგორც შოთას ლექსის ჰწკარმა.

ამ ღიმილის ფასი ვიცით
და ისიც, რა ჯვარზე გვაცვეს.
გადარჩენილს მესხის სიცილს
დროშასავით არხევს სამცხე.

დღეს რაღა აქვს დასამალი
იდუმალას ან დამალოს,
ზის ზარზმაში მესხი ქალი
და აკვნების ხმებით გალობს.

დღეს მესხეთი ოფლით ქარგავს
მიწას, ადრე სისხლით ნაღებს.
აღებს თავის სახლის კარს და
თან სამოთხის კარებს აღებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ აკლია ზვრები ზვარეს,
ვარდი კიდევ – ვარდის უბანს,
დასეტყვილ და დამსკდარ ზარებს
ხმები ისევ დაუბრუნდათ.

აჭარელი კაცის ხატად
იქცა მიწა წინაპრისა
და კერიის კვამლით ხატავს
ახალ ზეცას მესხეთისას.

გადარჩენილ ვაზს თუ სოფელს
კვლავ სიცოცხლით ავსებს ხმები.
ჰგავს რუსთველის ლექსის სტროფებს
ადღგენილი ტერასები.

სამცხეც, როგორც ვაზის ფესვი,
ტანს იყრის და ფეხზე დგება...
კვლავ დაჯდება ვინმე მესხი
საქართველოს სადიდებლად.

გაცოცხლებული სოფელი

ვით პწკარებს პწკარი,ხნულს ხნული მისდევს,
მიწა ჰგავს გუთნის დაწერილ ეტრატს.
არხები ისე ამშვენებს მინდვრებს,
თითქოს და წელზე ქამრები ერტყათ.

სადაც კაცის ხმა არ იყო წამლად,
სიჩუმე ჭამდა საყდრის გალავანს,
ახლა იქ მემედ ბერაძის მამალს
ცა ქუდად უჩანს, მიწა ქალამნად.

კერიისა და ბუხრების კვამლი
ზეცას ათასი ფერებით ხატავს.
ასე მგონია, ყივილი მამლის
სჯობია ახლა „ვენის ტყის ზღაპარს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუთანი ისევ იმ წლებზე ჰყვება
იას რომ თესდა და ეკალს კრეფდა.
ის,სადაც ადრე ყორანი ყეფდა,
გაისმის ახლა ძაღლების ყეფა.

იმკვიდრებს მიწა ცხოვრებას ახალს,
იღვიძებს ისევ სიცოცხლის მადლი.
მოვკვდე, ამ ძაღლის წკავწკავი ახლა
თუ არ მერჩიოს სიმღერას ნამდვილს.

გლეხი გულდაგულ მიჰყვება ნახნავს
და მიწას პურის მარცვლებით ნაღმავს.
მე მართლა მოვკვდე, ამ სოფლის ნახვა
თუ არ მერჩიოს პარიზის ნახვას.

მესხეთი

თუმც მესხეთი ცრემლის ზღვაა
ხან აღდგომის, ხან დაცემის,
ჩვენთვის მაინც, მაინც სხვაა
თვალდათხრილი ფრესკის ცრემლი.

ჩვენთვის მაინც, მაინც სხვაა
ნანგრევი იმ გალავანის,
განა მარტო ზარის ხმაა
ხმა პარხალის ანდა ბანის;

ძებნა უნდა ტკივილს განა,
დარდის ძალად აკიდება,
რომ შეხედავ ოშკს და ბანას,
გული ისეც აგტკივდება.

ყალბი ცრემლი,ყალბი სევდა
აქ არავის არ სჭირდება,
კალოს უბანს რომ დახედავს,
სული ისეც ატირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ მტკვარია სისხლის ფერი,
ბინდისფერი სერებია,
აქ ბულბული კი არ მღერის,
აქ ცის ნამიც ცრემლებია;

აქ ტირილით უმღერიათ,
აქ გოლგოთა იყო წინათ,
ღრუბელი რომ ღრუბელია,
ჩამოსულა სისხლის წვიმად;

ივსებიან მწარე ხმებით,
როცა წარსულს იგონებენ:
გადათხრილი ტერასები –
ეს წაშლილი სტრიქონები.

ჩვენს წინაპრებს ზვარე, ზარზმა
მიჰყვებოდათ შორეთს დარდად,
შემდეგ მათი ცრემლი გზა-გზა
მოდიოდა ია-ვარდად...

რა ყოფილხარ, ქართველის ჭირო
და წუხილო ძველთა წელთა,
ქვას რომ ხელი მოუჭირო,
ქვებიდანაც სისხლი წვეთავს!

ვარძიის ხილვისას

მეჩვენება, ვარძიის კლდე,
ის ხერთვისი და ის ვალე –
ჰგავს ტყვიებით დაცხრილულ მკერდს,
ვაჟკაცების დათხრილ თვალებს.

ან გრაგნილი არის მთანი
და ვარძიის ის კლდე მთელი,
არის „ვეფხისტყაოსანი“
დაწერილი საჭრეთელით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზს ოქროს ფერებიანს
ჯილად ადგას შუქი მთების,
და თამარის ცრემლებია
დამსხვრეული ჩუქურთმები.

ხან მგონია,ტკივილია
მარადი და უსაშველო,
ხანაც – კლდეში ფუტკარივით
შეხიზნული საქართველო.

მაინც ცოცხლებს გვაბარია

თუმცა ვიცით, გულს რა გვიკლავს,
რა ფასი აქვს, ვიცით, წარსულს.
მაინც რა სჯობს კერიის კვამლს,
ბილიკივით ცაში წასულს.

თუმცა ვიცით ფასი ორფლეს
და საგულეს ფასიც ვიცით,
მაინც რა სჯობს ცოცხალ სოფელს,
სიხარულს და ღიმილს მიწის.

თუმცა ვიცით მკვდრების ფასი,
საფლავების ფასიც ვიცით,
მაინც რა სჯობს სახლში ვაზის
და აკვანში ბავშვის სიცილს.

ის, ვინც წარსულს არ სცემს პატივს,
მომავალშიც კარგავს პატრონს.
დათვლილია წლებიც მათი,
ვინც წარსულით ცოცხლობს მარტო.

სახელები წინაპრისა
თუმც სამშობლოს საფარია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფლავიც კი კაი ყმისაც
მაინც მხოლოდ საფლავია.

წიგნია თუ ტაძარია,
ვაზია თუ მთა-ბარია,
დღევანდელი საქართველო
მაინც ცოცხლებს გვაბარია.

კი, კი, ვიცით ქართველებმა

ზოგჯერ ქეიფს გადაყოლა,
საქმის განზე გადადება,
მხარ-თეძოზე წამოწოლა,
ყანწით ხელში ქადაგება

კი, კი ვიცით ქართველებმა.

ზოგჯერ სხვებზე გადაგება,
სხვის ხატებზე დაფიცება,
ხან უდროოდ გადარდება,
ხან უეცრად გაფიცხება

კი, კი ვიცით ქართველებმა.

მეტისმეტი თავის ქება,
ხან უაზროდ გაბრაზება,
უფრო მკვდრების დაფასება
და ცოცხლების გაბაზრება

კი, კი,ვიცით ქართველებმა.

მაგრამ დარდის გამთელებაც,
გახელებაც, გადელებაც,
და უეცრად გათენებაც

კი, კი ვიცით ქართველებმა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ო, ისე ცქაფად, სწრაფად და ხაფად
და ოსტატურად დაგიგებს ხაფანგს,
ისე გაგყიდის თვალს და ხელს შუა, –
ველარ გაარჩევ მართალს და მტყუანს.

დიალოგი საქმოსან კაცთან

– თუ ფულია შენი ღმერთი
შენი საკურთხეველი,
იქნებ, მაშინ გვითხრა ერთი
ფასი სვეტიცხოველის?

რად აღელდით ნეტავ ასე?
ნეტავ რად მიბრძანდებით?!
ჩვენ უბრალოდ გკითხეთ ფასი
ძველი ფოლიანტების.

რადგან მაინც წასვლა ბრძანეთ,
რახან უნდა დაგვტოვო,
ბეთანიის ძველ საძვალეს
რა ფასს ადებთ, ბატონო?!

კენტავრი

რა საჭიროა მითები ძველი,
დღესაც დანახვა არ არის ძნელი:
ნახევრად – ცხვარის, ნახევრად – მგელის,
ნახევრად – ლაჩრის, ნახევრად – ქველის.

განა ზღაპრებში? ადამის ძენი –
არის რამდენი ნაცნობი ჩვენი:

ნახევრად – ბრიყვი, ნახევრად – ბრძენი,
ნახევრად – კაცი,ნახევრად – ცხენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიკოსების ბედი ამერიკაში

წარწერა ჩარლი ჩაპლინის წიგნზე

შერიდანი, დიდი ბავშვი,
სიცილის და სცენის ღმერთი,
თავის სიცილს გლაზგოს ბაღში
კოლტის ტყვიით უსვამს წერტილს.

სევდიანი მარსელინი,
სულ მხიარულ კაცს რომ ბაძავს,
მხიარული კაცის ნიღბით
თავს თვითონვე უყრის ბაწარს.

ყოველგვარი ქების ღირსი,
ფრენც კოინის დიდი ნიჭი
ბოლოს ყველა ნიღაბს იხსნის
და ყელს თავის ხელით იჭრის.

ვეღარ ფარავს დარდს და ტკივილს
ღიმილი და თეთრი კბილი.
მათი სახე რომ იცინის,
თურმე მათი სული ტირის.

ცხოვრების წესს რომ იგებენ
და ყველაფერს მიხვდებიან,
თავს იკლავენ კომიკები
ან, უბრალოდ, გიჟდებიან.

სიყალბე კი სცენის მიღმა
იმოსება დიადემით.
იკეთებენ ბრძენის ნიღაბს
ქვეყნის კომედიანტები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოეზიის კარდიოგრამა

ყველა იმედი ალბათ ფუჭია,
თუ არ მივიდა სიტყვა გულამდე.
დროს პოეტების მაჯა უჭირავს,
მათი ლექსების გულს აყურადებს.

ყველას თავისი უნდა მიაგოს
და პოეტებიც დროის წინ დგანან,
დრო სინჯავს ლექსებს და სვამს დიაგნოზს,
წერს პოეზიის კარდიოგრამას.

აგერ, სავარძლით, ჩინით, ტიტულით,
შემოჰყავთ ლექსი ხელოვნურ გულით,
არც სიტყვა,აზრი,გრძნობა ან სული,
არის უბრალოდ ლექსის ფიტული.

შემოდის მანჭვით, გრეხვით და ქლესვით
(ტაშიც შემოკრა თითო-ოროლამ),
ეტყობა, ავტორს საცოდავ ლექსში
გადაუნერგავს გული გორილას.

ჰა, კიდევ დადგა ვიღაცის ჯერი,
უმალ წითელი შუქიც აენთო,
და სიკვდილივით ჟღერს განაჩენი:
–ამ ლექსს არა აქვს გული საერთოდ.

შემოაქვთ ლექსი ჩიჩილაკივით,
სახელგამტყდარი და შერცხვენილი,
დამძიმებული ჯინჯილაკებით
და გაბერილი ბოშას ცხენივით.

თუმც ამხნევებენ, თავზე ადგანან,
სიცოცხლის ხაზი მაინც მოკლდება.
ულმობელია კარდიოგრამა:
–ლექსი ავტორთან ერთად მოკვდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ავტორის წინ ხოხავენ მუცლით,
თან მომაკვდავ ლექსს გარს ეხვევიან.
არის ჩოჩქოლი და ფაციფუცი:
–ჩქარა დონორი, – კარგი პრემია.

აგერ სხვა ლექსიც, რიგს უცდის განა?
მოდის შუბლით და სიტყვით უშვერით,
მაგრამ მკაცრია კარდიოგრამა:
–ამ ლექსს პრემიაც ვეღარ უშველის!

უცებ დადგება დროის წინ დინჯად
ლექსი მგლის მუხლით და ხარის ქედით.
დროც გულმოდგინედ უმზერს და სინჯავს
გულს დასიებულს სამშობლოს ბედით.

აგერ, ჰა, ლექსიც გადაკარგული,
დიდხანს დილეგში გამოკეტილი,
ნაწამები და ჯვარზე გაკრული
და კვლავ აღმსდგარი ქრისტე ღმერთივით.

ხნულში ნადგომი,სანგარს ნაწოლი,
ქვეყნის ჭირი და ლხინიც რომ იცის.
სამშობლოსათვის ნაშრომ-ნაბრძოლი,
ლექსი თავმდაბლად დგება დროის წინ.

ჭრელი მინდვრებით,მთებით,ნისლებით,
თბილისს მოადგა „ლექსი ბებერი“,
მოდის ამაყად,მოდის ღირსებით
ლექსი – ქართული ენის ცერბერი.

რუსთველის ძეგლთან შეკრა ირაო,
არც მონა უნდა და არც ბატონი,
– გაუშვი, თავის გზაზე იაროს,
ისევ ხალხია მისი პატრონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა სიტყვა და საქმე ფუჭია,
თუკი ხალხსა და მამულს არ რჩება.
დროს პოეტების მაჯა უჭირავს
და აყურადებს მათ გულისცემას.

დრომ ყველას თვისი უნდა მიაგოს,
აქ ვინ დარჩეს და ვინ არ გადარჩეს.
დიახ, დრო უსვამს ლექსებს დიაგნოზს,
დრო და ხალხი წერს ყველა განაჩენს!

ტაში

მეფის სასახლე ინგრევა ტაშით,
წკმუტუნებენ და ტაშები ყეფენ.
და მლიქვნელების ტაშების ტბაში
დგას სულელი და შიშველი მეფე.

ტაში და ტაში,ტაში და ტაში
და უკოცნიან ტაშებით ფეხებს.
შემოდის ამ დროს დარბაზში ბავშვი
და ამბობს: – ნახეთ, შიშველი მეფე!

ტაში და ტაში, ტაში და ტაში,
ტაშით ჩინსა და ორდენებს კრეფენ.
შემოდის ამ დროს პოეტი–ბავშვი
და ამბობს: – ნახეთ,შიშველი მეფე!

ტაში და ტაში, ტაში და ტაში,
დარბაზში თითქოს ტაშები სხედან...
პოეტისა და იმედით ბავშვის
სანამდე გაძლებს სიმართლე ნეტავ?

ბალადა პისტოლეტზე

ირაკლი აბაშიძე

პოეტის ცხოვრების ერთი შორეული epizodis გახსენება

1.
გაბზარული გული და სული სასომიხდილი,
რევოლვერის ლულიდან იყურება სიკვდილი.

გული ბევრის ამტანი არის ახლა შემკრთალი
და ხარხარებს სატანა ზედ ჩახმახზე შემდგარი.

ფეხზე დგება ჭორიც და უბოდიშოდ ხმაურობს,
იმზირება შორიდან სევდიანი პაოლო...

როცა ფიქრი ძნელდება,მგოსნის სული მძიმდება,
თოფის ლულა ცხელდება, როცა ბედი ცივდება.

თუ იარაღს ხელს ჰკიდებს ეს უბრალოდ არ ხდება,
მამულის მტერს ან კიდევ საკუთარ გულს აკვდება...

2.
ვინც ქვეყანას პატრონობს, პოეტის ბედს განაგებს,
ფრთხილად, ჩემო ბატონო, ძმაო და ამხანაგო.

მოვლა, ზრუნვა გედის ხმის რახან გერგო წილად შენ,
პასუხს მგოსნის ბედისთვის აგებ ერის წინაშე.

ყველა მიეთმოეთობს, ბოლოს წლები განსჯიან,
ფრთხილად, გული პოეტის – ეს სამშობლოს განძია.

სევდა ამაოების თვით მიწაზე მძიმეა,
ფრთხილად, სული პოეტის დაჭიმული სიმია.

სულს თუ ცეცხლი მოედო, მერე უკვე ძნელია,
ფრთხილად, სიტყვა პოეტის დანაღმული ველია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3.
უპოეტო ქვეყანა უბულბულო ტყე არი.
უპოეტო ქვეყანა, ეს უმზეო დღე არი.

უპოეტო ქვეყანა დროა უგაზაფხულო,
პოეტების სამშობლო ფერად სიზმრებს ნახულობს.

ზოგს ადრე და ზოგს გვიან,ეს ცხოვრების წესია,
ვინც პოეტს ესვრის ტყვიას, იმას ტალახს ესვრიან.

შუადღე

თუმცა სიცოცხლე კიდევ კიაფობს,
მაინც მისული არის ყუამდე.
ვაი ცხოვრებას უგანთიადოს
და უცისკაროდ მოსულ შუადღეს.

ჩრდილი

ჩრდილები აღარ ჩივიან,
მე კაცი ვარ და ვჩივივარ.
ის ჩრდილი ჩემი ჩრდილია,
ნეტავ მე ვისი ჩრდილი ვარ?!

მესამე ზედმეტი

ერთი მინდა ვიცოდე, რახან ქვეყნად მოველი:
მე,
სიცოცხლე,
სიკვდილი,
ზედმეტია რომელი.
ისევ სამი, სამება, ესეც არის სამებით.
უცნაურმა წამებმა ლამის მომკლას წამებით.
ფიქრი ამაოების, ვხედავ, მიახლოვდება;
ხან სატანას სიცილით, ხან ნადირის სიფრთხილით,
რაც იწყება ო, ღმერთო, თუკი დაბოლოვდება,
რომელია ზედმეტი:
მე,
სიცოცხლე,
სიკვდილი?
აგერ, ობლის ცრემლები,ამოსული იებად,
აგერ, უფლის წინაშე იუდა ფერმიხდილი.
თუ ვიღაცას სჭირდება შველა და პატიება,
რომელია ზედმეტი:
მე,
სიცოცხლე,
სიკვდილი.
თუ მწყურვალი წყალს ითხოვს, თუ პურს ითხოვს მშიერი,
სხვისი კეთილი გული,
თუკი უფრო იცოდებს,
თუა ჩემზე მართალი, თუა ჩემზე ძლიერი,
რომელია ზედმეტი:
მე,
სიკვდილი,
სიცოცხლე,
ჩვენს გულსა და გონებას სიზმარშიც რომ აღვიძებს,
თუკი არის გელათი, ჯვარი, სვეტიცხოველი,
თუკი იყო რუსთველი,არსაკიძე, ტაბიძე,
მე,
სიცოცხლე,
სიკვდილი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზედმეტია რომელი.
თუა შოთას პოემა და ის ვეფხვის ბალადაც,
თუკი იყო პაატა, იაკობი, ის ცოტნე.
თუკი იყო დიდგორი, ბასიანი, მარაბდა,
რომელია ზედმეტი:
მე,
სიკვდილი,
სიცოცხლე,
თუკი არის იშხანი,პარხალი და ხახული,
საქართველოს ჭრილობა,სევდა გადანახული,
თუ მაქვს კალოს უბანი (ჩემი მტრების სირცხვილი),
რომელია ზედმეტი:
მე,
სიცოცხლე,
სიკვდილი.
პასუხს ვერვინ ვერ მეტყვის და ვლი სასომიხდილი.
რომელია ზედმეტი:
მე,
სიცოცხლე,
სიკვდილი?!

ამაღლება

თუმცა დღეები რიგში დგებიან,
თავდება ლურჯი მიწის ზღაპარი.
ფიქრები ისევ ჩემი დებია,
ოცნება – ჩემი თავშესაფარი.

ეს არის, რაც კი გადარჩენია
კაცის სიმუხთლეს თუ სიბოროტეს.
სიმარტოვე და ჩემი ცრემლია,
ვინც მიერთგულებს ახლა ბოლომდე.

ალბათ საბრალო და საწყალია
და სასაცილო არის ასევე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისთვისაც ცრემლი მხოლოდ წყალია,
რომელიც ზოგჯერ ლოყას ასველებს.

ცრემლები მიწას არ ეცემიან,
მხოლოდ გულია ცრემლის საუფლო.
ცრემლები განა მარტო ცრემლია,
როცა პოეტის სულთან საუბრობს.

მოდის წამებით ღამენათევი
ფიქრი ციური და მიწიერიც,
ამ სიცოცხლეზე უფრო ნათელი
და ამ სიკვდილზე უფრო ძლიერი.

და ვგრძნობ, ნელ-ნელა როგორ წვრილდება
ბეწვის ხიდი და ბედის სამანიც.
იმასაც ვხედავ, როგორ ვცილდები
სხეულს – საკუთარ სულის სამარეს.

მე კარგად ვიცი, სად მიმელიან,
ეს გაორება თუ გათავდება.
ო, ეს გაქცევა უფრო ძნელია,
ვიდრე სიკვდილი ან დაბადება...

უნდა სხვა კაცი გავხდე დღეიდან,
არ შემიძლია მეტის ატანა.
სამოთხის ვაშლებს მაცლის ხელიდან
კაცი –მიწაზე, ცაში – სატანა.

არც წარწყმედაა და არც ცხონება
და მოთმინების ძაფიც გამიწყდა.
არ შემიძლია ასე ცხოვრება,
ან ცა მომეცით, ან დედამიწა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

იცის წლებმა და წარსულმა
ყოვლის მომსწრემ, ყოვლის მცოდნემ:
გოლგოთაზე სხვაც ასულა,
მაგრამ მაინც სხვაა ცოტნე.

ძეგლებია ჩვენი მთები,
ჩვენი ზღვები ცრემლის ზღვაა.
თუმც არ გვაკლდა ქვეყნად მტრები,
თემურ-ლენგი მაინც სხვაა.

ანისი და არსიანი
არის ჩვენი მტრების სუსხვა.
თუმც აქვეა ბასიანიც,
ის დიდგორი არის სულ სხვა.

დიდების და ბრძოლის გარდა
ბეწვის ხიდზეც კი გვივლია.
ტკივილია ხომ მარაბდაც –
კრწანისი სხვა ტკივილია.

იყო წვიმა სისხლის ფერი,
საქართველო ჰგავდა მორევს.
მამულს ბევრი ჰგავდა ბერი,
მაგრამ სხვაა ის თევდორე.

მორეული, ხან მომრევი
მტერი გვყავდა ასჯერ ასი.
ყველა მტერი არის მტერი,
მაგრამ სხვაა შაჰ-აბასი.

სამშობლოს მტრებს ბრძოლით, დავით
შეეწირა სხვა ათასიც.
თუმც სხვა თავიც არის თავი,
სხვაა თავი პაატასი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლომკაცი

ე. ამაშუკელს, ვ. დავითაიას

გაცოცხლებული ქვაც კი
ჩვენი მიწის და ტომის,
მატიანეა მკაცრი
სისხლის, ცრემლის და ომის.
მავსებს ათასი განცდით
გორის ციხესთან მდგომი
გალომებული კაცი,
განკაცებული ლომი!

ცეკვა „ქართული“

ვუძღვნი რესპუბლიკის სახალხო არტისტებს იამზე დოლაბერიძესა და ფრიდონ სულაბერიძეს

თითქოს დარბაზს სუნთქვა ეკვრის,
თეთრი გედი ფრთებს რომ გაშლის.
ეს ნამდვილად ქალი ცეკვავს
თუ ლერწამი კრთება ქარში?

მიმინო დგას ცერზე ნეტავ
თუ არწივი მისდევს ქედანს?
ეს ვაჟკაცის გული ფეთქავს
თუ სიონის ზარი რეკავს?

შორით წვა და შორით ფიქრი,
შორით მზე და შორით მთვარე.
ვაჟი შორით უვლის ირგვლივ
მზედ ამოსულ ქალის თვალებს.

შორით, შორით, შორით უვლის,
ისე კდემით, ისე ნაზად –

მიჯნურისთვის ვაჟკაცს გული
დაუგია ფიანდაზად.

სიყვარულით ლაღობს სული,
ბობოქრობს და თითქოს ქარს ჰგავს.
ნანდაურს და გულის სურვილს
ცერით წერს და მუხლით ქარგავს.

ჩვენ ბრძოლებში ფეხზე ვკვდებით,
არ გვჩვევია ქედის დრეკა.
ქართველები მუხლზე ვდგებით
მხოლოდ მაშინ, როცა ვცეკვავთ.

სამშობლოს და ღმერთის გარდა
ვიჩოქებდით მხოლოდ ქალთან.
ქალის გული ციხეს ჰგავდა
და ვკვდებოდით ციხის კართან.

გზები, ცეკვით დასერილი,
სხვას ამ ქვეყნად ვის ჰქონია.
ან ცერებით დაწერილი
სიყვარულის სიმფონია.

მარტო კალმით ვწერდით განა
საქართველოს მატიანეს,
„ქართული“ და „განდაგანა“
დროშასავით ვაფრიალეთ.

ალვანთან თუ ანანურთან
მტერი როცა ვატიალეთ:
„ხანჯლური“ და „ალვანური“
ხანჯალივით ვატრიალეთ.

რომ აოცებს დღესაც ყველას
და ქვეყანა გადარია –

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„სამაია“ არის ფრესკა,
და „ფერხული“ ტაძარია.

მამულს დღესაც კედლად უდგას
„ხორუმი“ და „ოდოია“.
ის დავლური, როკვა, ბუქნა
ციხე-კოშკთა გოდოლია.

შორით წვა და შორით დაგვა
მარტო ცეკვა ვის ჰგონია?!..
ქვეყნის გზებზე ცერით დაგვაქვს
საქართველოს ისტორია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თიბათვე

გამომცემლობა „მერანი“
თბილისი, 1979

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს შედარება ძალიან მარტივია,
მარტივი
და თან დაუძრახველი.
მწვერვალთან
დამარცხებაც კი
პატივია,
მწვერვალის დამარცხება–სახელი.
აქ კი,
ერთადერთი
ალტერნატივაა,
მეტი სიმამაცე და სიფრთხილე:
სიტყვის დამარცხება
დიდი პატივია,
სიტყვასთან დამარცხება –
სიკვდილი.

მთები

ბურუსი და შავი ჯანღი მთის შუბებით დაიფლითა.
მყინვარწვერზე მზე დაბრძანდა თამარ დედოფალივითა.
მყინვარები – არაგვების, ენგურების გადიები,
წკრიალებენ წყაროები – ჭიუხების კაფიები,
გუგუნებენ ჩანჩქერები – ქარაფების ბალადები,
ქარს ჩამოაქვს ბარად ნისლი –
მწვერვალების ბარათები.
ღრუბლები კი ორწოხებში ძუ მგლებივით ძუნძულებენ...
ისევ ზრდიან არაგველებს მთები – მიწის ძუძუები.

მთაო, გადმიშვი

მთაო, გახსნილი ცა მინდა,
მთაო, გადმიშვი, გადმიშვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორემ სიცოცხლე წავიდა
სულ წადილსა და ქადილში

გადამატარე წარაფებს,
ღრუბელს, ქარსა და ქარაფებს.
შენი ფანდურით
–არაგვით
ერთხელ მეც მალაპარაკე.

მთაო, დამიდექ თავდებად,
მომეც იმედის ლორდიში,
თორემ სიცოცხლე თავდება
ასე ცდასა და ლოდინში.

ფიქრები თეთრი და შავი არაგვის ხილვისას

თეთრი – იმედები ჩვენი,
შავი – ჩვენთა მტერთა ზიზღი.
თეთრი –საქართველოს ცრემლი,
შავი – მისი მტრების სისხლი.
თეთრი – საქართველოს სული,
შავი – სული მისი მტრების.
შავი – წლები გარდასული,
თეთრი – მომავალი წლები.

ლეკვები

მერაბ ბერძენი შვილის
გახსენება არაგვისპირას

ხმალი, ვით მძიმე ჯვარი,
მტერის არშეჭმული ჯავრი
მიგაქვთ!
დამტერებული სირცხვილს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამის დაღვრილი სისხლი
გიხმობთ!
ცხელი, მზესავით ცხელი,
დედის გული და ცრემლი
გიცავთ.
ფიცი, მამულის ფიცი,
თქვენი სისხლივით ფიცხი,
გიძღვით!
. . . . . .
აბა, თქვენ იცით!

ჩანჩქერი

დაეკიდება ქარაფებს
კისკისითა და სიცილით.
დაბლა თავს იკლავს არაგვი
მუდარითა და ფიცილით:
–ჩამო, მაქვს სალაპარაკო,
ჩამო, სანამ უნდ მაწვალო?!
–ველარ გენდობი, არაგვო,
შე ბარელების წაწალო.

ჩანახატი

დაიბანა პირი მზემ,
გულისპირი – იამა,
შემდეგ ჩუმად პირიმზე
გადაკოცნა ნიავმა,
შეიმშრალეს წამწამი
ტყეებმა და ყანებმა...
ნისლი, როგორც წაწალი,
ხევში მიიპარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მთვარე, თხუთმეტი ღამისა,
ცას ამშვენებდა ხალივით.
ისმოდა წამისწამისად
ორი არაგვის ბღავილი.
მერე ცისკარი გაიხსნა
ღამაზ დიაცის თვალივით,
მყინვარმა გულზე დაისვა:
მზე –
ცის
ღამაზი ყვავილი.

შატილი

გაჭიმულია ბოლმა თოკივით
და ზედ გავდივარ, როგორც ჯამბაზი,
ნეტავ ქალივით რატომ მომკივის
ის დანგრეული ციხე-დარბაზი.
კერა და ფუძე –
ერის ძალ-ღონე,
ჩამქრალა, როგორც სანთელ-საკმელი,
და ახლა დათხრილ თვალებს მაგონებს
მიტოვებული სახლის სარკმელი.
ბახტრიონი კი ეძებს მიზეზებს
და თან იგონებს ომებს გადახდილს.
გაპარტახებულ სახლის კიბეზე
ყიზილბაშივით ადის ბალხი.
ღამის გავგიჟდე ამის შემყურე,
ღამის გაგლიჯოს გულმა ჯებირი.
გაშავებული საკვამურები
ნასახლარებზე დგანან ჯვრებივით.
ეკალ-ბარდის და ქაცვის ქადილში,
გდია ბილიკი გამხმარ ნერგივით.
ახლა სიჩუმე დადის შატილში
გამარჯვებული თემურლენგივით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისევ შატილი

აუღია გზები ბალახს,
როგორც მუშტამს როშკის ციხე,
როცა ცრემლებს ველარ მალავს,
დარდს ღრუბლებად შემოიხვევს.
შვილებისგან განაწირი
გულში იკლავს ყველა ტკივილს,
და შატილი, როგორც ლირი,
თავის სიმარტოვეს სტირის.

თეთნულდი

მზე – თეთნულდის ოქროს თმები –
შეკრულია თეთრი ნისლით.
ფეხის წვერზე დგანან მთები,
სილამაზე ნახონ მისი.

შორი წვით და შორი ცქერით,
ლამის დადნეს მყინვარწვერი.
იალბუზი კვდება ჯავრით
და გარს უვლის ღრუბლის ჯარით.

აილამა ლაკვარას და
გულბა თოგორს ეცილება...
ჯშბა განზე გამდგარა და
გულში ჩუმად ეცინება.

კრავი

უფლისციხესთან როცა ჩავივლი,
მოემატებათ ფერი ყვავილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცოდველი ვარ მეც იმ კრავივით
და სამსხვერპლოზე ვარ მიყვანილი
ბოლო ისედაც არის ცნობილი,
საკურთხეველთან რაკი მივედი...
ღამე კვლავ
მშვიდად
სძინავთ ცოდვილებს,
ჩემი დაღვრილი სისხლის იმედით.

ახალგაზრდა ქართველ მეცხვარეებს

თუმც არ ბრუნდებით ომიდან,
თუმცა არც ომში იჭრებით,
მე თქვენი ქება მომინდა,
სახელიანო ბიჭებო.

სახელის დამბადებელი
განაღა მარტო ომია.
სამშობლოს საკურთხეველთან
ოფლსაც სისხლივით წონიან.

ახლა ნოლაის ველია
თქვენი ხატი და დიდგორი.
ფიქრი სისხლივით ცხელია,
როცა ბახტრიონს იგონებთ.

ფარ-ხანჯალივით ინახავთ
სახელებს კარგი წინაპრის,
მე თქვენი ომიც მინახავს
ხან კომბლით, ხანაც წრიაპით,

ბრძოლა ქართან და წვიმასთან,
საკუთარ თავთან ჭიდილიც.
მე თქვენი სევდაც მინახავს,
ყაფაზს ჩასმული ჩიტივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი დღე დაბადების გაქვთ,
მეორე კიდევ სიკვდილის,
სიცოცხლით კაი ყმებისა
არ გაასუქეთ სირცხვილი.

ახლა ფარა და ცხვარია
თქვენი ციხე და ქონგური,
თქვენს სახელს დიდი ხანია
სიმად უბამენ ჩონგურებს.

შეგჟღრიალებენ ვედრებით
გუგუმიანი დროშები,
–მამულსაც დაუბერდებით,
სახელიანი ვოჟები!

მეცხვარის ცოლი

მისი სახლის ეზო-კარს
ეცვითება ქარივით
ბიჭბუჭების ღიზლობა,
მათი ენის ქავილი.

სულ ტყუილად უვლიან
მისი გულის გალავანს,
ეს ქმრის სიყვარულია,
მისი ციხის ალამი.

მარილივით იზოგავს,
როცა სახლში მარტოა,
იმ სითბოს და იმ გრძნობას,
მეუღლემ რომ დატოვა.

და თუ სულში ცხვარივით
აბღავლდება მოწყენა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსებით და შაირით
დარდს ცრემლებად მოწველავს.

დაცვარული პირსახე
გავს დანამულ ყაყაჩოს...
ოჯახსა და ქმრის სახელს
ნაგაზივით დარაჯობს

სამება

საქართველო, ენა, ლექსი,
ღმერთი,
ძე და სულიწმიდა.
სალოცავი უკეთესი
არცა მაქვს და არცა მინდა.

ქება ქართული ვაზისა

1.
ეშმაკის და კაცის გარდა,
როცა ღმერთიც ტყუოდა,
როს სიკვდილი გვეჯდა კართან
და ძალლივით ყმუოდა,

ვაჟკაცებთან წაწლობდა და
ლაჩრებს ჭვრეტდა გერივით.
როს მტრის ხმალი წანწალებდა
ჩვენში მშიერ მგელივით,

ჩვენი მიწა საოცარი,
ვენახებით ნახატი, –
იყო ჩვენი სალოცავი
ჩვენი ჯვარი და ხატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზიდავდა ქართვლის მთები
განა მარტო მოყვარეს:
ზღაპარი და არაკები
საწმისივით მოგვპარეს.

ბევრი სიტყვა, მითი ჩვენი,
ვაგლახ, სხვისთვის ირჯება,
სხვისი ერის, სხვისი ენის
დარჩნენ იანიჩრებად.

ვაზსაც ბევრჯერ გაუტიეს,
მოჯეჯგვეს და მოჯარეს,
ბევრჯერ რქა და ჩხა უმტვრიეს
რქაწითელს და ოჯალეშს.

თუმცა ხეს და ძელს გააკრეს
ხევარდული, ძელშავი.
ვერ მოთხარეს, ვერ გააქრეს,
ვერ გახადეს ბედშავი.

ალაზნის თუ ვაზი ვანის,
ხან თაკვერი, ხან მწვანე,
როგორც
ტანი
ქეთევანის,
აჩეხეს და აწამეს.

ზოგსაც უმტრეს, ზოგიც გასცეს
(ვაი ჩვენს უბედობას),
ზოგიც ძალად გაიტაცეს,
დასვეს სუფრის დედოფლად.

ო, ვინ იცის, იქნებ ასე,
სადღაც
ვიღაც მავანი,
სხვა სახელით სტუმარს ასმევს
შარბათს ჩვენი მანავის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2.
თუ სამშობლო ომობდა,
ვაზიც პირდაპირობდა;
როცა ხალხი გლოვობდა,
ვაზი მაშინ ტიროდა.

საქართველოს გარეშე
ყოფნა არც კი ულირდა,
ეხსნებოდა ცა მაშინ,
როცა მამულს ულხინდა.

გორულა და ქვიშხური
მტერს კრწანისზეც ეკვეთა.
ვაზი ამოძირკვული
დადიოდა ლეგენდად.

ბერბეშო და სულირი,
ბაბილო თუ მაღლარი,
საქართველოს სულივით
უკვდავი და მაღალი.

ვერ მოთხარა ვერავინ,
ვერც მტერმა, ვერც უკუნმა, –
გასრესილი მტევანი
იჭრებოდა ჩუქურთმად.

საქართველოს ჭაპანი
ზიდეს მისმა ფესვებმაც,
ასხეპილი ჯაგანი
იქცეოდა ლექსებად.

დაცემული ვერ ნახა
ვერც მკვდარმა, ვერც ცოცხალმა, –
აჩეხილი ვენახი
სიმღერებში ცოცხლობდა.

3.
როცა მტერი (როგორც წესი)
ვენახს ხმლით და ხანჯლით სხლავდა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აჩეხილი ვაზის ფესვებს
გლეხიკაცი სისხლით რწყავდა.

როცა გვალვა მიწას წვავდა,
ვერ დგებოდა ვაზი ფეხზე,
გლეხიკაცი ოფლით რწყავდა
გადამხმარი ვაზის ფესვებს.

სეტყვა (ვაზის მტერი ესეც),
თუ დასცემდა ვენახს დაბლა,
დალეწილი ვაზის ფესვებს
გლეხიკაცი ცრემლით რწყავდა.

და ცოცხლობდა ვაზის ძირი
ახალშენს თუ არადროტეს.
ღვთისგან ბევრჯერ განაწირი;
გლეხკაცისგან – არასოდეს.

იყო ასე მტრების შიში,
მეგობრების მასპინძელი:
ის – სამასი ვაზის ჯიში,
ის – სამასი არაგველი.

დასეტყვილი, დამეხილი,
დაჯეჯგვილი მინდორია–
ვენახივით დაგრეხილი
საქართველოს ისტორია.

ასე ერთად ატიალეს,
ასე ერთად ატრიალეს,
საქართველოს ისტორია
არის ვაზის მატიანეც.

ბედთან ბევრჯერ უდავიათ,
გაიტანეს ბევრჯერ ლელოც.
მწამს, ვაზივით უკვდავია
ვაზის დედა –
საქართველო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრწანისი

ძლივს მოუყარა
მეფემ თავი
სამ ათას მხედარს,
იდგა კრწანისთან
გულგამტყდარი
და სახე მკაცრი...
ერთი წლის შემდეგ,
თელავიდან
ერეკლეს ცხედარს
მოაცილებდა
ოცდაათი
ათასი კაცი.

ჩადრი

პარადოქსული აზრი ჩადრის ნახვისას

არც არაბი ვარ და არც თათარი,
მაგრამ ხანდახან ვფიქრობ ამაზე,
არ არის გარეთ გამოსატანი
ქვეყნის სიმდიდრე და სილამაზე.

მიწას ქართვლისას, აბა, დახედეთ, –
არის ათასგზის გადაჯვეჯგვილი.
ბევრი ველურის, ბევრი თავხედის
ნაბიჯებია ზედ აღბეჭდილი.

რომ შეგვძლებოდა
მაშინ,
ბატონო,
ჩვენ საქართველოს ჩადრით შემოსვა,
ათასი გიჟი და უპატრონო
არ ისურვებდა ჩვენთან შემოსვლას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ იელვებს სახე თამარის,
სიტყვა რუსთველის, ხმალი დავითის:
–ჩვენ არაფერი გვაქვს დასაშალი,
მაგრამ რაცა გვაქვს, უნდა დავიცვათ!

ჭადრაკული ლექსები

1. ცაიტნოტი

ვაი, რა დრო გასულა,
დგას ისარი წკიპზე.
სევდიანი წარსული
მოწყენილი მიმზერს.

წერტილი რომ დაუსვეს
ჩემს გზებს
– უკვე ვხედავ,
მაგრამ როდის დავუშვი
ის შეცდომა ნეტავ.

თუ ღმერთი გწამთ, მითხარით,
როდის? როდის? როდის?!
.....
ითვლის წამებს ისარი,
ცაიტნოტი მოდის.

ახლა ეს დრო – იუდა,
ყველა იმედს მიქრობს.
მაინც, მაინც,
ჯიუტად
ბოლო სვლაზე ვფიქრობ.

განა მიჭირს გაგება,
გზა რომ არ სჩანს ხსნისა...
მაგრამ კარგად წაგებაც
ხომ რაღაცას ნიშნავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. გადადებული პარტიის გარჩევა

ღამე თეთრად ადნება
გადადებულ პარტიას.
ის სვლა...
ზავით თავდება,
ეს სვლაც...
მხოლოდ პატია...
ვწუხვარ, ვდარდობ, ვღონდები
ფიქრით ათასნაირით.
გზა არა ჩანს მოგების,
თვითონ არ მსურს ყაიმი.

3. შეწირვა

კვლავ გრძელდება თამაში,
კვლავ გრძელდება, კვლავ,
დღეებს წუთისოფელი პაიკივით კლავს.
ვხედავ, ისიევ აკეთებს მუხანათურ სვლას,
მიაქვს სიხარული და
დარდს ცრემლივით ვსვამ.

წუთისოფლის თამაში კვლავ გრძელდება, კვლავ,
მიაქვს ახალგაზრდობა და ოცნებებს კლავს.
ისევ ისე აკეთებს მუხანათურ სვლას,
მიაქვს სიყვარული და
დარდს ცრემლივით ვსვამ.

მხოლოდ დამრჩა იმედი,
არაფერი სხვა,
ისიც ბოლო შეწირვა, ალბათ ბოლო სვლა...
ეს ამდენი ტკივილით მოკირწყლული გზა,
ნეტავ მაინც ვიცოდე
– რას მომიტანს, რას?!

4. წაგებული პარტიის გარჩევა

მოზეიმე კრებული
და ვარდების ცვენა,

აგერ
გამარჯვებული
დინჯად უვლის სცენას.

არის ტაშით დათრობა
გონების და სმენის
როგორ უჭირს დათმობა
დამარცხებულს
სცენის.
მიზეზს ეძებს წაგების
და პარტიას არჩევს.
ქილიკსა და ძაგებას
ყურს ნელა-ნელა აჩვევს.

ტაშის ხმა რომ ჩაესმის,
სხვის დიდებას უხმობს...
ჩანს, სცენიდან ჩამოსვლა
ჭირს ასვლაზე უფრო.

5. შამათი
არ მეპარება ეჭვი ამაში,
მე ამ წაგებას ვარ შეჩვეული.
ვის მოუგია შენთან თამაში,
თუ მოუგიათ, –
მხოლოდ რჩეულებს.

თავი სადა მაქვს მოსატყუარი,
სიკვდილო,
როცა შენ მაგონდები,
არც სურვილი მაქვს და არც უნარი
შენთან ჭიდილის, შენთან მოგების.

შენი ნებით და ნებით განგების
მადლობა
კიდევ,
თუ დავბერდები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შევურიგდები ბოლოს წაგებას,
და როგორც სხვები
გეტყვი:
– გნებდები

ნ. პაიკი

მეფე კიდევ კაი,
კი,
ვიცი რაცხა შვილია,
მეფედ გამსვლელ პაიკის
მე უფრო მეშინია.
კი ბატონო, გავიგე
მეფის კარგიც, აუგიც,
გამეფებულ პაიკებს
ვერაფერი გავუგე.

სტატისტი

ბობოქრობს სცენა ათასი ვნებით,
ქვეყნის ჭირსა და სიხარულს იყოფს,
ლაპარაკობენ სცენაზე სხვები,
მისი როლია სულ ჩუმად იყოს.

ყველა ამ ქვეყნის ცხოვრებით ცხოვრობს,
ის კი ჩუმად დგას და ხმას არ იღებს.
მისი როლია სიჩუმე მხოლოდ,
მისი როლია სცენაზე იდგეს.

და დაბოლმილი ამგვარი როლით,
სახლში მოსული ჩხუბობს და ყვირის,
ოჯახურ სცენის სტატისტი – ცოლი
კუთხეში ზის და თავისთვის ტირის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნელია იყო სულ სხვების ფონი
და იდგე ჩუმად სულ სხვების უკან,
ძნელია, ძნელი სტატისტის როლი,
ამგვარი როლით ნაშოვნი ლუკმაც.

თუ დადგებოდა არჩევა როსმე,
ოჯახი რომელ როლით მერჩინა,
მართალი გითხრათ, სტატისტის როლს მე
მიცვალებულის როლი მერჩივნა.

მეფე პოეტების გასაუბრება სამშობლოსთან

(მე-17 ს. სურათი)

– მამულო! ვინღა გიწერს განაჩენს,
მეფის ხმალი თუ სიტყვა პოეტის?
– დიდგორის ველით თუკი გადავრჩი,
„ვეფხისტყაოსნით“ დღემდე მოვედი!

– მაინც, ვინ უფრო
გინდა მოვიდეს,
სიტყვის მეფე თუ მეფე სარდალი?
– გაგიხარია: სჯობდა ორივე,
მაგრამ მითხარი, აბა, სად არი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომი

ნადირობს, ნადიმობს, თუ მტერთან საუბრობს,
ის ლომურ ღირსებას არასდროს არ იხდის.
მტერსა და მოყვარეს,
ჯუნგლების საუფლოს,
წინასწარ აფრთხილებს:
– მოვდივარ, დამიხვდი!
ლომთან ბრძოლა და სიკვდილიც ადვილია,
თავი წაგებული არც კი გენანება...
საშიში ის კაცი და ის ნადირია,
ხმას რომ არ იღებს და ჩუმად გეპარება.

* * *

ირგლივ ბილიკები, მხოლოდ ბილიკები,
ზოგი ქლესიები, ზოგი ქილიკები.
მოკლე ბილიკები და მოკლე მიზანი.
გზად ქცევის
გახდომის,
არცერთი ნიშანი.
მოკლე ბილიკები, ვიწრო ბილიკები
ყაყანით, ქაქანით, ქვეყანას იკლებენ.

ირგლივ ბილიკები, სულ პაწაწკინტელა,
რომელთაც ცხოვრება მოთელავს, მითელავს.

ნამდვილი გზები კი დაფარეს ბალახით,
ქვა-ღორღით, ეკლებით, ლაფით და ტალახით.

ო, ღმერთო ძლიერო, მაღალო უფალო,
ისე ნუ გამაქრობ მიწაზე უკვალოდ,

ო, ისე ნუ მომკლავ, ისე ნუ დამმარხავ:
– მაღირსე ნათელი, დიდი გზის დანახვა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოლო სადგური

ღამის სიჩუმე ფიქრებს აწვალებს
და ძილს იპარავს შუქი ნათურის.
რეპროდუქტორში ვიღაც აცხადებს:
– მოემზადენით, ბოლო სადგური!

თუმცა დუმილით ღამე ათიე,
ფრთა აიწყვიტეს მაინც ფიქრებმა.
ვიღაც ჯიუტად ისევ გაფრთხილებს:
ბოლო სადგური მალე იქნება!

– ბოლო სადგური!
– ბოლო სადგური!
სავსეა ეს ხმა გლოვის ზარებით.
წკრიალებს სული, როგორც სანთური,
იხრჩობი დარდით, ბოლმით, ზმანებით...

მიათრევს დღეებს, როგორც ვაგონებს,
წუთისოფელი –
ლოკომოტივი,
და სულში სევდას შემოაგორებს
სიკვდილ-სიცოცხლის ძველი მოტივი.

ვერ აიტანე, ვერ გაუძელი,
გსურდა და მაინც ვერ ირაინდე.
პოეტის გული– ვარდის ფურცელი
არამზადებმა აღარ დაინდეს.

წლებს,
იმედივით
ჩავლილ სადგურებს,
დიდხანს როგორც ხავსს ისე ეკიდე.
განძივით ტოვებ სოფლის სამდურავს
და ეძებ შენი სულის მემკვიდრეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკვერცხალივით ცხელი ფიქრები
ვერ მოიშორე მაინც თავიდან.
აგერ, ღიმილით ხელებს გიქნევენ,
ვინც ვაგონიდან ადრე ჩავიდა.

თითქოს ათასი ხმებით აყვირდა
ეჭვი, იმედის ძაფით დაბმული.
იქნებ არ ღირდა, იქნებ არ ღირდა
გავლა
ამდენი გზის და სადგურის.

ცხოვრება არის ჯვარის ატანა,
ბალახად რჩები, თუკი დაეცი.
სული – სიცოცხლის თეთრი ანტენა –
ცაში იმედის ტალღებს დაეძებს.

დაეძებს მათ, ვინც მამულს დაშორდა
მხოლოდ სიკვდილით, არა ფიქრებით.
ვინც დაუბრუნდა ისევ სამშობლოს
ეკლის გვირგვინით, ფრესკით, წიგნებით.

მაგრამ, ვაი, რომ გლოვის ზარებით
ყველა იმედი ერთად ხუნდება.
შენ კარგად იცი, ამ გამგზავრებით
არ გიწერია შინ დაბრუნება.

და მიხვალ შენი ბარგი-ბარხანით
ამღვრეული და გულდაწყვეტილი.
აჰა, გამოჩნდა ბოლო ბაქანიც,
შენი ცხოვრების ბოლო წერტილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ნოემბრის ქარით მთვრალი ხეები
დაბანცალებენ, როგორც ლოთები.
ავსებული აქვთ ქუჩებს ხელები
ხეთა ჭაღარით–ჭრელი ფოთლებით.

ეტყობა დარდი და შეშფოთება
ცას, შემოდგომის ფერით შეფერილს,
და სასაფლაო ხმელი ფოთლების–
მოწყენილია ბაღი ბებერი.

* * *

ვიცინი, ვწუხვარ, ვამტკიცებ, ვდაობ
და ვითვლი დღეებს, ვით სხვა მრავალი.

სოფლის ბოლოში დგას სასაფლაო,
სიკვდილ-სიცოცხლის შუამავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის იყო ყრუ და მაინც ესმოდა,
ის იყო ბრმა და მაინც ხედავდა.
ჩვენ რა შეგცოდეთ, ღმერთო, ესოდენ,
რომ მოგვაქციე ცოცხალ ცხედრადა.

ვუმზერ სახეებს, .
სიბილწით ანდა
გულგრილობით და სიხარბით მთვრალებს...
ღმერთო! რამდენი იყრუებს თავს და
რამდენი ძალად იბრმავებს თვალებს.

თიბათვე

ეშხზე მოსული ცელი ბუბუნებს
და სათიბისკენ თვალებს აპარებს.
ვხედავ ჭალაში თივის ბულულებს–
მწვანე ბალახთა საძმო საფლავებს.

დაფეთებულ და დამფრთხალ ჭრიჭინას
უცებ აუტყდა ენის ქავილი...
გადათიბული მწვანე მინდორი
წევს დარცხვენილი შიშველ ქალივით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაოუმი, ჩემი სიყვარული

რაც დავტოვე და თბილისში ვსახლობ,
ჰა, თითქმის წელი გავიდა ოცი.
ბათუმელს,
სადაც არ უნდა ვნახო,
მაინც მშობლიურ სინაზით ვკოცნი.

ერთხელ რუსთველზე მომესმა „ჭო“ და
მონუსხულივით უმალვე შევდექ.
ორი მოხუცი გულდინჯად ბჭობდა
სამშობლოს ბედზე,
ხვალინდელ დღეზე.

მივალ, მივყვები უსიტყვოდ, ჩუმად,
ვისმენ საუბარს, ვისმენ და უცებ:–
ძველი ქართული
სიტყვა
ჩუქურთმად
მიაქანადკებს თბილისის ქუჩებს...
რა საჭიროა ფიცი და მტკიცი,
ერთი ნამდვილად მჯერა და ვიცი,
თუ დროს ვიშოვი, ბათუმის გარდა
არსად ვჩერდები და ვერსად ვიცდი.

თუ კამათია ან მიზეზს ვპოვებ,
რაც შემიძლია, არაფერს ვაკლებ.
ბათუმელ მხატვარს, მსახიობს, პოეტს
თავგამოდებით ვიცავ და ვაქებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა „თბილისის“ მეოთხე გვერდზე
განცხადებაში ვკითხულობ „ბათუმს... “
გულამღვრეული ოთახში ვერ ვძლებ,
იმ უცნობ კაცზე ვწუხვარ და ვდარდობ.

ან, ვთქვათ, უბრალოდ გადავშლი გაზეთს,
ტელევიზიის პროგრამას ანდა,
უპირველესად (სხვებზე და სხვაზე)
ვკითხულობ, ვისმენ, ბათუმის ამბავს.

თუკი აქებენ, მახარებს ქება,
მწყინს, გული მტკივა, თუ აუგს წერენ.
იმ „ცუდ“ ჟურნალისტს, გზაზე რომ მხვდება,
გაბრაზებული ვუყურებ მერე.

ბათუმში ჩასვლა რომ არ ვინატრო,
ოჯახში კვირა ისე არ გავა.
რა მეყავება ამ გულის პატრონს,
ბათუმის ხათრით მაინც ვსვამ ყავას.

მის გახსენებას ხან სევდა ახლავს,
ხან სიჭაბუკის წლების ხმაური.
ბათუმში ჩასვლა, ბათუმის ნახვა,
ეს არის ჩემთვის დღესასწაული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

თუმც კარგი ცა
არის სხვაცა,
ბათუმის ცა
არის სხვა ცა.
კი, არის სხვაც,
სხვაგანც ზღვაა,
ბათუმის ზღვა
მაინც სხვა.

დილა ზღვის პირას

გარიჟრაჟი ფერებს ღამის
თითქოს თეთრი ფუნჯით წაშლის.
ფერმიხდილი თეთრი მთვარე
ქალწულივით წვება ზღვაში.

ნაპირისკენ გლისერს ნავი
მოჰყავს, როგორც დედას ბავშვი.
წითელი მზე ქრისტესავით
მაღლდება და ადის ცაში.

რიწა

რისი ცა და რისი მიწა,
არაფერი ჩანდა იმ წამს...
სამოთხეში ლურჯი რიწა,
როგორც
ანგელოზი
იწვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამზეს II პირამიდა

გარეთ მზეა და რა მზე,
შენ აქ ისურვე...
რაზე?!
შე საცოდავო რამზეს,
რა მზეს ვერ ხედავ, რა მზეს!

* * *

მიწა ცვარ- ნამ- ლეშხით მთვრალი,
სველ ტანს დილის მზეზე იშრობს
და ყაყაჩო, მინდვრის ხალი,
პეპლებს იწვევს სააშიკოდ.

ეს ბულბული უმღერს ყვავილს,
იადონი ინდიმინდობს,
მაგრამ სადღაც ჩხავის ყვავი
და აჟრჟოლებს ტანში მინდორს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლექსები

გამომცემლობა „მერანი“
თბილისი, 1977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძეგლი

ჯალათს, გვირგვინს, ტახტს და ტირანს
ბოლოს მაინც მიწა ელის.
მაგრამ ყველა ქართველს სტკივა
მცხეთის მოკვეთილი ხელი.
ყველა ხატი, ყველა მეფე
ბოლოს ლუკმა ხდება მიწის.
მაგრამ რუსთაველი ერთხელ
აენთო და ისევ იწვის.
მათი სული, მართლაც წმინდა,
საქართველოს მიაქვს ხატად,
ვინც ჯვარი და ნიკორწმინდა
ქართულ ზეცას მიახატა.
გვაქვს მეგობართ საჭვრეტელად
და წუხილად ჩვენი მტრების,
ქვაკირით და საჭრეთელით
დაწერილი ეტრატები.
ბეთანია და მარტვილი,
გელათი და თაღი წრომის.
სვეტიცხოვლის დიდი ტილო –
მოგებული დიდი ომი.
შერჩა ქვეყნის მატიანეს,
– არა წლების კორიანტელს –
დიდგორის და ბასიანის
ხმლით ნაწერი ფოლიანტი.
შეწყობია ქართულ ზეცას,
ზღვა – თბილისის ლურჯი ფრესკა,
საქართველოს პალიმფსესტი
– რუსთავი და მიწა მცხეთის,
მაგრამ უნდა მიემატოს:
გელათს, ბოლნისს, მარუხს, მარტყოფს,
სურათს, ლექსებს, წიგნებს, ფრესკებს
შეემატოს უნდა ესეც–
ვინც ვარძიის კედლებს ჭრიდა.
ჯვარზე კირი ვინც აზიდა,

ვინც კუმურდო შექმნა ქვიდან,
ვინც არაგველ ბიჭებს ზრდიდა!
ვისაც ძეგლი აღარ ადგას
და კედლებზე ფრესკად არ ჩანს.
ვინც არც წიგნად და არც ტაძრად, –
საქართველოს მიწად დარჩა,
ვინც ალალად შეეწირა
ივერიის ძველ იარებს.
დღევანდელი საქართველო –
ეს იმათი ძეგლი არის.

მამულო!

„ქვა უთოვია თუნდაც ჩემს მერე“...
პირველად ვინც თქვა და იღაღადა,
ის არის ერის
პირველი მტერი,
ქვეყნის დამქცევი და მოღალატე.

ისეთის პატრონს ან მოიმედეს,
რა შეგრჩებოდა შენ ქვების მეტი;
არც შოთას წიგნი, არც ალავერდი,
არც დიდგორი და ცხოველი სვეტი...

„ჩემს შემდეგ თუნდაც ქვა უთოვია“...
ვინც დღესაც იტყვის, იფიქრებს თუნდაც,
ის კაცი ქვებით ჩასაქოლია,
სწორედ ამ ქვებით,
შენთვის რომ სურდა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მონღოლ მეგობარს

როცა შენს წიგნს და სურათს შევხედავ,
მოგონებებში ჩუმად შემოხვალ.
მახსოვს პირველად როგორ მემცხეთა,
შენს სახელს ყინვა როგორ შემოჰყვა.
ახლა ვიგონებ პირველ შეხვედრას,
სუფრაზე პირველ შეხლა-შემოხლას.

მახსოვს, იურტას
– ყვავილს ტრამალის
ვადარეთ შენი ნათქვამი ლექსი,
მაგრამ გაწყვიტა ბრაზმა სამანი,
როცა წინაპართ ხსენების შევსვით,
ძველი ჭრილობა ველარ დავმალე,
ვერ დავიცავი მასპინძლის წესი.

ვიგრძენი,
უცებ შუბლი გახურდა,
სარკოფაგივით გული გაიხსნა.
სადღეგრძელოთა ეშხი გახუნდა,
ბოღმა ყულფივით ეკიდა სისხამს....
იმ შენს ჭიქაში ღვინო კახური
რატომღაც უცებ მეჩვენა სისხლად.

მომეჩვენა და ფიქრი არჯალი
ცას დაემსგავსა საავდროდ აშლილს,
ვიგრძენ, სიცივე, როგორც ხანჯალი,
შემომეპარა უეცრად ხმაში,
და გული ლექსში დასახარჯავი
შურისძიებით აინთო მაშინ...

აინთო წამით... და ღმერთო ჩემო,
ვინანე უმალ მოხედვა უკან,
რადგან ვიგრძენი, რომ მიწის გემო
ჰქონდა შენს ყელში გაჩხირულ ლუკმას,

და დაბმრავებულ ფრესკების ცრემლებს
შენ ჩემზე უკეთ ხედავდი უკვე.

ღვინით კი არა, სირცხვილით მთვრალი
კონტაგორაზე იყავი ფიქრით.
რა დარდი კლავდა დარცხვენილ თვალებს,
მივხვდი, იმ შენი ცრემლებით მივხვდი.
მე არ გთხოვ შენი წინაპრის ვალებს,
შენ პოეტი ხარ და მაინც მიხდი.

ასე ყოფილა, ძმობილო, ოდით;
თავით თუ მკლავით, ცრემლით თუ სისხლით,
პოეტი იხდის წინაპრის ცოდვებს,
თავისი ქვეყნის ჯალათთა სირცხვილს
და შენც მიბრუნებ ნაწამებ ცოტნეს,
გადამწვარ თბილისს, წართმეულ სიცილს.

მე კი ვლოცავდი ისევ და ისევ
ჩემი წინაპრის უცოდველ კისერს,
ვინც არ ადებდა უღელს და ღალას
სხვათა სამშობლოს და სხვათა მხარეს.
კვდებოდა შამქორს, მარაბდას, კალას
და არა სადღაც მამულის გარეთ.

ჩვენი მოსწრება, დღე და საათი,
თუმც შაჰ-აბასებს არ ვიკარებდით,
რუდაქს, ხაიამს, ნიზამს, საადის
გავუღეთ ჩვენი გულისკარები.
საფლავიც ტანჯვა არის ჯალათის,
თუ მოკლულია ლექსის პწკარებით.

იმ წარსულს ერთად გამოიგლოვებს
შენი ტრამალი და ჩემი მთები.
მე კი იმ დღეებს ისევ ვიგონებ
და იმ დღეების ფიქრებით ვთბები.
შენი მართალი ლექსის სტრიქონებს
ვსვამ კუმისივით და ნელა ვთვრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ფასი აქვს წარსულ ტიტულს,
სახელს, ქებას, რიტორიას,
ჰგავს მოკლული ლომის ფიტულს
მკვდარი ერის ისტორია....

ჩვენ კი ბედმა ვერ გვიყვლა,
თუმც უფსკრულთან კი მივსულვართ.
დავადექით ყელზე ყველას,
ჩვენი შეჭმა ვინც ისურვა.

იმ წლებს შორით ვუმზერთ ახლა,
ბეწვის ხიდი დარჩა უკან
და შემოვრჩით მტრების ხახას,
როგორც გაჩხერილი ლუკმა.

„Старые вещи“

ღმერთო, ეს სიზმარი ამიხდინე კარგად
შ. ნიშნიანიძე

„Старые вещи!“ –იძახის და მიჰყვება ქუჩებს,
ვიღაც აჩერებს, ევაჭრება და ძველმანს ურჩევს.
და განა მარტო ძველ ფეხსაცმელს, შარვალს და ხალათს,
ყიდულობს ძველ დარდს, ძველ სიყვარულს,
ცრემლებს და ღალატს,
ძველ სიგელ-გუჯრებს, ძველ ციხეებს და ძველ რაინდებს,
ძველ სასახლეებს, ეკლესიებს, ტაძრებს, აივნებს...

აგერ, ვიღაცა თავის პირველ სიხარულს უქებს,
ვიღაცამ ძველი მეგობრობა გაყიდა უკვე.
ვიღაც აჩეჩებს ძველ ოცნებას, სინდისს და სირცხვილს,
ვიღაცა კიდევ ყიდის თავის უდარდელ სიცილს.

ყიდის ძველ ცრემლებს, გაზაფხულის ნამივით სუფთას,
პირველ სიყვარულს, გულში პირველ აპრილის სუნთქვას,
ნივთებს წინაპრის: მამისა და დედის ნაქონებს–
უმზერს გულგრილად და ფასს ადებს როგორც საქონელს.
ვხედავ, ვიღაცა გროშის ფასად როგორ იმეტებს:
ძველ ერთგულებას, ძველ ოცნებებს და ძველ იმედებს;
ვიღაც იხსენებს სანჩო პანსას და სხვა დანარჩენს,
სულ ჩალის ფასად ყიდულობენ საწყალ ლამანჩელს.

–„Старые вещи!“ – იძახის და ჩერდება უცებ
და საქართველოს!
– დედამიწის ამ ლამაზ ფურცელს:
მის ციხე-კოშკებს, ფოლიანტებს, მის ძველ ქალაქებს,
გრემს და ვარძიას, სვეტიცხოველს, ჯვარს და ალავერდს,
დიდგორის მინდორს, ალგეთსა და სამას არაგველს...
ვხედავ, ნელ-ნელა ძველ ტომრებში ჩუმად ალაგებს.

ო, ღმერთო ჩემო, თითქოს უფრო უარესს ვხედავ,
ჩვენი პლანეტა ემსგავსება ნელ-ნელა ცხედარს.
ის მეძველმანეც უზარმაზარ ურჩხულად იქცა,
და ხარბი თვალით დააცქერდა ჩევნს ბებერ მიწას.
ისევ მომესმა საზარელი: „Старые вещи“.
თითქოს მზე გასკდა და ცისკარი წითლად გაიღო,
ვით ტომარაში, –
უზარმაზარ ატომის მტვერში
გაახვია და დედამიწა სადღაც წაიღო...

ეს მოჩვენება, საშინელი და საზიზღარი,
მადლობა უფალს!
იყო თურმე მხოლოდ სიზმარი.

* * *

აღარსად ნეშტი,
არც სამყოფელი.
ჩანს, ცა არჩია
თამარის სულმა,
და „საქართველოს
ყოვლის მპყრობელმან“
დავითმან,
ვიცით, რაიც ისურვა.
ისევ მამულში
სანთელ-საკმევლობს
მათი სული და
იწვის თავისით.
ასე მგონია,
რომ საქართველოს
ცაა –
თამარი!
მიწა –
დავითი!

წუთისოფელი

ვუძღვნი ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას

1.

თუმცა სიცოცხლე კაცისა
მიწის და ქვეყნის ვალია,
საწუთროს ლუკმად გაჩენა
მაინც რომ ცოდო-ბრალია,
ნეტამც! ვინც ქვიშად დარჩება,
ვაი, ვინც მხოლოდ წყალია.

2

წყლები მიდიან, წლები მიდიან
და ეჭიდება ყველა იმედებს.

წუთისოფელი ბეწვის ხიდია,
ვინ იცის, ღმერთი ვის გაიმეტებს.
მაინც სურვილი ისე დიდია,
გადარჩენის და ქვიშად დარჩენის,
რომ კვარცხლბეკისკენ ერთად მიდიან
ღმერთის წილი თუ მიწის არჩივი.

სახელები,
ვით
სარკოფაგები,
თავის დროსა და პატრონს ელიან.
ოფლი და სისხლი არ იკარგება,
საკურთხეველი თუკი ერია.
მაგრამ ამაო არის გოდება,
ვინც უღირსია და არ ეგების...
ხშირად ძეგლების ეშაფოტებად
გადაქცეულან ეს კვარცხლბეკები.

3.
ვინ არის წყალი?! ვინ არის ქვიშა?!
პასუხი მინდა მიწის თუ ცისა,
დასტური მინდა კაცის თუ ღვთისა,
რა არის წყალი?
რა არის ქვიშა?!

გვირგვინი?! ტახტი?!...
– წყალი არს წყალი!
ოქრო და ვერცხლი?!
– წყალი არს წყალი?!
ო, მარქვი მაშინ, მიწავ თუ ცაო,
ო, მიპასუხე, კაცო თუ ღმერთო,
რისთვის მოვედით?!.
ან რისთვის ვდაობთ,
თუკი წყალივით ჩავივლით ერთ დროს?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

4.
„წუთისოფელი რა არი?!
აგორებული ქვა არი,
რა წამსაც დავიბადებით,
იქვე საფლავი მზა არი“,
მაგრამ კაი ყმის სახელი
სხვათა შუქი და გზა არი.

5.
გზაა ათასი, მაგრამ ერთია
დიდი გზა თავის დიდი მგზავრებით.
რამდენი ღამე უნდა ეთია,
რომ ეგუგუნა სახელს ზარივით.
ათასი გზაა, მაგრამ ერთია
გზა ეკლიანი, მაგრამ მართალი.
რამდენი ღამე უნდა ეთია,
გული გაეხსნა სიტყვის მარგალიტს.
გზაა ათასი, მაგრამ ერთია
გზა ვაჟკაცური და პირდაპირი,
რამდენი ღამე უნდა ეთია,
რომ გამხდარიყო ერის საყვირი.
ათასი გზაა, მაგრამ ერთია
გზა უკვდავების და გზა სიმართლის.
რამდენი ღამე უნდა ეთია,
შემატებოდა მამულს სინათლედ.

ბალადა ქართველ ქალებზე

1.
ზეცას საქართველოსას დაჰკრავს ბინდის ფერი,
კრწანისსა თუ ბასიანს მოსდგომია მტერი,
შეყრილია სამეფო და დარბაზის ერი,
სისხლით გალაღებული მტრის მახვილი მღერის.
ცეცხლით გადარუჯული ციხეები ბოლავს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს თქვენ უნდა მოიგოთ წაგებული ბრძოლა.
ერთადერთი იმედი ქვეყნის გადარჩენის
თქვენი სილამაზეა და მოთმენა თქვენი.
რადგან მტერი მოსული, ვერაგი და მკაცრი,
თქვენს გულსა და სიყვარულს ითხოვს სისხლის ნაცვლად.
მარიამ და რუსუდან, ასმათო და ანავ.
თქვენი ცრემლი იმ სისხლზე ნაკლებია განა?!
მაგრამ რადგან მამული და ქვეყანა ითხოვს,
ეწირებით სამშობლოს ასე თითო-თითოდ.

2.

აბა, რაღას გაახარებს გვირგვინი და ფარჩა,
როცა გული საქართველოს სანახებში დარჩა.
თუმც მძიმეა ურჯულოთა სარეცელში წოლა,
ესეც არის მამულისთვის წამება და ბრძოლა.
სანამ კვლავ არ აშენდება ნარიყალას ციხე,
უნდა ჯალათს უალერსოთ, უნდა ნებას მიჰყვეთ.
სანამ კვლავ არ დაიზრდება ცხრა ვაჟკაცი, ცხრა ძმა,
ისევ უნდა აიტანოთ ეს ტანჯვა და ჯვარცმა.
სანამ კვლავ არ გამაგრდება ხორნაბუჯის ლიბო,
ისევ უნდა ცრემლი თესოთ და წუხილი თიბოთ.

3.

ბაღდათი და მიწა რანის ,
ტრამალები მონგოლთა.
სტამბოლი და ისპაჰანი,
ქართველ ქალთა გოლგოთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაგრენის ტყავი

ვხედავ გათხრილი სამარე მოჩანს,
ამ სამარესთან ჩემი სულია...
ერთი თხოვნა და გათავდა, მორჩა,
ერთი სურვილი დასასრულია.

არჩევა უნდა ამ ბოლო სურვილს,
ამ ბოლო სურვილს სიკვდილად ქცეულს.
ისმის ღაღადი წამებულ სულის,
მაგრამ რა ვუყო დაქანცულ სხეულს.

მაგრამ სიყვარულს აბა რა ვუყო,
გულში დამარხულ იმ ძველ სიყვარულს.
ერთი სურვილი რამდენს გავუყო –
რამდენ დარდსა და რამდენ სიხარულს.
ვეღარ ვიცილებ ეჭვსა და ზაფრას,
ვერ მივაგენი იმ ბოლო სურვილს.
დავხედავ მიწას– სხეულის საფლავს,
ავხედავ ზეცას–საყუდარს სულის.

და მეწმინდება უცებ გუნება,
ლოცვად ვემხობი თვალდანამული..
მაღალო ღმერთო, დედაბუნებავ,
მიცოცხლე მარად ჩემი მამული!

დაკარგული სახელის ბალადა

ვუძღვნი „მოყმისა და ვეფხის ავტორს“

შენი „ვეფხვის და მოყმის ბალადა
გამხდარა ბევრი მგოსნის ბორკილი.
დაკიდულია მთიდან ბარამდე
ალპინისტების ვიწრო თოკივით.

ამ უკვდავების თოკთან მისულებს
შენი სიმაღლე აცლის არაქათს.
ბედნიერი ხარ, რადგან ისურვე
ხალხის სახელით გელაპარაკა.

მაგრამ მე მაინც ვეძებ სათავეს,
რომ მლოცველივით შენს წინ დავეცე,
როგორც დაკარგულ განძს და საფლავებს,
მე შენს დაკარგულ სახელს დავეძებ.

შენი ჯიბრი და კვალზე მიყოლა,
არ დასჯდომია არვის იაფად.
ბევრი პოეტი გადაიყოლე,
ამირანივით კლდეზე მიაბი.

მათ გულს,
ლექსებით გამოფატრულებს,
ყორანი ყორანს ლუკმად მიუტანს.
ძლევის სურვილი სიმებს ფანდურის
მაინც
ძაღლივით
ლოკავს ჯიუტად.
ახლაც,
საფიხვნოს
ყმა პირტიტველი
შენს ლექსთან,
როგორც ვეფხვთან,
ჭიდაობს.
ხარ დედაენის ხმალი შიშველი,
საასპარეზო და საჯილდაო.

ვისმენ სახელებს გადარჩენილებს
და სულს ედება სევდა ჭირხლივით.
ომში მოკლული მოყმის ცხენივით
შენი ბალადა მთაში ჭიხვინებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაი, რომ სისხლის წვიმის დროშია
ჩამქრალი შენი სანთელ-საკმელი.
ქვეყნის განძი და ციხე-კოშკია
ვაჟკაცისა და მგოსნის სახელი.

თუმცა ბევრს ადევს სისხლი ვალივით
ჩვენი მინდვრის და ჩვენი მთებისა,
თუკი დაგვჭირდა,
ისევ ხმალივით
ვიშიშვლებთ სახელს წინაპრებისას.

მათი სახელით ვიდექით მაგრად,
იყვნენ იმედის ციხის ქვიტკირნი,
ვტირით დაკარგულ საფლავებს, მაგრამ
დაკარგულ სახელს უფრო მივსტირით.

ის, ვინც ლექსებს და მამულს მოუკვდა,
მისი დღეები არ დაუთვლიათ.
ისევ ის მოკლავს, ვისაც მოუკლავს,
ისევ ის იტყვის, ვისაც უთქვია.

ჯერ კი... დუმილი არაფერია,
მე ყველა დედის კალთას ვეხვევი.
ვეფხვივით ბიჭი ახლაც ბევრია,
არ დალეულან ალბათ ვეფხვებიც.

რიგი

მუხრან მაჭავარიანს

არც უცხოური ფეხსაცმელი, პერანგი, წინდა, –
დახლქვეშ მალულად იყიდება პოეტის წიგნი.

ცხელი ლექსებით ხელებს ითბობს გადამყიდველი,
და სიხარულით ვიცრემლები ამის მხილველი.

ჩარჩს წიგნისათვის დაუდვია ათმაგი ფასი,
მარილს და ასანთს აძვირებდნენ ომის დროს ასე.

და ცეცხლის ფასად იყიდება ლექსები ნაღდი,
ომის დროს ასე ძვირი ღირდა პური და ნავთი.

და მიხარია, ეს ამდენი ხვეწნა რომ მესმის,
რომ ასე ძვირად იყიდება ქართული ლექსი,

რომ ასე ღელავს, ბობოქრობს და თახთახებს რიგი,
ისიც კი, ჩარჩი, რომ მდიდრდება ქართული წიგნით...

ეს დასტურია, რაც საქვეყნოდ ათასჯერ ითქვა,
არის უკვდავი პოეზია,
ქართული სიტყვა.

პოეზია

შორს, ცისიერში მესმის და ვამჩნევ,
სამარადისო ზარები რეკენ,
მე მაინც უნდა მიწაზე დავრჩე
და ვეკამათო ვიღაცა რეგვენს.

მხიარულ კაცის სახეს და ნიღაბს
ვაფარებ ათას დამსხვრეულ სურვილს.
ნაძალადევი ღიმილის მიღმა
ვინ ხედავს სევდას წამებულ სულის.

წაიღეს წლებმა ბევრი, რაც მწამდა,
რაც სიყმაწვილის ოცნებამ ხატა,
და ახლა როგორც მწყურვალი წყალთან
როგორც მლოცველი წმინდანის ხატთან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვდივარ შენთან, შენს ნათელ კალთას
ვაფარებ თავს და გენდობი უხმოდ.
როგორც არტისტებს ახდილი ფარდა,
გული იმედებს ეძახის, უხმობს.

მოვდივარ შენთან, ჩემს ჯიუტ სურვილს
დღეები ფერს და მიზანს ვერ უცვლის,
ცხოვრების ჯვარზე გაკრული სული
შენს წყალობას და აღდგომას უცდის.

ეს შენ ამაგრებ, შველი და შვენი
სიცოცხლეს–
ქვეყნის ვალსა და ღალას,
შენი ხათრით და იმედით შენით
იტანენ შიმშილს,
ლანძღვას თუ ღალატს.

ეზიდებიან სიცოცხლეს ასე,
დარწმუნებული კაცის იერით
და ბევრი შენი იმედით ავსებს
თავის ცხოვრების სიცარიელეს.

ო, ამ იმედით რამდენი კვდება,
ო, ამ იმედით რამდენი მიდის...
კიდევ კარგი, რომ არავინ ხედავს
შემდეგ საკუთარ საფლავის სიკვდილს.

ჩემს სითამამეს, ვიცი, რაც ჰქვია,
ეს სიჯიუტე მე თვითონ მიკვირს.
იმედებს მაინც ზეცაში მიაქვთ
ოთახის კედლებს გამსხლტარი ფიქრი.

ეს იმედები არის ზღაპარი,
ვიცი და მაინც, მაინც ვიფერებ,
როცა სულს უნდა თავშესაფარი,
გული ათასგვარ ზღაპარს იჯერებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაინც, მინდა იმ ცეცხლით მწვავდე,
რითაც მწვავ უკვე დიდი ხანია...
ხომ მუდამ მწამდა, ხომ მუდამ მწამდი,
მორწმუნენი კი ნეტარ არიან.

ლექსის ფიტული

ეს რა ხმები და ჰანგები მესმის,
ვერ დავაოკე გულის ხმაური.
ხომ არ დამდგარა, ქართულო ლექსო,
შენი კრწანისი ან წიწამური...

ეს შენ შველოდი დამსხვრეულ ნეკნებს
და მამულისთვის შეწირულ კისერს.
ალგეთისა და მარაბდის ლეკვებს
შენ აბწკალებდი ისევ და ისევ.

ეს შენ გაჭრილხარ ბრძოლებში ხანჯლად,
გაგიტანია მინდორში კვალი.
მშიერმა კაცმა პურივით გხარჯა,
მწყურვალისათვის ყოფილხარ წყალი.

შენ უმაგრებდი გალავანს თბილისს
და თბილისელებს – გულსა და მუხლებს.
ქვეყნის სიხარულს, დარდსა და ტკივილს
ეზიდებოდი ვითარცა უღელს.

... დღეს ვინ მოგაკლო სიგრძე და განი,
ვინ გამოგსტაცა მთებსა და ველებს,
შენი თერგივით ძლიერი ტანი
ვინ დაამსგავსა დაწრეტილ ღელეს.

ეს ვინ შეგაჭრა არწივის ფრთები,
ვინ მიგაჩვია უმწეო ხავილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მინდვრის ია და პირიმზე მთების,
ვინ დაგამსგავსა ოთახის ყვავილს.

შენს ჯიშს და ჯილაგს განა ეს შვენის?!
ნეტავ ამგვარი სულ არ მეხილე,
ვხედავ, ახარებთ ფიტული შენი
ქართული ლექსის ჯალალედინებს.

მაგრამ ვინ დალევს პეშვებით არაგვს,
ხელისგულზე ვინ დაიდებს მყინვარს,
„ვეფხის და მოყმის“ ხსენებაც კმარა,
მოგინდეს ბებერ შატილის ხილვა.

მოგენატრება მახვშების კოშკი,
ლეგენდების და ზღაპრების მხარე,
დარდი დაღლილი ზარზმის და ოშკის
დაეკიდება ფანდურის ლარებს.

არა და არა, ათასჯერ არა,
მარტო რუსთველის სახელიც გიხსნის.
ვაჟა-ფშაველას ხსენებაც კმარა,
აგიჩხრიალდეს ძარღვებში სისხლი.

ეს წამიერი ეჭვიც გეძრახვის
გადაუხდელი შენი ომისა,
ფშავ-ხევსურეთის მთები გეძახის,
როგორც ჯუნგლები ფიტულს ლომისას.

სიტყვის მადლი და შენი ნათელი,
სანამ ამაგრებს ქვეყნის სიმაღლეს,
ვერვინ გატეხს და ვერვინ გათელავს
ენას, მამულის
ციხესიმაგრეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შურის ციხე

შურმა ააგო თუ შურისგებამ,
მისი დღეები არის წასული.
დე, იღაღადონ ნანგრევის ქვებმა
თბილისის „შურის ციხის“ წარსული.
მაგრამ მე ვხედავ სხვა შურის ციხეს,
ადამიანთა გულში აგებულს.
ო, ამ ციხესთან დროც უკან იხევს.
დრომაც ვერ შეძლო მისი აღება.
ბევრი დარბაზი, სრა და სასახლე,
ციხესიმაგრე, კოშკი, ქალაქი...
ვერ გადაურჩა დროის მსახვრალ ხელს
და დაიფარა მტვრით და ბალახით.
შურის ციხე კი ამ დროსთან დავით
გამარჯვებული დარჩა ყოველთვის.
კვლავ ეწერება:
– ვაჟკაცის თავი,
– ოსტატის მკლავი,
სისხლი პოეტის.

დუბლი – კადრი

ცერზე დგება სიჩუმე,
გადაღება იწყება,
გადაღება იწყება...
არის დუბლი მეათე.
სცენა და კინოლენტი
ბრუნავს თავდავიწყებით
და დაღლილი არტისტი
კვდება უკვე მეათედ...
ბოლოს ათი კადრიდან
ეკრანს ერთი შერჩება,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანარჩენი ცხრა დუბლი
ბნელ სარგანში იყრება.
დაკარგული სახელიც
ალბათ ასე ეჩვევა
სიჩუმეს და ნელ-ნელა
წლებს და ბალახს მიჰყვება.
უსახელო მებრძოლებს
ჰგვანან დუბლი-კადრები,
მოჩანს ბნელი არქივი,
მკვდარი ფირის სამარე.
საოცარი წუხილით
და დარდით ვითანგები,
ვრჩები მწარე ფიქრების
და ეჭვების ამარა...
ბრუნავს კინოლენტივით
წლები და ისტორია,
იბადება დღეები
ყალბიცა და ნამდვილიც.
შემდეგ
წუთისფელი
თითქოს რეჟისორია,
დღეებსა და სახელებს
არჩევს კინოკადრივით.
ბრუნავს კინოლენტი და...
დასასრული არა ჩანს.
არის შეცვლა ნიღბების,
სურვილი და ქადილი.
ვინც ცხოვრების სცენაზე
კარგად ვერ ითამაშა
დავიწყების მტვერს მიაქვს
დაწუნებულ კადრივით.
ისევ ძველი წუხილი,
ძველი ეჭვი ისევე,
დღეები კი მიქრიან,
დღეები კი გადიან.
ბრუნავს წუთისოფელი

და სული ვერ ისვენებს,
ვაი,
ჩემი სიცოცხლეც
მგონი დუბლი-კადრია.

თაობათა ცვლა

„ვუძღვნი თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა იმ თაობას, რომელმაც მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა

ბევრჯერ გადალურჯდება,
ბევრჯერ გადაფიფქდება,
საქართველოს ცა.
მიწაზე თუ მინდორზე
კიდევ ბევრჯერ იქნება
თაობათა ცვლა.

თითქოს წუთისოფელი
სავსე სტადიონია
და მსაჯია დრო.
ყველა წლებს და თაობებს
მისხალ-მისხალ წონიან,
ოღონდ თავის დროს.

დაკარგული თაობა
ჰგავს დაკარგულ ქულას და
მიაქვს ჟამს და მტკვერს.
მაგრამ ვაჟკაცთ სახელი
დღესაც ხვდება გულადად
მოყვარეს თუ მტერს.

მხოლოდ ხალხის განაჩენს
და სამშობლოს არჩევანს
მიწა ვეღარ ჯამს.
ვაი, ვისაც ამქვეყნად

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი არ რჩება
აღსასრულის ჟამს.

თქვენი მუხლის სიმარდეს,
თქვენი სულის სილაღეს,
ვერ ხედავენ დღეს.
მაგრამ, ქვეყნის სიმძიმე,
საქართველოს სიმაღლე
თქვენს ბეჭებზე დევს.

დღეს, როდესაც ბიჭები
მოედანზე დაობენ
გარეთა თუ შინ,
თქვენი სულის ძახილი
უნთებს ახალ თაობებს
გამარჯვების ჟინს.

მე არც თქვენი ბურთი და
მე არც თქვენი მედლები
არ მაღელვებს სულ.
მაგრამ ეს თქვენ აქეზებთ,
ეს თქვენ ეიმედებით
და აფხიზლებთ სულს.

ცირკი

გაღიმებული გამოდის კიო
და აქრობს ნივთებს: მაგიდებს, სკამებს.
გაოცებული თვალები ღია
ამ საოცრებებს ბანგივით სვამენ.
განათებული ცირკის არენა
ჰგავს ამაყსა და თამამ ქალიშვილს.
შიშს, გაოცებას და აღმაფრენას
სიმივით ჭიმავს ჰანგი კლავიშის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარც ეს არის ზღაპარი ძგონი,
მაგრამ აქ სხვაა ახლა მთავარი:
ურუქში, ური და ბაბილონიც
იყო... არ არის.
იყო... არ არის.
ჯადოქრის ნება, მკლავი და თვალი
ათასთა თვალებს ათრობს და იპყრობს.
მაკედონელი და ჰანიბალიც
არ არის, მაგრამ ნამდვილად იყო.
ალბათ, ჩვენი დროც დადგება ერთხელ,
დრო აღარ ინდობს ქვეყნად არავის.
აღიმართება გრძნეული კვერთხი,
და ვიღაც იტყვის:
– იყო... არ არის!

ფიქრები სამგლოვიარო განცხადებებზე

საფლავებივით ჩაწყობილან განცხადებები,
შვილების, მამის, მეგობრების, დების, დედების,
ვკითხულობ გაზეთს და ვფიქრდები იმ კაცის ბედზე,
ვინც ქვეყნად უკვე არც არაფერს ითხოვს და ეძებს.
ისე მივიდა სიკვდილის და სამარის კართან,
არ დაკლებია აღარავის ოჯახის გარდა.
ვინ იცის, იქნებ ეს ფიქრები თვითონაც კლავდა,
იქნება სულ სხვა კაცი იყო, მაგრამ სხვას ჰგავდა.
იქნებ საკუთარ ნაჭუჭიდან ამოსვლა სცადა,
ვეღარ შესძლო და სარდაფებში მალულად სვამდა.
ვინ იცის, იქნებ შემხვდერია კიდევაც სადღაც,
მოკრძალებული, თავმდაბალი, უბრალო, სადა.
ვინ იყო იგი, საფლავად და მიწად რომ იქცა,
რისთვის მოვიდა, თუ მოვიდა, ვის რაღა მისცა.
მისი ან მოსვლა, ანდა წასვლა ნეტავ რა იყო,
რა მოიტანა, სამარეში ან რა წაიღო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაო არის ნეკროლოგი, ხოტბა და ქება,
თუ კაცი მამულს არ აკლდება, როდესაც კვდება.
თუ წლების შემდეგ გაყვითლებულ გაზეთის მეტი,
ჩვენ ხალხს და მამულს ჩვენს აქ ყოფნას არავინ ეტყვის.
თუ არ გვახსენებს სამშობლო და სამშობლოს მტრები.
ჩანს, დავდიოდით ამ მიწაზე ცოცხალი მკვდრები...
ვკითხულობ გაზეთს და ვფიქრდები საკუთარ ბედზე
და პასუხს ვეძებ...

სულთათანა

გულს ეჭვები და ფიქრები ჭამენ,
ლამის სიცოცხლეც ამ ეჭვებს გაჰყვეს,
ო, სულო, როცა დადგება ჟამი
შენთან გათიშვის და შენთან გაყრის.

ბედის განგებით თუ ნებით ღმერთის
როცა მიხილავ საფლავად ქცეულს,
ო, მითხარ, სულო, მითხარი ერთი,
რას, რას ჰპირდები ჩემს დაღლილ სხეულს?

ნუთუ მიწის და საფლავის გარდა
სხვა არაფერი შემრჩება ბოლოს.
ნუთუ სიცოცხლე ამ სიზმარს ჰგავდა,
ძილს რომ იპარავს მხოლოდ და მხოლოდ.

თუმც შემდგარია მზე შუბის ტარზე,
არც აღმართს ვხედავ და აღარც დაღმართს.
ხელის ცეცებით დავეძებ ტანზე
სილურჯეს–შენი წამების დამღას.

დღეები, უკვე ჩავლილი გვერდზე,
ვხედავ, ცრემლებად აწვება თვალებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

..., ის არწივი იქნებ ჩემს მკერდზე
არც ილესავდა არასდროს ბრჭყალებს.

არ მიცხოვრია იქნებაა სულაც
ჩემი საწუთროს ჭირით და ლხინით.
იქნებ დაბმული ვიყავი, სულო,
პალოზე შიშის და არა რკინის.

იქნებ დამიზრე ოცნების კვირტი,
იქნებ ამაოდ ვთესდი და ვმკიდი.
იქნებ ვიყავი ამ მიწის ტვირთი
და არა შვილი და არა მკვიდრი.

მთელი სიცოცხლე იქნებაა ვთვლემდი
და არ მეძინა ფხიზელი ძილით,
იქნებ ვიარე სიკვდილის დღემდე
თვალებზე ლიბრით, ყურებზე ცვილით.

იქნებ ამაოდ გაგყევ და გენდე,
ვერ ზიდე ტვირთი მძიმე და ძნელი.
იქნებ მატარე სიკვდილის დღემდე
დაღლეტილ მუხლით, გაწვდილი ხელით.

ვერ ამიშენე ქვითა და კირით
ჩემი ვარძია და ჩემი გრემი...
ის დამსხვრეული იმედი ყვირის,
როგორც ფსკერისკენ წასული გემი.

დღეები, როგორც ჭრილობა ღია,
მკლავს და სამარის ამარა ვრჩები.
შემდეგ ნელ-ნელა ბალახებს მიაქვს
მოტყუებული სხეული ჩემი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძახილი

კიდევ უარესს, უფრო უარესს
რაღას მპირდები, ბედო ტიალო,
ასე უმიზნოდ, ასე უაზროდ
სანამდე გინდა მახეტიალო.

სანამ ვიარო, ღმერთო მოწყალევ,
სხვისი ნებით და სხვისი კარნახით!
ლუკმაპურსა და დღეებს მოწყენილს
ვკიდივარ, როგორც ანკესს კალმახი.

მეზიდებიან წლები ძალათი,
ვტოვებ გზადაგზა ლამაზ იმედებს.
ცოდვილი ხორცი– სულის ჯალათი.
ვერ იქნა, მაინც, ვერ გავიმეტე.

ვერ გავექეცი სხეულს საკუთარს,
ცხოვრებამ ბევრი რამე მოცელა.
ვერ მივუტანე სული საკურთხად
ლამაზ სურვილს და ლამაზ ოცნებას.

ეს უმწეობა უფრო მაგიჟებს,
სხვა სატანჯველი უნდა განა სულს?!
ვით ძველ რეკლამებს და ძველ აფიშებს,
ვუმზერ ჩემს დღეებს, უკვე გარდასულს.

და ამღვრეული დღეთა მორევი
ცდილობს სხეულში სულის ჩატევას.
მიჭირს საკუთარ თავის მორევა,
იქნებ ჩაყოლა სჯობდეს ჩათრევას....

ჭრილობასავით მტკივა ფიქრები,
ალბათ ამაო არის ყოველი.
სევდა გამქრალი ძველი ფიფქების
ითხოვს, იძახის, პასუხს მოელის.

მზე, ასე კარგი და საკვირველი,
სულს ეფინება მაინც მწუხრივით.
ვიცი, არა ვარ ქვეყნად პირველი
არც ამ ტკივილით, არც ამ წუხილით.

და მაინც, ყველა, კუბოს კარამდე
თურმე ამ დღეებს ასე მისტირის.
და ეს წუხილიც არის მარადი,
როგორც სიცოცხლე, როგორც სიკვდილი.

ვიოლინოს ფუტლარი

სცენაზე იდგა
ვიოლინო
როგორც აპრილი,
ჰგავდა ფუტლარი
გაღებულ და
ცარიელ საკანს.
უცებს სხეულში
ჩაკეტილი
სული აყვირდა,
ო, უცებ სულმა
ფუტლარიდან
ამოსვლა სცადა...
იდგა სცენაზე
გაზაფხული
ბორკილაყრილი,
ეფინებოდა
ნათელ დარბაზს
ჰანგების ფარჩა.
სადღაც პარტერში
დაქანცული
სული ატირდა,
სული, რომელიც
იმავ ცოდვილ
სხეულში დარჩა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზის ოსტატს

ექსკავატორი, როგორც ურჩხული,
მიწას დაჟანგულ კბილებით კორტნის.
და ვეფერები ცრემლით, ჩურჩულით
დაფლეთილ ველს და დაგლეჯილ კორდებს.

დღეებიც, როგორც ექსკავატორი,
მიკორტნის სულს და ვივსები დარდით.
ჩემს ეჭვებსა და ჩემს სიმარტოვეს
ვეთამაშები ვით დაბმულ ნადირს.

სიცოცხლე უკვე გადაიფიფქა,
მე კი ვერ გავჭერ ერთი ბილიკიც.
თვითონ არ ვიცი, რაღა ვიფიქრო,
გაგაღმერთო თუ გაგაქილიკო.

ისე უბრალოდ, ისე იოლად,
გაგყავს გზები და არ გემძიმება,
მე კი, მე ლამის გადამიყოლოს
გზებზე ფიქრმა და გზების ძიებამ.

შენ კი იოლად, შენ კი უბრალოდ
გაგყავს გზები და არც კი გაშინებს,
რომ შეიძლება გაქრეს უკვალოდ
ის ყველაფერი, რაც ააშენე...

მე კი გამწირა და გამიმეტა
ჩემმა ბედმა და ჩემმა განგებამ,
და სიზმარივით გამქრალ იმედებს
ვუმზერ შორიდან და ვითანგები.

ვრჩები საკუთარ ფიქრის ამარა,
ჩანს ამაოა სულის ძახილიც,
და მიწა ჩემი წილი სამარის
მიახლოვდება მშიერ ძაღლივით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

გაზაფხული მიაქვს რტოებს,
მე კი სევდა წამიტანს,
შეჩვეული სიმარტოვე
არ მცილდება წამითა
სულ სხვაგვარი სიმარტვილე...
სულ სხვაგვარი წვა მინდა,
თითქოს ყველამ მიმატოვა,
თითქოს ყველა წავიდა.
ნადირივით დავწანწალებ
სიმარტოვის ტყეში და, –
მწარე ცრემლით დამწვარ თვალებს,
სიხარული მოშივდათ.
გულგრილობის ტყვიით მკლავენ,
ხან მტერი, ხან მოკეთე.
განა თავი? განა მკლავი?
იმედები მომკვეთეს.
ქვა აღმართზე დამაწიეს
დარდის და განშორების,
ძაღლებივით დამასიეს
დაგეშილი ჭორები.
რაც ფერებად არ აყვირდა,
დარდმა დაასამარა.
დავრჩი ჭიქა არაყის და
მწუხარების ამარა.
აღარ ვიცი სანამ გაძლებს
ჩემი ბედის ბორბალი,
ვაი, ერთადერთი განძი,
სიყვარული მომპარეს.
მაგრამ სიტყვა, მაგრამ ლექსი
სანამ ამ გულს ატოკებს.
ჩემი სიმარტოვის შვილო,
ოცნებავ, ნუ დამტოვებ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაბაასება სიკვდილთან

შამამეყარა სიკვდილი,
შამამცინოდა პირსაო

ხალხური

გილიოტინებს თუ სახრჩობელებს
ჩამოუქროლებ შენი ამქარით.
ვეღარ აჩოქებ სიკვდილის მერეც
ვინც გეგებება ფეხზე ამდგარი.

უსუსურობის ბოღმა გახელებს,
როცა სიცოცხლეს ბოლოს ვერ უღებ,
და ვაჟკაცების უკვდავ სახელებს
შეშინებული ძაღლივით უყეფ.

მაგრამ უეცრად ეს უცნაური
და საოცარი ფიქრიც მემცხეთა:
ეს შენ რომ არა, შლეგი თემური
ხომ გადაწვავდა თბილისს მეცხრედაც.

ეს შენ რომ არა, ძალის ძალათი,
კოშკად აგებულ თავების ქალას.
მიუმატებდა ალბათ ჯალათი
ძვლებით და სისხლით აგებულ ქალაქს.

რომ არა შენი ის ბინდის ფერი,
ვინ უმღერებდა სიცოცხლის ფერებს.
შენ გამოსტაცე თევდორე ბერი
სენაკის მტვერში გამომხრჩვალ ბერებს.

როცა პატრონი სიცოცხლეს არ თმობს
და წლებთან ისევ ჯიუტად ომობს,
როდესაც ვარდი უკვე ვერ ვარდობს,
როდესაც ლომი უკვე ვერ ლომობს,

როცა წამებიც არის წამება,
სიცოცხლე ტვირთად არის ქცეული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი ბრძანება და მობრძანება
დალოცვილია და კურთხეული.

მაგრამ სიცოცხლე როცა კარგია,
როცა სავსეა სული აპრილით,
როცა კვირტები მზისკენ გარბიან
და გულიც ლექსად ქცევას აპირებს,

როცა ოსტატი აგებს ალავერდს,
პოეტი ეძებს ახალ სტრიქონებს,
მხატვარი ფერებს ფერებს ამატებს,
მოსაგებია ბრძოლა დიდგორის,

როცა ფიქრი ჰგავს დღის გათენებას
სიცოცხლეს უმღერს სულიც, სხეულიც,
შენი მოსვლა და შენი ხსენება
იყოს წყეული, იყოს წყეული!

წვეთი

წვეთს, უმწეოს და მართლაც ერთ ციცქნას,
გაუხვრეტია ვეება ლოდი.
ეს მოთმინება ნეტავ ვინ მისცა?!
ეს სიჯიუტე საიდან მოდის?!

ნეტავ ქვას რისი იმედით უტევს
ანდა ამ ძალას საიდან იკრებს?
წვეთის მოთმენა და სიჯიუტე
წამოშლის სულში ათასგვარ ფიქრებს.

დღესაც რომ არის მეუფე გონთა,
მარადისობის თვალთა საჭვრეტი,
იქნებ იმ წვეთის მოთმენა ჰქონდა
მიქელანჯელოს ხელს და საჭრეთელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ მოთმინებით გადაუვლია
საქართველოში დღეებს მოჭირნეს.
იქნება მისი საზღაურია
ეკლის გვირგვინი, მკლავი მოჭრილი.

თუ მტერმა მაინც ვერ დაგვაქცია,
თუკი აქამდე მაინც მოვედით.
ის სიჯიუტე ჭრიდა ვარძიას
და გამოკვეთა სვეტიცხოველი

ის სიჯიუტე, ის თავდადება
იქნებ ის არის ღმერთიც, სატანაც,
იქნებ მან შეძლო ზევსის აგება
და გოლგოთაზე ჯვარის ატანა.

იქნებ ბრძოლაა ტილოსთან ფუნჯის,
ლოდთან საკვეთის, ქაღალდთან კალმის,
იგი რომ არა, იქნება ფუჭად
რჩება წადილი გულის და მკლავის.

იქნებ ჭიდილი ქვისა და წვეთის,
შერკინებაა კაცის და ღმერთის,
ომია სიკვდილ-სიცოცხლეს შორის,
ვინ,
ვინ დაუსვამს ჯვარსა და წერტილს...

იმედის ლექსი

განა ყველაფერი იმარხება!
განა ყველაფერი ბოლოვდება?!
სარკოფაგებივით ინახება
ყველა სიკეთე და ბოროტება.

ო, მტრობამ თუმც ბევრჯერ აუმღვრია
სისხლი ბოროტსა და აუგიანს,

მეტეხი თუ ღალატს აუღია,
მცხეთა ხომ სიყვარულს აუგია.

მამულს მიუგია მისაგები,
ვისაც ქვეყნის ტკივრთი წაუღია.
ჯერ მარტო დიდგორის მოსაგებად
თავი რამდენ ვაჟკაცს წაუგია.

ეს მიწა მათ გულმა მოიტანა,
ეს მათი მარჯვენით დაიქარგა.
ხომ არის ცხრა ძმათა მოედანი,
თუ ის ცხრა საფლავი დაიკარგა.

ხომ დარჩა სამშობლოს საარაკოდ
სიცოცხლე სამასი არაგველის.
ძეგლად ეყოფოდათ საარაგვოც,
სხვაც რომ აღარ იყოს არაფერი.

თუა ჯალათთათვის განაჩენი
მკლავი სამსხვერპლოზე მიტანილი.
ხომ არის ოსტატის გადარჩენა
სვეტიცხოველი და ბეთანია.

წასულთა სიცოცხლის ღაღადისი
ისმის წყაროების გალობაშიც.
ხომ არის სოფელი „თამარისი“,
წყარო „გიორგის“ თუ „წყალობასი“.

განა ყველაფერი იმარხება!
განა ყველაფერი ბოლოვდება!
სარკოფაგებივთ ინახება
ყველა სიკეთე და ბოროტება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრიმანჭული

რა მორჩილად ჟღერენ ხმები,
დირიჟორის ჯოხის ყმები.
შენ კი საით, კრიმანჭულო,
ჯიუტო და ურჩო სულო!

ეს რა ბეწვის ხიდზე მიხვალ.
ეს რა ნემსის ყუნწში ძვრები.
ყველა თავისუფლების გზა
მოფენილი არის ძვლებით.

ცისკენ ლოცვად წასულ თვალებს
და გულისთქმას რატომ ჰყვები.
ამ სურვილს და სითამამეს
შეგარჩენენ განა ხმები?!

სიმარტოვის მძიმე ტვირთი,
შენს აღმართზე მიგაქვს უხმოდ.
შემდეგ დაღლილ ხმით და ფიქრით
ძირს დარჩენილ მოძმეთ უხმობ.

მაგრამ შენს გზას ვერვინ აჰყვა
და... მზად არის განაჩენი.
შემოგარტყეს ხმებმა ალყა
და მოხრჩობა უნდათ შენი.

აფთარივით გკლანჭავს კრინი
და ლომივით გტორავს ბანი.
მაინც მაღლა,
მაღლა მიდის
დასისხლული შენი ტანი.

კრიმანჭულო, შენ ხარ იქნებ
სიმღერებში გადასული
მეამბოხე კაცის ფიქრი,
აჯანყებულ კაცის სული...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თითქოს მიწა აღარ გყოფნის
და საუფლოს ეძებ ცაში.
სულ ჯოხის ქვეშ მონად ყოფნას,
ჩანს,
სიკვდილი გიჯობს ცდაში.

შიმშილი

ჩილეში შიმშილობაა.
გაზეთებიდან

1.
შიმშილი – მიწის უკვდავი დარდი,
კაცობრიობის მარადი ვალი,
ისევ ქუჩებში დაძრწის და დადის
ჩონჩხად ქცეული ტყავით და ძვალით.

თუკი ქვა ტირის, ეს ალბათ მაშინ,
ქვას გული მაშინ ტკივა და უწუხს,
როცა აწვალებს მშიერი ბავშვი
მშიერი დედის რძედამშრალ ძუძუს.

იქნება ცოცხლად სიკვდილი ჰქვია
და სადღაც ტირის ნაცემი სული, –
როდესაც მამას ოჯახში მიაქვს
გაწვდილი ხელით ნაშოვნი პური.

იქნებ ტანჯვაზე მეტიც კი ჰქვია,
როცა წუხილით, სირცხვილით, ურვით
მეძავ ქალს მშიერ შვილებთან მიაქვს
სხეულის ფასად ნაყიდი პური.

თავის განწირვა, აბა, რა ჰქვია,
ცრემლით რომ იკლავს შიმშილს და წყურვილს
და დედა-დონორს შვილებთან მიაქვს
საკუთარ სისხლით ნაყიდი პური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა შიმშილი ძაღლივით ყმუის,
დამშრალ ძუძუებს მუშტებად ასწევს,
გამხმარი პურის უბრალო ყუას
როცა ედება სიცოცხლის ფასი.

როცა იქცევა სალოცავ ხატად
და პური ერთადერთი ღმერთია.
ო, არდანახვა შიმშილის სხვათა,
ეს მკვლელობაზე უფრო მეტია.

და გმირობაზე მეტია უფრო,
მეტია უფრო ათჯერ და ასწილ,
როცა მშიერი მშიერს პურს უთმობს,
როდესაც უთმობს სიცოცხლის ნაწილს.

2.
შიმშილი იჯდა ციხეში ქურდად,
ხან მტვერში ეგდო ჭუჭყიან ქუდთან,
ხან სენის ხიდქვეშ იჯდა და წუხდა,
ხანაც პარიზის ქუჩებში ქუხდა.

მიენდო ბოლოს საკუთარ ღონეს,
როცა ვერ ნახა სხვა სამართალი
და რომისაკენ მიმავალ მონებს
გაუძღვა როგორც მთავარსარდალი.

სპარტაკისა და არსენას ჯიშის,
ვიიონივით ძელზე აყვანილს,
ტყეში ყაჩაღად გავარდნილ შიმშილს
ჩემი ვაშა და ჩემი თაყვანი.

ვაშა იმ შიმშილს, თავს რომ არ დახრის
და ჯალათების ხელით თავდება,
შიმშილს, რომელიც ეძმობა მახვილს,
აღიმართება ბარიკადებად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინც პურისათვის მხოლოდ იომებს
და არ დაახევს გამვლელებს კალთას.
ვინც შეაკვდება ცენტურიონებს
და არ დაჯდება საყდარის კართან.

სპარტაკისა და არსენას ჯიშის,
შემდეგ კვარცხლბეკზე ძეგლად აყვანილს,
ო, ასეთ შიმშილს, ო, ასეთ შიმშილს
ჩემი ვაშა და ჩემი თაყვანი.

გიტარა

ვიღაც ატირებს გიტარას,
ვიღაცა მართლა ტირის.
არ უნდა გულთან მიტანა
ყველა დარდსა და ტკივილს.

ვიღაც ამღერებს გიტარას,
ვიღაცა მართლა მღერის.
ო, გულთან გულის მიტანა–
ეს არის ყველაფერი...

თუ შენს სატირალს იტირებს,
სხვათა სიხარულს გეტყვის,
ერთმა პატარა გიტარამ
რა ქნას ამაზე მეტი.

ობელისკები

არა, არ შრება თვალები სველი,
გული ნაღველით ისევ ივსება...
და საფლავებზე დედების ცრემლი
ისევ ამოდის ობელისკებად.

მიწა

„ერთი დედა ზრდის შვილებსა
მსუქნებს, გამხდრებს და წვრილებსა,
დაზრდის და თვითონვე შესჭამს,
თვითვე ილესავს კბილებსა".
ქართული ხალხური გამოცანა

მიჩვეული ხარ თუმცა ალერსს, ხოტბას და ქებას,
მე ახლა გარქმევ არა კეთილს, არამედ ბოროტს,
რადგან ამქვეყნად რაც ოდითგან სიავე ხდება
შენ ხარ, მიწავ,
ყველა ამის თავი და ბოლო!
ადამიანებს დავიწყებას ჰპირდები მარტო
და მიკვირს მაინც, რად გარქმევენ კარგსა და კეთილს.
მე გეკითხები, ქვეყნის პირველ პატრონს და ბატონს,
რა მიეც კაცთა სიკვდილის და საფლავის მეტი.
თუკი პურს გვაჭმევ,
მიგაქვს ჩვენი ჯანი და ოფლი,
თუკი წყალს გვასმევ,
არც იმ წყალსაც იძლევი მუქთად.
რამდენი ცოდვა გაძევს კისრად კაცის თუ სოფლის
შენ – გაუმაძღარს, გაუტანელს, ხარბსა და მუხთალს,
რასაც იმეტებ ათასმაგად იბრუნებ უკან,
ამაო არის შენთვის ჩვენი ოხვრა და კვნესა,
გვიყვლი,
გვინახავ,
გვიფრთხილდები,
როგორც ტკბილ ლუკმას
და საგზალივით დაატარებ სიცოცხლეს ჩვენსას.
გარქმევენ მზრუნველს, სადღა არის ეს ზრუნვა მერე?
გარქმევენ გულუხვს, სადღა არის ეს გული უხვი?
თუ ვინმემ შესძლო გაქცეოდა შენს ბოროტ ხელებს,
ისევ და ისევ საკუთარი მკლავით და მუხლით.
დავდივარ, გიმზერ, გიმზერ, მიწავ, და კარგად ვხვდები, –
გაუმაძღარი არის შენი გული და ჯიში.
მხოლოდ მშიშრები და ლაჩრები გარქმევენ კეთილს,
შენ თაყვანს გცემენ სიყვარულით
კი არა, შიშით.

და მხოლოდ შიშით, შენი შიშით,
შენს ხელებს მსახვრალს.
რომ გადაურჩნენ, რომ გაექცნენ ადამის ძენი,
იხვეჭენ დოვლათს, სამფლობელოს,
გვირგვინს და სახელს,
იბრძვიან კალმით, საჭრეთელით, მახვილით, ენით.
და მხოლოდ შიშით, შენი შიშით ილტვიან ცისკენ.
შენივე შიშით ღმერთს საუფლო ცაშივე მისცეს
და ქვეყნად თუ სურს ადამიანს, რომ ღმერთად იქცეს,
ეს მხოლოდ შიშით, შენი შიშით ისევ და ისევ.
ჰო, კიდევ კარგი. თუკი შექმნის ეს შიში კოლოსს,
თუკი ააგებს პირამიდებს და ზევსის ქანდაკს.
მაგრამ ეს შიში, ეს შიში ქმნის ბოლოს და ბოლოს
სვეტიცხოველის, გელათის და ვარძიის გარდა. –
ჯალათებს, რომელთ აღარ შესწევთ ნიჭი და ძალა.
გებრძოლონ ფუნჯით, საჭრეთელით, სიტყვით და კალმით.
აგებენ ციხეს, სახრჩობელებს,
ანგრევენ ქალაქს,
რომ დარჩეთ კვალი, სისხლიანი და მაინც კვალი.
რომ არ შეიქმნენ, მიწავ, შენი ლუკმა და კერძი,
გულს გიამებენ სხვისი ოფლით, სისხლით და ცრემლით.
და კაცს – კი არა...
ხალხს კი არა...
მიწას ვინც ებრძვის–
ეს იმათ სახელს დიდება და თაყვანი ჩემი.

სურათი

რემბრანდტმა არ ითაკილა ჯალათის პოზაში
დადგომოდა თავის შეგირდს
კარლ ფაბრიციუსს სურათში: „იოანე
ნათლისმცემლის თავის წარკვეთა“.

მოჭრილი თავი, მიმწუხრის ფონზე,
ფიქრი, გარჩევა, განსჯა, კამათი,
და სურათის წინ წმინდანის პოზით
მდგარა რამდენი ნაღდი ჯალათი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვერცხლი

ყელსაბამს, ბეჭედს,
საყურეებს,
სამაჯურს, ბალთას.
ო, ჩემგან შექმნილს
თუ საჩუქრად
ვინმეს მიუტანთ,
არ დაგავიწყდეთ,
ამ ლამაზი
ნივთების გარდა –
შევქმენ იუდაც!

ჰაერი

ჰაერო, ნუთუ შენც გაიყიდები?
პ. ნერუდა

კაპიტალისტურ ქვეყნებში იყიდება ჰაერი.
გაზეთებიდან

სინდისი, ნიჭი, ენა და ჭკუა,
ხელი და ფეხი, ყური და თვალი,
გული და სული (საერთოდ თუა),
მთები და ზღვები, მიწა და წყალი,
ვარსკვლავი, მთვარე, სინათლე, მზეც კი,
სიცილი, ცრემლი, სიცხე თუ წვიმა.
რწმენა და ხატი, რჯული და ღმერთი
გაყიდულია დიდი ხნის წინათ.
მაგრამ შენ იყავ, ჰაერო, ერთი,
გაბმული სულში იმედის სიმად...
ეს არის უფრო მძიმე და მეტი
ვიდრე დახაუ და ხიროსიმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პრიმიტიულად ნათქვამი ლექსი

სხვამ როგორც სურს ისე თქვას,
არ ვუყურებ სულაც სხვას.
ქვას მე ვარქმევ მხოლოდ ქვას,
ზღვას ვუწოდებ მხოლოდ ზღვას.

მტკვერს ვუწოდებ მხოლოდ მტკვერს,
აღარ ვუცვლი ფერებს ფერს.
ჩემი საქართველოს მტერს
სულ უბრალოდ ვარქმევ – მტერს.

აღარც ნაკლებს. აღარც მეტს,
დარდს ვუწოდებ მხოლოდ დარდს.
მე უბრალოდ ვარქმევ ღმერთს
ჩემი რუსთაველის დარს.

სხვამ ისე თქვას როგორც სურს,
ყველას თავის მრევლი ჰყავს,
მე კი საქართველოს სულს
სულ უბრალოდ ვარქმევ
– ხალხს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხიდი

გამომცემლობა „მერანი“
თბილისი, 1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუზეუმი თბილისის ცის ქვეშ

მუზეუმი ცის ქვეშ, ტურისტების რიგი...
ვით უღელი კისერს, – სულს ამძიმებს ფიქრი.
გულო, რატომ ღელავ, სულო, რატომ შფოთავ,
გაქვს მარაბდის ველი, გყავს რუსთველი შოთა.
ეს შიში და კრთომა არის მეტის მეტი,
გაქვს ქალაქი კლდეში და ცხოველი სვეტი.
გაიხსენე ახლა წინაპრები შორი,
ის პატარა კახი, დიდგორი და გორი...
ვერ იხილავს ვერვინ იმ დროსა და იმ დღეს,
საქართველო ცის ქვეშ მუზეუმად იდგეს.

ლითონის სიმფონია

ვუძღვნი კობა გურულს

1.
სავსე არის დარბაზი
საქართველოს ფერით.
გულო, რამ დაგადუმა,
თუ ლითონიც მღერის.

ნიჭი ჩემი მამულის
ნახე, როგორ ბრწყინავს.
სილამაზეს უგალობს
საქართველოს რკინა.

სურათებში ნებივრობს
პოეზიის ხვითო.
ღმერთო, რა შესძლებია
სიყვარულს და ლითონს.

2.
ბედნიერი ის არის,
ვინც ეძებს და მიაგნებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოემატა სამშობლოს
კიდევ ერთი სიმაგრე.
დგას ლითონის ფირფიტა,
ფუნჯი და საჭრეთელი,
როგორც ციხის გოდოლი,
როგორც ციხის კედელი.

3.
სანამ ჩვენში იჭედება,
იძერწება,
იხატება
აკვანი და ქართვლის დედა,
სანამ სულში იხედება
საქართველოს ცხელი მზე და
საქართველოს ძველი სევდა.
სანამ სული კიდევ იბრძვის,
სანამ სული კიდევ დაობს,
სანამ კიდევ იქადნება
ალგეთი და ძველი ტაო,
იცოცხლებს და იდღეგრძელებს
თბილისი და სარუსთავო.

4.
თუ უბრალო ლითონს
ვათქმევინეთ ლილეო.
საქართველოს სული
არა, არ დაილევა.

დაიზაფრე, მტერო,
გაიხარე, მოყვარევ,
დაილოცოს მკლავი,
ამ დოვლათის მომყვანი.

დაილოცოს მიწა
ამ განძის და ბარაქის.
საქართველოს სოფელი,
საქართველოს ქალაქი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულ იმისი ცაა,
სულ იმისი მთებია.
მამულის სიყვარულს,
ღმერთო, რა შესძლებია.

5.
საქართველო იყო,
საქართველო არის.
საქართველო იქნება!
სანამ მასთან ვიქნებით
სიყვარულით, სურვილით,
გულითა და ფიქრებით.
სანამ არ გაგვიქრება
ჟინი შრომის,
ოცნების,
ბრძოლისა და მიგნების.
საქართველო იყო!
საქართველო არის!
საქართველო იქნება!

ქართული ლექსი

ბევრი წყარო და იმედი დაშრა
და ჩემს ბავშვობის დღეებს ჩავცქერი.
უთქმელი ფიქრი გულში თუ დარჩა,
თურმე ტყვიას ჰგავს მკერდში ჩარჩენილს,

გზებზე თუ მარტო სურვილი შეგრჩა,
თურმე სურვილიც არის უღელი...
გულს ყორანივით დაფლეთს და შეჭამს
დარდი ფარული და გაუმხელი.

ახლა მაოცებს ბავშვობის წლები,
იმ დიდი გულით და იმედებით.
დღეს შენს ფეხებთან ძაღლივით ვწვები
და შენი ცეცხლი ჩემს სულს ედება.

ახლა ჩემს თვალში ისე დიდდები,
შენი სიმაღლე უკვე მაშინებს.
წლების სათვლელი დამრჩა თითებზე,
ჩემი ქოხი კი ვერ ავაშენე.

ვინა ხარ, რა ხარ, მე ახლა ვიცი,
მაგრამ დღეს უკვე არის გვიანი,
შენ, როგორც ჩემი ქართული სისხლი,
ძარღვებს მითბობ და სულში გრიალებ.

ვინა ხარ, რა ხარ, გავიგე, ვიცი,
და მე მაოცებს სიკერპე ჩემი.
როგორც ქუჩები წვიმას და სიცხეს,
შენს სახელს მაინც ვერ გავექცევი.

შენს კალთას მაინც ვერ მოვეშვები
და შენზე ლოცვით წავლენ წამები.
ბოლოს იქნებ ჩემს გულსაც ეშველოს
მაგ შენი დიდი გულის წყალობით.

იქნებ იმდენი მადლი მაჩვენო,
დასაპურებლად ეყოთ იმედებს.
მე ვინ მომაჭრის, აბა, მარჯვენას
ჩემთვის წყალობას ვინ გაიმეტებს...

იქნებ კი სჯობდა წასვლა უთქმელად.
მაგრამ დღეს უკვე არის გვიანი...
შენ, როგორც სისხლი დიდი რუსთველის,
ძარღვებს მითბობ და სულში გრიალებ.

„ვისი სული გსურთ“

„ვისი სული გსურთ“ –
ბავშვების თამაშია

ცხადად ვხედავ სანახავს, სიზმარივით საკვირველს,
მიდის წუთისოფელი – ამღვრეული მდინარე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჩანს ორი საუფლო, მოჩანს ორი ნაპირი,
აქეთ ცოტა ღარიბი, იქით უფრო მდიდარი.

აქეთ ჩვენ ვართ, ცოცხლები,
იქით კიდევ მკვდრებია,
იქით სიმყუდროვეა,
აქეთ რიგში დგებიან.

– გვითხარ, ვისი სული გსურთ?! –
ეძახიან აქედან.
– პირველ რიგში კაი ყმის, ვაჟკაცის და ბრძენისა! –
ისმის მათი პასუხი
და მალულად გავხედავ
ქვეყნის მოჭირნახულეთ, მესვეურებს ერისას.

ნეტავ ვინ დაგცილდება....
სულს ეჭვები წეწავენ,
ნუთუ იგი –
ო, ღმერთო, მაგრამ ჯვარი სწერია.
ვაკვირდები სახეებს რიდით და მოწიწებით.
ნეტავ ვისი რიგია? ნეტავ ვისი ჯერია?

– გვითხარ, ვისი სული გსურთ?! – ისმის ისევ ძახილი
და საშინელ განაჩენს ველოდები მწუხრივით.
ჩამოთვლიან სახელებს
და საყვარელ სახეებს.
ვუმზერ და ვაკვირდები შიშითა და წუხილით.

ნუთუ ესეც დაგვტოვებს,
ნუთუ ისიც წავა და
ისევ ატირდებიან საქართველოს მგოსნები.
თითქოს გუშინ დაგვშორდა პოეზიის თამადა,
ნუთუ ისევ თბილისი ძაძით შეიმოსება...

მაგრამ ჟამსა წუხილის, ზარისა და გლოვისა
ვხედავ მოყმეს პირტიტველს რუსთავის თუ მარაბდის,
გამოხედვა არწივის, შემართება ლომისა,
ერთგულება მამულის თვით სამარის კარამდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელანდება კრწანისი და საფლავი სამასი,
ქვეყნის ყველა ტკივილი მისი გულის დარდია,
ვუმზერ და მეჩვენება –
სახე წმინდა საბასი,
ხმა კი ალბათ ასეთი ჰქონდა ცოტნე დადიანს.

დაჰკრავს ბრძენის სიდინჯე და ვაჟკაცის იერი,
და ღვივდება იმედი, როგორც პურის მარცვალი,
ოი, ღმერთო მაღალო! ოი, ღმერთო ძლიერო!
ოლონდ ცოტა ადროვე, ოლონდ ცოტა აცალე.

ოლონდ გეში აუღოს
გზას და საქმეს წინაპრის,
ოლონდ კარგად გვიმყოფე დედის გული კეთილი.
დღესაც ქართვლის დედაა
– საქართველოს სიმაგრე!
დარწეული აკვნები
– საქართველოს კედელი!

– გვითხარ, ვისი სული გსურთ?! –
მესმის ისევ ძახილი
და საშინელ განაჩენს
ველოდები მწუხრივით.
და საოცარ სახელებს,
და სალოცავ სახეებს
ვუმზერ
და ვეთხოვები
ცრემლითა და წუხილით.

ტერენტი გრანელი

სიმარტოვე წაშლის
ღამესა და ძილს.
ყოფნა მინდა ცაში,
მეწევიან ძირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც მიწა მელის,
მსურს თუ არა მსურს.
მიწა სხეულს შველის,
სულს რა ვუყო, სულს.

მსახიობი

1.

გლანძღავს,
გიყვირის
და ხელებს გიქნევს
სცენაზე ვიღაც მინისტრის ცოლი.
შენ თავდახრილი დგახარ და ითმენ,
რას იზამ, ამას მოითხოვს როლი.
შემდეგ ნელ-ნელა ეშვება ფარდა,
იცილებ სწრაფად სევდიან პარიკს.
ხარ, ნიჭიერი არტისტის გარდა,
მოსიყვარულე მამა და ქმარი.
ოჯახზე ფიქრით მიჰყვები ქუჩებს,
გადარდებს ისევ მეყასბის ვალი
და შეშფოთება აავსებს უცებ
რამპის სინათლით გადაღლილ თვალებს.
და სამი შვილის დარცხვენილ მამას
მეყასბე გლანძღავს, გაშინებს თითქოს,
შენ ისევ ითმენ,
რას იზამ,
ამას
როლი კი არა, ცხოვრება ითხოვს.

2.

ვერ ითამაშე სულელი კაცის
როლი –
და ეჭვებს ბოლო არ უჩანს,
გადაქანცული ფიქრებით, განცდით
მიჰყვები ხალხით ავსებულ ქუჩას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცნობ სახეებს უმზერ და გიკვირს,
გიკვირს და ლამის ბრაზმა დაგახრჩოს.
ნეტავ ამდენი გიჟი და ბრიყვი
ჭკვიან კაცის როლს როგორ თამაშობს!

* * *

მინაწერი ლადო გუდიაშვილის სურათზე „დიდების მოლოდინში“

პიედესტალები პატრონს ელიან,
ზარივით რეკავს სიცარიელე.
გზა კი გრძელია,
გზა კი ძნელია,
მიდის წლები და აღარ ილევა.
მტვერში მოჭრილი ყრია თავები.
პიედესტალი კი ცარიელია....
გზა მაინც გზაა
და გათავდება,
ჰოდა, ელიან,
ელიან,
ელიან...

ჩემი სოფელი

აგერ ჩემი ქუჩა,
ბეწვის ხიდი ზედ.
ბოლო აღარ უჩანს
ოხაჯურის ზვრებს.

ხობის წყალი ბიჭებს
აუწრიტავთ სულ.
ზოგი კალმახს იჭერს,
ზოგი ცირას გულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ ვიმარჯვე დროზე,
გაიხაროს სხვამ...
ყურშასავით მომდევს
ის ბავშვობის ხმაც.

ვეფერები ბაღებს,
ხეხილებს და გზებს.
ილოშნება ძაღლი,
იკბინება მზე.

სიცხე სოფლის ღელეს
არაყივით სვამს.
მგონი ვიღაც მღერის,
ეს მე ვარ
თუ სხვა.

მამა

... ღამეა, სარკმელს აწყდება ქარი,
და ამსხვრევს დუმილს ჩურჩული მამის.
ნეტავი რისი ბრალია, ქალო,
ბავშვი რომ ხშირად ახველებს ღამით?
ხვალ უსათუოდ მოვუტან წამალს,
ეტყობა ჰქონდა წუხელის სიცხე.
თორემ ზეგ ალბათ თავის გზით წავა.
იქ მარტოა და დარჩება ისე.
სიცივეა და ჩააცვი თბილად,
უცხო ოჯახში აკლია მოვლა,
ხომ იცი მუდამ უყვარდა ტკბილი,
ვინ იცის კიდევ როდისღა მოვა.
ეხ, როგორც იყო სწავლასაც მორჩა
და ბავშვი ახლა არ დაიკარგოს.
ცოდვაა, ქვეყნად მარტო რომ დარჩეს,
გვენახა ბარემ ის კარგი გოგო.
წასვლამდე თვითონ უთხარი რამე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭს სახლში თქმისა რცხვენია იქნებ...
მამის თვალებში ილევა ღამე
და ღამესავით გრძელია ფიქრიც.
არ ძინავს მამას და გული მამის
დარაჯად უდგას ჩემს გულის ფეთქვას.
ეს ერთი ღამეც, ეს თეთრი ღამეც,
ხვალ ალბათ თმებზე შერჩება თეთრად.
და იყო რაღაც საოცრად მწველი
მამის ჩურჩულით გამტყდარი წამი,
და მივხვდი, ჩემი სიცოცხლის წლები
ყოფილა თურმე ჭაღარა მამის.
მივხვდი, რა იყო ოჯახზე ფიქრი,
ის თეთრი თმები და დედის კალთა.
მამას რად შეჰყვა ოთახში ფიფქი,
მე რად დავტოვე ოთახის კართან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლექსები

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, 1969

29. 6. ჯალაღონია

* * *

წლები მიდი-მოდიან ჟრიამულით, ხმაურით,
მაგრამ მოდა როდია სიყვარული მამულის.

თუმცა ბევრი ხატია, თუმცა ბევრი ღმერთია,
არის ერთი სიცოცხლე და სამშობლოც ერთია.

თუმცა ბევრი გზებია სამზერი და სავალი,
არის ერთის სიკვდილი, არის ერთი სამარე.

სხვაგან არ იჯეჯილებს შენი პურის მარცვალი,
არის ერთი დედა და სხვები – დედინაცვალი.

შენი საძირკველია შენი მამა-პაპანი,
სხვაგან არ გაითლება შენი შვილის აკვანი.

უცხო ხე არ ივარგებს შენი კუბოს ფიცრებად.
თუმცა ბევრი რამ ხდება, ბევრი რამე იცვლება...

წლები მიდი-მოდიან ჟრიამულით, ხმაურით,
მაგრამ მოდა როდია სიყვარული მამულის.

ემიგრანტი

აღარ მასვენებს ცოდვილი სული
და გულს ვიოხებ ლოცვით და ცრემლით,
სამშობლოვ ჩემო!
– ან იქნებ სულაც
უფლება არ მაქვს გიწოდო –
„ჩემი“.

ქართულო მიწავ, ქართულო ცაო,
დანატრებულო შენს გულს და კალთას,
ისევ საკუთარ იღბალთან ვდაობ,
თორემ სადაო რაღა მაქვს სხვასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, უცხო მიწის და უცხო ქვეყნის
აღარც მასპინძელს და აღარც სტუმარს,
იქნებ სასჯელად ის ტანჯვა მეყოს,
რაც იმარტვილა უშენოდ სულმა.

ვიცი, კისერზე რა ცოდვაც მადევს,
მაინც ვარ შენი ხორცი და სისხლი,
თუ არა დედაშვილობის მადლი,
სხვა ვერაფერი ქვეყნად ვერ მიხსნის.

გამოსაჩენი არა მაქვს პირი,
მე კარგად ვიცი, მე კარგად ვხვდები.
სამშობლოვ! შენი ლხინი თუ ჭირი
არ მიზიდია საკუთარ მხრებით.

ილევა გული, შეჭმული ჯავრით,
წლები კი არა, დარდები მკლავენ.
ვაგლახ! – სხვებისთვის დამწვარო ჯანო.
ვაგლახ! – სხვებისთვის დამწყდარო მკლავო.

რა ბრალიც მიძღვის, მე ვიცი თვითონ,
და ყველა სასჯელს მივიღებ უხმოდ.
ვაი, ამაოდ მომცდარო ფიქრო,
ვაი, ამაოდ გამცდარო მუხლო.

ავიტან კიდევ უარესს, ტკივილს,
მაგრამ სანამდე გავუძლო სირცხვილს.
უცხო მიწაზე ქალივით კივის
სხვისთვის დაღვრილი ოფლი და სისხლი.

მკაცრი ხარ,
მაგრამ მაინც ხარ დედა.
ულირსი,
მაგრამ მაინც ვარ შვილი.
ალბათ ამ ცრემლებს შენ გულით ხედავ,
შენ ტანი გიგრძნობს ალბათ ჩემს ტკივილს.

თუმცა სიცოცხლე მიჭირავს კბილით,
ოხერი გული მაინც შენ გეძებს.

ეს ჩემი სული – ეშმაკის კერძი
უსაქართველოდ ვერა და ვერ ძლებს.

მაინც გთხოვ საფლავს და კუბოს ფიცარს,
თუმცა არა ვარ ამისი ღირსი.
გამოკიდული ცასა და მიწას
მე – აღარც შენი და აღარც სხვისი.

დავეხეტები ვითარცა მწირი,
გადაჩვეული ღიმილს და სიცილს...
დამსუსხე შენი იანვრის ყინვით,
გამშოლტე შენი ივლისის სიცხით.

აჩუქე ისევ შენი მზის სითბო
შენზე ოცნებით დაშრეტილ თვალებს.
და შემდეგ თუკი ინებებ თვითონ
ჰა, ჩემი თავი, და შენი ხმალი.

ოღონდ მაღირსე, მაღირსე ისევ,
შენი წყლისა და ჰაერის გემო.
სხვისი უღელით დაღლეტილ კისერს
შეუნდე ცოდვა,
სამშობლოვ ჩემო!

აბო ტფილელის ძეგლი

სხვა ჰქონდა გვარი, რჯული და ფერი
და სხვა სიტყვებით უმღერდა მზესაც,
გადაავიწყა მას ყველაფერი
ქართულმა ზეცამ.
არც ოქრო-ვერცხლი, არც ლალის თვალი...
ამ ტრფობის წილად – სასჯელი მკაცრი.
... და შერჩა თბილისს დღემდე, ვით ვალი,
ბრინჯაოს ძეგლი არაბი კაცის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინ იცის, იქნებ ასედაც მოხდეს,
იქ არაბეთში დაიდგას ძეგლი
წარწერით:
– რაკი ამ ძეგლთან მოხვედრ,
თუკი სცემ პატივს შენს ცას და მიწას,
მამულის ტრფობით გული თუ ღელავს,
თუ მიწა შენი სიცოცხლედ იცან,
ვინც უნდა იყო, რაკი აქ მოხვედრ,
ამ კაცს, გარეწარს, უღვთოს და ოხერს,
ვინც უღალტა სამშობლო მიწას,
შემოაფურთხეთ თვალებში ყველამ.
ვინ იცის, იქნებ ასედაც მოხდეს,
კვარცხლბეკზე დადგეს თბილისის ახლოს,
წარწერით:
– რაკი ამ ძეგლთან მოხვედრ,
რაკი ამ კაცის სამარე ნახე,
ვინც უნდა იყო, კარგად იცოდე,
ამ საფლავის წინ დადგები როცა,
თუკი სცემ პატივს ჩვენს ცას და მიწას,
და საქართველოს სინდისს და სახელს,
შეუნდე იმ კაცს, თუკი აქვს ცოდვა
და ნუ მოაკლებ საფლავში ლოცვას.

ძალიან ცოტა ბედაურს შერჩა

გადაურბინა დედის ჩრდილს კვიცმა
და გაოცებით შეჩერდა რემა,
გაჰყვება დედის თხოვნა და კიცხვა
აწყვეტილ სულის ძახილს და რიალს:
„ – ნაცნობ ბილიკებს მიჰყევი ისევ,
მიენდე დედის გზასა და გუმანს.
ბევრი ფიქრი და ოცნება იცის
ახალგაზრდულმა სისხლმა და გულმა.
შენი წლების და მუხლების კივილს
ძალიან ნუღარ აჰყვები, შვილო... “

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმც შვილის ყველა წუხილს და ტკივილს
დედის გული და სიტყვები შველის,
მაინც წინ გარბის ჯიუტი შვილი
და სიხარულით ყმუიან მგლები...
შორდება დედის სითბო და ჩრდილი
და ელანდება ახალი გზები.
ახალ სივრცეებს ეძახის, უხმობს
ახალგაზრდული სისხლი და სული,
და თუ არ ეყო ძალა და მუხლი
ქარიშხალივით აწყვეტილ სურვილს,
ან სვავი დაფლეთს, ან მგელი შეჭამს,
გალაღდებიან ძერები ძვლებით.
ძალიან ცოტა ბედაურს შერჩა
ახალი გზის და ბილიკის ძებნა..
მაინც მიჰყვება მუხლების კივილს,
მუხლების კივილს თუ ბედისწერას.
და ურჩი შვილის უჩინარ სურვილს
უდაბნოები ხმაურით წერენ.
მაინც შორდება ძვირფასი სახე,
მინდვრები გრძნობენ მუხლების ღონეს,
დაიგდებს კარგი მერანის სახელს,
ან გაახარებს დამშეულ ყორნებს.
ან გაიკაფავს საკუთარ ბილიკს,
ანდა ამ ცდაში ნადირი შეჭამს...
და ელანდება მას დედის ჩრდილი,
რომელიც ნაცნობ ბილიკებს შერჩა.

მიტოვებული ეკლესია

შემოხვევია წლები მუმლივით,
კედლებს სიკვდილის ფერი ედება.
ტყის სიჩუმეში მისი დუმილი
ჰგავს მომაკვდავი კაცის ვედრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარი უენო და ტანშიშველი
ჩამომხრჩვალივით თოკზე ქანაობს,
ხატები ცისკენ ხელებს იშვერენ,
მაგრამ ამაოდ, მაგრამ ამაოდ.

* * *

წლები შლის ფუნჯით
სვეტიცხოვლის კედლის სურათებს,
წლები შლის ფუნჯით...
ცა არის ლურჯი,
ისე, როგორც ასი წლის წინათ,
ცა არის ლურჯი.
წლები შლის ფუნჯით
საფლავებზე ნაწერ სტრიქონებს,
წლები შლის ფუნჯით.
გაშიშვლებულა სვეტიცხოვლის
თაღი და ჭერი.
ახლა ვიგონებთ
აწ გამქრალი სურათის ფერებს, –
მერე? –
იმ კედლის დადგება ჯერი,
მერე? –
იმ ლოდის დადგება ჯერი,
მერე?..
ცა კვლავ იქნება ლურჯი.

* * *

რა ჩიტის გული გქონია,
და სულს ფიქრები წეწავენ...
ჯერ კიდევ დილა გვგონია
და ღამე წამოგვეწევა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წუხილით თუ გაოცებით
შუა ბილიკზე ვჩერდებით.
მოვალთ რამხელა ოცნებით,
მერე რა ცოტას ვჯერდებით.

გზათა სიმძიმე გვაჩერებს
და გზას გავყურებთ ჩეროდან.
მერე ვიღაცა გვაჯერებს,
რაც ადრე არა გვჯეროდა...

* * *

მახარებდა ადრე გაფრენილი წლები,
მიხაროდა ადრე მომატება წლის...
ახლა წლები მიდის, –
გული რატომ მწყდება,
ახლა წლები მიდის. –
ნეტავ რატომ მწყინს?!

ჩემი ბავშვობის სურათი

დღეებსაც თურმე ეცვლებათ ფერი,
როგორც ქუჩებს და სახლის კრამიტებს,
ძველ სურათებში დავეძებთ მერე
თვალებს მიმნდობებს და მიამიტებს.

მე მივეჩვიე ბევრის ატანას,
ზოგჯერ სიცხეს და ზოგჯერ სიცივეს:
– მომნატრებია, ბავშვო, პატარავ,
ეგ უდარდელი შენი სიცილი.

მომნატრებია ძველი ოცნება,
როგორც ნაზამთრალ ირემს აპრილი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე მოვესწარი ბევრ საოცრებას
და ვერაფერი ვერ გამაკვირვებს.

დღეები, როგორც ძველი მეკობრე,
ფიქრებს მტაცებენ და გამირბიან...
მე ახლა ხშირად ვკარგავ მეგობრებს,
მიზეზს ვეძებ და ვერ გამიგია.

თუმცა დღეები ძვირად მიჯენენ –
მე მაინც მჯერა ჩემი ბილიკის.
ახლა ეს გული ცოტა იჯერებს,
ადრე კი, მგონი, იყო პირიქით.

მომნატრებია თვალი ალალი,
სურათიდან რომ მორცხვად მიმზერენ...
თურმე ყოველთვის წლები არ არის
თეთრი თმების და დარდის მიზეზი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმაღლე

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“
თბილისი, 1964

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყვავილების მიწა

მზე და აპრილი ელვრება ქუჩებს,
თბილისი ტანზე გაზაფხულს იცვამს,
და ჟრუანტელად დამივლის უცებ:
– იყიდეთ მიწა!
ყვავილის მიწა!

იყიდეთ მიწა! – ეს ორი სიტყვა,
მწარე დარდით და წუხილით მავსებს,
ცრემლების წვიმას, ტყვიების სეტყვას
თითქოს კვლავ ვხედავ თბილისის თავზე.

– იყიდეთ მიწა! – ეს ორი სიტყვა,
სიმღერასავით ესმოდა სულთანს.
შემდეგ ვაჭრობდა იუდა დიდხანს
და საქართველოს გაყიდვა სურდა.

საქართველოს კი ქება და ფასი
ემატებოდა, კიდევ და კიდევ,
მონღოლი,
თურქი,
არაბი,
სპარსი...
რა დაულევდა ჩვენს მიწას მყიდველს.

– იყიდეთ მიწა! – ეს ორი სიტყვა
გარდასულ დღეთა წუხილით მავსებს.
და მე ვიგონებ ტყვიების სეტყვას
და სისხლის წვიმას თბილისის თავზე.

ვიგონებ ყველა დაცემულ ვაჟკაცს,
ვინც მტერს და სიკვდილს არ დახვდა ლაჩრად,
ვისი სახელიც თბილისში დარჩა,
ვისი საფლავიც თბილისში არ ჩანს.

ვინც მტერს მარაბდა დაუსვა ძვირად
და ახლაც მხოლოდ შენდობას ითხოვს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იქნებ მათ საფლავს წაართვით ძილი,
იქნებ მათ საფლავს წაართვით სითბო.

ხომ მიწად იქცა თამარის ძვლები,
და ახლა იქნებ იმ მიწას ჰყიდდით,
ჩვენ კი თვალები გვეღლება ძებნით,
ჩვენ კი დავდივართ კიდიდან კიდე.

ის მიწა, ახლა რომ ჰყიდით გროშად,
ის მიწა, ასე ცივად რომ უმზერთ,
წინაპრებს ჩვენსას იმ მძიმე დროში
ავგაროზებად ეკიდათ გულზე;

რომ გული მუდამ ჰქონოდათ მტკიცე,
რომ მკერდი მუდამ ჰქონოდათ თბილი;
მიდიოდნენ და შეკრულნი ფიცით
ერთ მუჭა მიწას აკლებდნენ თბილისს.

მიდოდნენ და მამულის მადლი
ბორკილთან ერთად მიჰქონდათ უბით,
შემდეგ ის მიწა ხდებოდა მათი:
სამშობლოც,
 ცრემლიც,
 საფლავიც,
 კუბოც.

მიდიოდნენ და მამულის ცდაზე.
ეხარჯებოდათ ჯანი და ფიქრი.
სიკვდილს, მოვარდნილს სამშობლოს ცაზე,
ეზიდებოდნენ სამშობლოს იქით.

და ჩვენი მიწა, თბილისის მიწა,
მარაბდისა თუ კრწანისის მიწა,
დამწვარი ცეცხლით, დამწვარი სიცხით,
ვინც საქართველოს თამარი მისცა,
ვინც საქართველოს რუსთველი მისცა,
არის დაღვრილი ცრემლი და სისხლი.

ეს არის ჩვენი მამების ძვლები,
რომლებიც შემდეგ მამულად იქცა;
ეს არის ჩვენი დედების ძვლები,
რომელიც დედასამშობლოდ იქცა.
ეს არის ჩვენი განვლილი წლები,
რომელიც ქართლის ცხოვრებად იქცა.
და მუხლმოყრილი მე გეხვეწებით:
ნუ ჰყიდით მიწას!
ნუ ჰყიდით მიწას!

მერცხლები და ბუდეები

მე ვადღეგრძელებ, ვინც ვერ დაბრუნდა,
ვინც დაიღალა გზებით, ქარებით...
ვისაც ტრფიალი ამ ცის, ამ ბუდის
ჰქონდა დარდივით გაუქარველი.

მე მას ვიგონებ, ვისაც უყვარდა
ფრენა,
სიმაღლე
და სივრცეები,
ვინც გზებს გაუვალს, ბილიკს უკვალოს
გაუწაფავი ფრთებით შეება.

ვინც ბუდის ნახვას ვეღარ ეღირსა
და სადღაც დარჩა მკერდშელეწილი,
ვინც წერა გახდა დიდი გზებისა
და უგზოობას ვინც შეეწირა.

გაზაფხულამდე ვინც არ იდროვა
და იყო ბედთან შეურიგალი,
ვინც გვერდის ავლა აღარ ინდომა,
ვინც შეალეწა ფრთები გრიგალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისაც ეწადა და ვერ დაბრუნდა,
სადღაც გაუწყრა მადლი გამჩენის.
... და მე ვიგონებ დაღლილ ბუდეებს,
ბუდეებს ჯერზე მარტოდ დარჩენილს.

ვისაც სიმშვიდე არ უწერია,
ვინც ებრძვის დღეებს და სიმარტოვეს,
ბუდეს, რომელსაც სითბო სწყურია,
ბუდეს, რომელიც ადრე დატოვეს.

ვისი სიცოცხლეც ლოდინს უნდება,
დასავიწყებლად კი არ იმეტებს...
მე ვადღეგრძელებ დაღლილ ბუდეებს,
იმ დიდ მოლოდინს, იმ დიდ იმედებს.

კედლები

კედლები დგანან მზესა და ჩრდილში,
და ჰგავს ლოდინი ალესილ დანას.
ძეგლებს მუხლებში უდგებათ შიში,
და ძეგლებივით კედლები დგანან.

ნათელი შუბლით, დასისხლულ მკერდით
ბევრის სახელებს მზესავით ასწევს.
ისმის ღაღადი ნატყვიარ კედლის:
„აქ, ამ ადგილას, ამა და ამ წელს...“

და როგორც ფანჯრებგაღებულ ოთახს
ან არქივიდან ამოსულ ფურცელს,
სახელს და საფლავს, მიგდებულს ოხრად,
მოემატებათ სინათლე უცებ.

ხშირად ხომ მარტო კედელმა იცის,
გზები სად შეწყდნენ, გზები სად შედგნენ.
... და სახლებს ძალით წართმეულ სიცილს
უბრუნებს დიდი დუმილის შემდეგ.

ზოგის საფლავს კი გაუდის ფერი,
ზოგის საფლავს კი კარგავენ ბოლოს...
და სახელები ძალიან ბევრის
იმსხვრევა, როგორც ჭიქები ბროლის.

თავის ცხოვრებით მიდიან წლები
და თეთრ სივრცეებს დუმილით კვეთენ,
ბევრის სიცოცხლე კედლთან წყდება
და მეტი მართებთ სიმტკიცე კედლებს.

2000 წელი

თავისუფლებისათვის მებრძოლ აფრიკას

შორსა ხარ, მაგრამ მე თითქოს გხედავ,
დაღლილს ბრძოლებით, ფიქრით და ძებნით..
საუკუნენი სილაში სხედან,
მორჩილად სხედან განვლილი წლები.

ეს შენ იქნები მსაჯული ბევრის,
ეს შენ იქნები მოსარჩლე ბევრის,
ეს შენ იქნები სირცხვილი ბევრის,
ეს შენ იქნები დიდება ბევრის.

და ახლა, თუკი იტანენ შიმშილს,
და ახლა, თუკი კვდებიან ბრძოლით,
და ახლა, თუკი გელიან შიშით,
და ახლა, თუკი გელიან ძრწოლვით,

იცოდე, შენ ხარ წუხილი მათი,
იცოდე, შენ ხარ იმედი მათი.

ახლა კი...
თითქოს შორიდან გხედავ,
დაღლილს ბრძოლებით, ფიქრით და ძებნით,
საუკუნენი მორჩილად სხედან,
და შენს განაჩენს ელიან წლები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაჟა-ფშაველა

სამშობლო იყო შენი ხატება
და ყველა შენი ლექსის სახელი.
დაგთენებია ხშირად ხატობას
და არაყივით გისვამს ნაღველი.

ათასი ღმერთი და უღმერთობა
იყო შურის და მტრობის სარდალი...
მთას მარილივით აკლდა ერთობა
და ყველა ხევი იყოს სადავო.

სხვა სადარდელი ჰქონდა სანათას
(დიდი წუხილი ზოგჯერ უტყვია),
მაშინ ხანჯალი წერდა სამართალს
და განაჩენი მიჰქონდა ტყვიას.

სხვა იყო მათი ბედის ვარსკვლავი,
მათი ლაშარი და მათი ქრისტე.
ფშაველს გაკრული მუცალის მკლავი
საიერიშოდ ეძახდა ქისტებს.

თუ იყო, ისევ ჩვენი ცა იყო
შენი გულის და ლექსის ღადარი,
მწარე წარსული ჟამმა წაიღო,
როგორც გიგლიამ მკლავი თათარის.

ისევ დაზრდილან ალგეთს ლეკვები,
და ყვავ-ყორნები დაუხოციათ,
ჩამოჯარულან ჩარგალს ლეკები
და შენს ნაკვალევს ჩუმად კოცნიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზები და შენ

შენი ძაგებით გული იჯერეს
და... გულში მაინც დარჩა უცვლელი.
ზოგი ყველაფერს უმალ იჯერებს,
ზოგი ყველაფერს ეჭვით უცქერის.

მე რაც მარგუნა ერთხელ განგებამ,
ისევ მივყვები ბედის არჩევანს;
თურმე ძნელია გზების გაგნება
და უფრო ძნელი – გზების არჩევა.

მაინც რა არის თურმე ის სევდა,
ცამდე მართალი გზა რომ გიტოვებს.
თუმცა სიკვდილი მოვა ისედაც,
სიკვდილს დაეძებ ზოგჯერ თვითონვე.

მაშინ გწყურია ბედი ლოთების
და ღვინოს მაინც არ ეკარები.
დღეები, როგორც ხმელი ფოთლები,
იფანტებიან წვიმით, ქარებით.

ცვალებადია გზებიც ქარივით,
უცბად იწყება, უცბად თავდება,
გზებიც ითხოვენ ზოგჯერ ქალივით
ერთგულებას და თავის დადებას.

ცვალებადია გზებიც ქარივით,
ხან გამტანია, ხან მუხანათი;
ერთ დროს ერთგულ და ლამაზ ქალივით
გზებმაც იციან ზოგჯერ ღალატი.

ყველა თავის გზას არქმევს უცოდველს,
ყველა თავის გზით ეძებს სინათლეს,
ყველა თავის გზას მართალს უწოდებს
და ღმერთმა უწყის მათი სიმართლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტის ნათქვამი

1909 წელს იროდიონ ევდოშვილი რუსეთის შორეულ გუბერნიაში გადაასახლეს.

დამადუმებენ ალბათ კარგა ხნით,
და დუმილისთვის ნუ მემდურები.
აცდენილი ვარ დარანს კალმახი,
კვალში მიდგანან მებადურები.

ვინ იცის, იქნებ ასეც მოხდება,
ეს ერთგულება ძვირად დამისვან...
პოეტი კაცი ერთხელ მოკვდება,
მაგრამ ბატონად არვის დაისვამს.

მე რაც ვიყავი, ისევ ისა ვარ,
ისევ ერთგული, ისევ ალალი.
და ტყვიით წერტილს თუ დამისვამენ,
არ დამიტირებს ალბათ არავინ.

ჩემო ხატო და ჩემო უფალო,
ფიქრის გორავ და წყალო ალაზნის;
რადგან სიცოცხლე მიდის უბრალოდ,
სიკვდილი მაინც მერგოს ლამაზი.

არქივი

თუმც ხშირად ფარავთ წლები და მტვერი,
ბევრი რამ ძალუძთ დაცრეცილ ფურცლებს...
არის დუმილი და თავის მტვრევა,
არის დუმილი და, შემდეგ უცებ...

თაიგულები აკლდება საფლავს,
საფლავს არავინ უვლის და იცავს,
საფლავი იწევს დაბლა, სულ დაბლა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელისგულივით სწორდება მიწა.
არის დუმილი, და შემდეგ უცებ...

ძველ სამარესთან ბილიკი მოდის,
ბალახი მიდის სამარის იქით.
დავიწყებული საფლავის ლოდი
მაღლდება როგორც ნათელი ფიქრი.

არის დუმილი, და შემდეგ უცებ...
რამდენი თვალი წუხილით უმზერს,
რამდენი თვალი იმედით უმზერს
გაყვითლებულ და გაცრეცილ ფურცლებს.

მიტოვებული გზები, ხატები

სიყვარულივით არის მარადი
მხოლოდ იმედი, მხოლოდ ოცნება.
ცოტაღა რჩება კუბოს კარამდი
ერთგული ძველი გზის და ლოცვების.

მოენატრება ბილიკს „მგზავრული“
და მოგონება ჩადის გულამდე...
ძველი ზარების ხმა გაბზარული
ჟრუანტელივით უვლის გუმბათებს.

და უღიმღამო დღეებს კენკავენ
ძველი ხატები, ძველი ზმანებით...
მაინც რეკავენ, მაინც რეკავენ,
არ დუმდებიან მაინც ზარები.

თითქოს დამსხვრეულ სულში გროვდება
და ეფინება სივრცეს მწუხრივით
მიტოვებული ხატის გოდება,
მიტოვებული გზების წუხილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზების გარდაცვალება

მუდამ ძნელია იმ გზის მიგნება,
რა გზითაც შემდეგ უნდა იარო;
არის წუხილი და დაფიქრება
გზაჯვარედინთან, –
გზაზე კი არა.

გზებსაც შური კლავთ თურმე იმგვარი,
თურმე სიხარბე ბევრის წყლულია...
გზებიც ითხოვენ სიგრძე-სიგანეს,
მეტი სივრცე და მგზავრი სწყურიათ.

გზები იბრძვიან... მერე და მერე,
ისევ ახალი ბრძოლა იწყება,
შემდეგ ნელ-ნელა მოდის სიბერე,
მოდის სიბერე და დავიწყება.

გზის ერთგულებას ცოტა იჩემებს,
გზას ხმაური და მგზავრი აკლდება...
გზათა სიკვდილი – მოდის სიჩუმე
და იწყებს ძველი გზების აკლებას.

ბოლოს ჟამი და ქარი წახვეტავს
და დასრულდება ასე წვალებაც...
მხოლოდ ცა უმზერს, მხოლოდ ცა ხედავს
ბებერი გზების გარდაცვალებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისტორიის გაზაფხული

სახელმწიფო გამომცემლობა
ბათუმი, 1959

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალავერდი

ჩვენს მიწაზე დაიბადო, – არ იმღეროო, სირცხვილია.
ძირს დახედავ, წყაროო მღერის, ცაზე მთვარის სიცილია,
სავარდე და საბუღბუღე, იქით კიდევ ღერწამი და...
ვინც მოვიდა, ვინც გვიხილა, უსიმღეროდ ვერ წავიდა.
ირმის ერთი ნახტომია, მერცხლის ერთი გადაფრენა,
ნუ მოვესწროთ მის ზეცაზე შავი ღრუბლის გადაფენას.
სიცოცხლე და სიხარული თვით გამჩენმა დაგვიბედა,
და თუ მტერი გულხადარი შინ მოხდომას გაგვიბედავს,
განა სისხლი გაგვიწყალდა! განა გული დაგვიბერდა!
განა ჩვენს ცას გაუხუნდა ლაზათი და ძველი ეშხი!
საქართველო დაჩოქილი არ ყოფილა თავის დღეში,
არაგველთა ცხელი სისხლი კიდევ გვიდუღს საგულეში!
ალავერდი საქართველოს, მტრებიანს და მოყვრებიანს,
გამარჯვების გზაზე მიდის, გვერდით ძმები მოჰყვებიან.
ალავერდი! გორის მიწას, ახალ სამგორს, ახალ რუსთავს,
ალავერდი! დედათბილისს,
საქართველოს გულს და სუნთქვას.
ალავერდი! ყველა ოჯახს, უმაყროს თუ მაყრებიანს,
ალავერდი! შავდალალა ქალებს, თვალებმაყვლებიანს,
ალავერდი იმ შავტუხას, ალავერდი იმ ხალიანს.
არწივების ჯილაგის ვარ, დავდივარ და მიხარია.

* * *

არ მასვენებს საქართველოს სალოცავი –
რუსთაველის საფლავი და
ის პირველი შოთას „ვეფხისტყაოსანი“.
ჩვენი სიბრძნის სარწყავი და
მტრების ჯავრი
სად წავიდა?!
არ მასვენებს თამარ მეფის უნახავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიშრისფერი ნაწნავები,
არ მასვენებს ქეთევანის ცხელი გული,
ალავერდში დამარხული,
ისპაჰანში ნაწამები.

ვინ დამავიწყოს

ბრძოლით დაღლიათ ვაჟკაცებს მკლავი,
ხმალი ბრძოლაში გაუცვეთიათ,
ასე მგონია, ცაზე ვარსკვლავი
ჩემს წინაპართა სისხლის წვეთია.

მაინც მკლავში რა ძალა გვქონია,
ამდენ ჭირ-ვარამს რომ გავუძელით,
მე საქართველო მუხა მგონია,
ფესვმაგარი და ტანგაუთლელი.

თუმცა ათასჯერ მოითარეშეს,
გული ათასჯერ გამთელებია,
სამშობლოვ, შენი ტრფობის გარეშე
ერთი დღეც ნუღარ გამთენებია.

სისხლით ძღებოდა ტალღა მდინარის,
შენი ფესვი კი ველარ მოთხარეს,
მტრებით იყავი მუდამ მდიდარი,
სანთლით ეძებდი ქვეყნად მოყვარეს.

შენს საძირკველში, შენზე მზრუნავი,
რამდენი გული ჩაუკირიათ,
ზოგი კვდებოდა, როგორც ზურაბი,
ზოგი კვდებოდა, როგორც კვირია.

გვწვავდენ და მაინც შენ არ დაიწვი,
ველარ გხედავდა მტერი დარდიანს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ დაივიწყებს სამშობლო მიწის
ტრფობით გათანგულ ცოტნე დადიანს!

ვინ დაივიწყოს მკლავმოულლელი
პატარა კახი, ვეფხისა სწორი,
ბერი კრწანისი, ჩვენი ნაღველი
და საქართველოს ბედის სასწორი;

ველი მარტყოფის, ველი მარაბდის
ან სააკაძის მკლავი ქებული,
ქართვლის ერთგული კუბოს კარამდი,
სამშობლოს გარეთ დაბერებული;

ვისაც მამულის ნათელი ადგათ
და უკვდავება ერგუნათ ბედად.
ბრძოლის ველიდან ვინც ველარ ადგა,
ვინც დავაჟკაცდა და ვერ დაბერდა.

დღეს შენი მიწა სამოთხეს მოჰგავს,
გადაფენილი ბაღ-ვენახებად,
ვაგლახ იმ ქართველს, ვინც სხვაგან მოკვდა
და ჩვენში აღარ დაიმარხება.

დეკემბერი სარფს გაღმა

დეკემბერის სუსხი დადის,
იკბინება ყინვა მწარედ,
გასჩენია ვაჟკაცს დარდი,
არ შორდება ქოხის კარებს.
– ბიჭი არის, – გოგონებმა,
მიახარეს უმალ მამას.
– ბიჭი არის?! – შავ ულვაშებს
სიხარულის ცრემლი ნამავს.
– მეზობლებო, – თქვა და წამით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხმა წაართვა გულის ფეთქვამ,
მისი დაბადების დღეა,
დე, ჩემს შვილსაც სოსო ერქვას.
შავად მოჩანს ციხის კარი,
საკანს შმორის სუნი უდის,
კუთხეში დგას პატიმარი,
ფეხზე ადევს რკინის ხუნდი.
გარეთ ზეცა ფიფქებს მარცვლავს
და მინდორი გულმკერდს ივსებს,
მსაჯული კი ეგზომ მკაცრი
ეკითხება ტუსაღს ისევ:
– რა დაარქვი?
– სოსო!
– რატომ,
სხვა სახელი გაწყდა განა?
ჯაშუში ხარ, კარგად გატყობ,
ფულზე ყიდდი ჩვენს ქვეყნას.
– რად დავარქვი? თუ გსურთ ასე,
მომისმინეთ, ბარემ გეტყვით,
ყველაფერი წაგვიბილწეთ
მშობლიური
გულის მეტი
და ამას კი აღარ დავთმობთ,
ჰა, მომკალით, სხვა რა გინდათ,
მეყვარება ეგ სახელი,
სანამ პირში სული მიდგას.
ჰა, მომკალით, თქვენი გული
იქნებ დაცხრეს სისხლით მთვრალი.
რად დავარქვი?
იმიტომ, რომ
ეგ სახელი ერქვა სტალინს!

***

უცებ თოფმა დაიქუხა,
ხმა გადაწვდა ღამის წყვდიადს,
მოდის იგი არაკაცი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც ესროლა ტუსაღს ტყვია.
რა ხალხია, – ფიქრობს ბრიყვი, –
ათასობით დავამიწეთ,
მიწა რაა, ჯერ ქართული
სახელიც ვერ დავავიწყეთ!

* * *

დაბადებით ყველა ქართველი პოეტია...
ოვანეს თუმანიანი

ყველა ქართველი ლექსის კაცია,
მეც ვარ ამ მიწის ფესვი და შვილი,
ეს გულიც ლექსებს გაუტაცნია,
ვით პალიასტომს ტივი დაშლილი,
ძარღვებში სიტყვა სისხლად მოლელავს,
ღვინის არა და ლექსის ლოთი ვარ,
გავჩენილიყავ ყარაჩოხელად,
ერთ სადღეგრძელოს, მართლაც ლოთიანს,
მაინც ვეტყოდი ჩემს ივერიას,
ჩემი გულის და სულის საკირეს...
თორემ დღეს სხვები ისე მღერიან,
ლექსით სამშობლოს ვერ გავაკვირვებ.

არსენას საფლავთან

შენ ლურჯა ცხენი გიყვარდა, მეც ლურჯა ცხენით მოვედი,
შენ პურ-მარილი გიყვარდა, მეც პურ-მარილით მოვედი,
შენ ძმაბიჭები გიყვარდა, მეც ძმაბიჭებით მოვედი.
შენ გულმართალი გიყვარდა, მართალი გულით მოვედი.
მოვედით შენი სტუმრები, სტუმარი მუდამ გინდოდა,
გვეგონა დაგვიხვდებოდი მგზავრებს მუხფერდის მინდორთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ვაი, რომ საფლავში შავმა სიკვდილმა ჩაგრაზა
ნალქაფიანი ლურჯაით ვერ აამღერებ შარაგზას.
მოვედით, შენი საფლავი ვერ წარუშლია ქარ-წვიმებს:
მოვედით და შენს სამარეს ღვინო და ცრემლი ვაწვიმეთ.
თუმც დაუნდობმა გულებმა შენი გული არ დაინდეს,
არ გიჭამია მტრის ჯავრი, სევდა ვალად არ დაიდე.
სუფრაზე შემოგისწრეს და მტერსაც არ დახვდი უნდოდა,
შენ კახურ ღვინოს ასმევდი, მათ შენი სისხლი უნდოდათ.
აბა მტერს რაღა დალევდა, ვაჟკაციაო მტრიანი,
შენ პურს აჭმევდი, იმათ კი მიწა გაჭამეს მტვრიანი.
იქნებ დაჭრილს და დასისხლულს სატრფოს ალერსი
გიხსნიდა,
იქნება წყურვილს იკლავდნენ ყორნები შენი სისხლითა.
ჰაი დედასა მტრისასა... დამიწდი ხალხზე ზრუნვაში.
მცხეთის მინდორზე მოგვესმა ბიბინი შენი ულვაშის.
... ცხრალარიანი ფრანგული ალგეთში დახრა ქვიშამა,
გაშავდეს მისი მარჯვენა, მიჯნური ვინც გაგიშავა,
პირსისხლიანი ხანჯალი ვინც შენს ჩოხაზე გაწმინდა,
თუ მტრებმა ტყვია გაწვიმეს, მართალთა ცრემლი გაწვიმდა.
შენ ყველა დედამ გიგლოვა, ყველა ქალწულმა გახსენა,
ჩვენ ყველა ქართველ ვაჟკაცებს ვარქმევთ კაკოს და არსენას.
შენი მზის დამბნელებელი ის პარასკევი დაიწვეს,
იმდენ შენდობას გითვლიან, რამდენი ყანწიც აიწევს.

ბათუმო!

მე შენი სისხლი ძარღვში მიღელავს,
თუმც შენი ძუძუ არ მიწოვია,
ბათუმო ჩემო, შენზე სიმღერა
გულის ფიცარზე მომიძოვია.

გინახავს ბევრი მოხეტიალე,
რომ გილოცავდა გულს და მარჯვენას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან რომ მიჰქონდათ შენი ტრფიალი,
როგორც ლალი და როგორც მარჯანი.

შენს წმინდა ჰაერს ხარბად სუნთქავდა
შენი მიწისთვის ავის მსურველიც,
შემდეგ მიჰქონდათ ვერაგ სულთანთან
შენი სახელი როგორც სურნელი.

და... უსინჯავდნენ შენ მიწას გემოს
მახვილით, ენით, შხამით და სისხლით,
შენთვის ბორკილი მოჰქონდათ გემით,
უკან ატანდი ლაფსა და სირცხილს.
შენს გულზე ვინ არ გადაიარა,
მაინც გადარჩი რაღაც თილისმით,
სამას წელიწადს, როგორც იარა,
ისე გატარა დედათბილისმა.

თვითონ ხარ მოწმე, ადრე რაც იყავ,
კისერზე უღლად გადგა სიმწარე,
დღეს შენი ქარხნის საარი მიყვარს,
შენი ბაღი და ქუჩის სიმწვანე.

მიყვარს, სიცილით მზე რომ ჩაივლის
და შენს ნაპირთან ტალღის შაირი,
შენი ანკარა ჰაერის სუნთქვა,
შენი სინდისი ნამივით სუფთა.

შენზე სიმღერა მართლაც ძნელია,
ვის არ უქია შენი ქველობა.
ეს შენი მიწაც ისე ძველია,
როგორც შავი ზღვა და ქართველობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთიადი ზღვის სანაპიროზე

დალლილი მთვარე ზღვაში ჩაწვება,
მთას წაენთება ჭიაკოკონა,
შეუწითლდება ზეცას ღაწვები,
ვით პაემანზე მოსულ გოგონას.

ნაპირს ზმორებით მოლოკავს ქარი
და შემდეგ ძალას ზღვაზე მოსინჯავს.
ხომალდები კი, ნაპირთან მდგარი,
გააბოლებენ ყალიონს დინჯად.

გემი „საქართველო“ სტამბოლში

ღამემ კალთა აიხვეტა
ზღვა იხუტებს გულში მთვარეს.
ეს ამდენი ხალხი ნეტავ
რამ შეჰყარა ამ ცისმარე.
ასე ხშირად რატომ ისმის:
– გამატარე!
– გამატარე!

– გამატარე! ვნახო ერთი,
შორით მაინც მოვკრა თვალი.
– გამატარე! არ გწამს ღმერთი?–
იხვეწება ვიღაც ქალი.

ჩვენებური თვალები აქვს,
ვენაცვალე ქართულ მიწას,
ალბათ, მისი პაპის პაპა
აქ იშვა და აქვე მიწვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას კი ბედმა, შავმა ბედმა
სულ სხვაგვარი გზები მისცა,
თურქულ სახელს ატარებს და
საქართველოს სახელს ფიცავს.

საქართველოს სახელს ფიცავს,
არ უნახავს თუმცა თვალით,
გულთან ახლოს სურათი აქვს
რუსთველის და თამარ ქალის.

არ უნახავს ალავერდი
არც თბილისი სასახელო,
მაინც დედას არქმევს იგი
რუსთაველის საქართველოს.

– გამატარე! ვნახო ერთი,
შორით მაინც მოვკრა თვალი.
– გამატარე! არ გწამს ღმერთი?–
იხვეწება ვიღაც ქალი.

ჰეი, ქალო! დაო ჩემო,
უპატრონოდ დაგიგულეს?!
გემი მაინც დაანახეთ
მშობელ მიწას მონატრულებს.

თბილისს

მოვალ, შენს ძუძუს დავეწაფები,
როცა არც მწყურვალი ხარი ირემი,
შენს მკერდში მიდგას გულის ძარღვები,
ალბათ უშენოდ გადავირევი.

და შენს ქუჩებში მოხეტიალე
ეს გული ისე დაათილისმე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსით არა და, შენი ტრფიალით
გავეჯიბრები ყველა თბილისელს.

თუკი შენს ცაზე ისევ გაწვიმდა,
ისევ მოგიხდნენ ხმლით და ფარებით.
თუ დაემუქრნენ ცეცხლით მთაწმინდას,
ერთ საფლავს მეც კი გადვეფარები.

დაე, გულს დამკრან ასი ისარი,
ვეღარ გასტეხონ ჩემი სიმტკიცე,
შენ მეყოლები დასაფიცარი,
აბა, უკეთესს ვის დავიფიცებ.

ფიქრს არ მოვიხვევ გულზე დარდებად,
აღარ ჩამყვება საფლავს სირცხვილი.
მე იმ დღეს ჩავთვლი ჩემს დაბადებად,
როს მეღირსება შენთვის სიკვდილი.

არიხილო

ხალხს იმ ადგილისათვის, სადაც შაჰ-აბასმა ბავშვები კევრით აალეწვინა, „არიხილო“ შეურქმევია.

არ ვიხილო ის ადგილი,
გულმა როგორ გაძლოს ნეტავ,
სადაც შვილი კევრით ლეწეს,
სადაც ძუძუ მოსჭრეს დედას.

სადაც ჩემი წინაპარი
მიწას ცოცხლად დამიმარხეს.
ქართველს გულმა ვით გამიძლოს,
ის ადგილი თუ ვერ ვნახე.

სადაც მოყმე, ლომის გვარი,
სამშობლოზე ლოცვით მიწვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

–არიხილო რას მიქვიან.
მუხლს მოვუყრი მე იმ მიწას.
მუხლს მოვუყრი ჩავიხუტებ,
ფეხსაც აღარ დავაკარებ,
მკერდში ერთი გული მაქვს და
ასი გულით შევიყვარებ

* * *

ცეცხლოვან შაირებს მიყვება ბუხარი,
იწვება წიფელა...
ეს გულიც იწვება,
სანაცვლოდ მე ერთი ლექსიც ვერ
ვუთხარი.
იწვება გული და,
ლექსი არ იწყება.

ვუყურებ, შეშა რომ იწვება შიშინით,
წითლდება წიფელა...
ვწითლდები სირცხვილით.
ეტყობა, ბუხარმა მოიკლა შიმშილი
და ახლა რატომღაც მიყურებს სიცილით.

ვაჭკაცის გული

მთვარე გადასცდა მთების მწვერვალებს,
უკვე დაბნელდა და მერე როგორ...
განშორების წინ ბიჭმა მღელვარედ
წრფელი ამბორი მოსთხოვა გოგოს.

დამედევნეო და თანხმობასაც
მიჯნურს ამცნობდნენ სატრფოს თვალები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაჟკაცის გული ქალის კვალს გაჰყვა,
თვითონ კი ადგა დიდის წვალებით.

ზოგჯერ დასცდება ბაგეს ჩივილი,
როცა სიარულს წუხილიც ახლავს,
ომში მოჭრილი ფეხის ტკივილი
ვაჟკაცმა მხოლოდ შეიგრძნო ახლა.

დამედევნეო, ცალფეხა კაცმა
როგორ მისდიოს გაფრენილ მერცხალს,
შეჩერდა გოგოც ელდანაკრავი,
თავისი ქცევის თვითონვე შერცხვა.

შეჩერდა, ერთხანს უმზერდა რიდით,
უფრო მოხიბლა ვაჟის სიკარგემ,
ბოლოს კი კრძალვით მივიდა იგი
და ეამბორა ვაჟკაცის ბაგეს.

უმღერე, თბილისო!

შენ, მკვდრეთით აღმდგარო ლექსების ოსტატო,
სტრიქონში ჩამდნარო ლექსების თილისმავ,
წინათ შენ უმღერდი, დე, ახლა თვითოვნე
გიმღეროს თბილისმა.

უმღერე, თბილისო, უმღერე ტიციანს,
ვინც გულის ფესვებიც რითმებად აქცია,
უმღერე, მის სახელს ჟანგი არ მოედვას,
ის ისევ კაცია.

მოკვდაო, ეს ალბათ წამოგცდა, თბილისო,
ლექსების ქარიშხალს ვინ დასთმობს სამიწედ!
რა მოკლავს ლექსების და მუზის მეუფეს –
ტიციან ტაბიძეს!

დაუმთავრებელი სიტყვა

ი. ჭავახიშვილის ხსოვნას

„ჰო საქართველო“!.. თქვა და გულმაც
შეწყვიტა ფეთქვა,
სად შეწყდა სიტყვა, გულს უთქმელი
რა დარჩენია,
იქნებ თამარის კვალს წააწყდა,
ის სურდა ეთქვა,
დღეს ქართველობას გულზე ვალად
რომ დაგვრჩენია,
გარდაიცვალა... განა მოკვდა?
შავი სიკვდილი
ვერა, ვერ მოკლავს ქვეყნად
ასეთ ადამიანებს,
მეისტორიეს რომ გამორჩეს
მისი სახელი,
თვით საქართველო დაუდგება
მემატიანედ.

ნიკო სულხანიშვილის ხსოვნას

წუთისოფელი ოხერ-ტიალი,
კარგი გული და კარგი გონება,
ბედი, ძაღლივით მოხეტიალე,
გამოგატანა მამამ ქონებად.

გამოგყოლია სირაჯხანიდან
ჩარჩის ვალი და სიტყვა უშვერი,
შენი მზე ქვეყნად ისე ჩავიდა,
ღვინით გულის დარდს ვეღარ უშველე.

წაიღე ლოთი კაცის ტიტული,
ალბათ მედუქნის ვალებიც გაგყვა,
ბედით დამწვარი, ღვთის გაყიდული,
სიმღერით შეხვდი სიცოცხლის გაყრას.

არ აუნთიათ თაფლის სანთელი,
არ ჩაგყოლია ცრემლები დედის,
საფლავს წაიღე ბევრი სათქმელი,
ადრე დაკაცდი, ადრე დაბერდი.

ბოლნისის ქვით და თეთრი სადაფით
არ შეუმკიათ შენი სამარე.
შენი მთაწმინდა გახდა სარდაფი,
და კაცს, დარჩენილს ბედის ამარად,

სიმღერა გქონდა ერთი განძი და
სვებედამომწვარს ისიც მოგპარეს,
შენთვის ამ ქვეყნად ცრემლიც გაძვირდა,
თორემ ვინ ჩივის ძმას და მოყვარეს.

ღმერთო, სიმართლე აბა სად არის!
მართლაც, თამაში არის ცხოვრება...
უღვინოდ მოკვდი ლოთთა სარდალი,
არ გაგყოლია სიტყვა „ცხონებაც“.

* * *

თუ ადუღდები, კმარა ლოდინი,
თორემ დღეები ჩუმად მიდიან.
რამ დაგადუმა, გულო, ლოდივით,
როცა ძარღვებში ცეცხლი მინთია.

ჩემი სიცოცხლის ფესვი მოგანდე,
როგორც ცა ანდობს აპრილს ღიღილოს.
ერთი ისეთი ლექსი მოვარდეს,
რომ საქართველომ ჩაიღიღინოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალი, რომელიც გიყვარს

გამომცემლობა „ზანი“
თბილისი, 2003

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი, რომელიც გიყვარს

ბევრი იმედი გაწბილდება,
ბევრი ოცნება გაცივდება...
მაგრამ არასდროს არ გცილდება –
ქალი, რომელიც გიყვარს.

ხანდახან ყოფნა გაძნელდება
და სიმარტოვე გაგრძელდება...
მაგრამ არასდროს არ გბეზრდება –
ქალი, რომელიც გიყვარს.

წლებმა იციან გამეტება,
სულს ბინდისფერი დაედება...
მაგრამ არასდროს არ ბერდება –
ქალი, რომელიც გიყვარს.

კაცის სიცოცხლე ხანმოკლეა,
მალე ბალახი მოგედება...
მაგრამ არასდროს არ მოკვდება –
ქალი, რომელიც გიყვარს.

* * *

შენ ვარდი ხარ გადაშლილი
და მე წვიმად მინდა მოსვლა.
აბა, ცხადში ვინღა ჩივის,
შენი თავი სიზმრად მომცა.

შენს ნატერფალს გულდაჭრილი
დავკოცნი და ჭირსაც მოვჭამ,
აბა, შენს თავს ვინღა ჩივის,
ოღონდ შენი ჩრდილი მომცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

კალმახის თუ თართის ფასი,
ვინ თქვა, აღარ ითქმის წყალში.
სხვას არა გთხოვ, ერთხელ მასვი,
შენ რომ წყარო გიდგას თვალში.

სიცოცხლესაც ჩავთვლი არად,
გულსაც ფიანდაზად გავშლი,
ოღონდ ერთხელ გამატარა
მაგ წამწამთა ხეივანში.

* * *

დღეს სიცოცხლე შენი
ჰგავს აპრილის რტოს,
მაგრამ, როგორც შველი,
მაინც გარბის დრო.
ბოლოს მაინც მოვა
ის დეკემბრის თვეც,
დაიწყება თოვა
და წაბლისფერ თმებს
ნელა, ნელა, ნელა,
გაათეთრებს სულ.
დასცილდება ყველა
დაბერებულ სულს.
ო, ამ ლამაზ თვალებს,
ასე თბილს და კარგს,
დრო არ შეიბრალებს,
დრო გაატანს ქარს.
შემორჩები მარტო
შენს დარდსა და გზებს...
დღეს ვიღაცის ხატო,
დღეს ვიღაცის მზევ!
არჩევანს და ლოდინს
ნუ შეასხამ ფრთებს,
ჩქარა... თორემ მოდის
ფოთოლცვენის თვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

წავალ, წამყვება შენი უარი,
როგორც ღამეთა თეთრად თენება.
მე მოველოდი უფრო უარესს, –
უმიზნო დღეებს და მოსვენებას.

ისევ მექნება ტკბილი სიზმარი,
ჩუმი სევდა და სველი თვალები.
შენ დამიბედე ბევრი სიზმარი
მომავალ დღეთა ფერისცვალების.

წავალ, წამყვება შენი უარი,
როგორც განძი და როგორც წვალება,
მე მოველოდი უფრო უარესს,
მაგრამ დამინდეს შენმა თვალებმა.

* * *

შემოეჩვია ივნისს ავდრები,
წვიმს და ვიგონებ საუბარს შენსას.
ვიცი, ამაღამ ისევ ავდგები
და ღამეს ღია თვალებით შევსვამ.
თითქოს გემი ვარ უმეზღვაურო,
მიტოვებული – გემი ბებერი,
და ჩემს ფიქრებში ისე ხმაურობ,
როგორც გვირაბში მატარებელი.
ღამის დუმილი და იდილია
სხეულში მატანს, როგორც სიცივე
და შენზე ფიქრი ისე ტკბილია,
როგორც ოდესღაც შენი სიცილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განდაგანა

იღადრება ყელი სტვირის –
აბა ტაში,
აბა ტაში,
წრეს გაარღვევს ჯეირანი,
ტანს შეარხევს, ხელებს გაშლის.
დავედევნე –
დავეწევი?
სიხარული ნახეთ მაშინ.

დოლი ისეთ დღეში არის
ააცეკვებს ალბათ კლდესაც.
დავიღალე, როგორც წინათ,
შემარცხვინე, ქალო, დღესაც.

მაგრამ გწამდეს, ამ გულს, კარგო,
ვერ წაუხვალ განდაგანა,
ცეკვაში თუ დამიჯაბნე,
სიყვარულში დამღლი განა?

ჩემო ახლო მეზობელო

ვთვალე, ვთვალე, ვერ დავთვალე
გზა სავალი შენამდე,
ემალები ამ ჩემს თვალებს,
როგორც მწყერი შევარდენს.

მივიტანე ჩემი დარდი
შენი სახლის ეზომდე,
რა ვქნა, თუკი შემიყვარდი
შენი კარის მეზობელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულში ისე შემოხვედი,
ჩემთვის არვის უკითხავს...
კარგი თვალით შემომხედე,
გაბუტული ნუკი ხარ...

ვთვალე, ვთვალე, ვერ დავთვალე
გზა სავალი შენამდე,
გამირბიხარ, გენაცვალე,
როგორც მწყერი შევარდენს.

ნეტავ რისთვის მემალები,
ლამის დარდმა დამახრჩოს,
რა ვქნა, სხვისთვის მენანები,
ჩემი ბაღის ყაყაჩო.

* * *

როგორ არ მსურდა, როგორ არ მსურდა,
ეს დღე და წამი მაინც მოვიდა.
უკან ვაბრუნებ მოპარულ სურათს,
და სიმარტოვე ისე მომინდა,
როგორც, ოდესღაც, თვალები შენი.

ძველ წერილებში ვეძებ შენს სახელს,
დაწერილს ადრე რიდით და თრთოლვით
და ისე დნება ძვირფასი სახე,
როგორც აპრილში მოსული თოვლი.

თურმე არ იყო გულის კარნახით
შენი ნათქვამი, შენი ნაწერი,
უცებ დამისხლტი, როგორც კალმახი,
და ცარიელი დავრჩი ფაცერი...

მე მაინც შენზე ფიქრით ვივსები,
მაინც ვწუხვარ და მაინც გიგონებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე შენს ღიმილს და სიცილს ვიხსენებ,
როგორც საყვარელ ლექსის სტრიქონებს.

როგორ არ მსურდა, როგორ არ მსურდა,
ეს დღე და წამი მაინც მოვიდა.
უკან ვაბრუნებ მოპარულ სურათს
და სიმარტოვე ისე მომინდა,
როგორც, ოდესღაც, ღიმილი შენი.

* * *

არ მოველოდი დასასრულს ასეთს,
მაგრამ შენ გსურდა და ასე მოხდა,
და ახლა შენი სურათი ავსებს
ღამის სიჩუმით გაგუდულ ოთახს.

ახლა ჩვენს შორის აღმართულ დუმილს
ვუყურებ, როგორც ალესილ ხანჯალს,
და ჩემს ფიქრებში დარჩენილ იმედს
სიცოცხლესავით ვუვლი და ვხარჯავ.

* * *

თუმცა გულს შენი ალერსი სურდა,
ძვირფასო, მაინც დამირჩი შორი.
ალარ მიშვებენ შენს მაღალ სულთან
აგორებული შური და ჭორი.

ჩემი სიცოცხლე სავსეა შენით,
თუ მიხსნის, შენი სახელი მიხსნის.
ქვეყნად უშენოდ გავლილი დღენი
მაკლდება, როგორც დაღვრილი სისხლი.

თუმც, სიჭაბუკის სურვილს და წადილს
არ დასდგომია აღდგომა ჯერაც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი სიმართლის ყოველთვის მწამდა,
შენი სიმართლის დღეს უფრო მჯერა.

* * *

გატეხილია სიტყვა და ფიცი,
როგორც უმწეო კაცის ვედრება,
და მინასავით დამსხვრეულ სიცილს
ინაწილებენ სახლის კედლები.

ჰგავდა ღამეში უეცარ კივილს
ის სიცილი და ის შეშფოთება.
ასე იტანენ ხეები ტკივილს,
როცა ქარიშხალს მიაქვს ფოთლები.

ყველა სათქმელი და სამდურავი,
თითქოს ნისლივით წაიღო ქარმა,
ვერ მოიგონებ სასჯელს უარესს,
თუ დაგამარცხა სიცილით ქალმა.

და რომ კმაროდეს მარტო სურვილი, –
ძვირფასო ჩემო, ამაში მენდე, –
შენი კარგი და ღამაზ სულისთვის,
ვიოცნებებდი სიკვდილის დღემდე.

* * *

იმ სიყვარულის ღირსი არა ვარ,
ასე უხვად რომ გამოიმეტე.
ჩემი სული ჰგავს აშლილ ქარავანს
და ბილიკივით ვეძებ იმედებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული კი არა, გზები გაიყო,
გულს არ მიუძღვის ბრალი სრულიად...
ის გატაცება ნეტავ რა იყო,
თუკი ეს ღამე დასასრულია...

* * *

რატომ ვიგონებ ნეტავ იმ ტკივილს,
დღესაც უმწეო სული რად წივის,
რად მეჩვენება მე დღესაც თბილი
შენი თვალები, საოცრად ცივი.
ჩემთვის უშენოდ განვლილი წლები
დარჩა ვით წყალზე გავლილი კვალი
და გული უფრო იმაზე მწყდება,
სხვებისთვის მხოლოდ აღმოჩნდი ქალი.
შენ იყავ ჩემი სულის ნუგეში,
როცა შემოვრჩი ცხოვრების ქარებს.
ვხედავ, დღეს ვიღაც აღებს უხეშად
ჩემთვის უღმერთოდ დაკეტილ კარებს.
შენ ახლა გავხარ იმ დაცლილ საყდარს,
რომელსაც ბევრი მლოცველი ახსოვს.
ჩემი ფიქრი კი წრიალებს სადღაც,
მაინც შენს ირგვლივ, მაინც შენს ახლოს...
ო, ამ სიყვარულს შენ ნუ იფერებ,
შენ არ მიგიძღვის წვლილი ამაში,
ეს ძახილია ალბათ სიბერის
ანდა, უბრალოდ, ბედთან თამაში.
ანდა, იქნება მე მეჩვენება
და ყველაფერი არის სურვილი,
ეს გატაცება, ეს გახსენება
სასთუმალია დაღლილ სულისთვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მურმანის არია

სიყვარულისთვის! – მერგო ზიზღი წარუხოცავი.
სიყვარულისთვის! – მიწას შევრჩი ეკლად მცოცავი.
სიყვარულისთვის! – გავიყიდე სულით ხორცამდე.
მაინც არვინ არს ჩემი შემწე და დამლოცავი.
სიყვარულისთვის სხვა საზღაურს არც მოველოდი
სიყვარულისთვის! – შევურიგდი ბორკილს მონობის.
სიყვარულისთვის! – წამებული დავრჩი ბოლომდის,
მითხარ უფალო! რატომ მერქმის მაინც ბოროტი?

ლავანდას

გიმზერ, გიყურებ და მე ვლონდები
და ვრჩები შიშველ ფიქრის ამარა.
მე ვაკვირდები და მაგონდება
ყველა ლამაზი ქალის სამარე.
ვიცი, ვინ იყავ, ვიცი, ვინა ხარ
და მე მაჟრჟოლებს ნახვა ბალახის.
მე შენი სახის ეშხი მინახავს,
შენი სიბერე არ დამანახო.
ის ოცნებები მომყვა აქამდე,
ბავშვობის წლებში რომ გავახარე,
სანამ შენს გათხრილ საფლავს ვნახავდე,
მიწა თვითონვე შემომაყარე.
გიმზერ, გიყურებ და მე ვლონდები
და ვრჩები შიშველ ფიქრის ამარა.
გიმზერ და...
ნეტავ, რად მაგონდება
ყველა ლამაზი ქალის სამარე.

მინდა ლექსებით გადავარჩინო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან წაიღებს ამ ლამაზ ფერებს,
რადგან არ იცის ჟამმა დანდობა,
ო, როგორ მინდა წლებს და სიბერეს
წავართვა შენი ახალგაზრდობა.

რადგან მე ვიცი, მე კარგად ვიცი,
დრო როგორ გარბის, რა გამძაფრებით,
სწორედ ამიტომ შენს ლამაზ სიცილს
ლექსებში ვაქსოვ გულის ძაფებით.

რადგან ეს გული შენი ტყვე არის,
შენი ტყვე არის ჩემი გონებაც.
ეგ ბროლის ყელი, ტანი – კენარი,
მინდა ვაქციო მე სტრიქონებად.

ზოგჯერ ოცნებით თუ შეგეხები,
ისიც პოეტის სული იქნება.
მე მინდა შენი „ირმის ფეხები“
გადავაქციო ლექსის რითმებად.

მინდა სულ იყო ასე უცვლელი,
სულ იხარო და სულ იმაისო,
ეგ შენი ბაგე, ვარდის ფურცელი,
ჩემს ლექსში დარჩეს სამარადისოდ.

შენ, ჩემო ხატო და თვალისჩინო,
ახლა ჩემს გულს და სულს რომ ანაზებ,
მინდა ლექსებით გადავარჩინო
შენი სიცოცხლე და სილამაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

თუმც გულგრილობით გამთელე და ასე დამაზრე,
განშორების წინ გულახდილად გეტყვი ამასაც,
შენ შეიძლება შეგიყვაროს ჩემზე ლამაზმა,
მაგრამ ვერავინ შეგიყვარებს ჩემზე ლამაზად.
თუმცა დადიხარ გამარჯვებულ ქალის იერით,
შენი სურვილით უსუსურით და მიწიერით...
შენ შეიძლება შეგიყვაროს ჩემზე ძლიერმა,
მაგრამ ვერავინ შეგიყვარებს ჩემზე ძლიერად.

პარალელური მოტივები

1.
ვარდი შენს სუნთქვას ოხვრას აყოლებს
და საოცარი არის მსგავსება.
ჰგავს შენთან ყოფნა მზის სიახლოვეს
და გაზაფხულის ფერით ავსებას.

უკვე უშენოდ მიჭირს გაძლება,
მაგ სილამაზეს მე სად წავუვალ –
და მინდა დიდხანს, დიდხანს გაგრძელდეს
ჩემი თვალების დღესასწაული.

2.
იყავ რამდენის იმედი, დარდი,
ოცნებებში რომ სიზმრად გიცდიდნენ.
დასეირნობდი რუსთველზე ვარდი
და ლარნაკივით გულებს გიწვდიდნენ.

უარყავ ყველა... ის ვარდიც გახმა
და შერჩი მარტო შენს სიმარტოვეს.
ასე მგონია, იმ ფრესკას გავხარ,
დანგრეულ კედლებს რომ შეატოვეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

რა შორიდან მიმზერ მშვიდად,
როცა ასე მკაცრობს ბედი.
ახლა, ახლა, ახლა მინდა
მოხვიდე და მყავდე გვერდით.

როს ეკლიან გზაზე მივალ,
მინდა გზას და ბილიკს ჰგავდე.
როცა გული ასე მტკივა,
მაშინ მინდა გვერდით მყავდე.

რა შორიდან მიმზერ მშვიდად,
როცა ასე მკაცრობს ბედი.
მე კი ახლა, ახლა მინდა
მოხვიდე და მყავდე გვერდით.

* * *

ის წერილებს და სურათებს წვავდა,
მდინარე ვერეს ახრჩობდა ნისლი.
სიმარტოვის და ცრემლების გარდა
არავინ იყო გამგები მისი.
წვავდა ყალბ სიტყვებს, ღიმილს და სიცილს,

რომელსაც ერთ დროს
ის გულით ენდო.
ეყარა ფერფლი გატეხილ ფიცის
და მისი სულიც ცეცხლივით ენთო.

ელანდებოდა ის ვარდის ფერიც,
დღეები სავსე იმედით, რწმენით.
ალბობდა ცრემლით
და წვავდა მერე
საყვარელ სურათს და ძვირფას წერილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქრობდა ცრემლი ანთებულ ასანთს,
აქრობდა ცრემლი და მაინც წვავდა
მას, რაც ულირდა სიცოცხლის ფასად,
რაც გაგიჟებით სჯეროდა, სწამდა.

გულამღვრეული ოხრავდა ვერე,
გულგატეხილი ტიროდა ქალი...
ჭაღარა ფოთლებს და ყვითელ ფერებს
მიაცილებდა ნოემბრის ქარი.

ქალის თმები

მოგონებები თეთრი აპრილის
აღარ მცილდება არასდიდებით,
თმები, შენს მხრებზე ოქროდ დაღვრილი,
დაფეთებული ჩემი თითები.
ვიცი, რომ ვგავდი მაშინ ისედაც
კაცს,
უდაბნოში მარტოდ ჩარჩენილს,
და დაღლილ სულს და ფიქრებს მივსებდა
შენი ლამაზი თმების ჩანჩქერი.
ქალის თმა თურმე ზოგჯერ ზღვა არი,
ქალის თმა ზოგჯერ ქარიშხალია
და ის სიმთვრალეც თურმე სხვა არი,
კაცი რომ ქალის თმებით მთვრალია.
სასაცილოა ახლა ამაზე
ფიქრი და...
მაინც, სევდა მერევა.
ო, როგორ მინდა შენი ლამაზი,
შენი ლამაზი თმის მოფერება.
ო, როგორ მინდა, იმ სიბერის ზღვარს
ისევ ოცნებით გავეთამაშო.
ო, როგორ მინდა, შენი თმების ზღვა,
შენი თმების ზღვა კოცნით დავაშრო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რადგან მიილტვის და მიაქვს წამებს
ჩემი სიცოცხლე, სიტყვა, სათქმელი.
ო, როგორ მინდა, ორი ნაწნავი
წინ მენთოს როგორც ორი სანთელი.
მინდა ლამაზ წლებს, ფიქრში ჩარჩენილთ,
ფეხქვეშ დავეგო და ვეხალიჩო,
შენი ლამაზი თმების ჩანჩქერში
გადავვარდე და თავი დავიხრჩო.

სიყვარულის პალიმფსესტი

სული ისევ დგება ცერზე,
ცის ბილიკებს ისევ ვეძებ,
გულზე, როგორც პალიმფსესტზე,
ისევ ვაწერ ახალ ლექსებს.

ისევ ვხედავ ლამაზ სიზმრებს,
არ მაშინებს თმების ფერი.
მაფშალია მიზის სიმზე,
მაფშალია ისევ მღერის.

ქალი ისევ იქცა ხატად,
ისევ მუხლზე ვდგები მის წინ.
მადლობა ღმერთს, რომ გამხადა
ისევ სიყვარულის ღირსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე შენ გელოდი

„გაღებულია სამოთხის კარი“.
ტ. ტაბიძე

გამიღიმე და მართლა ვირწმუნე, –
ქალის ღიმილი ყველაფერია.
არცერთ ასაკს და წლებს არ ვიწუნებ,
თუ ბულბულები სულში მღერიან.

რადგან სიყვარულს ვარ მინდობილი,
აღარ მაწუხებს წლები სრულიად.
ეს ჩემი თმები შენზე ლოდინით
გათეთრებული ჩემი სულია.

ასე მგონია, მე შენ გელოდი
და ჩემი წლები ხარკად გავიღე,
ალბათ შენა ხარ ის ანგელოზი,
მე რომ სამოთხის კარებს გამიღებს.

პოეტის ტკივილს სხვა ვინ გაიგებს,
თუ არა ისევ გული პოეტის.
წლები სანთლებად ჩამოვარიგე
და სალოცავად შენთან მოვედი.

ხომ ოდითგანვე არის ცნობილი,
რომ სულს ჭაღარა არ ეკარება,
და ვდგავარ ახლა ხელაპყრობილი,
შენს გულთან, როგორც საყდრის კარებთან.

ვინ დაუწესა სიყვარულს წლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იობის რწმენა და მოთმინება
ებრძვის ამქვეყნის ამაოებას.
თუ სიყვარულმა მოსვლა ინება,
ეს ნიშნავს ღმერთთან მიახლოებას.

უფლის წინაშე თანაბარია
გული პოეტის, მეფის, მეგუთნის.
ცოცხალიც იყოს, მაინც მკვდარია,
გული სიყვარულს თუ არ ეკუთვნის.

როცა ამქვეყნად ყოფნა ძნელია,
კაცს სიყვარული უდგას ნუგეშად.
აბა, სიბერე რა სათქმელია,
სიყვარულს წლები ვინ დაუწესა.

თუმც ლამაზია გაზაფხულის ცა,
თოვლის ფიფქებიც ხომ სულს ანაზებს.
ყველა დროს, ყველა ასაკს კაცისას
აქვს თავის ეშხი და სილამაზე.

რისი ჭაბუკი, რისი ხნიერი,
ის არის ყველა სულის სალბუნი.
სული ყოველთვის არის მშიერი,
თუ სიყვარულით არ დავაპურეთ.

წლები და ფერი სიყვარულისა,
ვინ დათვალა და ვინ გაარჩია,
ამაღლებაა ცაში სულისა,
სულს კი ასაკი არ გააჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარული

„სიყვარულო, ძალსა შენსა...“
მეც ასი წლის შემდეგ ვამბობ.
მოგონება ცრემლებს შესვამს
და გაყინულ დღეებს ალბობს.

დამზრალ გულს და დამშრალ ფიქრებს
შენი მადლი უნდა ისევ,
კვლავ დაადგამ უღელს იქნებ
ჩემს დაღლილ და ბებერ კისერს.

თუნდაც გულქვას გადამკიდე,
იმ გულს ფერფლად შემაყარე,
ოღონდ ერთხელ, ერთხელ კიდევ,
კიდევ ვინმე შემაყვარე.

მასზე დარდით კვლავ დამღალე,
დარდი ლექსად მათქმევინე,
უძილო და თეთრი ღამე
უღელივით მათრევინე.

რაც არ უნდა გამიჭირდეს,
ის სიზმრები უნდა ვნახო.
სანამ საფლავს გამითხრიდნენ,
მის თვალებში დავიმარხო.

თუნდ ამავსე ყალბი ფიცით,
შარბათის წილ შხამი მასვი.
გულმა ახლა უფრო იცის
ნაღდი სიყვარულის ფასი.

თუნდ ჯოჯოხეთს შემახედე,
კედელს ცერცვად შემაყარე,
ოღონდ კიდევ შემახვედრე,
ოღონდ ისევ შემაყვარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანას

წუთისოფლის მაცდურ გზაზე
ჩემს ეკლიან ბილიკს მივდევ.
წასვლა სჯობს თუ დარჩენა სჯობს,
წავიდე თუ არ წავიდე?..

გარეთ კვნესა ისმის არღნის
(ეს უნდოდა ამ გულს კიდევ?),
მითხარ, ყოფნა ღირს თუ არ ღირს,
წავიდე თუ არ წავიდე?..

შორით გზაა უსასრულო,
შენც რა ცეცხლი წამიკიდე,
მიპასუხე, მითხარ, სულო,
წავიდე თუ არ წავიდე?..

* * *

დამწიფებული ორი მტევანი,
ორი მწვერვალი და სატევარი,
ფიქრით, ოცნებით ღამის თევანი,
დარდით, სურვილით თითთა მტვრევანი...
ვერ დაამარცხა მაინც ვერავინ,
ვერავინ ვნახე მისი მძლევარი.

საავადმყოფოში

დოდოს

ალბათ ქალური გუმანით
მიხვდები, როგორც წესია,
პოეტის გულის მკურნალი
სიყვარული და ლექსია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცია კაცის ტკივილი,
სიხარულიც და სინათლეც.
შენი ლამაზი ღიმილი
სიცოცხლესავით ვინატრე.

სულსა კლავს სულის სიცივე,
გული რომ გულს ემინჯება.
ექიმო, შენ რომ იცინი,
ყველა ტკივილი მირჩება.

ალბათ უთქმელად მიხვდები,
როცა საქმე გულს ეხება,
წამალზე უფრო მიხდება
შენი თითების შეხება.

ოცნებასავით მოედე
ამ გულს, ისედაც ნაღვლიანს.
ფრთხილად, ექიმო, პოეტის
გული ხანდახან ნაღმია.

თუ ფიქრს და სურვილს გადაჰყვა,
მაშინ, მერწმუნე ამაში:
იცოდე, ცეცხლთან თამაშს ჰგავს
პოეტის გულთან თამაში.

განა გყვედრი და გიჩივი,
მაგრამ, იმგვარად ამანთე, –
გულის მორჩენას ვინ ჩივის,
გული საერთოდ წამართვი.

მაგრამ უფრო ის მაშინებს,
ამ გულს ახლა რომ უშველო,
ახლა რომ გადამარჩინო,
მერე რა გაძლებს უშენოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტავ რად მესიზმრები

რად მახარებს შენზე ფიქრი
და სახელის ხსენება,
ეგ თვალებიც ძველებური
ეშხით რად მეჩვენება.

რატომ ნატრობს ნეტავ გული,
ისევ შენთან შეხვედრას,
ნეტავ ისევ რატომ მაკრთობს,
შენი სახის შეხედვა.

რატომა ხარ ჩემთვის ისევ
სანთო და სასურველი,
ნეტავ ისევ რატომ მათრობს
შენი თმების სურნელი.

როცა გაქრა გულის სიტყვა,
ოცნებებთან თამაში,
რატომ, რატომ მეჩვენები
ისევ ისე ლამაზი.

როცა სხვისი მეუღლე ხარ,
დედაცა ხარ, ბებიაც,
როცა შენი სიყმაწვილე
ყველას დავიწყებია,

როცა გავხდით უკვე წლების
და სიბერის ხიზნები,
ისევ ისე ახალგაზრდა
ნეტავ რად მესიზმრები?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდი

ფერის ცის თუ საფირონის,
ფეხის წვერზე დადიან,
ყვავილების ქალბატონი
მაინც თეთრი ვარდია.

ვაჰმე! დრონი, დრონი, დრონი,
დრონი როგორ გადიან.
ჩემი გულის ქალბატონიც
აწ დამჭკნარი ვარდია.

მაგრამ სულის კაბადონი
და ოცნების გადია,
სიყვარულის ქალბატონი –
ვარდი მაინც ვარდია.

* * *

მ. ნ-ს

თუმცა შორსაა შელიც, გოეთეც,
მაინც ერთი გვყავს თურმე მესია.
ერთი სისხლი გვაქვს მაინც პოეტებს,
ეს არის ლექსი და პოეზია.

ისე უეცრად ჩამომიქროლე,
ამ სულს ცეცხლივით ისე მოედე,
გატეხილ გულს და ჩამქრალ სტრიქონებს
ისევ ჩაუდგი სული პოეტის.

როცა მეგონა მორჩა, გათავდა
სიცოცხლისა და ფიქრის საგანი,
შენი ლამაზი ლექსით განათდა
ჩემი დარდის და სევდის საკანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არც გამიგია, ისე დავტოვე
ციხე სიბერის და სიმარტოვის.
სწორედ შენა ხარ ამ სიხარულის,
ამ სიყვარულის ლექსის ავტორიც.

ლამაზ დღეებზე ხელჩაქნეული,
ისევ ოცნებებს შევეხიზნები.
ღამე, დარდსა და ცრემლს მიჩვეული,
კვლავ აივსება ლამაზ სიზმრებით.

თუმცა შორსაა შელიც, გოეთეც,
მე მაინც მჯერა, ერთი სულია,
ერთი ღმერთი ჰყავთ მაინც პოეტებს,
ეს ღმერთი მხოლოდ სიყვარულია!

P. S.

თუმცა პოეტი პოეტს გაუგებს,
ყველა ქალში ჩქეფს სისხლი აიდას,
ეს გული ქალის ღალატს გაუძლებს,
პოეტის ღალატს ველარ აიტანს.

* * *

ვერ ვეგუები სიბერეს, ვერა, ვერ გავითავისე,
რა ვქნა, ჯერ კიდევ გამირბის თვალი ლამაზი ქალისკენ.

სიყვარულის გარდა...

სიყვარულით განვლილი წლები ზღაპარს ჰგავდა,
ყველაფერი ბერდება სიყვარულის გარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცნებები, ფიქრები, რაც გჯეროდა, გწამდა,
ყველაფერი ძველდება სიყვარულის გარდა.

სიცოცხლეც ხომ უმწეოდ დგას სამარის კართან,
ყველაფერი თავდება სიყვარულის გარდა.

ექსპრომტი ერთ მეტად ლამაზ მოსამართლე ქალს

არაფერი მაქვს მე სხვა სარჩელი,
არც სათხოვარი და არც სადავო,
გამომიტანე ერთხელ სასჯელი,
რომ ერთხელ მომკლა და გამათავო.

ან შენი გულის მადლით ამავსე,
შენი ლამაზი ღიმილ-სიცილით,
თორემ დავდივარ ამ ქვეყანაზე,
შენგან ყოველდღე სიკვდილმისჯილი.

მადლობელი ვარ

ხანდახან, როცა შემეფეთები,
ხანდახან, როცა გზაზე შემხვდები,
დაღამებული, თითქოს ვთენდები,
თითქოს დაშლილი ციხე ვშენდები.

და ველოდები ისევ იმ ქარებს,
რასაც არ ველი დიდი ხანია...
სადაც შენა ხარ, სწორედ იქ არის
ჩემი ყინწვისი და ბეთანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუ ისურვებ, თუკი ინდომებ,
ჩემი ჭაღარით არ დაფეთდები,
ჩემს გულზე, როგორც გაშლილ მინდორზე,
იარე შენი „ირმის ფეხებით“.

მადლობელი ვარ თუნდაც იმისი,
შენ რომ არსებობ ამ ქვეყანაზე,
რუსთაველი და ჩემი თბილისი
შენი ყოფნით რომ გაალამაზე.

მადლობელი ვარ, რომ სევდა მიპყრობს
და რუსთაველზე დავდივარ მარტო.
მადლობელი ვარ, შენზე რომ ვფიქრობ,
შენზე რომ ვწუხვარ, შენზე რომ ვდარდობ.

მადლობელი ვარ, ათასში ერთხელ
თუ სიხარულის ცეცხლით ამანთებ.
ათასში ერთხელ, ათასში ერთხელ
მაგ შველის თვალებს თუ მომანათებ.

მადლობელი ვარ, ათასში ერთხელ
თუ მომაგონებ ჩემს სიჭაბუკეს.
ათასში ერთხელ, ათასში ერთხელ
თუ შენს ღიმილს და სიცილს მაჩუქებ.

სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლები, წლები... ----- 5

1999

უნდა ხმალივით იყოს შიშველი ----- 7
თუ ქართველობა წაგვართვეს ----- 7
დღევანდელი ქართვლის დედები ----- 9
არ ტყდება ციხე იმედის ----- 10

2000

სცენა ----- 12
არჩევანი ----- 12
ასე მგონია ----- 13
ისევ ლექსებმა თუ არ მიშველა ----- 13
*** (მათი მახვილი ბოლმა-შხამია) ----- 14
მაგრამ რა ვუყო... ----- 14
*** (როცა ვხედავ) ----- 15
მომეც ძალა ----- 15
სანამ სამშობლო ჭირშია ----- 16
კვლავ იწერება სისხლ-ცრემლით ----- 18
სასჯელი ----- 19
ბორგავს პაატას მოჭრილი თავი ----- 20
ხვალინდელი დღე უკეთ გაარჩევს ----- 20
საქართველოში გახშირდა თვითმკვლელობა ----- 21
თუ მიაჩვიეს ქართველი კაცი ----- 21
კანდელის ზეთს ჰგავს პოეტის სისხლი ----- 21

2001

პოეტი ----- 22
ჩვენთვის სასჯელი გახდა ცხოვრება ----- 23
მე საქართველო მტკივა ----- 25
ეს რა გვჭირს, რა გვემართება ----- 25
ყველა დიდებას გაუვა ყავლი ----- 26
როცა სიცოცხლის იქით დავეძებ ----- 27
მიწაც, ჰაერიც ----- 27
გორგასლის ხმალი ----- 27

დღეს სიცოცხლეზე უფრო მეტია ---------- 28
ქართვლის ჭირი ---------- 28
სულის და ხორცის ჭიდილი ---------- 29
ისევ თუ ვუძლებ ---------- 29
თუ საქმე მიდგა ქებაზე ---------- 30
მათხოვარი ---------- 30

2002

„შეიბ მახვილი“ ---------- 30
უფალიცა და სამშობლოც ---------- 32
რა ჟამია, რა დროა ---------- 33
დღეს ისეთი ჟამი გვიდგას ---------- 33
ჩამოეხსნა ნიღაბი ---------- 34
სხვა დროს რა იყო... ---------- 35
დღეს კაზინო და რესტორანია ---------- 35
გათითოკაცდა ქართველი ერი ---------- 35
გთხოვთ მაპატიოთ ---------- 36
*** (ბევრმა მამულს სიყვარული) ---------- 36
*** (მიწის და ჟანგის კერძია)---------- 36
თბილისური სურათი ---------- 37
*** (ნაძირალებმა ქვეყანა) ---------- 37
მგლები ---------- 38
*** (ბევრის სახელს და ბევრის გვარს) ---------- 39
გია აბესაძის გახსენება ---------- 39
იქცნენ ხატებად ---------- 40
ნაღდი პოეტი ---------- 40
ნეტავ ვიცოდე რისი ბრალია ---------- 41
ფშავ-ხევსურეთის მონატრება ---------- 41
ბეღურა – პოეტები ---------- 43
პოეტებს აღარ ეპატიებათ ---------- 44
დრო ---------- 44
ასე წასვლაც არ მსურს ---------- 45
ძაღლის წელიწადში დაბადებული კაცის ფიქრები ---------- 46
ისევ ვნახავთ ---------- 47
ქართული სისხლი ---------- 48
კამიკაძე ---------- 49
კოდორი ---------- 50
ჯერ ვადიდებ ქართულ აკვანს ---------- 51

უნდა... ---------- 52
ჩემგან თქმული სადღეგრძელო ---------- 52
ვისთან ვარ?! ---------- 53
*** (თუმცა დღეები მიქცია ყულფად) ---------- 55
*** (ო, უფალო, წილმყავ ღირსი) ---------- 55
წლები, წლები... ---------- 56

ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ ---------- 57
გასაუბრება მერაბკოსტავას სულთან ---------- 59
შიმშილობენ დედები ---------- 60
ქართული პარადოქსი ---------- 61
მწერალთა კავშირში დგას ლომის ფიტული ---------- 62
*** (ვაი იმას, მამულისთვის) ---------- 62
ობოლი ლექსები ---------- 63
შრომის ვეტერანის მედალი ---------- 64
მაჩაბელი ---------- 66
კვლავ ამღერდება ხმალი დავითის ---------- 67
სამაჩაბლოში მოკლულ ოს ექსტრემისტს ---------- 68
პოეტს ---------- 70
შური ---------- 70
მაღირსე ერთხელ ---------- 71
მოკლეს ---------- 71
ისევ სისინებს სული კაენის ---------- 72
*** (დავიღალე სიმარტოვით) ---------- 73
სულის მისია ---------- 74
არ დაგვანახო ---------- 74
*** (არც ისე დიდი ვინმე ხარ) ---------- 75
რეკავდა ზარი ---------- 76
გზა ---------- 77
გალაკტიონი ---------- 77
9 აპრილს დაღუპულებს ---------- 78
დიდგორად კი არა... ---------- 79
ნეტავ რა ცოდვა გვადევს ესოდენ ---------- 80
*** (იქით სახე ნიღბიანი) ---------- 81
*** (წუთისოფელი გზა არი) ---------- 81
საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცელი ---------- 82
*** (თუ არ ისმინე, თუ არ იხილე) ---------- 82

1992 წლის 2 თებერვალი ცირკში და ცირკთან ---------- 83
„აქეთ“ და „იქით“ ---------- 84
ბიჭებს, რომლებმაც მესროლეს ტყვია ---------- 85
ვაი, სადამდე დავეცით ---------- 87
რისი სირცხვილი ---------- 87
კომენდანტის საათი თბილისში ---------- 87
ნიღბები ---------- 88
*** (მტერს და მოყვარეს დავხვდები) ---------- 89
ორად გაყოფილი სული და ქუჩა ---------- 89
ჩემი თაყვანი ---------- 90
თურმე პირადი... მხოლოდ პირადი... ---------- 91
ის ---------- 91
ითამაშა ყველა როლი ---------- 93
გინდ დაიჯერე, გინდ არა ---------- 94
ქართველ ინტელიგენციას კი არა,
ზოგიერთ ქართველ „ინტელიგენტს“ ---------- 95
სად, სად ვილოცოთ? ---------- 96
ამბობს მამული ---------- 96
ღმერთი არ გვაპატიებს ---------- 97
ცოტნე დადიანის მიმართვა სრულიად საქართველოსადმი ---------- 98
აღა-მაჰმად-ხანის ამოძახილი საფლავიდან ---------- 99
არ მოვიშალეთ აქამდე ---------- 100
*** (გაძღა...) ---------- 100
მურგვა ---------- 101
როგორიცა ხარ, ისეთი ---------- 101
ისევ ღმერთი და რწმენა სიკეთის ---------- 102
ქუდები ---------- 102
ეს სილამაზე ---------- 103
ისევ სიბნელე სრული ---------- 103
ციხეში ---------- 103
ლიტერატურული რემინისცენციები ---------- 104
რა ბიჭებს ვმარხავთ, რა ბიჭებს! ---------- 105
რა დრო დაგვიდგა ---------- 105
ზოგჯერ ტკივილი ისე დიდია ---------- 106
შტრიხები ავტოპორტრეტისათვის ---------- 106
სამშობლოს სიყვარულისთვის ---------- 106
დადგება ჟამი ---------- 107
არ დაიჩოქებს! ---------- 108

პოეტად მოკვდე ---------- 110
დღეს საქართველო სისხლით მთვრალია ---------- 111
სახელს იცვლიან, რწმენას კი – არა ---------- 113
ისეთ დროს უნდა წახვიდე ---------- 113
ათასჯერ უფრო სამარცხვინოა ---------- 114
გაყიდულია სამშობლო, ნაყიდი არის ვილები ---------- 114
„ცრემლის ტბა“, „გოდების კედელი“ ---------- 116
მტერი არ გაულაღდება ---------- 118
როცა სამშობლოს პატრონად მოხვალთ ---------- 118
სამშობლო გადამირჩინე ---------- 120
ჯერ... ---------- 121
შემოდგომის ტყე ---------- 121
თუნდ ბედისწერას ვერ გადავურჩე ---------- 122
მონის ცხოვრება არ მინდა ---------- 122
ჩარჩ-ვაჭრების ქვეყნად იქცა პოეზიის ქვეყანა ---------- 123
აქ საქართველოს სულია ---------- 124
რატომ წამართვით ის სიხარული ---------- 126
კვაჭანტირაძის მონოლოგი ---------- 128
შეგინებული დედები ---------- 128
ბათურა ---------- 130
ძაღლის წელიწადი ---------- 130
ბეღურები ---------- 131
ქუჩაში დაწერილი ლექსები ---------- 131
დღეს საქართველოს იპყრობენ... ---------- 132
დავით აღმაშენებლის ძეგლი ---------- 132
„ღირსების ორდენი“ ---------- 133
არა, არ უხდება მშიერ საქართველოს ---------- 134

ჩემი მარადიული თემა ---------- 135

ჩემი მარადიული თემა ---------- 137
* * * (არის ხალხი, არის ერი) ---------- 137
ფესვები ---------- 138
ჩვენ უნდა ჩვენი ვიკითხოთ ---------- 139
საქართველოს სოფლები ---------- 140
სტუმარი ---------- 142
* * * (არა ოფლის საღვრელად, არა სათიბ-სახნავად) ---------- 144
დუელი ---------- 145
* * * (სანამდე, სანამ, სამშობლოვ, მარტო ოცნების ამარა) --------- 145

მთაწმინდა ---------- 146
ორი ლექსი დავით აღმაშენებლისადმი ---------- 146
ილია ჭავჭავაძე სამეგრელოში ---------- 148
ჩემი კოლხეთი ---------- 148
ნაპოლეონის სახის ნიღაბი ზუგდიდის მუზეუმში ---------- 149
სადადიანოში ნათქვამი ლექსი ---------- 150
დიდოსტატ კონსტანტინეს ძეგლი თბილისში ---------- 150
ჯუმითი ---------- 151
ნიკო ხურციას გახსენება ---------- 151
საინგილოს გზაზე ---------- 152
* * * (გული ხელის გულზე მიდევს) ---------- 153
უსიმღეროდ განვლილი გზები ---------- 153
საქართველოს „რკინის ჭიშკარი“ ---------- 155
მეფე ერეკლე ზოგჯერ ჩალმას ატარებდა ---------- 156
ინგილო ქალი ---------- 156
ანაკრეონტის გახსენება საინგილოში ---------- 157
მიბაძვის ღირსი ---------- 158
პაოლო იაშვილის გაბაასება თოფთან ---------- 158
ლექსები კრიმინალურ თემაზე ---------- 159
საქართველოს მთები ---------- 160
საქართველოს ტყეები ---------- 161
ტყის რეკვიემი ---------- 163
შენ, ებრაელო... ---------- 164
სვანური კოშკები ---------- 167
გაძლების ნიჭი ---------- 168
* * * (ამაყო მთებო, წყალნო არაგვის) ---------- 168
ნოსტალგია დუელზე ---------- 169
ჩიტების წუთისოფელი ---------- 170
ჩემს ლექსებს ---------- 170
ვალი ---------- 171
ისევ ---------- 171
* * * (რომ ვარ დაღლილი და დაქანცული) ---------- 172
* * * (ეს რა ხდება, რა მოგდის) ---------- 173
* * * (ქურდთან აღარ ვიქურდე) ---------- 173
ყოფილ მეგობარს ---------- 174
* * * (არა ვინმესთან ჯიბრით ან დავით) ---------- 175
* * * (არის ცის და მიწის დავა) ---------- 175
„მოვედი, ვნახე, გავიმარჯვე“ ---------- 175

ეპიტაფია ---------- 176
* * * (სიცოცხლის შემდეგ სიკვდილთან) ---------- 176
დედა ---------- 176
ცრემლი ---------- 177
სანთელი ---------- 179
ეშმაკის მუზეუმი ---------- 180

1989 – 9 აპრილიდან 1990 9 – აპრილამდე --- 185
ალგეთის ლეკვები ---------- 187
ქალიშვილი შავი დროშით – 9 აპრილს ---------- 193
შავლეგო ---------- 194
ერის მოღალატეები ---------- 195
ჯილდო ---------- 198
სამშობლოს მოღალატეთა ძეგლები ---------- 200
ღალატი ---------- 200
აგუბედია ---------- 201
აბო თბილელის გახსენება ---------- 203
ერთად, ერთგულად და ულალატოდ ---------- 204
პარტიიდან გასული კაცის ფიქრები ---------- 208
* * * (განა სიკვდილის მოსვლა მაშინებს) ---------- 211
ავტოკეფალია ---------- 213
რიგი გაზეთების გასაყიდ ჯიხურთან ---------- 214
ტვინი ---------- 214
დღეს საქართველო არ გვაპატიებს ---------- 215
რა დროს დაღლაა, მუხლო ---------- 216
ერთად! ---------- 217
საქართველო ვის ეკუთვნის, საქართველო ვისია ---------- 219

ძველი კოლხური ჰანგები ---------- 223
მღერის სამი მაფშალია ---------- 225
მახა ---------- 226
* * * (თუმც გზა გადამიკეტე) ---------- 227
ცირა ---------- 228
* * * (ონტოფოში ტირის ქალი) ---------- 228
სიყვარულის ძალა ---------- 229
შემოვევლე სიყვარულს ---------- 229
სიმდიდრე ----------230
* * * (არ ველი და აქ არი) ---------- 231

* * * (სამარეში ისე ჩაველ) ---------- 231
* * * (ამაოა თავის მტვრევა) ---------- 232
* * * (აქეთ შენ და იქით ვარდი) ---------- 232
სიყვარული ორნაირია ---------- 232
მზითევი ---------- 233
* * * (სულ ჩამოსვლას იწერები) ---------- 233
* * * (სიყვარული თუ იბარტყებს) ---------- 234
* * * (თუმც ბევრი ღამე ვათიე) ---------- 234
* * * (გზაზე ვნახე ორი ქალი) ---------- 235
* * * (სიყვარულით გავხდი ავად) ---------- 235
* * * („სიყვარულო, რას მაწვალებ?) ---------- 235
* * * (ეს გინდოდა, ჩემო თავო?) ---------- 236
* * * (ოქროს ბაღში ვარდი დავრგე) ---------- 236
* * * (მე უშენოდ, აბა, რა ვარ) ---------- 236
* * * (მზე ხომ ღამე ვერ ამოვა) ---------- 236
ჩარიერამა ---------- 237
* * * (რა უცებ გამაღარიბე) ---------- 238
* * * (ხარ გაუვლელი ბილიკი) ---------- 238
დარდიანი დავდივარ ---------- 238
* * * (გულს რომ შენზე დარდი მივსებს) ---------- 239
ბიჭის ნათქვამი ---------- 240
ბიჭო, თუ მოვინდომე! ---------- 241
* * * (სიყვარული რა ყოფილა) ---------- 241
* * * (ალბათ, ისევ შენა ხარ) ---------- 242
ნატვრა ---------- 242
ფიცი ---------- 243
* * * (სიყვარულს ვერ გავექეცი) ---------- 243
* * * (ღამე ისევ ღამეა) ---------- 244
* * * (თვით არ ვიცი რა ვარ, ვინ ვარ?) ---------- 245
* * * (ხან მიჭერ, ხან გამიშვებ) ---------- 245
ვარდი და ჭინჭარი ---------- 246
თამაში წყლის პირას ---------- 246
* * * (ის, ვინც სიყვარულს არ ეთაყვანა) ---------- 246
მე და ჩემი ურემი ---------- 247
ვაგლახ, სიღარიბე ---------- 248
მზე ---------- 249
სიზმარი ---------- 249
ულელში შებმული ბულბული ---------- 250

კაცის ენა ---------- 251
რად გინდა ---------- 251
დრო ---------- 252
ვაჟკაცის სიტყვა ---------- 253
* * * (ვუყურე და ვერც ვუყურე) ---------- 254
ჩემი ენა ქართული ---------- 254
სიბერის ლექსი ---------- 255
ღმერთო, მაცოცხლე! ---------- 256
ცუდი კაცის დამარხვა ---------- 257
* * * (ამ დაწყევლილ ქვეყანაზე) ---------- 258
* * * (ამ სიბერემ, დარდის გუდამ) ---------- 258
ლხინის სიმღერა ---------- 258
შვილნი სოფლისა ---------- 259
ქართველი და სოფელი... ---------- 264
პლანეტა „საქართველო“ (№ 781) ---------- 268
მკვდარი ენები ---------- 269
წიწამური და ილია ---------- 270
* * * (საქართველოს გულს და სინდისს
ვინც ესროლა მაშინ ტყვია) ---------- 272
წარწერა ნიკო ბურის (ბაგრატიონი) წიგნზე ---------- 273
პავლე ინგოროყვას ---------- 274
„ჩონგური საქართველოა... “ ---------- 275
ძველი მესხური სიმღერები ---------- 276
წინაპართა ხმები ---------- 277
მერი შერვაშიძის დაბრუნება ---------- 279
რუსუდან ფეტვიაშვილს ---------- 280
ქართული მდინარეები ---------- 282
არხოტი ---------- 282
დონ კიხოტი ---------- 283
„ვეფხვის და მოყმის“ ძეგლი ---------- 283
ფიქრები სამხედრო ბილეთის ჩამორთმევის შემდეგ ---------- 284
* * * (განვლილია ნახევარი გზა) ---------- 285
* * * (–სასაფლაომდე როგორ მივიდე?-) ---------- 286
* * * (მიახლოვდება, ვატყობ, ფინიში) ---------- 286
* * * (ყინვა გაზაფხულს ველარ აჩერებს) ---------- 286
* * * (თუმცა გარდასულ დღეებს მისტირის) ---------- 286
* * * (ისეთი დღე და ისეთი მზეა) ---------- 287
პრომეთე ---------- 287

მიტევება ---------- 287
ხსოვნის დღე ---------- 288
დაგვიანებული ლექსი ქალბატონ მედეა ჯაფარიძეს ---------- 291
აფრიკის განთავისუფლების დღე ---------- 291
300 ---------- 292

რწმენის ორდენის კავალერი ---------- 309
ქაღალდის ბალადა ---------- 311
პასუხი ლექსად ---------- 317
ქართლის ცხოვრების მემატიანე ---------- 322

კამერტონი ---------- 325
ვედრება ქალღმერთ დალისადმი ---------- 327
სვანეთი ---------- 327
მესტია ---------- 328
დილა მესტიაში ---------- 329
თეთნულდი ---------- 329
* * * (როცა ენგური ცრემლიან თვალებს) ---------- 330
* * * (ეს თეთნულდი, შხარა, ხალდე) ---------- 330
* * * (წყალი უბრალოდ წყალია) ---------- 330
* * * (გიდი, ქცეული ქადაგად) ---------- 330
ზემო და ქვემო სვანეთი ---------- 331
XIX საუკუნის ქრონიკა ---------- 331
თინათინ ხარძიანს – თოთხმეტი შვილის დედას ---------- 333
ნიკოლოზ ბერჩლიანის დატირება ---------- 335
სეფე ჩხვიმიანს ---------- 336
მესხეთი ---------- 337
ზღაპარი ლექსად ---------- 339
საზღვარი ---------- 340
ჯიზიე – თავისუფლების გადასახადი ---------- 341
რჯულგამოცვლილი კაცის გოდება ---------- 343
მიხეილ თამარაშვილის დაბრუნება სამშობლოში ---------- 344
აწყური ---------- 345
„ცრემლის ტბა“ ---------- 345
ამირანის მთა ---------- 346
ღრუბელი ---------- 346
მესხეთის გზაზე ---------- 347
გაცოცხლებული სოფელი ---------- 348

მესხეთი ---------- 349
ვარძიის ხილვისას ---------- 350
მაინც ცოცხლებს გვაბარია ---------- 351
კი, კი, ვიცით ქართველებმა ---------- 352
* * * (ო, ისე ცქაფად, სწრაფად და ხაფად) ---------- 353
დიალოგი საქმოსან კაცთან ---------- 353
კენტავრი ---------- 353
კომიკოსების ბედი ამერიკაში ---------- 354
პოეზიის კარდიოგრამა ---------- 355
ტაში ---------- 357
ბალადა პისტოლეტზე ---------- 358
შუადღე ---------- 359
ჩრდილი ---------- 359
მესამე ზედმეტი ---------- 360
ამაღლება ---------- 361
* * * (იცის წლებმა და წარსულმა) ---------- 363
ლომკაცი ---------- 364
ცეკვა „ქართული“ ---------- 364

თიბათვე ---------- 367
პოეტები და მთამსვლელები ---------- 369
მთები ---------- 369
მთაო, გადმიშვი ---------- 369
ფიქრები თეთრი და შავი არაგვის ხილვისას ---------- 370
ლეკვები ---------- 370
ჩანჩქერი ---------- 371
ჩანახატი ---------- 371
* * * (მთვარე, თხუთმეტი ღამისა) ---------- 372
შატილი ---------- 372
ისევ შატილი ---------- 373
თეთნულდი ---------- 373
კრავი ---------- 373
ახალგაზრდა ქართველ მეცხვარეებს ---------- 374
მეცხვარის ცოლი ---------- 375
სამება ---------- 376
ქება ქართული ვაზისა ---------- 376
კრწანისი ---------- 380
ჩადრი ---------- 380

ჭადრაკული ლექსები ---------- 38
სტატისტი ---------- 384
მეფე პოეტების გასაუბრება სამშობლოსთან ---------- 385
ლომი ---------- 386
* * * (ირგვლივ ბილიკები, მხოლოდ ბილიკები) ---------- 386
ბოლო სადგური ---------- 387
* * * (ნოემბრის ქარით მთვარალი ხეები) ---------- 389
* * * (ვიცინი, ვწუხვარ, ვამტკიცებ, ვდაობ) ---------- 389
ჰომეროსის და ბეთჰოვენის გახსენება ---------- 390
თიბათვე ---------- 390
ბათუმი, ჩემი სიყვარული ---------- 391
* * * (თუმც კარგი ცა) ---------- 393
დილა ზღვის პირას ---------- 393
რიწა ---------- 393
რამზეს II პირამიდა ---------- 394
* * * (მიწა ცვარ-ნამ-ლეშხით მთვრალი) ---------- 394

ლექსები ---------- 395
ძეგლი ---------- 397
მამულო! ---------- 398
მონღოლ მეგობარს ---------- 399
ლექცია „ქართველი ხალხის წარმოშობა“ ---------- 401
„Старые вещи“ ---------- 401
* * * (აღარსად ნეშტი) ---------- 403
წუთისოფელი ---------- 403
ბალადა ქართველ ქალებზე ---------- 405
შაგრენის ტყავი ---------- 407
დაკარგული სახელის ბალადა ---------- 407
რიგი ---------- 409
პოეზია ---------- 410
ლექსის ფიტული ---------- 412
შურის ციხე ---------- 414
დუბლი – კადრი ---------- 414
თაობათა ცვლა ---------- 416
ცირკი ---------- 417
ფიქრები სამგლოვიარო განცხადებებზე ---------- 418
სულთათანა ---------- 419
ძახილი ---------- 421

ვიოლინოს ფუტლარი ---------- 422
გზის ოსტატს ---------- 423
* * * (გაზაფხული მიაქვს რტოებს) ---------- 424
გაბაასება სიკვდილთან ---------- 425
წვეთი ---------- 426
იმედის ლექსი ---------- 427
კრიმანჭული ---------- 429
შიმშილი ---------- 430
გიტარა ---------- 432
ობელისკები ---------- 432
მიწა ---------- 433
სურათი ---------- 434
ვერცხლი ---------- 435
ჰაერი ---------- 435
პრიმიტიულად ნათქვამი ლექსი ---------- 436

ხმა ---------- 437
მუზეუმი თბილისის ცის ქვეშ ---------- 439
ლითონის სიმფონია ---------- 439
ქართული ლექსო ---------- 441
„ვისი სული გსურთ“ ---------- 442
ტერენტი გრანელი ---------- 444
მსახიობი ---------- 445
* * * (პიედესტალები პატრონს ელიან) ---------- 446
ჩემი სოფელი ---------- 446
მამა ---------- 447

ლექსები ---------- 449
* * * (წლები მიდი-მოდიან, ჟრიამულით, ხმაურით) ---------- 451
ემიგრანტი ---------- 451
აბო ტფილელის ძეგლი ---------- 453
ძალიან ცოტა ბედაურს შერჩა ---------- 454
მიტოვებული ეკლესია ---------- 455
* * * (წლები შლის ფუნჯით) ---------- 456
* * * (რა ჩიტის გული გქონია) ---------- 456
* * * (მახარებდა ადრე გაფრენილი წლები) ---------- 457

ჩემი ბავშვობის სურათი ---------- 457
სიმაღლე ---------- 459
ყვავილების მიწა ---------- 461
მერცხლები და ბუდეები ---------- 463
კედლები ---------- 464
2000 წელი ---------- 465
ვაჟა-ფშაველა ---------- 466
გზები და შენ ---------- 467
პოეტის ნათქვამი ---------- 468
არქივი ---------- 468
მიტოვებული გზები, ხატები ---------- 469
გზების გარდაცვალება ---------- 470

სიმღერის გაზაფხული ---------- 471
ალავერდი ---------- 473
* * * (არ მასვენებს საქართველოს სალოცავი) ---------- 473
ვინ დამავიწყოს ---------- 474
დეკემბერი სარფს გაღმა ---------- 475
* * * (ყველა ქართველი ლექსის კაცია) ---------- 477
არსენას საფლავთან ---------- 477
ბათუმო! ---------- 478
განთიადი ზღვის სანაპიროზე ---------- 480
გემი „საქართველო“ სტამბოლში ---------- 480
თბილისს ---------- 481
არიხილო ---------- 482
* * * (ცეცხლოვან შაირებს მიყვება ბუხარი) ---------- 483
ვაჟკაცის გული ---------- 483
უმღერე, თბილისო! ---------- 484
დაუმთავრებელი სიტყვა ---------- 485
ნიკო სულხანიშვილის ხსოვნას ---------- 485
* * * (თუ ადუღდები, კმარა ლოდინი) ---------- 486

ქალი, რომელიც გიყვარს ---------- 487
ქალი, რომელიც გიყვარს ---------- 489
*** (შენ ვარდი ხარ გადაშლილი) ---------- 489
*** (კალმახის თუ თართის ფასი) ---------- 490
*** (დღეს სიცოცხლე შენი) ---------- 490

*** (წავალ, წამყვება შენი უარი) ---------- 491
*** (შემოეჩვია ივნისს ავდრები) ---------- 491
განდაგანა ---------- 492
ჩემო ახლო მეზობელო ---------- 492
*** (როგორ არ მსურდა, როგორ არ მსურდა) ---------- 493
*** (არ მოველოდი დასასრულს ასეთს) ---------- 494
*** (თუმცა გულს შენი ალერსი სურდა) ---------- 494
*** (გატეხილია სიტყვა და ფიცი) ---------- 495
*** (იმ სიყვარულის ღირსი არა ვარ) ---------- 495
*** (რატომ ვიგონებ ნეტავ იმ ტკივილს) ---------- 496
მურმანის არია ---------- 497
ლავანდას ---------- 497
მინდა ლექსებით გადავარჩინო ---------- 498
*** (თუმც გულგრილობით გამთელე და ასე დამაზრე) ---------- 499
პარალელური მოტივები ---------- 499
*** (რა შორიდან მიმზერ მშვიდად) ---------- 500
*** (ის წერილებსა და სურათებს წვავდა) ---------- 500
ქალის თმები ---------- 501
სიყვარულის პალიმფსესტი ---------- 502
მე შენ გელოდი ---------- 503
ვინ დაუწესა სიყვარულს წლები ---------- 504
სიყვარული ---------- 505
მანანას ---------- 506
*** (დამწიფებული ორი მტევანი) ---------- 506
საავადმყოფოში ---------- 506
ნეტავ რად მესიზმრები ---------- 508
ვარდი ---------- 509
*** (თუმცა შორსაა შელიც, გოეთეც) ---------- 509
*** (ვერ ვეგუები სიბერეს...) ---------- 510
სიყვარულის გარდა... ---------- 510
ექსპრომტი ერთ მეტად ლამაზ მოსამართლე ქალს ---------- 511
მადლობელი ვარ ---------- 511

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომპიუტერული დამუშავება: მაია გორგიაშვილი
მაია ფარულავა

ტექნიკური რედაქტორი: ლუარა გამყრელიძე

აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „ზანში“

ტაშკენტის ქ. №25, ბ.1
38–03–11